

# ჩვენი მწერა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

21 მარტი 2014

№ 6 (214)

ნანა კუციას ესეი  
ალან მელის ნოველები  
ვარადა ვარადას შესახებ  
ქუთაისური კოლორიტის სიბლი  
„წინაპრების“ საბედისწერო ეგზემპლარი  
დევიდ ლოურენსი პორნოგრაფიასა და უხამსობაზე  
ზაალ სამადაშვილის ბელეტრისტული ჩანახატები  
მაკა ჩარკვიანის ფრაგმენტები დღიურიდან  
იოსებ ჭუმბურიძის კრიტიკული ეტიუდები  
პირუთვნელი და ულმობელი კრიტიკა  
საუბარი ლია რუსიაშვილთან  
ვანო ჩხიკვაძის ლირიკა



# შინაარსი

თქმა მართლისა	2	როსტომ ჩხეიძე „წინაპრების“ საგადასწავლო ეგზეკუციის (ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური (ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“
ამსპრან-ინტერვიუ	14	სანდრო მრეველიშვილი „იყავი ის, რაც ხარ!“ (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	15	ზაალ სამადაშვილი კბლას მიღვევებით დანარიღები
	19	მაკა ჩარკვიანი ფრაგმენტები დღიურიდან
პოეზია	22	ვანო ჩხიკვაძე ნიგნიდან „2013“
უსხოეთის ცხოვრებიდან	26	დევიდ ჰერბერტ ლოურენსი პორნოგრაფია და უსამსობა
ესეისტიკა	36	ნატა ვარადა ვარადა ვარადას შესახებ
იდეები და პარაპარაფრაზი	40	გული გავუთხოვთ ერთმანეთს (დარინა ყურუას ესაუბრება შალვა კირთაძე)
გამოხეობა	43	შალვა საბაშვილი ისევ „ერთი კარგი რიტმის შესახებ“
ლიტერატურული სინაქსი	46	იოსებ ჭუმბურიძე ორი და კიდევ ერთი ნიგნი
ჩვენი სადისკუსიო დარბაზი	49	გურამ ყორანაშვილი იძულებითი პასუხი ჟურნალისტს
უბის წიგნიდან	52	რუსუდან ქუთათელაძე „ღვთისმშობლის ღიმილი“ ხელს შეგვაშველებს (მაკა ჯოხაძის ესეი „ღვთისმშობლის ღიმილი“)
კრიტიკა	53	ნანა კუცია მარადი მოდელი ყოფისა (როზა დევედარიანის ლიტერატურული ზღაპარი „უფლისა“)
ლილოგი	59	თორმეტი მოციქულის სახელზე (რიტა ბაინდურაშვილს ესაუბრება ლია რუსიაშვილი)
ფიქრი და განხილვა	60	თამარ ყალიჩავა ექსტრავაგანტური მოქმედება (თეიმურაზ უიარაღოს „მანიქველობა და ქრისტიანობა“)
წუთები და წლები	64	გია ხოფერია „ღვთის საჩუქართა“ პორტრეტები (ეკა ბუჯიაშვილის დოკუმენტური ნოველები კარლო ფაჩულიასა და ნინო ზაალიშვილზე)
უსხორი ნოველი	67	ალან მელი „ბრაჰმ“ და სხვა კალიან მოქლე მოთხრობები
ამ მთისა და იმ გარისა	71	პირუთვნელი და უღმრთელი კრიტიკა



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი  
გამოვა 4 აპრილს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
**ომეგა თბილისი**

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: ნოსტალგია ძველ დროზე  
ირაკლი შუბაშვილის კომპიუტერული გრაფიკა

როსტომ ჩხეიძე

# „წინაპრების“ საბედისწერო იგუმბარა

ლადო ასათიანის გარდაცვალებას „ლიტერატურული სა-  
ქართველო“ ერთიბენო ნეკროლოგიტ გამოეხმაურებოდა.

ტექსტი ოფიციალურია და ხელს ის ადამიანები აწერენ,  
რომელთაგანაც ზოგს მართლაც ძალზე დაეწვა გული პოეტის  
ასე ნაადრევი აღსასრულით, ზოგსაც თანამდებობა ავალბდა.

რამდენი ასეთი ნეკროლოგი გამოქვეყნებულა ამგვარივე  
უცნაური სიმბიოზით, ის კი არა, რამდენ მწერალს მოუნდომებია  
ხელისმომწერთა სიაში მოხვედრა, რათა ოფიციალურ-ნომენკ-  
ლატურულ თანამოკალმეთა გვერდით გაეღებულყო, და რამ-  
დენს გული დაწყევტია, ღირსად არა მცნეს ამ წრეში გარევისო.

იმ წუთას მკითხველიც გულისყურით დააკვირდებოდა  
ხოლმე ხელისმომწერთა მწკრივს — ვინ შემატებით და ვინ  
გამოკლებიათ და ვინ გულმხურვალე ჭირისუფალია და ვინ  
ყასიდად აწერს ხელსო... და იმ მხრივაც შეიძლება ჩაკვირე-  
ბოდნენ, ნეტა ამათგან რომელმა გაუმწარა სიცოცხლე და  
სიკვდილის პირამდე მიიყვანაო.

რა გგონიათ, ასეთებიც არ ერიდებოდნენ ამგვარ სიაში  
მოსახვედრად ზრუნვას. მონანიების გამო არა — ერთი-ორი  
ხელისმომწერი შესაძლოა კიდევ ნანობდა გარდაცვლილის  
წინაშე რალაც-რალაცებს და ეს შინაგანი წუხილი ამით სურ-  
დათ გაენელებინათ, მაგრამ უმეტესობა ხალხისათვის თვა-  
ლის ასახვევად ესწრაფოდა ჭირისუფლის ნიღბის აფარებას,  
ანდა ხელისმომწერთა შორის ისეთი ადამიანის გვარ-სახე-  
ლიც აღბეჭდილიყო, რომ მასთან „გახახუნება“ ყველაფერს  
ერჩივნათ და რალას დაგიდევდნენ, თუ მიცვალებულის მი-  
მართ შურისა და ბოღმის გარდა არაფერს გრძნობდნენ.

ვინმე შესაძლოა ისე ვერ მორეოდა საკუთარ ბოღმასა და  
შურს თვით მიცვალებულის მიმართაც, წონასწორობადაკარ-  
გულს ნიღბის მორგებაც აღარ მოსურვებოდა — დაე გაშიშვ-  
ლებული ყოფილიყო მისი დამოკიდებულება.

რას იზამ, როდესაც თავს ვეღარ ერევი და ფორმალური ხელ-  
მომწერაც გადაუღახავად გქცევია!.. და ეს მაშინაც, ნიღბის მორ-  
გების ოსტატის სახელი რომ გაგვარდნია, ქამელეონის უნარით  
აღვსილხარ და ადვილადაც არ ტოვებ კვალს, ლამის მთლად არა-  
ფერი დაგრჩეს ხელმოსაჭიდი ცოდვათა გრძელ ნუსხაში, ეგაა, არ  
არსებობს დანაშაული, რალაც მამხილებელი, თუნდაც სულ ერ-  
თიბენო, არ გამოგეპაროს მხედველობიდან, და ახლა უკვე დე-  
ტექტივის ალღოსა და გამჭრიახობაზე ჰკიდია სიძულვილის მო-  
ტივის ამოცნობაც და ცოდვის საიდუმლოს გახსნაც.

ხომ არ ავცდით დაწყებულ მსჯელობას?

სად ჭლექისაგან განამებული ახალგაზრდა კაცის აღსას-  
რული და სად დეტექტივის ალღო-გამჭრიახობაზე სიტყვის  
ჩამოგდება?

რა — ნეკროლოგზე ხელმომწერთა ეს სია რაიმეს გვამც-  
ნობდა საგულისხმოს?

ვახტანგ ჭელიძეს მიაჩნდა, რომ ამ სიაზე დაკვირვება  
გულმოდგინედ ნაშლილი კვალისაკენ ნაგვიყვანდა და... ამი-  
ტომაც ლიტერატურული პორტრეტის „ჩვენი ლადო ასათი-  
ანი“ ფინალურ მონაკვეთში ნეკროლოგის უკანასკნელ სტრი-  
ქონებსაც გაიმეორებდა:

\* ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური (ვახტანგ  
ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“

— ლადო ასათიანის სახით ახალმა ქართულმა საბჭოთა  
პოეზიამ დაჰკარგა ორიგინალური პოეტი, რომლის შემოქმე-  
დებითი ძალა ჯერ კიდევ არ იყო სავესებით გამოვლენილი. მი-  
სი საუკეთესო პოეტური სტრიქონები მუდამ იცოცხლებენ მი-  
სი მეგობრებისა და მკითხველი საზოგადოების წინაშე.

და სიასაც კიდევ ერთხელ გადაგვახედებდა, გაზეთის მი-  
ბინარებული ფურცლებიდან სალიტერატურო მიმოქცევაში  
რომ შემოიტანდა:

— ალო მამაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთა-  
თელი, პავლე ინგოროყვა, შალვა აფხაიძე, ლეო ქიაჩელი, აკა-  
კი განერელია, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, დემნა  
შენგელაია, ლევან ასათიანი, გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალი-  
ანი, ალექსანდრე საჯაია, ილო მოსაშვილი, დიმიტრი ბენაშვი-  
ლი, ხარიტონ ვარდოშვილი, მიქელ პატარიძე.

სამწერლო საზოგადოებაში დიდი ფორიაქი ამტყდარიყო  
ამ ლიტერატურული პორტრეტის გამოქვეყნების — 1987 წე-  
ლი — ხანაში, სულ უფრო ხშირად ახსენებდნენ ლადო ასათი-  
ანის პირველი ლირიკული კრებულის „წინაპრები“ განადგურე-  
ბის ვანდალურ აქტს, მთელი ტირიაჟი ულმოზღად რომ დაჭრეს  
და ისედაც სწეულებაშეყრილ პოეტს სიცოცხლე მოუსწრა-  
ფეს... ან ბარბაროსობის მოთავის სახელსაც იმეორებდნენ...

ის კი, მოთავე, თავისას ცდილობდა, ამ მხილების ჭორად მო-  
ნათვლას ესწრაფოდა და გაქარწყლებას, მისი პირადი მტრების  
მიერ შეთხზულს უწოდებდა, თორემ ლადო ასათიანთან კეთილი  
ურთიერთობის გარდა განა სხვა რა აკავშირებდა?! მოწმეებს  
დაეძებდა, შეგონებდა და უმტკიცებდა, რომ ახლა ასე სჯობდა,  
რომ როგორმე მისი სახელი სრულიად გარიდებოდა „წინაპრე-  
ბის“ დანვის დრამატულ ეპიზოდს, ტრაგედიის წინა მოქმედებას.  
სჯობდა მისთვისაც და ქართული მწერლობის პრესტიჟისთვისაც.  
და საქართველოსაც ასე ერჩივნა, მის სახელს ჩამოცილე-  
ბოდა ეს ცოდვა. თუ რატომ სჯობდა ასე საქართველოსათვის და  
ქართული მწერლობის პრესტიჟისთვის, ამდენს აღარ განმარ-  
ტავდა, მთავარია მომხრეებს — თუ შემორჩენოდა ძველი თაო-  
ბიდან — დაედასტურებინათ და ფიცის ქვეშაც გაემეორებინათ  
მისი და ლადო ასათიანის მეგობრული ურთიერთობის ამბავი.

აღნიშვნით არსად აღნიშნულიყო ლადო ასათიანის სი-  
ცოცხლეშივე გამოცემული პირველი წიგნის საავტორო ბედი,  
ვითომც ყოფილა და ვითომც არაო. და სწორედ ვახტანგ ჭე-  
ლიძის ამ ესეიში გახშიანდებოდა პირველად ასე ნათლად და  
შედარებით სრულად ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ეს  
ტრაგიკული ეპიზოდი.

ერთ პასაჟში გახსენებულია ორი ფრაზა პოეტის სხვადას-  
ხვა ბარათიდან.

ერთი — მეგობართან:

— როგორა შენი წიგნის საქმე? ჩემსას ხომ არ დაადგა  
სამველი და ისაა.

და მეორე — მეუღლესთან:

— რა ეშმაკი მოუვიდა მა „ერთცახე“ წიგნს, მაგან გამიჩი-  
ნა ჭლექი!

რათა თავის მხრივ დასძინოს: აქ ლაპარაკია პოეტის პირ-  
ველ წიგნზე, რომელმაც, როგორც იქნა, იხილა დღის სინათ-  
ლეო... თანაც მნიშვნელოვანი მრავალწერტილით...

მეორე პასაჟში კი, კვლავ ამონარიდს რომ იმონებებს, ნიკა  
აგიაშვილთან გაგზავნილი ბარათიდან, მომავალი კრებულის  
გეგმასა და პროექტსაც რომ აცნობს, და:

— ვინძლო მისმა გამოსვლამ ცოტა სული მომათქმევინოს,  
გამახალისოს და ეს ხანმოკლე და უღიმღამო სიცოცხლე ოდნავ  
გამიხანგრძლივოს. ესაა ჩემი იმედი და კიდევ ბევრი რამ ამ ქვე-  
ყანაზე, რაც მასულდგმულებს და სიცოცხლის სიყვარულს არ  
მიკარგავს... თუ ცოცხალი დავრჩი და შენც ცოცხალს მომიხსნა-  
რი, როცა ჩამოხვალ კაი ლამაზ წიგნს დაგახვედრებ...

ესეიში უფრო გაიშლებოდა მსჯელობა და უშუალო კავში-  
რიც გაიბოდა მის განადგურებასა და პოეტის აღსასრულს  
შორის.

— ასეთი სასოებით შეჭხაროდა ამ წიგნს, რომელსაც გატანჯული და უღიმღამო სიცოცხლე უნდა გაეხანგრძლივებინა პოეტისათვის. სამწუხაროდ, მისი ავი წინათგრძობა გამართლდა — მართლაც „გამოტყვერა რაღაც უხიაკობა“, რამაც ხელი შეუშალა. უკვე დაბეჭდილი წიგნის მთელი ტირაჟი გაანადგურეს. მხოლოდ ის სასიგნალოები გადარჩა, ათიოდე ცალი, რომელთა სტამბიდან გამოტანაც მოასწრო პოეტმა, და იქნებ კიდევ თითო-ორი ცალი, რომელთაც სტამბის მუშები გამოიტანდნენ.

— ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ეს პოეტზე, რომლის დღეები ისედაც უკვე დათვლილი იყო.

— შური და ბოროტება ყოველთვის ტყვეობს როდი ებრძვის ნიჭს.

— ის უკვე საყვარელ ქუჩაშია ცველარ გამოდიოდა, ამისი ძალა აღარა ჰქონდა.

ამ დანაშაულის მოთავისა თუ სხვა მონაწილეთა ვინაობა არ გაიძიებოდა, მაგრამ ამ ფონზე ხელმოწერათა სიის განმეორება ღრმა დატვირთვის იქნება და გამჭვირვალე მინიშნებასაც გვთავაზობდა საიდუმლოსათვის ფარდის გადასანევად.

მკითხველი — მითუმეტეს, მწერალთა იმ დრტვივის მონაწილე — აშკარად მოისაკლისებდა ირაკლი აბაშიძის გვარსახელს. სხვა თუ არაფერი, იგი იმჟამად მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ და ოფიციალურად იყო ვალდებული ჭირისუფალთა შორის ყოფილიყო.

ნეკროლოგზე ხელმოწერა რაღაა, არა?

ვისთვის როგორ!

ჭირისუფალთა შორის ირაკლი აბაშიძის არარსებობა თვითვე შიფრავდა „წინაპრების“ განადგურების მთავარი ორგანიზატორის ვინაობას, ზედაპირზე ამოჰქონდა ბოროტი საქმე, რომელიც დღის სინათლეს ვერსად წასვლოდა, თუნდ დასამალად მთლად დედამინა თუ არა, საბჭოური რეჟიმი გადაფარებოდა, ჰამლეტური რწმენისა არ იყოს.

გვერდი-გვერდ ის დრამატული ეპიზოდი და ეს ნაკლები სია ცხადლივ წარმოაჩენდა ყოველივეს და მეხის გავარდნასავით გაისმოდა.

ირაკლი აბაშიძეს თავზარი დაეცემოდა.

ესლა აკლდა — საჯაროდ გაცხადებდა.

კიდევ კარგი, გამჭვირვალე ქვეტექსტი ეკმარა ავტორს და პირდაპირ არ დაესახელებინა... მაგრამ თუკი შესაფერისად არ იზრუნებდა ამ მინიშნების გასაბათილებლად, ეს გამჭვირვალე ქვეტექსტი უშუალო მხილებად გადაიზრდებოდა და... მერე ყველაფერი გვიანლა იქნებოდა.

ვახტანგ ჭელიძის ესეის გამოქვეყნებიდან მალევე შეიკრიბებოდნენ ლადო ასათიანის საიუბილეო კომისიის სხდომაზე გიორგი ციციშვილის, მწერალთა კავშირის იმჟამინდელი თავმჯდომარის, კაბინეტში. მასთან ერთად მივიდოდნენ გრიგოლ აბაშიძე, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, რევაზ ჯაფარიძე და ჯემალ ინჯია. მასპინძელი მოუბოდიშებდათ: სადღაც მიმეჩქარება, იქნებ კიდევ მოგისწროთო, — და სხდომის ხელმძღვანელობას ჯანსუღ ჩარკვიანს დაავალებდა, ისედაც საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეს.

სალაპარაკო ბევრი არაფერი იქნებოდა.

ჯანსუღ ჩარკვიანი აუწყებდათ, რომ იუბილეს გამართვას ჯერ რუსთაველის თეატრში აპირებდნენ და მერე ფილარმონია გადაწყვიტეს.

ამ დროს კარი გაიღებოდა და შემოვიდოდა... ირაკლი აბაშიძე. ისიც მონვეული ყოფილიყო და დაეგვიანა.

ამას ძალიან გაუკვირდებოდა, მაგრამ რა უნდა ეთქვა?!

ჯანსუღ ჩარკვიანი ყველას სთხოვდა: სიტყვით უნდა გამოხვიდეთ საიუბილეო საღამოზეო, — და ახალშემომატებული წვერი ისეთი ენთუზიაზმით განაცხადებდა: უსათუოდ კარგად უნდა ჩავატაროთ ეს საღამოო, — გარეშე კაცს ლადო ასათიანის სიჭაბუკის მეგობარი და უპირველესი ჭირისუფალი ეგონებოდა.

გარეგნული თავგამოდება მისთვის აკი ჩვეული გახლდათ და დახვეწილი ოსტატობითაც ასრულებდა.

ის მაინც როგორ დაემართა, ნეკროლოგს ხელი რომ არ მოაწერა და მისთვის ის უსიამოვნო დოკუმენტი დატოვა?..

თვით გამოცდილი ოსტატებიც რომ ჩათვლემენ ხოლმე და... მისი ჩათვლელმა ეს აღმოჩნდებოდა.

მოჩვენებით ენთუზიაზმს სხვა დროსაც გამოიჩენდა, მაგრამ ამჯერად გაცილებით ღრმა ჩანაფიქრი ჰქონდა და წინასწარვე მომზადებულიყო.

იცოდა, ვახტანგ ჭელიძე აქ დახვდებოდა.

ის მაგიდის ბოლოში იჯდა და შემოსწრებულს იქ რომ ჩამოჯდებოდა, თავისთავად მოხვდებოდა მის გვერდით.



მხატვარი კარლო ფაჩულია

ჯერ არაფერს შეიმჩნევდა ირაკლი აბაშიძე და ვახტანგს ისიც კი ეგონებოდა, ალბათ არ ნაუკითხავს ჩემი წერილიო.

ამ ფრაზით ჩაინიშნავდა დღიურში, თუმც უფრო ზუსტი იქნებოდა და იმ ადამიანის ბუნების ხელშესახებად გამომხატველი — და იმ ლიტერატურული გარემოსიც — ასე რომ ჩაენერა: ალბათ არ უნახვებიათ ჩემი წერილის ის პასაჟები, მისთვის საგანგებოდ ჩახაზულიო.

სხდომა რომ დამთავრდებოდა და ყველა წამოიშლებოდა, ირაკლი ხელზე ხელს დაადებდა და ეტყოდა:

— შენ ცოტა ხანს დაიცადე.

ეს გაიფიქრებდა, ახლა კი ჩხუბს დამიწყებსო, და თვითონაც შეემზადებოდა.

მაგრამ ის ხომ ირაკლი აბაშიძეა.

ჩხუბი და მუქარა მამინ და იმასთან, ვისთანაც, წინასწარვე დარწმუნებულია, რომ გაუვა, ხოლო ვისთანაც არა — თავის მოკატუნება და თითლიბაზობის არსენალის გადმოფარჩავება.

ვახტანგს ადვილად ვერ შეებედავდა.

ამიტომაც სკამზე, ზურგსუკან ჩანთა რომ დაედო, იმ ჩანთას გამოიღებდა და ნელ-ნელა შეუდგებოდა გახსნას, თანაც ეტყოდა:

— მე ახლა საპენსიო საბუთებს ვაგროვებ და შემოხვევით ამ ქაღალდს წავანყდი.

შემთხვევით, აბა, საგანგებოდ ხომ არ მოიძიებდა ანდა... ყალბ დოკუმენტს ხომ არ შეთხზავდა!..

ამოიღებდა და გაშლიდა ქსეროქსზე გადაღებულ ასლს რაღაც მონაწილესა.

— ეს მივლინებაა, იმ დროს, ნეკროლოგს ხელს რომ არ ვაწერ, მივლინებული ვყოფილვარ ფრონტზე.

ეს ქაღალდზე მართლაც მოჰკრავდა თვალს ცალკეულ სიტყვებს: „პირველ სექტემბრამდღეო“ რომ ეწერა, და კიდევ — ამ მონაწილეს გაცემის თარიღს — რომელიღაცა რიცხვს ივნისი-

სა. მეტის საშუალება არ ექნებოდა, რადგანაც ირაკლი სასწრაფოდ ჩააბრუნებდა ჩანთაში. იმას კი მიხვდებოდა, რომ ეს ჩვეულებრივი მივლინების ბლანკი არა ყოფილა, არამედ მონუმობა, რომელიც მეტად მაღალი დანესებულების მიერ გაცემული.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის? სამხედრო კომისარიატის?

თუ...

მრავალწერილი თვითონ გააცხადებდა სათქმელს.

ჩემთვის რაღა თქმა უნდა მაშინვე ყველაფერი ამკარა გახდაო, — იმწამიერ განცდას ასე გადაიტანდა დღიურის ფურცლებზე, — ისედაც ვიცოდი, რომ ამნაირ საბუთებს, ერთგვარ ალიბებს, დიდხანია აგროვებდაო.

ვილაცას შეაფიქრინებდა და გააჩუმებდა კიდევ ამ ქალღმერთს, მაგრამ ვახტანგს ხომ ახსოვდა რომ ლადო ასათიანის გარდაცვალების დროს ირაკლი აბაშიძე თბილისში იმყოფებოდა!..

მეხსიერებიდან ანკი რა ამოუშლიდა იმ წუთებს, ლადოს ცხედარს ვაკის სასაფლაოზე რომ მისვენებდნენ — საფლავი შემადლებულ კორდზე გაეთხარათ — და სამარეში ჩასვენების ჟამს, როდესაც ჭირისუფალს მოაშორებენ ხოლმე სასახლეს და განზე გამოიყვანენ, უეცრად ფერდობზე ოთხი მაღალი კაცის შავი ლანდი გამოჩნდებოდა.

ცხოვლად აღებეჭდებოდა ეს სურათი ცნობიერებაში.

და ახლაც ისე დაუდგებოდა თვალწინ, როგორც გუშინ მომხდარი.

იმ ოთხთაგან ერთ-ერთი ირაკლი აბაშიძე გახლდათ.

და მათ რომ მოჰკრავდა თვალს მიცვალბულის გამწარებული მიუწლვე, რომელიც ის-ის იყო ძლივს მოეგლიჯათ კუბოსათვის და აქეთ მოეტრიალებინათ, იკვილებდა:

— მკვლელები მოვიდნენ!..

ქალები, რომელნიც ხელით აკავებდნენ ჭირისუფალს, მაშინვე ჩააჩუმებდნენ.

და ჩააჩუმებდნენ იმიტომ, რომ ირაკლი აბაშიძე ისევ ძალიან საშიში გახლდათ, თორემ არამართო ერთსა და ორ კაცს იქ მყოფთაგან, არამედ ყველას კარგად მოეხსენებოდა ამ ადამიანის როლი ლადო ასათიანის ცხოვრების განამებაში.

ვახტანგ ჭელიძე ჩანანერში მაინც ერიდებოდა მისთვის მკვლელის დამახებას: არ მინდა ასე ვთქვაო, — მაგრამ ის როგორ არ აღენიშნა მკვეთრად, რომ: სიცოცხლის უკანასკნელი ხანი გაუმწარა და იქნებ დააჩქარა კიდევ მისი სიკვდილი.

დაჰყურებდა იმ საბუთს 1988 წლის იანვარში და ის სურათი ამოსახოდა თვალწინ.

ამიტომაც არ გამოიჩინდა დიდ ინტერესს ქალღმერთისადმი, თუმც თარიღებს მაინც ჩაკრავდა მზერას.

აკი არც იმას მოუწადინებია, გულდასმით წაკითხვის საშუალება რომ მიეცა.

მწარედ გაიღიმებდა ვახტანგ ჭელიძე:

— ეს კი, მაგრამ თქვენ ხომ იქ იყავით, მე კარგად მახსოვს. ის ერთი წამით შეცვებოდა:

— შენ ჯარში არ ყოფილხარ?

— არა. და თან ძალიან ახლოს ვიყავი ლადოსთან.

— უნივერსიტეტიდან?

ვითომ არ იცოდა, რომ ლადოს უნივერსიტეტში არასოდეს ესწავლა.

— არა, ალექსანდრე საჯაიამ გამაცნო და ხშირად ერთად ვიყავით, ჩემი ძალიან ახლობელი იყო.

ირაკლი კრინტსაც არ დაძრავდა „წინაპრების“ დაჭრისა და განადგურების ამბავზე, მოერიდებოდა შეფარული საყვედურის თქმასაც და თავისი უდანაშაულობის მტკიცებასაც — იცოდა, ამგვარი ფიცი-მტკიცით ვახტანგთან არაფერი გაუვიდოდა.

მერე დაიწყებდა ნაძალადევი ლიმილით:

— ძალიან ძნელი საურთიერთო იყო ლადოც და გალაკტიონიც.

იმასაც გადანვებოდა.

თანამოსაუბრე ამ წუთას თავს შეიკავებდა გალაკტიონთან ირაკლი აბაშიძის იმ „ძნელი ურთიერთობის“ მიზეზი და გარემოებანი გაეხსნა და პირშიც მიეხალა საკუთარი ბიოგრაფიის ყოველმხრივ გადაკეთება-შელამაზებისათვის თავგადაკლული კაცისთვის, და კვლავ დანყებულ ლაპარაკს გააგრძელებდა:

— ლადო ბუნებით ძალიან კეთილი კაცი იყო და მის ეპიგრამებში ღვარძლი არ არის.

ის ნელ-ნელა გაახსენებდა ნიკა აგიაშვილის იმ წერილს, მაღლევე რომ გამოაქვეყნებდა სამწერლო გაზეთის ფურცლებზე, თავიდან ბოლომდე წაუკითხავდა იმ წერილსაც და იმ ლექსსაც, თუმც ეს ეტყოდა: ეგ ლექსი ზეპირად მახსოვსო. პასუხის ნაცვლად ის კიდევ ერთხელ შემოხედავდა გაკვირვებით.

საქციელი ნახდომოდა.

— ხალხს უნდა ერთმანეთს დაგვაპირისპიროს მე და ასათიანი... რაღაცა წყინდა ჩემი... მგონი ეჭვიანობდა... ღმერთმა ხომ იცის, არაფერი ამისთანა არ მომხდარა.

მგონი ეჭვიანობდაო...

ამას კინაღამ გული აერეოდა ამ სიტყვების მოსმენისას — სადამდე დაცემულა სიმართლის გამომჟღავნების შიშისაგან, მეგონა ასეთი რამის თქმას მაინც არ იკადრებდაო.

ჩანანერში ასე მკვეთრად აღარ გაუსვამს ხაზი, მაგრამ საჭიროდ კი მიუჩნევია მისი ის სიტყვები ზუსტად შემოენახა — პორტრეტის სისრულისათვის.

ამასობაში გიორგი ციციშვილი მობრუნდებოდა და შესთავაზებდათ: წავიდეთ, ერთად ვისადილოთ, აქვე კარგი კოოპერატიული რესტორანი მეგულებაო.

ირაკლი აბაშიძე თავის ქალღმერთს უკანვე ალაგებდა ჩანთაში. ვახტანგი უარს ეტყოდა: მეჩქარებაო.

მასპინძელი დაიჟინებდა.

ირაკლი ჯერ თანახმა იქნებოდა და ვახტანგს მიუბრუნდებოდა: წავიდეთო, — მაგრამ ერთბაშად ისიც უარს განუცხადებდა: მოდი მართლაც სხვა დროისათვის გადავდოთო.

ეს ვახტანგს სჩვეოდა დაჟინებული პატიჟის პასუხად: სხვა დროისათვის გადავდოთო.

ნიკა აგიაშვილის იმ პუბლიკაციას რომ გაეცნობოდა „ლიტერატურული საქართველოს“ 22 იანვრის ნომერში, მასაც გამოეხმაურებოდა თავის ჩანანერებში, თუ როგორ დარხეულიყო ადრევე ხმა, ნიკას რამდენიმე კაცისათვის რომ გაემხილა: ირაკლი აბაშიძე მთხოვს, მოგონება დანერე, თითქოს მე და ლადო ასათიანი შევრიგდით და მერე აღარავითარი დავა აღარ გვექონიაო.

ნიკა თითქოს ჯიუტობდა, მაგისთანა სიყალბეს ვერ ჩავიდნო. მაგრამ მერე მაინც...

მიზეზი ვახტანგისათვის ცხადი იქნებოდა: ისე ჰყავდა მონუსხული ირაკლი აბაშიძისო.

ოღონდ წერილს რომ ჩაიკითხავდა, ამოიცნობდა, რომ ნიკას პატარა ეშმაკობა ეხმარა — დაწერა ძველი ამბავი, იმდროინდელი, როდესაც ირაკლი ჟურნალ „ჩვენ თაობას“ რედაქტორობდა და ლადოც — როგორც იქ დამონმებული ლექსიდანაც ჩანდა — ჯერ ისევ ლალი გახლდათ.

მისი დევნა მერე დაიწყებოდა, როდესაც ირაკლი აბაშიძეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ დანიშნავდნენ და უკვე ბუხსაც აღარ აიფრენდა თავზე. და ახლა ილია თავაძესთან, ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მდივანთან, ერთად რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა.

მერე დაამუშავებდა სამინლად ლადოს მწერალთა კონფერენციასზე.

მერე დაამუშავებინებდა ცეკას საანგარიშო მოხსენებაში...

ხოლო ნიკა აგიაშვილის მოგონება ძველისძველ ამბებს რომ ეხებოდა, იმჟამად ხომ ახალგაზრდული ჟურნალის რედაქტორს დიდი გავლენა არა ჰქონია, თუმც რაც შეეძლო, არც მაშინ თაკილობდა უკეთურობას — უნიჭობას ხალისით ბეჭდავდა, ლადო ასათიანს კი ლექსებს არ უქვეყნებდა.

ამ მოვლენას რომ უკვირდებოდა, რასაც ირაკლი აბაშიძე ერქვა, დღიურში ამიტომაც ჩაინიშნავდა თეზისურად, რასაც

ოდესმე უფრო გულდასმით უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ეს „ოდესმე“ არასოდეს დადგებოდა:

— დიდკაცებთან მეგობრობამ და ურთიერთობამ დალუპა ტიცინან ტაბიძე, პაოლო იაშვილი... ერთადერთი ირაკლი აბაშიძე ახერხებს, მარჯვედ მოერგოს ყოველ დროს და პირობებს.

ამ მხრივ ბედის ნებიერი აღმოჩნდებოდა!.. ეგაა, იქ მაინც უმუხთლებდა მანამდე აღჩუხე დამჯდარი ბედი, საკუთარი ბიოგრაფიის გადაკეთება-შელამაზებას რომ არ დაანებებდა და ქვეყნისათვის თავშენიწილი შემოქმედისა და მამულიშვილის თარგზე მორგებას.

სახეში შემოხლილი ეს მკაცრი რეალობა გაუმწარებდა სიცოცხლის მიმწუხრს.

— მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა, თავლში ურევს მწარე ნალველს, მტრისას მისი გამოცანაო, — აკაკი წერეთლის ეს სენტენცია ამასაც ახდენოდა და მის თავლშიც ისე შემოერეოდა მწარე ნალველი, მთელი ცხოვრების მონახვეჭს გაუქარწყლებდა.

დაფარული ხლართები და ხვანჯები ზედაპირზე ამოტივტივდებოდა თანდათანობით და ილუზიებისაგან აღარაფერი შერჩებოდა.

არა, ერთხანს კიდევ იტრიალებდა ილუზიები მისი სახელის გარშემო — გარდაცვალების შემდგომ შეეცდებოდნენ იმ ყალბი ბიოგრაფიის დამკვიდრებას საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მაგრამ კვამლივით მოელოდა გაფანტვა იმ გამონაგონს, რომელიც სწორედაც საპირისპირო გახლდათ ირაკლი აბაშიძის მიერ გამოვლილი გზისა.

არა, ასე მარჯვედ რომ ახერხებდა მორგებოდა ყოველ დროსა და პირობებს?!

ადრე თუ გვიან ცალკე წარმოსახება ირაკლი აბაშიძის ფსიქოლოგიური პორტრეტი, ფრაგმენტულად კი აღარ მიმოლავდება სხვადასხვა ნარკვევსა თუ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში... ეგებ სატირული რომანის თემადაც იქნეს მისი ბიოგრაფია გამოყენებული... მასალეზად კი ვახტანგ ჭელიძის ჩანაწერებიც ძალიან წაადგებათ — ცნობებიც და ფსიქოლოგიური დაკვირვებანიც, თუნდ ის დეტალიც, რომელსაც იმის საუკეთესო თვითდახასიათებად მიიჩნევდა, ტელევიზიაში ინტერვიუს დროს რომ წამოცდენოდა ერთი შეკითხვის პასუხად.

წამოცდენოდა, აბა, იმის სიფრთხილის კაცი ასე ადვილადაც არ გათქვამდა ხოლმე თავს.

მაგრამ ქურდისათვის ყური რომ გეგდო, აკი დღეში ასჯერაც გამოტყდებოდა, და ამ ხალხური ანდაზის სიბრძნეს ვერც ირაკლი აბაშიძე წაუფიქროდა.

ჰკითხავდნენ:

— თუ დაასახელებთ ვინმეს, ვისაც თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული კვალი გაეფლოს, ვინაც გავლენა იქონია თქვენს მომავალზე და ვისგანაც დიდადა ხართ დავალებული. რესპონდენტი ერთხანს დაფიქრდებოდა, შუბლს მოისრესდა და გადაჭრით მიუგებდა:

— ასეთი ვინმე არ არსებობს, ცხოვრებაში ასეთი არავინ შემხვედრია.

ვახტანგ ჭელიძე ხომ კარგად იცნობდა, მაგრამ გაცხებას ესეც ვერ დამალავდა იმ წუთას: თავიდანვე ცინიზმით ყოფილა გაჟღენთილიო.

თავისი ხანგრძლივი თავმჯდომარეობის ჟამს ბესო ჟღენტს რომ მიიყვანდა მწერალთა კავშირის მდივნად, ბევრს გაუკვირდებოდა მისი ეს გადაწყვეტილება: ნეტა რამ აიძულაო.

ბესო ხშირად ედავეებოდა და აკრიტიკებდა ირაკლი აბაშიძის მმართველობას (მიზეზიც და მიზანიც ამ დავა-კრიტიკისა ძნელი ამოსაცნობი არ არის, მაგრამ ჩანაწერში მაინც საგანგებოდ აღინიშნება, რადგანაც ვაითუ ყველა ვერ მიხვედრილიყო: რა თქმა უნდა არა იმიტომ, რომ თავად სინდისიერი კაცი ბრძანდებოდაო), და მართლაც რა რჯიდა, გვერდით რომ მოესვა?..

მაგრამ თავმჯდომარე გაცილებით შორს თვლიდა და მალე ყველასათვის აშკარა უნდა შექმნილიყო, რომ სწორედ ამ ხერხით დაება ეს გავრეხებული მონინალმდეგე:

— აშვებული ბესო საშიში და შემაწუხებელი იყო, დაბმულს კი თავის ნებაზე ატარებდა, სადაც მოისურვებდა და როგორც მოისურვებდა, ისე გამოიყენებდა.

ესეც მისი ადამიანური ბუნების ერთი შტრიხიც და მმართველობის ხანგრძლივობის ერთ-ერთი ფანდიც.

ბესო ჟღენტს ავად უნდა გამოჩენილიყო ვახტანგ ჭელიძის ცხოვრებაში და ამას საკუთარ თავზე ეწვინა, „ცისკრის“ რედაქტორობის ჟამს, თუ რას ნიშნავდა აშვებული ბესო — პარტიისა და უშიშროების კომიტეტის თანადგომით ძალმოცემული. ალექსანდრე საჯაიას კი ლიტერატურულ ასპარეზზე შემოსვლისთანავე გამოეცადა მისი სუსხი და თავს ლადო იუმორით ინუგეშებდა, თუნდაც ლადო ავალიანთან მიწერილ ერთ დაუთარილებელ ბარათში, თავისი საცხოვრებელი ბინის აღწერას რომ შეუდგებოდა აღტკინებული: ჩვენი ოდა შორიდან ქოლგას უფრო ჰგავს. ირგვლივ ღობეა, ეზო. წინ სამი ჩინარი. მარცხნივ ჭა, მარჯვნივ სამზარეულო და სხვა წვრილი ნაგებობანი. უკან კი ტყე და შორს საქათმე, წელში მოხრილი და ჩამოსკლინტ... — ფრაზას კი არა, სიტყვასაც განყვეტდა და მოადევნებდა: კიდევ გავაგრძელებდი, მარა ნამეტანი ნატურალიზმი გამომდის. სიფრთხილეს თავი არ ტკივა: ვინ იცის, ბესომ ეგ წერილი სადმე რომ იპოვნოს, „მიმდინარე ეტაპზე“ ნალდად გავგანადგურებოს.

ვითომ ხუმრობს, მაგრამ გამორიცხული სულაც არა ჰგონია, რომ ბესო ჟღენტს პირად მიმოწერაზეც მიუწვდეს ხელი, და თუ საიდან, განმარტება ვის დასჭირდება...

„მიმდინარე ეტაპზე“ ნალდი განადგურება ლადო ასათიანს კი არ ასცდებოდა.

ვახტანგ ჭელიძე ჩანაწერებში რომ მოიხსენიებდა მის დამუშავებას ცეკას საანგარიშო მოხსენებაში, აკი ფარული ინსპირატორის ვინაობასაც გახსნიდა, ხოლო ესეიმი ზოგად აღნიშვნას იკმარებდა: მაღალი ტრიბუნდანი... ძალიან მკაცრადო...

და იმ უხერხული მდგომარეობის ნათელსაყოფად, რომ ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეტად არასასურველი შედეგები, რადგანაც „დრო იყო ასეთი“, იმ ერთგვარად კომიკურ ამბავს მოადევნებდა. კომიკურს დღევანდელი გადასახედიდან, თორემ იმხანად არც ლადო და არც მისი მეგობრები არ იქნებოდნენ სიცოცხლის გუნებაზე.

ვახტანგს ახსოვს, რომ გარეგნულად პოეტი სრულიად არ იმჩნევდა შეუფოთებას, ცდილობდა სხვებისათვის არ ეჩვენებინა შიში თუ შეწუხება, მაგრამ ესეც და სხვანიც ხვდებოდნენ, სინამდვილეში რა დღეშიც იქნებოდა.

გადის რამდენიმე დღე და... გაზეთში გამოჩნდებოდა მართლაც უცნაური და უსიამოვნო განცხადება.

ავტორის ვინაობის პირდაპირ დასახელებას მოერიდებოდა ვახტანგი, თუმც გამჭვირვალედ კი მიაჩნებდა: რომლის ინიციალებიც ლადოსას ემთხვეოდაო, — და იგულისხმებდა ლევან ასათიანს, ყველასათვის საპატივსაცემო და საყვარელ ადამიანს, ვისაც, ეტყობა, ურჩიეს თუ დაავალეს კეთილისმყოფლებმა თუ ვითომ კეთილისმყოფლებმა ამ განცხადების აუცილებლად გამოქვეყნება, მკითხველი საზოგადოების საყურადღებოდ: მოხსენებაში მკაცრად გაკრიტიკებული ლ. ასათიანი მე არ ვარო.

ვისთვისაც იმ დროის საზარლობა მთლად მკაფიო არ გახლდათ, ვახტანგ ჭელიძე განუმარტავდა, რომ ამ შინაარსის განცხადებამ კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა, ხაზი გაუსვა ისედაც ყველასათვის ცნობილ ფაქტს, რომ ასეთი ტრიბუნდანი გაკრიტიკებას შესაძლოა უფრო რთული შედეგები მოჰყოლოდა.

ლადოს მეგობრები კიდევ უფრო შეწუხდებოდნენ. ლადო... ახლაც შეეცდებოდა არ შეემჩნია, მაგრამ...

პირველად რომ ნახავდა გაზეთს, ჯერ გაშრებოდა, იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდებოდა მისთვის განცხადების შინაარსი, მერე სახე შეუფაკლდებოდა (თურმე დაუფორაჯდებოდა ხოლმე ასეთ დროს), ერთბაშად გაშლიდა გრძელ ხელებს და გაცხარებული იტყოდა:

— მეც უნდა გამოვაქვეყნო ახლა განცხადება, რომ მაგისი უნიჭო ნაწერების ავტორი მე არა ვარ.

იუმორი რომ მოჩქევით მოსჩქევდა და ყველაზე მიძიმე, გაუსაძლის წუთებშიც არ მიატოვებდა, თორემ ამ სილალის მიღმა გულში რა ცეცხლიც უტრიალებდა, შემსწრენი ძალდაუტანებლად იგრძნობდნენ.

ლექსების ბეჭდვა ისედაც რომ გაძნელებოდა, ეს თავდასხმა კიდევ უფრო გაურთულებდა.

კრიტიკის შემოტყევივც კიდევ უფრო გამძაფრდებოდა.

თანამედროვე ცხოვრებისაგან განდგომილიაო, — ამ აზრს ატრიალებდნენ განსაკუთრებით ხშირად, არადა — ვახტანგ ჭელიძისა არ იყოს — სასაცილოა და სასაცილოზეც მეტი, განდგომა დასწამო კაცს, ვინც სწორედ თანამედროვე ცხოვრებით სუნთქავს და სულდგმულობს.

ოღონდ სასაცილო... სალიტერატურო ცხოვრების პირობებში, როდესაც რომელიღაც კრიტიკოსი სხვა აბსურდულ განცხადებებს შორის რაღაც ამგვარსაც დააბრუნებს... მაგრამ როდესაც საზარელი კაბალის ჟამს გიხდება არსებობა და კრიტიკაც ჩეკისტურად მიმართულა, ამგვარი ამოჩემება და მიზანმიმართული დევნა-შევიწროება ისე გიხუთავს სულს, შესაძლოა კიდევ გადააჰყვე ამ დაუნდობელ შემოტყევებს.

თანაც გამოპასუხების უფლება ჩამორთმეული გაქვს, თავს ვერ დაიცავ, ვერ იმართლებ, თუ მაინცდამაინც — უნდა მოინანიო, და მოინანიო ის, რაც მართლაც სრულფასოვანი შეგიქმნია, სულიერად ღირებული და ჭეშმარიტი ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი.

და ლადო ასათიანი, გაბეზრებული და გამწარებული ჩეკისტური კრიტიკის თავდასხმებით, ერთ ყველაზე მრისხანე ოპონენტს გამოარჩევდა და სათაურით „ერთი კრიტიკოსის სტილი და ენა“ მცირე პაროდისა შექმნიდა თავისთვის, ამ ჟანრის ჩინებულ ნიმუშს. ამას თუ უღმობლად ექცეოდნენ, სამაგიეროდ, დიტირამბიკოსებად მოვლენოდნენ ერზაცლიტურას ახალი პოლიტიკური რეჟიმის მგალობელთ:

— ჩვენი შესანიშნავი პოეტის ამ ღირსშესანიშნავი კრებულის გამოცემა, როგორც ამას ჩვენი არანაკლებ ღირსშესანიშნავი კრიტიკა აღნიშნავს, ნიშნავს იმ განსაკუთრებულსა და ახლის აღნიშვნას ჩვენი უმნიშვნელოვანესი ხალხის ცხოვრებაში, რაც პოეტმა ჩანიშნა ჩვენი მწერლობის შესანიშნავ საგანძურში და, რაც ბუნებრივად აღსანიშნავია, დაკავშირებულია ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს უმნიშვნელოვანეს სახელებთან.

ამ პასაჟს რომ გაიმეორებდა ვახტანგ ჭელიძე, დასძენდა: თუნდაც თვით პოეტის მოგონილი იყოს, მაინც კარგად მიუთითებს ჩვენი კრიტიკის მაშინდელ დონეზეც და იმაზეც, თუ როგორ გაუღიზიანებია ამ კრიტიკასო.

ჯერაც ის დროა, როდესაც კვლავაც ბოჭავს ცენზურა აზრის მდინარებას და ვახტანგი ამიტომაც არ შიფრავს იმ კრიტიკოსის ვინაობას და ამჯობინებს განაზოგადოს, თორემ ვისთვის-ვისთვის და მისთვის არ გახლდათ ძნელი ამოსაცნობი, თუ ვისი ენისა და სტილის პაროდია შეექმნა ლადო ასათიანს: ბესარიონ ჟღენტის, ჩეკისტური კრიტიკული აზროვნების მამის.

ლადოს პირველი პოეტური კრებულის დაჭრის ამბავს ვახტანგი მაშინვე შეიტყობდა ალექსანდრე საჯაიასაგან. ჩანანერში ასე აღნიშნავს, რომ:

— კოკი საშინლად აღელვებული იყო...

მაგრამ აქ აღარაა გამეორებული ის ფრაზა, რომელიც ბატონი ვახტანგისაგან ვიცოდი და მისი ნათქვამის მიხედვით შევიტანდი ჩემს ესეიში ლადო ასათიანზე:

— ლადო მკვდარია!..

აბა, რა იქნებოდა...

ზოგიერთი რეალია თუ გარემოება კი საკმაოდ მოგვიანებით უნდა შეეტყო უშუალო თვითმხილველისაგან — მარიკა ჯაფარიძისაგან, ვინც 1985 წლის 17 აპრილს ესტუმრებოდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში. ამას დიდი ხანია არ ენახა და გაუკვირდებოდა, როდესაც დაინახავდა. იმასაც გაკვირვებით ჩაეცინებოდა: მიცანიო? — და გაშლიდა რაღაც ქაღალდებს, იქნებ დასაბეჭდად გამოდგეს რამეო. ერთი დღის მო-

გონება აღმოჩნდებოდა გალაკტიონზე — ვისზე რა ეთქვა. ყორჟიკა მდივანს გაებრაზებინა რაღაცაზე და მწარედ დასცინოდა.

რედაქტორი იმ სტრიქონებს რომ ჩაიკითხავდა, სტუმარი ამასობაში ქაღალდებიდან გამოაძრობდა პატარა წიგნს ლადო ასათიანისა — „წინაპრები“.

ვახტანგ ჭელიძე ამ წიგნს პირველად შეჰყურებდა — თხელი აგებულებისა გახლდათ, რამდენიმე ლექსი იყო შიგ — სულ პატრიოტული შინაარსის.

ის შეატყობდა, რომ დააინტერესა, და ეტყოდა:

— ეს წიგნია, რომ დაუჭრეს.

წარმოიდგინეთ, როგორ აფორიაქდებოდა ვახტანგი, ჯერ კიდევ როდის შემტყობი ამ კრებულის ტრაგიკული ბედისა, და ახლა დაწვრილებით გამოჰკითხავდა მის თავგადასავალს.

წიგნი რომ დაიბეჭდებოდა და აიკინძებოდა, ლადო მივიდოდა „საბჭოთა მწერალში“ და მარიკა გადასცემდა საავტორო ათ ცალს.

ერთ წიგნზე იქვე წაუნერდა პოეტი და მარიკას მიუძღვნდა. მეორე ცალს რაჟდენ გვეტაძეს დაუტოვებდა — სტამბის ღირებუროსა და ამ წიგნის რედაქტორს.

რვა ეგზემპლარს კი წაიღებდა და... მწერალთა კავშირში მიიტანდა.

და აქ მოუვიდოდა უნებური და სავალალო შეცდომა — ერთ ცალს ირაკლი აბაშიძეს აჩუქებდა.

მეორე დღეს რაჟდენი მარიკა ჯაფარიძეს გამოიძახებდა და ჰკითხავდა:

— ლადოს საავტორო ეგზემპლარები ხომ არ წაუღია?

— წაიღო, — ანგარიშს ჩააბარებდა გულმშვიდად.

ის... ძალიან შეწუხდებოდა.

ქალს გაუკვირდებოდა მისი ამგვარი განცდა, რადგანაც ამჯერადაც ისე მოქცეულიყო, როგორც მიღებული წესი გახლდათ საგამომცემლო ყოფაში:

— რა მოხდა, წიგნის შეფუთვა თითქმის დამთავრებულია და რატომ არ უნდა გამეტანებინა?

ის ამასლა ეტყოდა:

— მიდი და ნახე, რა ხდება საამკინძაოში.

ასეთი რა ხდებოდა ვითომ?

ცოტა კი შეფიქრიანდებოდა, მაგრამ საბედისწეროს ვერაფერს იგუშანებდა, ისე შევიდოდა საამკინძაოში.

შევიდოდა და... უჩვეულო სანახაობა გადაეშლებოდა თვალწინ — შეფუთულ წიგნებს შლიდნენ და ჭრიდნენ.

კინალამ გული შეწუხდებოდა.

სთხოვდა ამ ბარბაროსულ აქტის უნებლიე მონაწილეებს, ეგებ ცოტა ხნით შეაჩეროთ ეს საქმე, ამას ვერავინ გაიგებს და არ დაგვჯიანო. თვითონ კი დაფაცურდებოდა და სასწრაფოდ დარეკავდა მწერალთა კავშირში იმ იმედით, ლადო ხშირად იმყოფებოდა ამ შენობაში და იქ მივავნებო. მიგნებით კი მიაგნებდა და შეატყობინებდა, ახლავ რამე უშველეო, მაგრამ... წყალნაღებულისათვის ხავსიც არსად მოიძებნებოდა მოსაბლაუჭებლად.

იმას უკვე სცოდნოდა თურმე.

და ჩამქრალი, სასონარკეთილი ხმა ეპასუხებოდა ქალს ტელეფონის მეორე ბოლოდან:

— გაოგნებული ვარ, მაგრამ ველარაფერს ვუშველი.

ირაკლი აბაშიძეს ის მიძღვნილი ცალი რომ აედო ხელში, გული მოსვლოდა, მაგიდაზე დაეხეთქებინა და ეყვირა:

— ქვეყანა იქცევა და ეს პატრიოტული ლექსები ვის უნდა. ლადო ასათიანისა და მისი ლექსების ბრალი ყოფილა, ქვეყანა თუ იქცეოდა!..

მაგრამ განაჩენი უკვე გამოტანილი გახლდათ.

„წინაპრების“ ბედი — გადანურული.

ძნელი მისახვედრი აღარაა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

პოეტური კრებულის ის ბედდანავსული ცალი ცენტრალური კომიტეტის მდივნის მაგიდაზე აღმოჩნდებოდა სათანადო წარდგინებით. მთავარი მოტივი სწორედ ის იქნებოდა — პატრიოტული ლექსებია თავმოყრილიო.

ილია თავაძე მაშინვე განკარგულებას გასცემდა.

და სწორედ ის განკარგულება სრულდებოდა, მარიკა ჯაფარიძე გაოცებული რომ შეჰყურებდა და ველარ გაერკვია, სიზმარში იმყოფებოდა თუ ცხადში.

ახლავე უშველე რამეო?..

არ არსებობდა ძალა, „წინაპრების“ ბედს რომ შემოატრიალებდა.

და მარიკა ჯაფარიძე მაჩაბლის ქუჩაზე რომ შეხვდებოდა შერისხულ პოეტს, ლერმონტოვისა და სახალხოს ქუჩებს შორის, თვალებიდან აღარ ამოუვიდოდა ლადო ასათიანის სახე — განადგურებული, გაფითრებული...

ამას მინა გახეთქოდა, ის ერჩინა ლადოსთან შეხვედრას, მაგრამ რაკილა იმას ეთხოვა, უარს როგორ ეტყოდა.

და ახლა შეევედრებოდა ჩანყვეტილი ხმით:

— ერთსა გთხოვ, იმ დაჭრილ წიგნებს ნუ გადააყრევენ და, რომ მოგვკვდები, ეს დაჭრილი წიგნის ნაფლეთები საფლავზე დამაყარე.

იმ სცენას რომ მოიგონებდა, მარიკა ჯაფარიძეს გული ამოუჯვადებოდა და ტირილ-ტირილით ეტყოდა ვახტანგ ჭელიძეს:

— ისე ეფერებოდა და შეჰხაროდა იმ წიგნს...

ეს ამასაც კარგად მოეხსენებოდა, თუ როგორ ეფერებოდა და შეჰხაროდა, სიცოცხლის ელექსირისაგან რომ არც განერჩეოდა.

სტუმარი ერთ ფურცელსაც აჩვენებდა — ლადოს ბარათს, გაგზავნილ რაჟდენ გვეტაძესთან 1941 წლის აპრილში. აუნერდა თავის უმწეო მდგომარეობას, აბასთუმნიდან რომ დაბრუნებულიყო, მაგრამ ტუბერკულოზიან კაცს ყველა გაუურბოდა და ერთხანს მეუღლესთან ერთად სასტუმროსათვის შეეფარებინა თავი. თუმც იქ დიდხანს ვინ გააჩერებდა და არც ყოველდღიურად გადასახდელი 25 მანეთი გააჩნდა. სადღაც მიეგნო ერთი სოროსათვის, რომელსაც 600 მანეთს დაუფასებდნენ, და თუმც ის სარდაფი იყო და მისი მდგომარეობისათვის ყოვლად შეუფერებელი, მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩენოდა, თუ მოახერხებდა, უნდა ეყიდა. რაჟდენს სწორედ ამას სთხოვდა: ეგებ გეგმაში შეტანილ წიგნს 3 000 სტრიქონი დაემატოსო. და თუ შეუძლებელი შეიქნებოდა სტრიქონების მომატება, დაე ეს თხოვნა მათ შორის დარჩენილიყო და არავის გაეგო.

ხელში ატრიალებდა ამ უნიკალურ ეგზემპლარს ვახტანგ ჭელიძე, მიძღვნისათვის ლადოს თარიღად მხოლოდ წელი რომ მიენერა, ჯერ — 1942, და მერე გადაესწორებინა ორიანი სამიანად — 1943. და ივარაუდებდა, რომ ეს უნდა მომხდარიყო 1943 წლის დასაწყისშივე, ალბათ იანვარში — ამ დროს ხომ მუდამ ეშლებათ წელი.

ამის შემდეგ ლადო მალე — იქნებ მაშინვეცო, ამასაც დასძენს — ჩავარდებოდა ლოგინად და ველარც ადგებოდა, და იმავე წლის ზაფხულში მიიცვლებოდა.

დაჩხვავა-განადგურებას გადარჩენილი ცალი.

თვალწინ ჩნდებოდა ანიკო ვაჩნაძის მღელვარე სახე და კვილი: მკვლელები მოვიდნენ!..

არადა, აგერ ახლახან თითქოს უარეყო ეს ფაქტი, რაც უამრავი ადამიანისათვის გახლდათ ცნობილი: არავითარი წიგნი არ დაუჭრიათო.

ისევ ვახტანგ ჭელიძეს გამოედო თავი — 1984 წელს ბორჯომში გამართულ ლადო ასათიანის ხსოვნის საღამოზე სიტყვით გამოსვლისას საგანგებოდ აღენიშნა: ლადოს წიგნი დაჭრესო.

ეს იმიტომ, რომ დარბაზი ხალხით იყო გადაჭედული და ანიკოც იქ იმყოფებოდა.

მაგრამ ის არაფერს ეტყოდა და აღარც ეს ჩაეკითხებოდა...

ჰოი, ეს უიღბლო წიგნი, 2500 ტირაჟით რომ გამოეცათ. წარმოებისათვის გადაეცათ 1942 წლის 26 ოქტომბერს, დასაბეჭდად კი ხელმოწერილი გახლდათ იმავე წლის 12 ნოემბერს.

და ამ თარიღებს რომ ჩაავლებდა მზერას და მიძღვნაში სამიანად გადასწორებული ორიანიც მიემატებოდა, სხვა რა შთაბეჭდილება შეიძლება დარჩენოდა, თუ არა ეს: ძალიან სწრაფად აუნყვიათ და დაუბეჭდავთო...

რაჟდენ გვეტაძეს რაც შეეძლო, იქ კი არაფერი დახანებულყო, მაგრამ...

მკვლელები მოვიდნენ!..

ჭირისუფალი აღარაფერს დაგიდევდა, ლადოს შემდეგ დაეისიც გაემეტებინათ სასიკვდილოდ, ეს მძაფრი პროტესტი ხომ მაინც შერჩებოდა, ვიდრე მეგობრები პირზე ხელს ააფარებდნენ.

ნეტარებისაგან დნებოდა შავი ლანდი, საგანგებო მივლინებით გამგზავრებული იმ ორგანიზაციის მიერ, რომლის სახელის სხენებაც ზარავდათ ადამიანებს, მაგრამ ცოტა ხნით რომ არ ჩამობრუნებულიყო და დასაფლავების სურათი საკუთარი თვალთ არ ეხილა, სიამე გაუნახევრდებოდა.

ასე მაინც როგორ ამოედო მიზანში.

ვერ დამშვიდებულიყო, მის ლექსებს რომ არ გააჭაჭანებდა „ჩვენი თაობის“ ნომრებში.

ვერ დამშვიდებულიყო, დაგვიმლ კრიტიკოსებს რომ მიუსევდა.

ვერ დამშვიდებულიყო, პარტიული ტრიბუნლიდან რომ დაამუშავებინებდა და ყოველგნით გზაშეკრულს, აიძულებდა მონანიებით გამოსულიყო და დეკადენტური შეცდომები საჯაროდ ელიარებინა, რაც ლადოსათვის სიკვდილის ტოლფასი გახლდათ, თავისი ცალკეული ლექსების იდეური სიღარიბისა და იდეური ჩამორჩენილობისათვის თავზე ნაცარს რომ დაიყრიდა:

— გამოვედევნე რა სასიყვარულო განცდებს, წმინდა ადამიანური განწყობილებების გადმოცემას, სჩანს დავივიწყე ნამდვილი სოციალური მოტივი. გავყევი რა პირადულ განცდებს, დავივიწყე მისი განზოგადების აუცილებლობა...

ეს რამხელა დანაშაული ჩაუდენია — ლირიკაში გამოდევნება სასიყვარულო განცდებს და ადამიანურ განწყობილებებს!.. მაგრამ თუკი გეკრძალება ადამიანური განცდები?..

მაშ კიდევ უნდა შეირისხოს, მითუმეტეს, თუ მოშურნეობითა და მეტოქეობის ჟინით აღვსილი კაცი ჩაგდგომია კვალში და სულისმოთქმის საშუალებასაც არ გაძლევს.

და რომ ვერა და ვერ დაუოკებია გაგულისება, შენი დევნა-შევიწროება მთლად წიგნის განადგურებით უნდა დაავიგრავინოს. და ახლა გაჭრის სამარესაც ჩახედაო!..

მკვლელები მოვიდნენ, მკვლელები...

ქარს მიჰქონდა განწირულების ეს კვილი.

მოგვიანებით რალა მომხდარიყო, რატომ ველარ გაეხსენებინა ანიკო ვაჩნაძეს „წინაპრების“ ტრაგიკული ხვედრი?! — და, ცხადია, ველარც ამ საზარელი აქციის მოთავის ვინაობა?! ირაკლი აბაშიძე დაისაჭიროებდა მასთან სტუმრობას, დახმარებასაც შესთავაზებდა და მოჰყვებოდა ფიცსა და მტკიცს, და ლადოსა და მას შორის ნამიერად თუ მომხდარიყო რალაც გაუგებრობა, ისიც მალევე გამოსწორებულიყო და გულთაძი მეგობრებზე შექმნილიყვნენ, ახლა კი ვილადის მოწინდომებინა ირაკლისათვის ცილის დანამება და აბრალებდნენ, თითქოს რალაც მონანილეობა მიეღოს ლადოს პოეტური კრებულის დაჭრაში. ირაკლი, აბა, რა შუაში იყო, რანაირად შეეძლო წიგნის გამოსვლისათვის ხელი შეეშალა, ძალიანაც რომ მოწინდომებინა, მითუმეტეს, ავტორზე არანაკლები მღელვარებით მოედოდა მის გამოცემას და ლადოს კიდევ ეძღვნა მისთვის სასიგნალო ცალი.

ფარისევლობის ხელოვნება არავისგან ესწავლებოდა. თუ დაისაჭიროებდა, ცრემლსაც მოიდენდა თვალზე, თორემ აკანკალებული ხმა, ჩახლექისაგან კიდევ უფრო ათრთოლებული, ხომ საძებარი არ ჰქონდა.

ბევრჯერ გამართლებოდა და... ამჯერადაც გაუმართლებდა. ქალი ირწმუნებდა მის სიტყვებს, შეებრალეობდა უდანაშაულოდ გამეტებული კაცი და იფიქრებდა: ეგებ მართლაც ჭორი შეუთხხეს, თორემ ასე უღმობლად რატომ მოიქცეოდა, სასიკვდილოდ როგორ განირავდაო.

ირაკლის ერჩინა, ანიკო ვაჩნაძეს ის კი არ ეთქვა: წიგნის დაჭრა ირაკლი აბაშიძის ბრალი არ არისო, არამედ: არავითარი წიგნი არ დაუჭრიათო.



პირველ შემთხვევაში მაინც დასტურდებოდა კრებულის განადგურების ამბავი და შესაძლოა ძიებას ასე ადვილად არ ჩამოხსნოდნენ ლიტერატურულ წრეებში და დამნაშავის დადგენა გაეგრძელებინათ, ხოლო თუ წიგნის დაჭრა მოგონილი გახლდათ, ცხადია, ლაპარაკიც აქვე უნდა მოთავებულიყო.

და ვახტანგ ჭელიძე ყურებს არ დაუწერებდა, როდესაც ლადო ასათიანის მეუღლე უარყოფდა წიგნის განადგურების ფაქტს. კიდევ კარგი, მხოლოდ ამაზე არ ეკიდა კვალის დამალვა. განადგურებული წიგნის ნაფლეთები ლაღადებდა.

ლადო ასათიანის ძვლებიც ივედრებოდა სიმაღლის გამოაშკარავებას.

და ვახტანგსაც სჯეროდა, შესაფერისი დრო როგორ არ დადგებოდა!..

ჯერჯერობით ზეპირი თხრობის ტრადიციას, იატაკქვეშა ისტორიას უნდა შემოენახა ანდრეზივით ის ტრაგიკული ეპიზოდი.

ჯერჯერობით გამჭვირვალე მინიშნებათა ამარა უნდა ვყოფილიყავით.

მარიკა ჯაფარიძე წიგნის მწარე თავგადასავლის მოყოლას რომ დაიწყებდა, სამწერლო გაზეთის რედაქტორი ერთი წამით შეაჩერებდა და თამაზ ბიბილურსა და თედო ბექიშვილს იხმობდა — ერთს — პროზაიკოსსა და რედაქტორის მოადგილეს და მეორეს — პოეტსა და კრიტიკის განყოფილების გამგეს. დაე ამათაც მოესმინათ უშუალო თვითმხილველისაგან.

ასეც ეტყოდა:

— თქვენ ახალგაზრდები ხართ, მე თუ ვერ მოვესწრები იმ დროს, თქვენ მაინც მოესწრებით და თქვენზე უკეთესი მოწმე ვიღა უნდა იყოს!..

მოსმენით კი მოსმენდნენ მარიკა ჯაფარიძის ნაამბობს, მაგრამ წუთისოფელს თავისი კანონები აქვს, ჩვენთვის ჩაუნვდომელი, და არ დაგიდევს ხანსა და ასაკს, და ამჯერადაც ისე მოხდებოდა, რომ ვახტანგ ჭელიძე კიდევ კარგა ხანს შერჩებოდა მზისქვეშეთს, თამაზ ბიბილური და თედო ბექიშვილი კი ნაადრევად უნდა გამოთხოვებოდნენ.

კიდევ კარგი, რომ უბის წიგნაკის ის ჩანაწერი დარჩებოდა... და კიდევ კარგი ოთარ ჩხეიძესა და მეც რომ გვიკამბობდა მარიკა ჯაფარიძის მონათხრობს.

ცალკეული ნიუანსებია აქ საგულისხმო, დამატებითი დეტალები, თორემ ისედაც ძალუბად რომ აფუთფუთებულიყო ეჭვი, ირაკლის გულს შემოყროდა, ყველა რომ გაჩერდეს, გრიშას რა გააჩერებსო!.. გრიგოლ აბაშიძის ჯავრი სჭირდა, არადა, იმას ეს ისეთი ბრალდება ეპყრა ხელთ, რითი გინდოდა გაგებათილებინა.

არავითარი წიგნი არ დაუჭრიათო, — თვით ანიკო ვაჩნაძის განცხადებაც ველარ შეველოდა.

ახლა ამ ვახტანგ ჭელიძეს საიდანღა მოენდომებინა იმ მივინებული, ნავლნაყრილი ამბის რკვევა, იქით რომ მიეპყრო მკითხველის მზერა და... აგერ ეს დოკუმენტიც ვერ აშოშმინებდა: ცხადლივ მახსოვხარო, — დაბეჯითებით უმეორებდა, და საკუთარი თავისთვის ველარ ეპატიებინა ირაკლის: მაინც-დამაინც საფლავში რომ არ ჩამხეხედა, ისე არ იქნებოდაო?!

მკვლევები მოვიდნენო...

ბოლშევიკური ფამიანობა გააადვილებდა ნამდვილ მწერალთა გაფუჟვასაც, თორემ დევნა-შევიწროება რა სათქმელია, სამარისაკენ რომ გურავდნენ ხელს, და ლადო ასათიანიც ამ ტრაგიკულ მდინარეებს უნდა შერთვოდა, სულ რამდენიმე წელიწადს რომ მოასწრებდა თბილისსა და რუსთაველის პროსპექტზე ყოფნას, იმ ჯადო-მადლის შეთვისებას, იმხანად რითაც წარმოდგებოდა ეს პროსპექტი უჩვეულო სამყაროდ და მთელი თბილისის ცხოვრების რიტმს აირეკლავდა.

და ლადო ისე შეიყვარებდა ამ ქუჩას:

— როგორც შეიძლება შეიყვაროს ადამიანმა ცოცხალი არსება. იგი ვერა ძლებოდა ამ სიყვარულით. საოცრებათა ქვეყანაში მოხვედრილი ბავშვის ხარბი ალტაცებით შეპყურებდა ირგვლივ ყველაფერს და კი არ ხედავდა მხოლოდ, მთელი არ-

სებით გრძნობდა, დადიოდა და თვალებით ეფერებოდა ყველა სახლს, ყველა ხეს, დიდებულ ტაძარს, რომელიც უფიცობისა თუ ავკაცობის გამო ჩიხში მოექციათ და შავი ჯანლით დაებურათ. წარმოსახვით ხედავდა და ეალერსებოდა ნაფხურებს ძვირფასი ადამიანებისა, რომელთაც ცოტა ხნის წინათ აქ ევლოთ და ერთბაშად გამქარალიყვნენ...

უყვარდა ჩაკითხვა და ვახტანგ ჭელიძისთვისაც რამდენჯერ უკითხავს, მოსმენა რომ არა და არ წყინდებოდა: მიხეილ ჯავახიშვილსაც თუ უყვარდა რუსთაველის პროსპექტზე გავლა... როგორი სიარული იცოდა ვასილ ბარნოვმა, რომელ ხესთან უყვარდა გაჩერება... და თვითონაც მალ-მალე უნდა შეეველო მზერა ამ ხისათვის... განსაკუთრებით ტიცინან ტაბიძის შესახებ გამოიკითხავდა დაწვრილებით, რადგანაც თავის წინამორბედადაც აღიარებდა და აქაურობასაც ისე შესისხლხორცებოდა „ლექსი მენყერის“ შემოქმედი, იმ წლების რუსთაველის გამზირი უიმისოდ აღარც წარმოიდგინებოდა. და ტიცინანის პოეტურ პორტრეტს რომ წარმოსახავდა, ეს ნაამბობიც ჰკვებავდა მის შთაგონებას, თუნდ ვახტანგ ჭელიძე დეტალურად რომ აღუწერდა მისი სიარულის მანერასაც და მარშრუტსაც.

აკი თავისუფლებაზე ყოფნის უკანასკნელ ღამეს შეხვედროდა და ამ წუთების აღწერა მაინც სულ სხვაგვარად აფორი-აქებდა ლადოს. ამეორებინებდა და ამეორებინებდა.

მანამდე კი საქმიანი ნაბიჯით სცოდნია სიარული, მაგრამ მძიმედ. მის ალალ ცისფერ თვალებს ძალიან უხდებოდა განუყრელი მიხაკი გულზე — ოსკარ უაილდის მიბაძვით რომ მიებნია. თუ ქვემოდან მოდიოდა, უსათუოდ დალილი, და ვიდრე ჭავჭავაძის აღმართს აუყვებოდა (ამ და გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში ცხოვრობდა), წარმოუდგენელი ლალიძის წყლებში არ შეეხვია. ჯიბიდან ჩხრიალით უნდა ამოელო ხურ-და და გაშლილი ხელი უსიტყვოდ გაეწვინა — გამყიდველ ქალს ისედაც მოეხსენებოდა, რომელი წყალი უყვარდა პოეტს, ხელისგულზე გაშლილ უზალთუნებს დაწვებოდა თავისი ლამაზი ხელით და იმ წყლით სავსე ჭიქას მიანოდებდა.

ტიციანის ტოლ-მეგობრებმა იცოდნენ მიზეზი ტიცინანის აქ ასე მიჩვევისა — თამუნია წერეთელს ეტროფდა და პოეტურ მუზადაც სახავდა, იმ ლამაზხელიან ქალს... და მათ შორის თითქმის უსიტყვო რიტუალი სრულდებოდა.

ეს მიზეზი დაფარული არა ყოფილა ტიცინანის მეუღლისთვისაც, ვინც შემწყნარედ უყურებდა მის ამ გატაცებას და, როდესაც შეატყობინებდნენ, დღესაც ლალიძის წყლებში შეიარაო, მხოლოდ ილიმებოდა.

არ იცოდნენ მხოლოდ ახალგაზრდებმა, რომელიც ტიცინანის მიჯაჭვას ამ გარემოსთან მარტოდენ ლალიძის წყლების სიყვარულით ხსნიდნენ...

და ამ წყლის დაღევა ლადოსაც უჩვეულოდ რომ სიამოვნებდა, უხაროდა, რომ ტიცინანიც მასავით ხშირად სტუმრობდა აქაურობას.

ლადოს პოეტური წარმოსახვები და დღიურის ჩანაწერები გადაივსებოდა თბილისური განცდებით და შთაბეჭდილებებით, და მის ყველაზე სრულ კრებულს მურმან ლებანიძე რომ წარუმიძღვარებდა ავტოგრაფს ლექსისა „რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა“, ვახტანგ ჭელიძე მიიჩნევდა, რომ ეს შემთხვევით სულაც არ მომხდარიყო და საკმაოდ მარჯვედაც შეერჩია შემდგენელს, რადგანაც ვინც მოსურვებდა ლადო ასათიანის პორტრეტის გაცოცხლებას, უსათუოდ უნდა გაეხსენებინა ან წარმოედგინა იმდროინდელი რუსთაველის პროსპექტი — არა ასეთი გადარეული, არა ასეთი აქოთქოთებული და ერთფეროვან ნიაღვრად დაძრული...

და ვახტანგ ჭელიძე გაკვირვებას გამოთქვამდა: ვისზე აღარ წერენ, თბილისის მომღერალიაო, რომელ პოეტსა და აშულზე, ლადო ასათიანს კი თითქოს არც ეხსენებინოს თბილისი. არადა, ძნელად თუ დაასახელებ პოეტს, ასეთი წრფელი სიყვარულით ემღეროს თბილისისათვის, შვილის ტკივილიანი, თავდავიწყებული სიყვარულით... მთელი მისი შემოქმედე-

ბაა განმსჭვალული ამ სიყვარულით. რა სიხარული, რა სევდა და სინანულია ამ სიყვარულშიო.

— რამდენჯერ მომნატრებია ადრინდულად გასეირნება რუსთაველზე ღამით, მდუმარებაში, ახლა ჩემსავით აღარავინ დახეტილობს აქ, აღარ ჩაუვლის ქაშვეთს, — ეს რომ დაენერა სიკვილის მიახლოებულ პოეტს, როგორ არ გელიარებინა, რომ თავის თაობის პოეტებში მხოლოდ მას შეეძლო ასე ეთქვა: ჩემი თბილისი და ფიროსმანი არ ვიცი ასე რამ შემაყვარაო... და ვახტანგ ჭელიძე კიდევ რამდენიმე სტრიქონსაც რომ მოიხმობდა, მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა, რომ სხვა პოეტებისაგან განსხვავებით აქ ზღვარს ვერ გაავლებდი — ძველი თბილისია ეს თუ მისი რომელიმე ახალი უბანი... აქ თბილისი წარმოდგენილიყო როგორც საქართველო — თავისი წარსულითა და აწმყოთი; როგორც საქართველოს გული, ერის მთლიანობისა და ერთიანობის გამომხატველი.

ან იმ სტრიქონის თავბრუდამხვევი განცდა რად ღირდა: დამბურეტიანის ქაშვეთის შემოხედვამო, — სრულიად გარიდებული მოდასაყოლილ სიკეკლუცეს.

ასე მართლაც ცოცხალ არსებას თუ შეიყვარებდი.

ამიტომაც არ ეთმობოდა ლადოს ეს ქალაქიც და ეს გამზირიც, ამიტომაც უძიძმა მასთან ხანმოკლე განშორებაც, თითქოს ახლობელ ადამიანს ემშვიდობებო.

ვახტანგ ჭელიძეს ახსოვდა ასეთი გამოთხოვება — შემადრწუნებლად საყვარელი და ცრემლისმომგვრელი...

— ახლაც თვალწინ მიდგას, თითქოს ცოცხლად ვხედავდე...

ეს ვახტანგ ჭელიძის წარმოსახვის თავისებურებაა, მისი იშვიათი მესხიერებიდან ამოზრდილი და ღრმა ფსიქოლოგიური და აკორეების ძალით ხორცშესხმული. ცნობიერება ხელშესახებად ინახავს ყოველ წვრილმანსაც, რათა წარმოსახვის ოდნავი დაძაბვისთანავე ეს დეტალები გამკვეთრდეს, ერთმანეთს მიესადაგოს და მთლიანობად წარმოდგეს.

და რასაც თვითონ ცოცხლად წარმოიდგენდა, ასევე კანთიელად მოჰქონდა მკითხველამდე. მისი მწერლური ოსტატობა ფსიქოლოგიურ პორტრეტთა წარმოჩენისას შთამბეჭდავად ვლინდებოდა, ფსიქოლოგიური პორტრეტის სიღრმისაკენ კი იმ გარეგნულ აღწერას მივყავართ, ხან ერთი-ორი მეტყველი შტრიხით რომ იძერწება, ხანაც ყალბის უფრო ხვავრიელი მონასმებით.

და განა ამჯერადაც ჩვენც ცხოვრად არ შეეყვრებთ ლადოს, ნელი, ძალიან არათანაბარი ნაბიჯებით რომ მოდის და დროდადრო ერთბაშად შედგება, თითქოს უხილავი თოკი ვინმეს უკან დაენიოს? თავს ასწევს, ცას ახედავს, სახლებს შეათვალეერებს და ისევ მძიმედ წამოვა. თუ ზაფხულია, შარვალზე გადმოშვებული, ჯიბეებანი მოთალხო ბლუზა აცვია, წელზე ბრტყელი ქამარი შემოურტყამს. ზამთარში სიახლედაკარგული პალტო აცვია, საყლო წამოუწვია, ლილები კი გასწილი აქვს, ღია ნაცრისფერი კაშნე მოუხვევია, ქუდი ღამის თვალზე ჩამოუფხაბავს...

ნეტა საყელოს აწვევა მანადეც სჩვეოდა თუ მას შემდეგ შეუყვარდებოდა, რაც შეიტყობდა, რომ ტიცინიც ყოველთვის ასე საყელოწამოწული დადიოდა?

აკი მის ლირიკულ პორტრეტს რომ წარმოსახავდა, ორ ყველაზე მეტყველ შტრიხს გამოარჩევდა „ხეივანში ჩვენს სასახელოდ“ მოსიარულე კაცისა: ცისფერ წიგნსა და აწეულ საყელოს. თითქოს ძალზე დაშორებია ერთიმეორეს ეს ორი რეალია: ერთი მხრივ — პოეტური კრებული, რომელსაც სხვათა შორის თვალს ვერ მოაცილებდა ვახტანგ ჭელიძისთან სტუმრად მყოფი და ისიც დაუნანებლად აჩუქებდა.

და მეორე მხრივ — აწეული საყელო.

მაგრამ ლადოსათვის ორივე ერთნაირად მნიშვნელოვანი გახლდათ.

მიხაკის გარჭობას მოერიდებოდა ლილკილოში, ვაითუ ტიცინის პაროდისა დავემგვანო — ძალზე თვალშისაცემი იქნებოდა ეს შესტი, მითუმეტეს, რომ მიხაკს ბევრად ერჩივნა ყაყაჩო... მაგრამ აწეული საყელო ოდნავ უხერხულობასაც არ შეუქმნიდა და თან გამუდმებით იგრძნობდა მის სიახლოვეს

— მათ შორის არსებულ ფარულ ძაფებს ეს დეტალი კიდევ უფრო განამტკიცებდა.

და ოცნებობდა, რომ რუსთაველის პროსპექტზე თვითონაც ჩამოეარა თავისი პოეტური კრებულით, თავისი ცისფერი წიგნით, და მისი ნაბიჯების ექოც გაემეორებინა.

როგორ ოცნებობდა ამ წიგნის ხელში დაჭერას.

ის კაცი იყო და ლექსად ქცეულიყო?

ესეც კაცი იყო, რომელსაც ლექსადქცევა მოელოდა.

თუმცა ჯერ შორსაა და სახეს ვერც გაარჩევ, მაგრამ მოვიახლოვდება თუ არა...

მოვიახლოვდება თუ არა, ერთბაშად თვალეები უნდა შემოგანათოს — დიდრონი, ანთებული თვალეები.

ვახტანგისათვის რომ გეკითხათ, ყველაზე დამახასიათებელი რა გახსოვს ლადოსიო?

თვალეებს იტყოდა.

სევდით დანისლულებს, ერთდროულად სითბოსაც რომ ასხივებდა, სიკეთესაც, სევდაგარეულ ირონიასაც, და კიდევ რაღაც სხვასაც, რისთვისაც სახელი ვერ შეერქმია — იმედგაცრუებას? დალლას?

მაგრამ გესლსა და სიძულვილს კი — არაფრისდიდებით.

ამ გარემოების აღნიშვნა აუცილებლად იმიტომაც მიაჩნია, რომ ლადოს მეტისმეტად მწვავე ეპიგრამები გარეშე კაცს იქნებ კიდევ უტოვებდეს ამგვარ შთაბეჭდილებას, მაგრამ მისმა ახლობლებმა ხომ იციან ლადოს დიდი და უშურველი გულის ამბავი და ამ — გარეგნულად მართლაც მწვავე — ეპიგრამებში იოლად ამჩნევენ იმ სილაღეს, რომელიც ყოველთვის ანელებს სიცხარეს და იუმორის მაღლით აღბეჭდავს.

აკი ირაკლი აბაშიძესაც ამას უმტკიცებდა იმ ხანმოკლე და უსიამოვნო საუბრისას.

ახლობლის დანახვა წრფელი სიხარულით რომ აღავსებდა, გულღია ღიმილს არა სჯერდებოდა და მის ხელს თავის ვეება მტევანში მოიქცევდა.

ხმაში ოდნავ, სულ ოდნავ რაღაცნაირი ხრინნი რომ დაჰკრავდა?

ეს მხოლოდ ერთგვარად არბილებდა მის მეტყველებას.

ლაპარაკი კი გატაცებული სჩვეოდა, მგზნებარე, და ამ დროს ხელების ქნევაც ჰყვარებია.

ლადო გულიაშვილის მიერ შესრულებულ პოეტის პორტრეტს რომ შეჰყურებდა და მესხიერებაში შემონახულ სილუეტს ადარებდა, თავისთავად მოსწონდა, რატომაც არა, ამ რანგის ხელოვანის ოსტატობა ვის დაეწუნებინა, მაგრამ... სრულად რომ მაინც ვერ გადმოსცემდა ლადო ასათიანის ბუნებასა და ხასიათს?

პოეტის სპეტაკი სული და შინაგანი სინაზე თვალნათლივ გამოსჭვიოდა პორტრეტიდან, მაგრამ... არსად მოჩანდა ის ძალა და სიმტკიცე, რასაც მისი ფოტოსურათები გვაგრძნობინებდნენ, და განსაკუთრებით იმ ფოტოზე აღბეჭდილიყო ეს პიროვნული თვისებანი, მურმან ლებანიძეს მის მიერ გამოცემული კრებულის გარეკანისათვის რომ შეერჩია, და ამ სურათზე დახედვა ვახტანგ ჭელიძეს კვლავ ცოცხლად ამოუზიდავდა ადრე წასული კაცის ხატებას და უპირველესად მაინც თვალეები მონუსხავდა — ღრმა სევდა, რომელსაც ეს თვალეები ასხივებდა, მწუხარების ჩრდილს კი არა ჰფენდა მის სახეს, არამედ შინაგანად ანათებდა და — ხალას ტალანტთან ერთად — ძალასა და სიმტკიცეს გაგრძნობინებდა.

ეს 1938-41 წლების ლადო ასათიანია.

მერე... ცოტათი უნდა შეცვლილიყო, უფრო და უფრო გაღიზიანებული გამხდარიყო.

არა გაბოროტებულიო, — საგანგებოდ უნდა მიედევნებინა მემუარისტს.

ირონია გამკაცრებოდა, და იმედგაცრუების ის პატარა ჩრდილი, პირველად ძლივს რომ შენიშნავდი, ქუშ გულგატეხილობად ქცეოდა.

თუმცა სიძულვილის გესლი არ გარევიო, — ესეც საგანგებოდ უნდა დაერთო.

რკალი იკვრებოდა და ეს იმ საბედისწერო რკალში ემწყვდებოდა.

და — გალაკტიონისა არ იყოს — ამასაც უნდა ეცნო საკუთარ თავში აქტიონი.

„ლ. ასათიანი“ მე არა ვარო, ივედრებოდა ლევან ასათიანი, ემანდ მე არ მოვყვე ნომენკლატურული მწერლებისა და ხელისუფლების რისხვის ქვეშო.

არა, ნომენკლატურულ მწერალთაგან ის ერთი მაინც რარიგ გააღმასებულიყო და გაბოროტებულიყო, სულის ამოსართმევადაც რომ არ დაინდობდა.

მკვლევები მოვიდნენ! — ამ ცრემლნარევი კვიციას უნდა გაეფატრა სასაფლაოს მდუმარება და შერთვოდა იმ ზეცას, რომელსაც ასე შეჰხაროდა ეს ტანჯული სული და ფიროსმანისადმი განსაკუთრებულსა და მტკივნეულ სიყვარულს რომ განიცდიდა, მარტოდენ მხატვრის დიდი და თვითმყოფადი ტალანტის გამო არა, არამედ მისი ტრაგიკული ცხოვრებაც მიიზიდავდა, რაშიაც უსათუოდ სცნობდა საკუთარ ბედსაც!..

ამგვარი ახსნისათვის ვახტანგ ჭელიძეს ვარაუდი არც კი დასჭირდებოდა, მიზეზი ისე ხელშესახებად ამოტივტივებულიყო ზედაპირზე.

მასაც ხომ კარგად ახსოვდა, როგორ დაეძებდა ლადო ფიროსმანის კვალს — ხედებოდა და ესაუბრებოდა ხალხს, საკუთარი თვალით რომ ენახათ და გამოლაპარაკებოდნენ ფიროსმანს... დადიოდა იმ ქუჩებში, სადაც მხატვარს ევლო... ჩადიოდა სარდაფებში, სადაც, გადმოცემით, ფიროსმანს უხატავს, გაუხარებელი სიცოცხლის დღეები გაუტარებია.

თითქოს სირინოზები იზიდავენ თავიანთი გალობითო.

და არამარტო ფიროსმანის ნაკვალევზე სიარულისას.

ვახტანგ ჭელიძე წმინდა მლოცველის სასოებასაც კი გაუიგივებდა მის მსხემობას, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ შემოევილო თბილისი, მისი ყოველი ქუჩა და უბანი...

და ამ კაცს თბილისის მომღერალთა შორის ვერა და ვერ დაემკვიდრებინა ადგილი, ზოგიერთ პოეტს თითო-ოროლა რიტორიკულ-პანეგირისტული ლექსითაც რომ მოეპოვებინა, ბამბას გულმოდგინედ რომ აჩხრიალებდნენ, და ბრაზობდნენ ლადოს ყოველი ახალი პოეტური ნიმუშის გამომზეფურებისას, პოეზიის მაღლის შემცნობთათვის ცის გახსნასავით რომ გაიეღებოდა ხოლმე.

ერთი ასეთი გაეღებოდა გახსენებულია მურმან ლებანიძის მემუარისტულ ჩანახატში, რომელიც ლადოს ლექსის — „კრწანისის ყაყაჩოები“ — სახელწოდებითვეა დასათაურებული და ამ მართლაც უჭკნობი შედეგის გამოქვეყნების დღეს აღადგენს — ძალზე ფაქიზი ფსიქოლოგიური შტრიხებით — 1940 წლის ოქტომბრის იმ დილას, თბილისური ოქროს შემოდგომიდან უეცრად რომ გამოცალკევდებოდა და ლიტერატურულ განზომილებაში გადაინაცვლებდა.

ისეთი შემოდგომა იყო, როგორც მხოლოდ თქვენს ახალგაზრდობაში შესაძლოა იდგესო, — ფიოდორ დოსტოევსკის სიტყვებსაც მოიშველიებდა მეტი გამომსახველობისათვის და სწორედ ასეთ დღეს ჭავჭავაძის დაღმართის ძირში თავი რომ მოეყარათ ახალგაზრდა პოეტებს, ყველას „ჩვენი თაობის“ ახალი ნომერი ეჭირა ხელში, იმ გვერდზე გადაშლილი, სადაც ლადოს ის ერთადერთი ლექსი დაბეჭდილიყო.

— მესამედ, მეოთხედ კითხულობდნენ იმ მართლაც ხანძრის გაჩენასავით ლექსს და აჭარხლებულები ერთმანეთს სიტყვას არ აცდიდნენ...

და უეცრად:

— ტყვიდან რომ ირემი გამოვიდეს და შენ თოფდაყუდებული თამბაქოს ახვევდე, ასე მოულოდნელად პროსპექტზე ლადო ასათიანი გამოვიდა.

ლალიძის წყლების მხრიდან გამოეყოფოდა ხალხს.

არხენი და ვითომცდა ყველაფრისადმი განურჩეველი, თითქოს იმ დღეს მის ცხოვრებაში არაფერი მომხდარიყოს.

არადა — „ჩვენი თაობის“ ახალდასტამბული ნომრის სანახავად გამოსულიყო შინიდან.

თანამოკალმეებს დანახვით კი დანახავდა, მაგრამ... მანძილს მოიმიზეზებდა და, ვიდრე ჟურნალს არ იყიდდა, არც მიესალმებოდათ.

რომ ჩამოუვლიდათ, „კრწანისის ყაყაჩოებზე“ ლაპარაკი უკვე დამცხრალიყო ამ წრეში და რალაცნაირი უხერხული დუმილი იდგა.

გაშლილი ჟურნალით მიაბიჯებდა, წამით მზერას მოწყვეტდა ფურცელს, თავს დაუქნევდათ და... გზას განარძობდა. მურმან ლებანიძე ათასჯერ მაინც გადაშლიდა ინგურის ხეშემ ქალაქზე დასტამბულ იმ ლექსს, ათასჯერ მაინც გაიხსენებდა და სამუდამოდაც აღებეჭდებოდა მეხსიერებაში იმ შეხვედრის უცნაურობა.

ის ხომ ჩვეულებრივი დღე არა ყოფილა ქართული პოეზიისათვის, და ამას, გამოუცდელს, გონებაში ეს პასუხგაუცემელი შეკითხვები უტრიალებდა:

რა მოხდა? რაში იყო საქმე? რატომ არ შეჩერდა ამხანაგების წრეში? რატომ მოგვესალმა ასე უცხოსავით? რატომ ერთმა კაცმა მაინც არ დაუძახა? რატომ არ მიულოცეს?

ამ მიზეზთა ახსნას მკითხველსაც მიანდობდა, უფრო სწორად, გამჭვირვალედ მიანიშნებდა, რომ შეკითხვები რიტორიკული გახლდათ და იმ სურათის აღდგენით იქსოვებოდა ის უჩვეულობა და განსაკუთრებულობა, შედეგის გამოჩენა რომ იწვევს. მაშინ ხომ დუმილი უფრო მეტყველია, ვიდრე აღტიკინება და აჟიოტაჟი.

ეს მერეც შეიძლება, როდესაც ერთგვარად განელდება მოულოდნელობის ეფექტი და შედეგური ლიტერატურული საგანძურის სისხლბორცველი, განუყოფელი ნაწილი ხდება.

იმ გარეგნულად მშვიდი, მაგრამ შინაგანად უაღრესად დამუხტული ნუთების აღწერა ლიტერატურულ ჩანახატში რომ გადავიდოდა, იმ პასაჟით უნდა დაბოლოებულიყო, რომ „სხვათა და სხვათა ჯიბრზე“ ყველაზე მეტად სიმონ ჩიქოვანს უნდა ეზრუნა ლადოზე — ომი იყო და... სასიკვდილოდ განწირულისათვის კარაქი ეზიდა ძმასავით... მერე კი:

— გარდაცვალების წლისთავზე, ათასგზის აჩენილ-დაჩენილი წიგნი გაუმრთელა, საკუთრივ ძვირფასი წინასიტყვა დაუწერა და ასე გამოსცა ის წიგნი 1944 წელს...

ამით მოათავებდა და... გულს დააკლდებოდა. ამიტომაც ფინალში მკითხველს შეპირდებოდა: ყოველივე, რაც აქ დავენერე, უფრო ნათლად და უფრო გაბედულად დანერას საჭიროებს — უფრო ვრცლად და უფრო დანვრილებით, რასაც, თუ ღმერთმა დაგვაცადა, მემუარებში შევეცდებითო.

„უფრო ნათლად და უფრო გაბედულად“ სწორედ ამას გულისხმობს, რომ იმ „აჩენილ-დაჩენილი წიგნის“ ბედერულ თავგადასავალს გამოიტანდა მზის სინათლეზე, ყველას თავთავის ადგილს მიუჩენდა და მთავარ ორგანიზატორსაც გამოამყდებდა. აბა, რაღა „უფრო ვრცელი და უფრო დანვრილებითი“ დანერა იქნებოდა!..

1977 წელს უფრო გამჭვირვალედ ველარ იტყოდა — დაბეჭდვით ვერ დაბეჭდავდა, თორემ თავისთვის კი შეეძლო ჩაენიშნა.

1986 წელსაც ვერ მოხერხდებოდა ის „უფრო ნათელი და უფრო გაბედული“ გახსნა იმ დანაშაულისა, და ამჯერადაც ფარულ მინიშნებებსა და ქვეტექსტებს იკმარებდა:

— პირველი მნიშვნელოვანი წერილი, რომელიც 1944 წელს, სიკვდილის შემდგომ, წიგნს ნაუშლავა წლისთავზე, სიმონ ჩიქოვანის კალამს ეკუთვნოდა, მოამაგის ხელით და კეთილი გულით გახლდათ დანერვილი, მტრულ კრიტიკას ერთხელ და სამუდამოდ გზას უჭრიდა და მზის სინათლეზე ფრთხილად გამოჰყავდა პოეტი. ასეთივე გულშემატიკივარი, მაგრამ ფრთხილი იყო თავის წერილებსა თუ მოგონებებში პოეტის უახლოესი მეგობარი და მეცენატი ნიკა აგიაშვილი. მშვენიერი გახლდათ ან განსვენებული ჩვენი გურამ ასათიანის ვრცელი წერილი თავის სასიქადულო გვარიშვილზე...

მაინც რა დრო იყო, რომ ეს სასიქადულო გვარი და სახელის მსგავსი ინიციალი ასერიგად დააფრთხობდა ლევან ასა-

თიანს, გურამის მამას, და... იმ უხერხულ განცხადებას გამოაქვეყნებინებდა.

„მაგრამ ფრთხილი იყო“ — ამ ნართაულ გამოთქმას უნდა მიეხვედრებინა მკითხველი, რომ მიუხედავად წრფელი სიყვარულისა და თავგამოდებისა ლადოს პიროვნებისა და აწრდილის წინაშე, ნიკა აგიაშვილი რაღაცას განზრახ მალავდა და რეალობის ყველა ეპიზოდს მთლად ისე არ წარმოაჩენდა, როგორც სინამდვილეში იყო.

ცენზურის რკალი ვერ გაერღვია მურმან ლებანიძეს, თორემ ერთი სული ჰქონდა ისევე ემხილებინა საქვეყნოდ, როგორც პირში წასძახებდა გამომცემლობა „მერანის“ დერეფანში.

„პოეზიის“ ყოველწლიური კრებულის ახალი, 1984-85 წლების გაერთიანებული, ნომერი მზადდებოდა და, ორივეს თითო ლექსი რომ მიეტანა და ახლა კორექტურის წასაკითხად სტუმრებოდნენ იქაურობას, ზედ ოთახის კართან შეეჩებოდნენ ერთმანეთს.

დიდი სიამტკბილობა არც მანამდე ჰქონდათ, მაგრამ ცივი საღამი და უგულო მკითხველ-მოკითხვა აკავშირებდათ, ახლა კი მურმან ლებანიძე რაღაცას მწარედ ეტყოდა.

ის იუკადრისებდა და პასუხს დაუბრუნებდა.

ეს კვლავ ჯიქურ შეუტევედა.

და ის, გაღიზიანებული:

— ნადი რა, ყომარი გააგორე!..

გადაუკრავდა პოკერით გატაცებაზე.

პასუხად კი მურმანი:

— ყომარი არც შენ დაგიკლია, ისე კი სჯობდა მარტო ყომარი გეგორებინა და ლადო ასათიანის პირველი წიგნი არ დაგეჩხა!..

ის ყურებს არ დაუჯერებდა:

— რაო?

— რაო და, სჯობდა მარტო ყომარი გეგორებინა და ლადო ასათიანის პირველი კრებული არ დაგეჩხა.

და შემპარავად ჩაეკითხებოდა:

— კიდევ ხომ არ გაგიმეორო?

ღმუილისმაგვარი აღმობდებოდა ირაკლი აბაშიძეს, კარს შეარღვევდა და ოთახში შევარდებოდა, იქ ჯერ ერთ კედელს მიანყდებოდა, მერე მეორეს, მერე „პოეზიის“ ანაწყობს დააცხრებოდა, ამოგლეჯდა თავის ლექსს და უკანმოუხედავად გაეარდებოდა.

მურმან ლებანიძეც გაგულისებული შევიდოდა ოთახში, ისიც ამოგლეჯდა თავის ლექსს და გაბრუნდებოდა.

და ჯანსუღ ჩარკვიანი, კრებულის რედაქტორი, ემზარ კვიტიციანს, შემდგენელს (სხვათა შორის, ჩემთან ერთად) რომ ჰკითხავდა: ირაკლისა და მურმანის ლექსები სად არის, ორივე დამპირდა და თუ არ მოუტანიათ, დაფურეკავ და ავაჩქარებ, უშიშოდ როგორ იქნებაო, — ეს განუმარტავდა მათი ლექსების გაქრობის მიზეზს და იმ ეპიზოდს კი ისე დაწვრილებით და შთამბეჭდავად აღუწერდა, ჯანსუღ ჩარკვიანს ცოცხლად გადაეშლებოდა თვალწინ და... ერთხელ კიდევ გაამეორებინებდა, რათა სრულყოფილად განეცხადა ამ შეჯახების მთელი სიმძაფრე.

— როგორ, პირში მიახალა? — მერამდენედ ეკითხებოდა.

— მურმანი, კი იცი, თუ გაბრაზდა, გულში არაფერს ჩაიტოვებს, — არ წყინდებოდა დადასტურება ემზარ კვიტიციანს.

მეტად ძვირფასი სახელი გახლდათ ლადო ასათიანი მურმან ლებანიძისათვის — თავის ერთ-ერთ წინამორბედად ასახელებდა და არ ეძნელებოდა თვით ასეთ კონტექსტშიც მოექცია:

— აღმოსავლეთის პოეზიაში მარადუჭკნობი სპარსული ლირიკა მიყვარს, დასავლეთის პოეზიაში — ინგლისური. ჩემი მასწავლებლები იყვნენ: ჯერ ლადო ასათიანი და ტიცციანი, შემდეგ — ბერნსი, კიპლინგი, ბოლოს — გალაკტიონი.

მათი პოეზიის კვალი ასე პირდაპირ შესაძლოა არც აწნდა მის ლექსებს?

— მაგრამ წასაღდათარმა თვითონ იცის, ვინც იყო მისი ასისთავი!

ჯერ ლადო ასათიანო...

რაც ლადოსათვის ტიცციანი გახლდათ, ის ამისათვის — თვითონ ლადო, მისგან ტიცციანთანაც რომ მივიდოდა და შე-

ეთვისებოდა. პირველი შთამაგონებელი მაინც „სალალობოს“ შემოქმედი ყოფილა, ამ პოეტურ შედეგს აკაკი წერეთლის „განთიადის“ გვერდითაც რომ ახსენებდა: თვით ისიც არ იუკადრისებდა „სალალობოსთან“ ამხანაგობასო.

თუ ღმერთმა დამაცალა, მემუარებში შევეცდებიო...

ოთხმოც წლამდე დააცლიდა ღმერთი, მაგრამ მანამდე მისი მოგონებანი არ შეიქმნებოდა, ვახტანგ ჭელიძისა არ იყოს, ეტყობა, ისიც სამერმისოდ სდებდა და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის ამდგენისას ეს ცალკეული მემუარისტული წერილები უნდა ვიკმაროთ. არადა, ძალზე საგულისხმო იქნებოდა ეს ავტობიოგრაფიული რომანიც. ჯერ „ათი დღე გალაკტიონთან“ მონმობს, რა ოსტატურად წარმოისახებოდა მისი ცხოვრების გზა — ბევრგვარი მლელვარებით აღსავსე... და იქ უნდა დაეკავებინა შესაფერისი ადგილი ლადო ასათიანის პოეტური კრებულის ტრაგიკულ ამბავსაც და ირაკლი აბაშიძის პორტრეტსაც, რომელიც საკმაოდ მსუყე ფერებით დაიხატებოდა... ახლა ერთადერთი ის მონმობა გვაქვს ხელთ გალაკტიონზე შექმნილი მისი მემუარული თხზულებიდან, მოსკოვში, ქართული დეკადის დღეების დასასრულს ვასილ მჟავანაძე, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რომ ჩაბრძანებულა, ირაკლი აბაშიძე და სხვა შეფები გვერდით მოუსხამს, დეკადის წარმატებები დაუჯამებია და ორდენებიც გაუნანილებია. და „ლიტერატურის ექსპერტის“ ირაკლი აბაშიძის რჩევით... გალაკტიონი ჯილდოს გარეშე დაუტოვებია.

— როგორ, პირში მიახალა?

იქ გრიგოლ აბაშიძეს ერთ-ერთ სუფრაზე ეთქვა „წინაპრების“ დაჭრის ამბავიც და ამ უკეთურების მოთავეს ვინაობაც გაემჟღავნებინა, აქ მურმან ლებანიძე პირში შებმოდა, ვახტანგ ჭელიძის ესეში გამჭვირვალე ქვეტექსტი ამხელდა და... საით გაქცეულიყო, უკვე აღარ იცოდა ირაკლი აბაშიძემ.

ანიკო ვაჩნაძეს უჩოქებდა, ნიკა აგიაშვილს ებუზღუნებოდა და ეხვეწებოდა, იმ საბუთს დაათრევდა, ცენტრალური კომიტეტისა თუ... საიდუმლო სამსახურის მიერ ბოძებულს... ლადო ასათიანის ძმობას იფიცებოდა, მაგრამ... როდის აღსრულდება ცოდვა, რომელიც არ გამომჟღავნებულიყო?!

რა, ის მაინც რამ აფიქრებინა, ვახტანგ ჭელიძე გაეცურებინა?

რა — ფურცელს უფრო დაუჯერებდა თუ... საკუთარ თვალებს?

მკვლევები მოვიდნენ!..

გაჭრილ სამარეში ჩახედვის ჟინი რალა იყო... ან ამას რამ დაამახსოვრა!..

თუმც იქ მისვლაზე რომც შეეკავებინა თავი, ეს მარიკა ჯაფარიძე საიდანღა ამოუტივტივებდა იმ ან უკვე მისდა სავაგაზოვად გადაქცეულ ამბავს...

უსათუოდ კარგად უნდა ჩავაბაროთ ეს საღამოო, — ნილას ყოველწამს ისწორებდა ჩვეულებისამებრ, ვითომდა ძალიან მონადინებულიყო.

ვერა, ვერაფრისდიდებით შეეშალა ხელი ლადო ასათიანის სახელისათვის, სულ უფრო და უფრო რომ იზრდებოდა, და ვახტანგ ჭელიძის მიერ გამოქვეყნებული პორტრეტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფეხური აღმოჩნდებოდა იმ კვარცხლბეკისათვის, ლადოს მონუმენტური ფიგურა რომ წამომართულიყო, და მისი ბიოგრაფიაც არანაკლებ ცნობისნადილს იწვევდა, ვიდრე მისი პოეტური მემკვიდრეობა.

ამ ბიოგრაფიის ფრაგმენტები ლადოს უბის წიგნაკსაც შემოენახა, ძალიან რომ მიყვარდა ამ სახელდახელო ჩანაწერთა კითხვა, და თუ რაიმე ჩამებეჭდებოდა ცნობიერებაში, მათ შორის ის პასაჟიც:

— მინდა მქონდეს საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის ისე, როგორც დიკენსმა დაწერა და შეადგინა.

და გული მწყდებოდა, რომ ლადო ასათიანს არ დასცალდა საქართველოს საბავშვო ისტორიის დაწერა თუ შედგენა, წარმომედგინა, რარიგ შთამბეჭდავი იქნებოდა თხრობა, დახუნ-

ლული იმგვარი ეპიზოდებით, რომელთაგან ზოგიერთს იაკობ გოგებაშვილის ისტორიულ მოთხრობებში ეპოვა ხელახალი სიცოცხლე, ახლა კი ყველას უნდა დადგომოდა ახალ სამოსელში მოქცევის ჟამი, რაკილა ამ იდეას გაეღვინა ისტორიული ცნობიერებით აღვსილი შემოქმედის გონებაში, მაგრამ ვაი, რომ ეს ოცნებაც უნდა დასამარებოდა... და ჯერჯერობით რჩებოდა „საქართველოს საყმანვილო ისტორია“ დაუნერული, რაკილა სხვა მონადინე არა და არ გამოსჩენოდა.

და რარიგ გავიხარებდი, როდესაც 1973 წელს მამა შინ მოიტანდა ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“, რომლის ბოლოთქმაშიც აღნიშნული იყო, რომ:

მწვავედ იგრძნობოდა საჭიროება ისეთი წიგნისა, რომელიც პოპულარულად მოუთხრობს ყმანვილებს ქართველი ხალხის ცხოვრების ამბავს უძველესი დროიდან დღემდე. ისტორიის ასეთი პოპულარული, ფართო მკითხველისათვის საკითხავი წიგნები თითქმის ყველა კულტურულ ერს აქვს. ამ წიგნის მიზანია, ნაწილობრივ მაინც შეავსოს ეს ხარვეზი — ჩვენი მეცნიერების მდიდარი მონაპოვრის გამოყენებით მოუთხროს ახალგაზრდებს ქართველი ხალხის ისტორიის მთავარი ეპიზოდები, გაუცოცხლოს მათ ჩვენი ხალხის თავდადებული, პატიოსანი შრომისა და ასეთივე თავდადებული და პატიოსანი ბრძოლების სურათები, შეაყვაროს ისტორია და ერთგვარი საფუძველიც მოუზადოს საგნის უფრო ღრმა და მეცნიერული შესწავლისათვის, — სწორედ ის, რაც ასე მენატრებოდა, და ჩავეფლობოდი თუ არა კითხვაში, მისი თხრობის მანერითა და სტილით მოხიბლული, მამას ვეცყოდი: ამის მაგვარი ხომ ლადო ასათიანსაც უნდოდა დაენერა-მეთქი.

ბოლოთქმაში მხოლოდ ზოგადად იყო ნათქვამი: ასეთი საკითხავი წიგნები თითქმის ყველა კულტურულ ერს აქვსო, მაგრამ, რა მიხედვრა უნდოდა, ვახტანგ ჭელიძე უპირველესად სწორედაც ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმანვილო ისტორიას“ იგულისხმებდა, ეს უნდა ყოფილიყო მისი შთამაგონებელი.

ისევე, როგორც ლადო ასათიანისაც.

— ლადომ დიკენსის ეს წიგნი ვახტანგისაგან იცოდა, თორემ არც ქართულად ყოფილა თარგმნილი და არც რუსულად, და ხელი არ მიუწვდებოდა. ვახტანგი იყო გატაცებული „ინგლისის საყმანვილო ისტორიით“ და, მისგანაც ასე ვიცი, რომ ლადოს მან გააცნო ამ წიგნის შინაარსიც და სტილისტიკაც, — დამიზუსტებდა მამა, უბის წიგნაკის იმ ჩანაწერს ვახსენებდი თუ არა.

ისე როგორ გავჩერდებოდი, ძია ვახტანგისათვის არ გამოემკითხა, და ისიც სევდანარევი ხალხისით გაიხსენებდა, თუ როგორ შერჩებოდნენ თბილისის 1939 წლის ცხელ ზაფხულში ის და ლადო, სხვა მათი თანატოლები დედაქალაქიდან გაკრეფილიყვნენ და ყოველ საღამოს ერთად ატარებდნენ კიროვის პარკში, ვახტანგი გაუფლიდა ხოლმე სამსახურში, „ნორჩი ლენინის“ რედაქციაში, ასძახებდა, ისიც მალევე ჩამოვიდოდა, პარკში განაპირა კორდზე ჩამოსხდებოდნენ და ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ — ახალნაკითხული წიგნები იქნებოდა, საერთოდ ჩვენი ლიტერატურა, საქართველოს ისტორია თუ თანადროული ყოფა. ვახტანგს ის-ისაა აღმოეჩინა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დიკენსის ეს წიგნი და...

მოგვიანებით ამ ეპიზოდს შეიტანდა იმ ლიტერატურულ პორტრეტში და შეფარულად მიანიშნებდა, რომ ლადო მისი მონაყოლით შთაგონებულიყო. პირველ ყოვლისა იმით დანეტრესებულიყო, როგორ მოუთხრობდა მკითხველს მწერალი ინგლისის ისტორიას, აიდგალებდა წარსულს თუ ყველაფერს სიმართლით გადმოსცემდა. მერე კი — თხრობა გაბმული გახლდათ თუ ცალკეული მნიშვნელოვანი ეპიზოდები იყო შერჩეული... ზოგადი შთაბეჭდილების გაზიარებას არ იკმარებდა და ცალკეულ ადგილებს კიდევ ამბობინებდა. ყველაზე მეტად კი ის აღაფრთოვანებდა, რომ დიდი მწერალი ყმანვილებს ერის ისტორიას მოუთხრობდა უბრალოდ და მიმზიდველად...

მაშინ ინატრებდა ასე დანერილ საქართველოს ისტორიასაც და ის ჩანაწერიც მაშინ უნდა გაჩენილიყო მის უბის წიგნაკში.

ესეში ეს ამონარიდი რომ არის მოხმობილი ლადოს ჩანაწერებიდან, სხვა პასაჟიცაა გადმოტანილი, იქნებ ესეც ამავე აზრის გაგრძელება იყოსო:

— როგორ უნდა დაინეროს საქართველოს ისტორია? ჩვენ ხომ ჯერ არ გვაქვს იგი ხალხის საკითხავად! საჭიროა მიუკერძოებელი ჟამთააღმწერელი: დაწეროს, რაც იყო, რაც მოხდა — შეულამაზებელ-შეუფერავად, უბრალო ენით, ზღაპრით საამოდ სასმენელად.

დავიმახსოვროთ ეს: ზღაპრით საამოდ სასმენელადო!.. ისე კი ეს ორი ამონარიდი ერთმანეთის გაგრძელება რომ არის, ძნელი ამოსაცნობი არაა. „როგორ უნდა დაინეროსო“, რომ ამბობს, რასაკვირველია, თავისთვის, ფარულად, საკუთარ თავს გულისხმობს. იქნებ ვერც უტყდებოდა თავის თავს, ამხელა განზრახვა რომ გასჩენია, მაგრამ სული უბორგავს და აქეთ მიაქნებს. და ხელიც ისე ეცმადუნება, გადადებს ალარც აპირებს...

ამიტომაც კითხულობდა ყველაფერს, რასაც ნააწყდებოდა ამ საგანზე.

ვახტანგ ჭელიძე ამ მხრივ საგულისხმოდ მიიჩნევს მის ერთ პირად წერილს, აბასთუმნიდან მოწერილს მეუღლესთან 1942 წლის 18 ივლისს, რომელშიც იგი ითხოვს გაუგზავნონ სხვადასხვა წყაროები საქართველოს ისტორიიდან, რისი ნაღებაც ვერ მოუსწრია.

და ყველა ამ გარემოებას რომ გაითვალისწინებს, დაბეჯითებით განაცხადებს:

— არა, ეს არ ყოფილა უბრალო დაინტერესება — იგი უფრო დიდი რამისთვის ემზადებოდა...

ეს „უფრო დიდი რამ“ სხვა არაფერია, თუ არა დიკენსისებური საყმანვილო ისტორია, ოღონდ ნაცვლად ინგლისისა, საქართველოს ბედისწერის ქარგაზე.

„ბასიანის ბრძოლა“ რომ გაიდგალებულ სურათს წარმოასახვდა ჩვენი წარსულისა?

თუმც პოემას თავისი ჟანრული კანონები აქვს და ჰგუობს ამაღლებულ სულისკვეთებასაც და პათეტიკურ განწყობილებასაც.

გაიდგალება მსჭვალავდა იმ ეპიკურ თხზულებებსაც, ერთ ჩანაწერში ცალკე რომ აჯგუფებს: ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ილია ჭავჭავაძის „აწრდილი“ და... ცოტა ფიქრის შემდგომ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავსაც“ დაასახელებდა, რათა ეს მოსაზრება გამოეთქვა: ეს სამი პოემა ეყოფა XIX საუკუნის საქართველოსო.

კი მაგრამ... ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“?

უიმიხოდ უთუოდ ფრთაშეკვეცილია ეს ჩამონათვალი, მითუმეტეს, ჯერ მარტო „ფშაური ბალადა“ ამჟღავნებს ვაჟასადმი მის განსაკუთრებულ სიყვარულს.

თუმც ეს მაინც სახელდახელო ჩანაწერია და არა მკაფიოდ ჩამოყალიბებული თეზისები.

მთავარი ისაა, რომ ისტორიის თხრობას არ მოუხდებოდა პათეტიკა, მითუფრო, შელამაზება-შეფერადება.

მგზნებარება და ჰეროიკული სული სხვაგვარად ჩაინვნოდა ნაამბობის შინაგან რიტმში და სტრიქონსა და სტრიქონს შუა.

აგერ თვალსაჩინო ნიმუშიც ედო წინ იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობების რკალის სახით.

ნეტა იმასაც „საქართველოს საყმანვილო ისტორიის“ დანერა ხომ არ განეზრახა და, ვიდრე ამ დიდ განზრახვას გაამხელდა, საჭაშნიკოდ შესთავაზებდა მკითხველს ორიოდ ნიმუშს გაფაციცებული — როგორ მიიღებენ, ღირს თუ არა გაგრძელება და ჩვენი ქვეყნის სრული ბიოგრაფიის შედგენაო?!

ახლა ლადო ასათიანი უტრიალებდა ამ კარიბჭეს.

და ვახტანგ ჭელიძეც ამ კარიბჭეს მისდგომოდა, დიდხანს რომ არ გაამხელდა ამ ფიქრს, თუმც „ინგლისის საყმანვილო ისტორიის“ გაცნობისთანავე აეკვიტებოდა ეს ოცნება და ისე მძაფრად განიცდიდა, წლები რომ უქრებოდა ხელთ და ვერა და ვერ წამოეწყო ეს დიდი განზრახვა, ლამის აღარაფრად ჩათვალა, დიდებულ მწერალთა საუკეთესო თარგმანთა წყება

რომ ჩამოემკრივებინა და ერეკლე ტატიშვილის მთარგმნელობითი სკოლა ასე შთამბეჭდავად გამოებრწყინებინა.

ორი მეგობარი ზის კორდზე, გადაწყურებენ თითქოს ხელის-გულზე მდებარე თბილისის სანახებს და გატაცებით საუბრობენ საქართველოს ისტორიაზე, და ერთიმეორისთვისაც ვერ გაუმფლავებიათ, რაღაც დიდ განზრახვას რომ აუფორიანებიათ.

ერთისთვის მაინც დადგებოდა ამ ოცნების აღსრულების ჟამი. იძვრებოდა ლადოს პორტრეტი დროის სიმორიდან, მაგრამ ეს სიმორე იმითაა კარგი, რომ ბევრი რამ მივიწყებული ახლა უფრო ცხადივით ამოშუქდება და მოტივტივებს, ვიდრე გუშინდელი დღე, მითუმეტეს, როდესაც მეხსიერებით აღდგენილ წუთებსა თუ სურათებს უბის წიგნაკის ჩანაწერები თუ ბარათებიც ემატება და გიდასტურებს მამინდელ განცდებსა თუ შთაბეჭდილებებს.

ლადოს მიმართ უსამართლო მოპყრობას რომ ახსენებს (და გვარ-სახელით ჯერ მაინც არ გამოჰყავს დღის სინათლეზე მისი ყველაზე დიდი მეშურნე და მოშულარი), საგანგებოდ დასძენს, რომ თვითონ ლადოს ყველას წარმატება ახარებდა და არასოდეს არავის მიმართ ერთიბენო შურიც არა ჰქონია. აგერ მისი პირადი წერილები და ჩანაწერები — აბა, ვახტანგ ჭელიძესავით დაუკვირდით და გაოცდებით, მართლაც სადა ჰქონდა ამ უკიდურესად გატანჯულ ადამიანს ამდენი სიტბო და ალერსი, როგორი სიყვარულით მოიხსენიებდა ყველას, უფროსი თაობის მწერლებსაც და თანატოლებსაც... და ხშირად გაისმოდა მის ბარათებში ალექსანდრე საჯაიას სახელი...

ჭლექს, ამ ბოროტ სენს, კი შერჩენოდა ვაჟა-ფშაველას ფილტვების დაღრღნა და... ლადო ასათიანის დაცემას ლამობდა ახლა...

ის უკანასკნელი შეხვედრაც შემორჩებოდა ამ ლიტერატურული პორტრეტის ფურცლებს. შეხვედრა — ცივ, ნესტიან დღეს, სველი ბურუსი თითქოს ტანში უსიამოვნოდ რომ ატანდა. ლადო მობუზულიყო, თითქოს დაპატარავებულიყო, ყელზე — ნაცრისფერი კაშნე, ქუდი — მიმადლოდ, ცხელ შუბლზე ცივი ჰაერი რომ სიამოვნებდა. ნაბიჯი — ძალიან ნელი, თითქოს მოლოდავსო, სახე — არაფრის გამოხატველი — არც მოახლოებული სიკვდილის შიშის, არც ნუხილის, არც ტანჯვის, არც სინანულის... დალილი, გახევებული გამომეტყველება... ცხელ, ოფლიან ხელს ძალა სულ აღარ შერჩენოდა... ჯიბეში ედო დიდი წითელი ვაშლი, პატარა მანანასათვის რომ ეყიდა, ერთადერთი ვაშლი, რადგანაც ხილი ძალიან ძვირი ღირდა ბაზარში...

მას შემდეგ ქუჩაში ვეღარც ვერასოდეს გამოვიდოდა...

თავს უყრიდა ყველა რეალიასა თუ დეტალს ვახტანგ ჭელიძე ამ ესეიში, თუმც ყველა დაკვირვებას ვერ მოუნახავდა ადგილს და თავისთვის ჩაინიშნავდა, ეგებ მერე ვინმეს რაიმეში გამოდგომოდა.

აგერ კიდევ ერთხელ გადაიკითხავდა პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიულ რომანს გიორგი მეცამეტეზე და... უეცრად თვალში მოხვდებოდა გამოთქმა: „გაუმადლარი ომითა“ — არაგველებთან დაკავშირებით:

— მეშფოთი არავგი, დაუცხრომელი და გაუმადლარი ომითა, ვითარცა დღესცა ძველიდგან იმღერის არაგვსა კაცი...

და ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“, სამასი არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი: ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარო ომითაო.

და მიხვდებოდა, რომ ლადო ამ გამოთქმას სწორედ პლატონ იოსელიანის ისტორიულ ქრონიკას დასესხებოდა.

ვინ იცის, რამდენი ასეთი გამოძახილი თუ რემინისცენციაა კიდევ მის ლექსებსა და „ბასიანის ბრძოლაში“ საისტორიო მატრიანებიდან თუ ჰაგიოგრაფიიდან, არამცთუ მეხსიერებას რომ ენდობოდა, არამედ საგანგებოდაც ინიშნავდა მონონებულ სიტყვებსა თუ გამოთქმებს?!

ცალკე ნარკვევის თემატე შიძლება აღმოჩნდეს ამგვარ ექვთო თუ გამოძახილთა შესწავლა ლადო ასათიანის პოეზიაში, საამისოდ კი სწორედ ვახტანგ ჭელიძის ამ საუბისწიგნაკო ჩანიშვნამ შიძლება აგიყოლოს.

მაშინ კი — ლადოს გარდაცვალების წლისთავზე — ალექსანდრე საჯაია მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ მცირე სტატიას გამოაქვეყნებდა, ეგებ არცთუ ურიგოს, მაგრამ მთლად ისეთსაც ვერა, ან ერთს რომ შეჰფეროდა და ან მეორეს. ვახტანგ ჭელიძე ერთგვარ გამართლებას უძებნის იმ წერილს — სახელდახლოდ დაინერაო, და გვამცნობს, რომ კოკი ვრცელი წერილის დაწერასაც აპირებდა, რომელშიც მოთხრობილი უნდა ყოფილიყო ლადო ასათიანის ცხოვრება და განხილული — მისი შემოქმედება.

ამ სურვილს როგორ აღასრულებდა, როდესაც ამ პუბლიკაციიდან ორ თვეში თვითონაც მიწას მიებარებოდა.

მანამდე კი ეს დასცდებოდა:

— მეც მალე მოვკვდები და ნეტა ჩემზე ვინ დაწერს წერილს?!

მეგობრის ეს აღუსრულებელი წადილი მტკივნეულად ჩარჩენოდა გულში ვახტანგ ჭელიძეს და ამ ლიტერატურულ პორტრეტს რომ გაასრულებდა, მკითხველს გაუმჟღავნებდა: მინდოდა ისე დამენერა, როგორც მისი საყვარელი მეგობარი ალექსანდრე საჯაია დაწერდა, ახლა, ლადო ასათიანის დაბადების 70 წლისთავზე ცოცხალი რომ ყოფილიყო.

სიცოცხლით გაუმადლარის...

გაუმადლარისა პოეზიით...

ჭირისუფლები გამოჰყავდათ გვერდით.

გატყრილი სამარე ახალ მსხვერპლს ითხოვდა, თითქოსდა თავისი დღით აღსრულებულის, არადა... ყველას, ვინც თვალზემომდგარი ცრემლითა თუ ატირებული გულით ეთხოვებოდა, კარგად მოეხსენებოდა, რომ... რომ...

მკვლევები მოვიდნენ!..

ფერდობზე მოიკლავნებოდა ოთხი მალალი ლანდი, ჩაშაპებულნი, ჩალუსკუმებულნი, და ის მაინც, ის ერთი მაინც...

\*\*\*

1948 წლის 2 ნოემბერს მწერალთა სასახლეში ლადო ასათიანის ხსოვნის საღამო რომ გაიმართებოდა, სიტყვით აკაკი განერელიას გამოვიდოდა და ექება შეასხამდა ნაადრევად აღსრულებულ პოეტს და პროფესიულადაც დაასაბუთებდა თავის შეხედულებათა სისწორეს.

დარბაზში იჯდებოდა ირაკლი აბაშიძეც და, რაკილა მომხსენებელმაც კარგად უწყოდა, რომ ლადოს სიცოცხლე მოუსწრაფა მისი პირველი წიგნის აკრძალვამ, წინასწარვე დაწერილი სიტყვის ბოლოს ზეპირად დასძენდა:

— ყველა პოეტს აეკვიტება ვინმე ბინძური ლიტერატორი აკი პუშკინს მტრობდა ერთი „მწერალი“, ამჟამად ტაბუდადებული და ოხრანკის თანამშრომელი ბულგარინი. ამგვარი პიროვნება გამოუჩნდა ლადო ასათიანსაც.

ლადოს ცხოვრებაში გაჩენილი „ბულგარინის“ ვინაობას არ გახსნიდა, თუმც რა გამოიფრვა უნდოდა, ყველაც იოლად ამოიცნობდა და თვითონ ირაკლი აბაშიძეც, და ერთ ამბავს რომ ატყებდა კულუარებში, აკაკი განერელიას მალევე დაიბარებდნენ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე, და ეს შევიდოდა თუ არა თავმჯდომარის კაბინეტში, ირაკლი აბაშიძე მიაყვრებდა:

— ამ შეურაცხყოფას არასოდეს ვაპატიებ და სამაგიეროს მოგიზღავ.

სიმონ ჩიქოვანი, ვინც იმჟამად თავმჯდომარეობდა მწერალთა კავშირს, აკაკი განერელიას ახსნა-განმარტების დაწერას მოსთხოვდა და ესეც შეადგენდა ერთგვარი მობოდიშების წერილს, 1 დეკემბრით დათარიღებულს, და მოგვიანებით უბის წიგნაკის ჩანაწერში თავს ასე იმართლებდა: უკან დავიხიე. სხვა გამოსავალი მაშინ არ მქონდაო.

ამ შეურაცხყოფას არასოდეს ვაპატიებო... ფარულ მტრობას არც მოაკლებდა და ჩაუშლიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წამდვილ წევრობასაც. შევარდებოდა ნიკო მუსხელიშვილთან, აკადემიის პრეზიდენტთან, და განუცხადებდა:

— აკადემიაში ისედაც ბევრი უპარტიო წევრია, აკაკი განერელია კი უპარტიოცაა და თან კონტრრევოლუციონერი ლიტერატორიც...

და არც სხვა ამგვარ ეპითეტებს მოაკლებდა. სამაგიეროდ, აკაკი განერელია ამ მემუარულ ჩანაწერს დაგვიტოვებდა იმ ოფიციალურ ახსნა-განმარტებასთან ერთად: ისე როგორ იქნება, ადრე თუ გვიან ვილაცამ სამწერლო მიმოქცევაში არ შემოიტანოს და ქართველი პუშკინისა და ბულგარინის ოპოზიციური წყვილის ამბავი სააშკარაოზე არ გამოვიდესო.

\*\*\*

გამისხენებენ როგორც ნიკალას და თბილ სამარეს დააბიჯებენო, — უკანასკნელ ამოსუნთქვას შერეოდა პოეტური წარმოსახვანი... და...  
მოზრდღვიალებდნენ ყაყაოებიც ლამაზი ქალის შუქითა!..

სანდრო მრეველიშვილი

„იყავი ის, რაც ხარ!“



- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?
- მარტოობა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- ოლიმპოს მთაზე.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- სექსი.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- არც ერთი — ეს ხომ ლიტერატურაა.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- არც ერთი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ყველა ნიჭიერი მხატვარი მიყვარს.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ყველა ნიჭიერი კომპოზიტორი მიყვარს.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- ჭკუას.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- თავისუფლებას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- სათნოება.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- უსაქმურობა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- ისევ მე...
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- რომანტიზმი.

- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ერთგულებას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- უჰჰ, ბევრი ბევრი ნაკლი მაქვს.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- სიმშვიდე.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- უძრაობა.
- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- როგორიც ვარ!
- თქვენი საყვარელი ფერი?
- შავი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- მინდვრის.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ყველა, რაც დაფრინავს, — სვავის გარდა.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- რომელი ერთი ჩამოვთვალო?
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- რომელი ერთი ჩამოვთვალო?
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- რეალური ქალები მირჩევნია.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- არ არსებობენ...
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- მითებს არ ვიზიარებ!
- საყვარელი სახელები?
- ...?
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ამ ანკეტას...
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
- ყველა ტირანი.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?
- შეტევა.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- სექსუალური რეფორმა.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- ფილოსოფიური ჭვრეტა.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- ფეხზე მდგომი.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- მშვიდი.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- აზრის თავისუფალი გამოხატვა.
- თქვენი დევიზი?
- იყავი ის, რაც ხარ!
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- ეს შეხვედრა ილუზიაა, ამიტომ პასუხი არა მაქვს!

ყოფითი ცხოვრების „ნამცეცთა“ წამოკრეფა და შემონახვა ნამდვილი მწერლობის ხედურია — ვითომდა ნამცეცებში შესაძლებელი რომ ხდება განჭვრეტა წუთისოფლის ბრუნვა-ტრიალისა, იმ იდუმალი, ამოუხსნელი შინაარსისა, გონება რომ ვეღარ გაატანს მის სიღრმეში, მაგრამ გრძნობა და ალლო მაინც დაუღალავად ჩხრეკს და ამოაქვს და ამოაქვს ის რეალები, რომელთა გამოთლიანებაშიც უნდა მიგვაგნებინოს შეფარული კანონზომიერებანი პროცესთა ათასგვარად ალუფხულ მდინარებაში.

თუ შორეული წარსული არავის ესმის პოეტის გარდა, ვალაკტიონის ესთეტიკური ფორმულისა არ იყოს, არც ახლო წარსული მაინცდამაინც გასაგები პოეტური შეცნობის გარეშე, იმ უმთავრესი გზამკვლევისა, რომელიც ასე მომადლებია ზაალ სამადაშვილსაც და მის ბელეტრისტულ ძიებებს მომხიბლავი შუქით ანათებს ხოლმე. მკითხველი ყოველთვის მოელის მისგან ეპიკურისა და ლირიზმის მომხიბლავ ურთიერთგადასვლასა და ფრაზის იმგვარ დახვეწილობას, რაც დღესდღეობით მოდამი აღარ არის; და მითუფრო დასაფასებელია მწერლის სწრაფვა, ვისთვის ყავლგასული და ვისთვის კი ბუნებრივი და ნამდვილი მანერის შესანარჩუნებლად. და ეს მოლოდინი მკითხველს არასოდეს გასცრუებია.

ამიტომაც კრთის და ხასხასებს ასე ხელშესახებად გარდასული სურათები მის ხსოვნაში და შესაფერის მხატვრულ ფორმასაც ჰპოვებს ფურცელზე გადატანისას — ხან მინიატურად, ხან ნოველად, ხან მოთხრობად, ხანაც ლიტერატურული დღიურის ფრაგმენტებად, მარჯვედ მოძებნილი სათაური „კალამს მიღვევებით დაწერილები“ რომ ამშვენებს და ოსტატის ხელი მტკიცედ აწესრიგებს და გარეგნულად თითქოსდა დაფანტულ სურათებს ჩინებულ მოზაიკურ პანორამად ჰკრავს, მძაფრი, გადამდები ნოსტალგია რომ მსჭვალავს.

ზაალ სამადაშვილი

# კალამს მიღვევებით დაწერილები


\*\*\*

ცხოვრებაში გაცილებით საინტერესოდ ვითარდება მოვლენები, ვიდრე გამოგონილ ამბებში; საიდუმლოებებიც გაცილებით მოულოდნელად და უფრო მარტივად მუდავნდება. ის, ვინც მაქსიმალური სიზუსტით ასახავს რეალობას, მკითხველს ამ რეალობის უჩინარ დამკვირვებლად აქცევს. ადამიანი, რომელსაც გადაშლილი წიგნი უჭირავს ხელში, ტექსტის პერსონაჟებთან ერთად გადის გზას საწყისიდან ბოლო წერტილამდე და ეს გზა სამუდამოდ ილექება მის მეხსიერებაში, როგორც თავს გადახდენილი ამბავი... და არა ვილაციის ფანტაზიის, ანდა გამოცდილების ნაყოფი. ასეთი განცდა მეუფლებოდა ჰემინგუეის ზოგიერთი მოთხრობის კითხვისას და მახსენდება მილან კუნდერას ესეი „დაკარგული აწმყო ძიება“, სადაც ის მწერლის უპირველეს ღირსებად რეალობის დადგენას უნარს მიიჩნევს. ამ უნარით ძალიან ცოტა ვინმეა დაჯილდოებული. ძალიან ცოტა ვინმეს შეუძლია შეუფერადებლად, ანდა პირიქით — ჩაუმუქებლად თხრობა; ამბის ან მასში მონაწილე პირების შეფასებებისგან თავის შეკავება. ის კი, ვინც რეალობას პირველადი, შეურყენელი სახით გვთავაზობს, თუ მაინცდამაინც შეფასებასა და განსჯაზე მიდგება საქმე, ამის განხორციელების უფლებას მის უდიდებულესობა მკითხველს ანიჭებს და ისიც, ნაკითხულით დამუხტული, ჰყვება ჯერ მარო ვარგას ლიოსასა და შემდეგ მისი მოთხრობის შესახებ: როგორ მივიდა ბებერი ლეონიდასი კავში, სადაც ბიჭები ლუდს სვამდნენ, როგორ შეატყობინა მათ მოსალოდნელი ორთაბრძოლის ამბავი, როგორ წამოიღო შინიდან ხულიან როსეტამ ცხვირსახოცში გახვეული დანა, როგორ ჩავიდნენ ყველანი მდინარის პირას, სადაც ჩხუბის დანებების წინ დანებს პირები გაუსინჯეს, როგორ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ ბავშვური პროფილის მქონე ხუსტო და იგუანას ნიკაპიანი კოჭლი, როგორ დაინყეს დანებმა ელვა ლამის სიბნელეში და რას გრძნობდა ბებერი ლეონიდასი ორთაბრძოლის შემდეგ, როცა სხვებთან ერთად კასტილიას პროსპექტისკენ მიაბიჯებდა...

\*\*\*

ცხოვრება ადამიანად ქცევის პროცესია, რაც საკუთარი შესაძლებლობების განვითარებას, საკუთარ მანკიერებებთან ბრძოლას ნიშნავს სხვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნე-

ლოვან საზრუნავებთან ერთად. რწმენა გახლავთ ამ პროცესის მამოძრავებელი ძალაცა და მისი წარმატებით დასრულების საწინდარიც. ჩვენ ქვეყანას საუკუნეების მანძილზე გადარჩენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის უწევს ბრძოლა; ამიტომ მისი მოქალაქეებისთვის, ვისაც გაცნობიერებული აქვს ეს, პატრიოტიზმი სასიცოცხლოდ აუცილებელია. სამშობლოს დასაცავად მუდმივი მზაობა, მისი მოვლა და პატრონობა თავისუფალი პიროვნების მოვალეობაა. თავისუფლებისთვის ბრძოლა საზოგადოების წინაშე ვალდებულებების აღებას ნიშნავს



და ის, ვინც ამ ვალდებულებების შესასრულებლად არათუ ძალ-ღონეს არ იშურებს, არამედ სიცოცხლესაც წირავს, თანამედროვეთათვის და უფრო მეტად მომავალი თაობებისთვის სამაგალითო ხდება. ასე ანათებენ გასული საუკუნის შავბნელ ოციან წლებს ღირსი მამა ამბროსი ხელაია და უმამაცესი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პატრიარქი კირიონი და კოტე აფხაზი, დამპყრობლების მიერ ნატანჯი და მოკვდინებული სასულიერო პირები და ოკუპანტების წინააღმდეგ ამბოხებული ყველა ნოდების გამორჩეული ადამიანები. ჩემ შესახებ რა შემოძლია ვთქვა, — მოთხრობების მწერალი ვარ ხელობით და ისეთ ამბებს ვყვები, რომლებსაც ძალიან „უბრალოდ“, ძალიან „წვრილმანად“ მიიჩნევენ „რთული“ პროზის მოყვარულები. შესაძლოა, არც ცდებიან შეფასებისას, თუმცა მეც მაქვს არგუმენტები საკუთარი შეხედულების დასაცავად. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ — იმიტომ ვყვები მამა-შვილის წასვლაზე სადალაქოში თმის გასაკრეჭად, ანდა პაპის და შვილიშვილის გასეირნებაზე სოფლის ორლობეში, რომ მკითხველებს შევარძნობინო ის მშვენიერება, რომლითაც ეს „უბრალო“ ამბებია გაჟღერებული. „უბრალო“ ამბები კი ის დეტალებია, რისგანაც ცხოვრება შედგება. მოკლედ რომ ვთქვათ — ცხოვრება მშვენიერია. თავისუფალია ის ადამიანი, ვისთვისაც მოვალეობების შესრულება დამლელი, რუტინული საქმიანობა კი არა, სიცოცხლის, არსებობის მარლია. ვგულისხმობ მოვალეობებს, რომელთა შესრულებასაც სინდისის კარნახით თავად ირჩევ. ტყვეს მოვალეობის შესრულებას აიძულებენ, თავისუფალი კაცი სიამოვნებას იღებს ამისგან. მისი სული ივსება და ძლიერ-



დება, რაც მყარ საფუძველს უყრის შინაგან წონასწორობა-სა და სიმშვიდეს.

ახალგაზრდა კაცი სამსახურთან ახლოს, მაჩაბლისა და ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთაზე მხვდება. მესალმება, ხელს მართმევს და თქვენ სანახავად მოვდივარ, მეუბნება. დროს არ კარგავს და თავისი ამბის მოყოლას იწყებს. ცერებრალური დამბლით დაავადებული ბიჭუნა ჰყოლია, ორი წლის წინათ უნარშეზღუდულთათვის გადასაადგილებელი ეტლი მიჩუქებია მისთვის. მაშინ „აფრიკაში“ ვცხოვრობდით, ჩვენი ბინა გვეკონდა; მას შემდეგ, რაც ბავშვს ხოჩკინის ლიმფომა აღმოაჩინდა და წელიწადი და ორი თვე ონკოლოგიურ კლინიკაში გავატარეთ, ბინა გავყიდეთ და ნაქირავებში გადავედითო. ყოფილ საერთო საცხოვრებელში ვართ, მოსკოვის პროსპექტზე და ერთ პატარა ოთახში, სადაც ცოლი, სამი შვილი და დედა მყავს დაბინავებული, ორას ორმოცდაათ ლარს ვიხდიო. ბოლო თვის გადასახადი დასდებოდა ვალად და ქუჩაში გამოყრით ემუქრებოდნენ თურმე. „სტაიანშიკად“ უმუშავია, მაქსიმალური შემოსავალი ოთხმოც ლარამდე ჰქონია კვირაში. ახალგაზრდა კაცს გელა ჰქვია, ე.წ. „სპორტულები“ და გვარიანად შელანძლული „ადიდასები“ აცვია. თავი ნოლზე აქვს გადაპარსული. ზუსტ მისამართს ვეკითხები — კორპუსის, სადარბაზოსა და ბინის ნომერს. ვპირადები, აუცილებლად გინახულბთა-მეთქი და მისვლის სავარაუდო თარიღად კვირის ბოლოს ვუსახელებ. თუმცა კაცის წასვლიდან სულ ცოტა ხანში ვგრძნობ, რომ ამ საქმეს შაბათამდე ვერ გადავდებ. რა-რა და ის მაინც ვიცი, რას ნიშნავს მომლოდინე გაჭირვებულებისთვის თითოეული საათი. მეორე დილასვე მივდივარ მოსკოვის პროსპექტზე და კითხვა-კითხვით ვაგნებ სასურველ სახლს. ადრე თუ ორ ან სამსართულიან საერთო საცხოვრებლებში მიწევდა მისვლა, ამჯერად რეასართულიანი კორპუსის კიბეზე ავდივარ. ადრე აქ საავიაციო ქარხნის რუსეთიდან ჩამოყვანილი მუშები ცხოვრობდნენ ალბათ. გრძელ და ჩაბნელებულ დერეფანში ხელების ცეცებით მივებოჯვებ, თან სანთებელს ვაჩხაკუნებ ორივე მხარეს ჩამსკრივებულ კარებზე ნომრების ამოსაკითხავად. ვაგნებ, ბევრს ვაკაკუნებ გაღებამდე. ერთი პირობა ყურსაც კი ვადებ კარს ხმების გასაგონად. ოთახში იმაზე უფრო საბრალობელი სურათი მხვდება, ვიდრე წარმომედგინა. სანოლის კიდეზე ახალგაზრდა ქალი ზის და ორ ახალგაღვიძებულ გოგონას აცემებს; არეულ-დარეულ ლოგინზე კი ავადმყოფი ბიჭუნა წევს და თვალებსა და ტუჩებზე რაღაც ლიმონისმაგვარი აქვს გამოსახული. დღეს არ გელოდითო, მეუბნება გელა და ამატებს, შეხედეთ, როგორ უხარია სტუმრის მოსვლაო. ვიხრები და ვკოცნი, გოგონებსაც ვეფერები, ვუბნები, ასეთი ვარდისფერი ჯემურები ჩემ შვილიშვილებსაც აქეთ-მეთქი. გალუული მოხუცი ქალი სკამს მიჩოჩებს, დაბრძანდითო. სკამის გარდა ოთახში ორი ერთმანეთს მიდგმული სანოლი, ფანერებისგან შეკრული, მომცრო კარადა და პატარა, სულ ერთი ბენო მაგიდა დგას. ფანჯრიდან თრიალეთის ქედის მოტიტვლებული ფერდობები მოჩანს. ჯიბიდან ფულს ვიღებ, იმ პანია მაგიდაზე ვდებ და უნდა წავიდე-მეთქი, ვამბობ. მასპინძელს თავს არ ვაცილებინებ, მარტო გავდივარ დერეფანში და მომდის ცრემლები. ასე, ცრემლებით მზერადაბინდული ჩავდივარ კიბეზე და თვალებს მაშინ ვინმენდ, როცა სადარბაზოდან ვდგამ ფეხს. სხვა რომ არაფერი, უკვირს ხალხს ატირებული მამაკაცის დანახვა; განრისხებული, გაჯგმულის, აცუნდრუკებულის ან აბარბაცებული — არა, ატირებულისა კი ძალიან, მეტი რომ არ შეიძლება, ისე ძალიან უკვირს...

\*\*\*

ორი დღეა უილი დიქსონს ვუსმენ, რომელიც ხან მარტო მღერის სულისშემძვრელ ბლუზებს, ხან სხვებთან — ზადი გაისტან, კოკო ტელიორთან ერთად. მის ერთ-ერთ კომპო-

ზიციას ჰქვია — „ბლუზი მე ვარ“. მუსიკოსს სწორად უნდა გაუგო, ამ ფრაზაში განდიდების მანიის გამოვლინება კი არ უნდა დაინახო, არამედ ის, რომ — რასაც მღერის, თვითონ არის, მისი ბიოგრაფია, მისი ცხოვრება. ასეთი რამის თქმა მწერლებსაც შეუძლიათ, მათ შორის ჩემნაირებსაც; რადგან ყველა ჩემი ნაწერი საკუთარი დარდისა და სიხარულის, ტანჯვისა და ბედნიერების, დაცემისა და წამოდგომის ნაყოფია. წერა ჩემთვის არც სკოლაში უსწავლებლიათ და არც უნივერსიტეტში, არც ჭკუისდამრიგებელი მყოლია ვინმე, ვისაც საკუთარ ნაცოვლარს მივუტანდი, ნავაკითხვები და რჩევას მივიღებდი — რა, როგორ გამეკეთებინა, როგორ გამეუმჯობესებინა თხრობა. ტექსტის ხორკლიანი ზედაპირის გაშალა-შინებას ჩემი შეცდომები მასწავლიდნენ და კიდევ წიგნები, ოლონდ ისეთი ავტორებისა, ვისთვისაც სიყვარული და თანადგომა გახლდათ უმთავრესი, მოსაფრთხილებელი და გადასარჩენი ღირებულებები.

\*\*\*

„ნუ მოკლავ ჯაფარას“ პირველად როდის წავიკითხე, აღარ მახსოვს, სავარაუდოდ მეშვიდე-მერვე კლასის მოსწავლე რომ ვიყავი, მაშინ. სამაგიეროდ კარგად მახსოვს ის საღამო, მე და მამამ ფილმი რომ ვნახე გორკის სახელოვან კულტურისა და დასვენების პარკის კინოთეატრში, ჩვეულებრივში კი არა, საზაფხულოში; ფილმის მსვლელობისას ზევით თუ აიხედავდი, ქერის ნაცვლად ვარსკვლავებით მოჭედულ ცას რომ დაინახავდი, ისეთში. მოსამართლე ატიკუს ფინჩის როლს გრეგორი პეკი ასრულებდა. იმავე პარკის ბიბლიოთეკაში ვიყავი განწერიანებული და ფილმის ნახვიდან ორი თუ სამი დღის შემდეგ ბიბლიოთეკარმა ბებომ დიდი ხნის ძებნის შემდეგ ლამის საზეიმოდ გადმომცა წიგნი, რომელსაც გარეკანზე ეწერა: «Харпер Ли. Убить пересмешника». რუსულად კითხვა ახალი დანყებული მქონდა და დიდი გაჭირვებით ვძლევდი ვრცელ ტექსტებს. — მაგალითად — „თხუთმეტი წლის კაპიტანს“ და „ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდს“. „ჯაფარაც“ დიდი წვალებით წავიკითხე და რა თქმა უნდა, გემო ვერ ჩავატანე. გემო ჩავატანე და თანაც როგორი, ახლანდელ ნაკითხვას — უგემრიელესი ულუფებით ვნთქავდი თავებს და სულ ერთი და იგივე აზრი მიტრიალებდა თავში — რის კერუაკი და რა პინჰონი, ჰარპერ ლი, მარკ ტვენთან და სელინჯერთან ერთად.

\*\*\*

გაზეთ „არილის“ რედაქცია ბესიკის ქუჩაზე იყო, ძველისძველი, გვარიანად შელანძლული სახლის მეორე სართულზე. რუსთაველის გამზირიდან უნდა აგეხვია, გაგველო თხუთმეტი-ოცი ნაბიჯი და შესულიყავი სადარბაზოში, სადაც კიდევ ერთი-ორი ნაბიჯი და კიბე აჰყვებოდი, ხისას, ოდნავ დაფერდებულს, ჭრაჭუნა საფეხურებიანს. მიადგებოდი კორიდორს, შეხვიდოდი, შეაღებდი პირველივე კარს მარჯვენა მხარეს და აღმოჩნდებოდი მაღალჭერიან ოთახში, სადაც დღის შუქი მომიჯნავე შუშაბანდიდან შემოდიოდა. ოთახში ე.წ. „შემოქმედებითი არეულობა“ სუფევდა, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და ხელნაწერები იყო ყველგან — თაროებზე, მაგიდებზე, ფანჯრების რაფებზე. ყველა კუთხეში იყო მიმოფანტული ნამწვავებით სავსე და ცარიელი პატარა, ლითონის საფერფლები, ხოლო რაც შეეხება ცარიელ ბოთლებს, ისინი შუშაბანდში გაემწკრივებინა ვილაცის მზრუნველ ხელს. შუშაბანდში იდგა მუშაბაგადაფარებული ხის მაგიდა, რომელსაც ხან ჩაის და ხან „სხვა რამის“ დასალევად შემოუსხდებოდნენ ხოლმე რედაქციის თანამშრომლები და მათი სტუმრები. ფულადი ერთეული — „ლარი“ ახალი შემოღებული იყო, სულ რაღაც ერთი წლის. პენსიას რომ

რვა ლარს აძლევდნენ მოხუცებს და უმწეოებს, ჰონორარი რამდენი იქნებოდა? გაზეთის ერთი გვერდი ხუთი, ორი — ათი ლარი. ტკბილი იყო ეს ფული და იშვიათი გამონაკლისების გარდა, იქვე, რედაქციაში იხარჯებოდა. აკაკი წერეთლის გამოსახულებიან კუბიურას ხელში რომ მოიდგებდი, ჩაირბენდი კიბეს, გადაჭრიდი ქვაფენილიან ქუჩას და ყოფილ „ოფიცერთა სახლის“ პირველ სართულზე მიდგმულ ჯიხურში იყიდდი კონიაკად ნოდებული ყავისფერი სითხით ავსებულ ბოთლს, რამდენიმე ფენოვან ხაჭაპურს, რომელშიც ყველის ნაცვლად მარილიანი მაკარონები იდო, ერთ კოლოფ „მაგნას“ — ჩვენი შესაძლებლობების ხალხისთვის უძვირფასეს სიგარეტს და დაბრუნდებოდი უკან. ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარი იდგა, მეოცე საუკუნე იწურებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქალაქში დიდი სიდუხჭირე სუფევდა, გვამხნევებდა და მომავლის იმედს გვისახავდა ის ამბავი, რომ ირგვლივ გვეგულებოდნენ ადამიანები, ვისთვისაც სუნთქვასავით აუცილებელი იყო წიგნების კითხვა და ლიტერატურაზე ლაპარაკი.

\*\*\*

თუკი გვსურს შეძლებისდაგვარად ზუსტად დავახასიათოთ ის ადამიანები, ვინც თავისი ქცევებითა და გამონათქვამებით კიდეც ამხიარულებენ, კიდეც აღიზიანებენ და არცთუ იშვიათად დაფიქრებისკენ უბიძგებენ საზოგადოებას, სიტყვა „ბოჰემური“ უნდა გამოვიყენოთ. სიტყვა, რომელიც ბოჰემიის, ძველი ჩეხეთის მკვიდრთ, ბოშებს უკავშირდება, მათი ცხოვრების წესს — ქვეყნიერების უსასრულო გზებზე ხეტიალს, ცეცხლოვან ცეკვებსა და სიმღერებს, მომავლის მარჩიელობას, ჭრელზე ჭრელ სამოსს, სმას, თავდავიწყებასა და დაუზოგავობას ყველაფერში ჭიქების გამოცლით და ცხენის ჭენებით დანყებულნი, სიყვარულით დამთავრებული. პირდაპირი მნიშვნელობით „ბოჰემური ცხოვრება“ ბოშათა ბანაკის წევრებით, ბოშა კაცებით ცხოვრებას ნიშნავს. ბოჰემური პერიოდი ყველას შეიძლება ჰქონდეს ცხოვრებაში, მაგრამ ერთია სმასა და შემთხვევით სასიყვარულო ურთიერთობებში გატარებული რამდენიმე წელი და მეორე — მუდმივად ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. ისიც უნდა ითქვას, ვისაც წლები კი არა, თვეები ან თუნდაც რამდენიმე კვირა ჰქონია „გიჟური“ და ამ სიგიჟის გამო ბევრ უსიამოვნებას გადაყრია, მთელ პერიოდს თუ არა, ეპიზოდებს მაინც იხსენებს ტკბილად. ბოჰემური პერსონების უმეტესობა ნონკონფორმისტია. ცოტა ვინმე თუ მახსენდება, ვისაც საბჭოთა ხელისუფლებასთან დალაგებული კი არა, ზოგადად, რაიმე სახის ურთიერთობა ჰქონდა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი გაიგივება ე.წ. „კოლორიტებთან“, რადგან ეს უკანასკნელნი სვამენ და მახვილსიტყვაობენ ანგარებით, გამორჩენის გამო; ისინი უპროფესიო, უსაქმური ხალხი არიან და მათი „გარჯა“ ძლიერია ამა ქვეყნისა გართობა, კარგ გუნებაზე დაყენება. ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის — „კოლორიტების“ უმრავლესობა რომანსებს მღერის, მაშინ, როცა ყველაზე ცნობილ ბოჰემისტებსაც კი, მიუხედავად კარგი მუსიკალური გემოვნებისა, ეს საქმე არ ეხერხებათ. ამასთანავე, არათუ უმეტესობა, არამედ თითქმის ყველა მათგანი მაღალი კლასის მსმენელია, მელომანია. „კოლორიტებთან“ ლვინის სმისას ე.წ. „ქალაქურ-სუფრულ“ სიმღერებს მოისმენ — „როდის ყოფილა ნასროლი ტყვია, რომ თოფის ლულას დაბრუნებოდეს“ მსგავსს, იმავე საქმით ბოჰემისტებთან დაკავებულს საშუალება გეძლევა ყური უგდო საფორტეპიანო მუსიკას, როგორც ჯაზურს, ისე — კლასიკურს, პიტერსონისა და ჰოროვიცის მასშტაბის პიანისტების შესრულებით. სიმღერასა და გულიდან ამოსულ ხმაზე თუ მიდგა საქმე, განა შეედრება ვინმე მადი უოტერსს ან ტომ უეიტსს? ვის მოუვა აზრად



მხატვარი ვასო იდელი (ბახიაშვილი)

გვერდიგვერდ დააყენოს გასული საუკუნის გამქრალი ტიპაჟი — ლოთბაზარა კინტო და კაცი, რომელიც ხრინწიანი ხმით, უფოკუსოდ გიყვება ბავშვობისა და მოწიფულობის, მწუხარებისა და სიხარულის ამბავს?

\*\*\*

რამდენიმე დღის წინათ გვესტუმრა ჩემი მამიდაშვილი ვალიდა. მოვიდა ხელდამშვენებული, ცელოფანის ფერადი, ნახატებიანი პარკიდან ამოალაგა ორლიტრიანი ქილით თაფლი, ნაჭრის ტოპრაკით ნიგოზი და ტილოს ხელსახოცში გახვეული ჩურჩხელები. პალტო არ გაიხადა, ისე ჩამოჯდა, მოგვიკითხა, ბავშვებს მოეფერა, გვითხრა, არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ ამდენი სიკეთისთვისო, და მამაჩემი გაიხსენა, რომელსაც სანამ შეეძლო, გვერდში ედგა ადრე დაქვრივებული ბიძაშვილის ოჯახს. ვალიდას უცხო და ძალიან ლამაზი გვარი აქვს — ღრუბელაშვილი. მასწავლებელია, ნაძალადევის ერთ-ერთ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. დედამისივით ისიც ადრე დაქვრივდა; მისი ქმარი ნიკო ნიკლაური მხატვარი იყო და აკადემიაში კითხულობდა ლექციებს. სულ არ ჰგავდა ლექტორს, გამრჯე გლეხის ხელები ჰქონდა.

\*\*\*

ენახე ფრანსუა ტრიუფოს ფილმი — „ნაზი კანი“. ბოლო დროს განსაკუთრებულ ინტერესს ვიჩენ ამ რეჟისორის მიმართ და მის ყოველ ნამუშევარს დიდი ცნობისწადილით ვუყურებ. უნდა ვთქვა, რომ თითოეულ ჯერზე ახალ-ახალ შტრიხს აღმოვაჩენ ხოლმე დრამატიზმის სისადავისა და თხრობის არაჩვეულებრივი სიმსუბუქის თვალსაზრისით. „ნაზი კანი“ პარიზელ ლიტერატორზეა, ორმოც წელს მიტანებულ კაცზე, რომელსაც ძალიან უყვარს ქალები, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს მათზე, არ იცის როგორები არიან ისინი. ნაზი კანი იმით განსხვავდება ჩვეულებრივისგან, რომ მისი დაზიანება — გაკანწრა ან გაჭრა, უფრო იოლია. ასეა ბატონ ლიამნეს შემთხვევაშიც. ქალების ხასიათის, მათი ფსიქიკის არცოდნას ტრაგიკული შედეგი მოქვს — იოლად მოწყვლადს ჯერ შეყვარებული ტოვებს, შემდეგ გაყრის მოსურნე ცოლი კლავს ხალხმრავალ კაფეში თოფით და საბედისწერო გასროლამდე სურათებს უყრის მაგიდაზე. მათზე ლიამნე და მისი საყვარელი — მომხიბლავი სტიუარდესა არიან აღბეჭდილები. ძნელი ასახსენელია, რატომ უნდა

გადააღებინო მსგავსი ფოტოები (თუმცა არაინტიმურები) ვინმეს, რატომ უნდა მიაბარო ფირები გასამულავნებლად ფოტოატელიეს და რატომ უნდა ჩატოვო ატელიეს ქვითარი პიჯაკის ჯიბეში? ამდენი „რატომ“ იმ დროს, როცა ლისა-ბონში მივლინებისას დანყებულ რომანს დიდი გულმოდგინებით მალავ და არავინ გინდა რომ შეიტყოს, უპირველეს ყოვლისა — ცოლმა. ფილმში არის ერთი დეტალი — შეყვარებულები რეიმსთან ახლოს, ერთ პატარა სოფელში გაჩერდებიან ღამის გასათევად. დილაადრიან გარეთ გამოდგამენ სინს, რომელზეც საუზმის ნარჩენებია: ჭიქებში ცოტაოდენი ყავა, თევშებზე პურისა და ნამცხვრის ნაფხვრები. პატარა, ჭრელი ფისო მიდის სინთან და პირს იტკბარუნებს იმით, რაც ხვდება; ნელა ირჯება, ფრთხილად მოძრაობს ჭიქებსა და თევშებს შორის, ცდილობს არ აახმაუროს ისინი. მიუხედავად ამისა, ლამბაქზე ფინჯანი უყირავდება, კოვზიც ხმაურით ენარცხება თევშს. თეთრინისაფრიანი მოახლე რომ წამოადგეს თავზე, აუცილებლად დასჯის. ამ ფილმის სხვა მნახველებისა რა მოგახსენოთ, ჩემთვის კი ეს ფისო ბატონი ლიაშნეა, თავისი ჭკუით, მყიფე ნივთებს შორის ფრთხილად მოსიარულე კაცი, რომელიც მოახლის რისხვას ვერ გადაურჩა.

\* \* \*

ვიყიდე ჩესტერტონის „მოთხრობები მამა ბრაუნზე“ — ქართულად. ეს წიგნი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ნავიკითხე პირველად. კრებული «Библиотека приключений»-ს სერიით იყო გამოცემული და შთამბეჭდავი გარეკანი ჰქონდა — შავსუტანიანი მღვდელი ფართოფარფლებიანი შლაპით და ყელზე მომდგარი თეთრი საყელოთი. «Рассказы об отце Брауне» ნათხოვარი გახლდათ და კითხვა ორ-სამ დღეში უნდა დამესრულებინა. სულ ასე, მოკლე ვადით მაძლევდა ხოლმე წიგნებს ჩვენი შორეული ნათესავი ბიჭი, რომელსაც ძალიან მაგარი ბიბლიოთეკა და უცნაური გვერი — მკურნალი, ჰქონდა. არც სახელი ჰქონდა ჩვეულგვარის და იმ დროს გავრცელებული. „შალიკო“ მამების და ბაბუების თაობის კაცებს ერქვათ და მათი უმეტესობა რუხი ფერის „მაკინტოშებში“ გამოწყობილი დაიარებოდა. წიგნების გარდა ამ ბიჭს გემებისა და თვითმფრინავების მოდელებიც ჰქონდა, თითოეული მათგანი საკუთარი ხელით აწყობილი. აწყობის პროცესს არაერთხელ შევსწრებივარ და მეც მიცდია პატარა, სიფრიფანა დეტალების სწორად მიწებება, მაგრამ მასავით მარჯვედ ერთხელაც არ გამომსვლია. გული კი მწყდებოდა ხოლმე ჩემი მოუხერხებლობის გამო, მაგრამ დიდად არ ვდარდიანდებოდი; ვუყურებდი, როგორ იღებდა ფიუზელაჟის ან გემბანის სახეს პლასტმასის ფირფიტების ერთობლიობა და ვგრძნობდი, რომ დაუსრულებლად შემეძლო ამ სანახაობის თვალყურის დევნება. როცა საქმის კეთება სანახაობრივად მიმზიდველი ხდება, ამბობენ, — ესა და ეს კაცი ამა და ამ საქმეს გემრიელად აკეთებსო. ძალინ მინდა, რომ მკითხველმა ჩემზე თქვას, — ეს ის მწერალი გახლავთ, ერთი შეხედვით უბრალო ამბებს გემრიელად რომ ჰყვებაო. თუ გახსენებაა, ისიც უნდა გავიხსენო, რომ მკურნალის ოჯახი დიღმის მასივში ცხოვრობდა, მეექვსე კვარტლის მეოთხე კორპუსში. მათი სამოთახიანი ბინა პირველი სადარბაზოს მეოთხე სართულზე იყო და მისი ფანჯრებიდან შეგეძლო დაგენახა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ სანვრთენელი ბაზა. უფრო სწორად, მოედანი, რომელზეც ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ. მაშინ, გასული საუკუნის სამოციან წლებში, ფეხბურთელები ყველაზე პოპულარული ადამიანები იყვნენ და რომელიმე მათგანისთვის თვალის მოკვრა ერთი კვირის სატრაბახო თემა გახლდათ, როგორც თანაკლასელებთან, ისე ეზოს ბიჭებთან.

\* \* \*

კვლავ შორეული ნათესავები მახსენდება, ოჯახი, რომელიც ქალაქის გარეუბანში, რკინიგზისპირას ცხოვრობდა. მათი სახლი მეზობლების საცხოვრებლების მსგავსად წარმოადგენდა ქონის, ფარდულის და ქვის მცირე ზომის ნაგებობის ნაზავს, რომელიც შეკონინებული იყო აგურის ნამტვრევების, ფიცრების, თუნუქისა და შიფერის ნაგლეჯებისგან. უცნაური რამ გახლავთ ბავშვობა, ექვსი და გნებავთ რვა წლის ადამიანი სრულებით ვერ აღიქვამს ყოფის უბადრუკობას, სივინროვეს ყველგან — სამზარეულოში, აივანზე, ოთახებში; ფარდების მაგივრად მარლის ნაჭრებს; საკვების ერთფეროვნებას — მხოლოდ და მხოლოდ იაფფასიანი ძეხვის, წვრილი თევზისა და მოხარშული ან შემწვარი კარტოფილის მონაცვლეობას; წყლის ონკანსა და საპირფარეოს — ეზოში; ბუზებს გვიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე და მაზუთით გაპოხილი შპალეების სუნს დღენიადაც, მუდამ. სამაგიეროდ აღიქვამს, მოსწონს და სამუდამოდ ამახსოვრდება ფიცრული ეზოში, სადაც სხვადასხვა ზომის გალიებში მოთავსებულ თუთიყუშებს და იადონებს გაუდით ყრიაშული, სახელურებზე ლურჯულასტირდახვეული დიდი ველოსიპედი, ბაბინებიანი მაგნიტოფონი „აიდასი“, საიდანაც პირველად ჩაესმის „ბითლზის“ „Let it be“, დაუანგებულ და გავერანებულ საჯაროდ გამზადებულ ვაგონებში ძრომიანი და დროდადრო „ზარის“ მოთამაშეების აღმოჩენა, შიშნარევი სიამოვნება მათი თვალთვალისას.

\* \* \*

უწინგურ ადამიანებს რომ ვუსმენ და, სამწუხაროდ, ვინ მოთვლის მერამდენედ, ასეთ პერსონებთან ხშირი ურთიერთობის გამო ძალიან დაჩლუნგებული რომ მგონია სიბრიყვის აღქმა, რომელიც ერთ დროს საკმაოდ მგრძნობიარე მქონდა, მოულოდნელად ვარკვევ, რომ მთლად ნასული არაა ჩემი საქმე; კითხვა კი არ მებადება, ყვირილი მინდება, ხმამალა თქმა ასეთი რამისა, — კარგი, ციგნების კითხვა გემძლეებათ, კინოს ყურებაც გიჭირთ?... ეგ ხომ ცაცილებით იოლი საქმეა... ნუთუ კინოთეატრებშიც არ დადიოდით ბავშვობაში მაინც, ნუთუ ტელევიზორში მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებს უყურებთ და მათაც იმიტომ, რომ ერთ-ერთ სიუჟეტში თავად უნდა გამოჩნდეთ? ნუთუ ხმა მაინც არ ჩაგესმით მეზობელ ოთახში ჩართული ტელევიზორის, ნუთუ ერთხელ მაინც არ მოხდა ისე, რომ თქვენი შინ ყოფნისას, როცა გვიან ღამით მაცივრიდან სასუსნავეები გამოგქონდათ, ოჯახის რომელიმე წევრი, სავარაუდოდ პირტიტველა მოზარდი ან ბიჭუნა, ერთ უპრეტენზიო ფილმს, სახელად „ცენტურონის“ უყურებდა; შესაძლოა არ მოხდა, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ მომხდარიყო და რუხი პურის თხელ ნაჭერზე ავსტრიული ძეხვის ასევე თხელი ნაჭრის დაფენამდე გაგეგონათ შვილის ან უმცროსი ძმის ოთახიდან გამოსული ხმა: „მამაკაცისთვის უპირველესი ღირსება და მოვალეობაა. პირუტყვზე უარესია ის, ვინც საკუთარ სიტყვას არ ასრულებს“. ეს ფრაზა ახალგაზრდა რომაელ ჯარისკაცს ეკუთვნის, რომლის მიზანიც თანამებრძოლების, მტერთან შეტაკებაში გადარჩენილი მეომრების სამშვიდობოზე გაყვანაა. ვეჭვობ, ამ სიტყვების გაგონებამ რაიმე გავლენა მოახდინოს თქვენი ცხოვრების წესზე, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ადრე თუ გვიან, ზეგ თუ არა, მაზეგ, ეს ფრაზა სრულიად მოულოდნელად ამოტივტივდება რომელიმე თქვენგანის მესხიერებაში და შეგექმნებათ ისეთი უხერხულობა, როგორიც გექმნებოდათ ბავშვობაში, დედა რომ წაგასწრებდათ დანაშაულის ჩადენისას — ბუჩქებიდან გამოლოდებულ კუს რომ უშენდით ქვევს, ანდა კატას რომ უპირებდით წყლით სავსე კასრში ჩაგდებას.

მაკა ჩარკვიანი

# ფრაგმენტები დღიურიდან

სკიდაგანოდ მჭკვრეტიყვილი...

„კინო ცხოვრება, საიდანაც მოსაწყენი ლაქებია ამოღებული“ — ამბობს ალფრედ ჰიჩკოკი.

კინო ცხოვრება და ცხოვრება — კინო, სადაც ჩვენ ვართ ჩვენი ცხოვრების რეჟისორები. მართლაც როგორ ნიჭიერად ამონტაჟებს გონება წარსულს, როგორ დაუნანებლად ქრის და აგდებს მეორეხარისხოვანს, სწორედ, აი, ამ მოსაწყენ ლაქებს, რომელზედაც ჰიჩკოკი ლაპარაკობს და როგორ სათუთად ინახავს და უფრთხილდება მთავარს, მისთვის მთავარს. ალბათ, ცხოვრებასთან ასეთი მსგავსებაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ქვეყნად ძალზე ცოტაა ისეთი ადამიანი, ვისაც არ უყვარს კინო.

\*\*\*

კინოს დაბადება ძმები ლუმიერების სახელს უკავშირდება. ლუი ჟან ლუმიერმა, რომელიც ფოტოგრაფი იყო და ფოტომასალების ფაბრიკაში მუშაობდა, 1895 წელს შექმნა მონყოილობა „მოძრავი ფოტოგრაფიების“ გადაღებისა და პროექციისათვის, რომელიც კომერციული მოხმარებისათვის იყო გამოსადეგი. აპარატს „კინემატოგრაფი“ დაერქვა, მონყოილობა ედისონის „კინეტოგრაფის“ გაუმჯობესებულ და სრულყოფილ ვარიანტს წარმოადგენდა. ამავე 1895 წელს პარიზში, „გრან-კაფეს“ სარდაფში, კაპუცინების ბულვარზე მოენყო პირველი კინოჩვენება. ძმებმა ლუმიერებმა აქ თავიანთ ფაბრიკაში გადაღებული რამდენიმე სცენის დემონსტრირება მოახდინეს. ეს ჩვენება სულ ორმოციოდე წამს გრძელდებოდა, მაგრამ სწორედ ეს წამები იქცნენ ისტორიულ წამებად და სამყაროს კინემატოგრაფის ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, სინემატოგრაფის მოსვლა აუწყეს.

მერე ისე მოხდა, როგორც ხდება ხელოვნებასა თუ მეცნიერებაში — ვილაცამ მეტი შესაძლებლობები დაინახა კინემატოგრაფში, სცენა გააფართოვა, სცენარი შექმნა, სპეცეფექტები გამოიყენა, ახალი ხრიკებით გაამდიდრა, დახვეწა ხელოვნების ეს სრულიად ახალი და მაშინ ასე უჩვეულო და ჯერ კიდევ უხმო დარგი ანუ მუხჯი კინო. ის კარგა ხანს იყო მუხჯი და ამავე დროს განუსაზღვრელად მრავლისმთქმელი და უკიდვანოდ მჭევრმეტყველი. რა გამოცვალა კინომ სამყაროში? უამრავი რამ... ჯერ მარტო რამდენი დიდი ადამიანის სახელი შეემატა კაცობრიობას, ფრიც ლანგი, კარლ თეოდორ დრიერი, ფრიდრიხ ვილჰელმ მურნაუ, დევიდ გრიფიტი, სერგეი ეიზენშტეინი, ლუის ბუნიუელი, მიხეილ კალატოზიშვილი და სხვანი და სხვანი. სად იქნებოდნენ ისინი, რა გზას იპოვიდნენ ან საერთოდ იპოვიდნენ თუ არა, რომ არ არსებულებოდა კინო? ვინ იცის, როგორი იქნებოდა ჩვენი სამყარო, ჩვენი ცნობიერება, რომ არა ჩარლი ჩაპლინი და მის მიერ შექმნილი უკვდავი სახე კეთილი, სევდიანი და ღიმილისმომგვრელი მანანალია, რომ არა მის მიერ აღმოჩენილი და მიგნებული არსი, უშუალო, უნილბო, დაუცველი და შიშველი, რომელიც ჩვენივე არსის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ყოველ ჩვენგანში ზის და მოქმედებს და რომელსაც საგულდაგულად ვფარავთ. ჰოდა, ეს დაფარული აღმოაჩინა, გამოამზეურა და საკუთარ თავშივე არსებული პატარა ადამიანი განადიდა ამ დიდმა ადამიანმა. გამოცვალა, რა თქმა უნდა, გა-

მოცვალა სამყარო, რაღაც ახალი უთხრა კაცობრიობას, ისევე როგორც მწერლობაში თავის დროზე სერვანტესმა, რომელმაც დონ კიხოტოა აღმოაჩინა და გმირის ერთ სახეში გააერთიანა ეს ზოგადი მოვლენა.

ნელ-ნელა კინოში ახალი მიმდინარეობანი გამოიკვეთა, ახალი ტერმინები დამკვიდრდა, გერმანულ კინოში — ექსპრესიონიზმი, ფრანგულში — ავანგარდი. მერე კინო ხმოვანი გახდა, კიდევ ცოტა ხანში — ფერადი. კიდევ მოგვიანებით იტალიური ნეორეალიზმი გაჩნდა და მასთან დაკავშირებული დიდებული სახელები გაისმა: რობერტო როსელინი, ლუკინო ვისკონტი, ვიტორიო დე სიკა და სხვები. ახლა ნეორეალიზმი ფედერიკო ფელინისა და მიქელანჯელო ანტონიონის მოტიანილმა ახალმა მხოფლმხედველობამ და პაზოლინის კინოს ფილოსოფიურმა ხედვამ შეცვალა, ამას, თავის მხრივ, მოჰყვა ახალი ფრანგული ტალღა და გოდარი, რომლის ფილმმაც — „უკანასკნელ ამოსუნთქვაზე“ — ახალ კინოენას ჩაუყარა საფუძველი, არსებობს ფრანგი კინოკრიტიკოსის გამოხატულებით, რომ კინოს ისტორია ორ ნაწილად იყოფა — გოდარამდე და გოდარის შემდეგ...

ჩვენ სულაც არ ვყვებით კინოს ისტორიას, უბრალოდ ცოტათი უფრო მკაფიოდ გვინდა დავინახოთ, თუ რა შეცვალა, რა ზემოქმედება იქონია კინომ ადამიანებზე და მათ ცხოვრებაზე. ძალიან მარტივია და მეტად თვალსაჩინო იმ ხილულ ზემოქმედებაზე საუბარი, რომელიც მოდას ეხება. ჩვენთან საქართველოში უფროს თაობას კარგად ახსოვს ომის შემდგომ შემოსული ფილმი „მზიანი ველის სერენადა“, რომელმაც მართლაც არნახული გავლენა იქონია იმ დროის თბილისელ გოგო-ბიჭებზე. ქალები თმის ვარცხნილობასა და ფერს, ჩაცმულობას, სტილს, მანერებს იცვლიდნენ, ნებით თუ უნებლიეთ ფილმის იმ გმირებს ემსგავსებოდნენ, რომლებმაც მათთვის მთაბეჭდილება მოახდინეს, გავლენა იქონიეს. ვინ იცის, იმ ქალურ ხრიკებსაც მიმართავდნენ, ფილმის მთავარი გმირი ასე მოხერხებულად რომ იყენებს. ქალებს არც მამაკაცები ჩამორჩებოდნენ... ასე იყო ყველგან, მთელ მსოფლიოში, სადაც კი კინოს მაცურებელი ჰყავდა — ყოფა, ურთიერთობები, ცხოვრების ნირი კინოში ისახებოდა, და პირიქით — კინოს, თავის მხრივ, ცხოვრებაში გადმოჰქონდა ცხოვრებიდანვე არეკლილი სინამდვილე.

მაგრამ ეს გარეგნული ზემოქმედება ხომ ძალზე უმნიშვნელოა, კინოს ხომ ბევრად უფრო დიდი ძალა აქვს, ისევე, როგორც შემოქმედებასა და ხელოვნებას ზოგადად, რომელიც უხილავი გზებით ცვლის ადამიანის ცნობიერებას, წმენდს მის სულს უკეთური ფიქრისა და ზრახვებისაგან, ავითარებს მის გონებას... რა თქმა უნდა, კარგ კინოზეა ლაპარაკი, თორემ „ცუდ ფილმში ითამაშო, ნიშნავს მარადისობას მიაფურთხოო“ — უთქვამს ფაინა რანევსკაიას. კარლ იუნგის აზრით კი, „კინო საშუალებას იძლევა ყოველგვარი არასასურველი შედეგების გარეშე განიცადო ალფრთოვანება, ვნება და ლტოლვა, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებლად ითრგუნება“. ჰო, კინო მართლაც ათავისუფლებს ადამიანს განუხორციელებელი და გამოუხატავი სურვილებისაგან, მაგრამ ზოგჯერ გამბედედობას და ძალასაც მატებს, რათა აიხდინოს ოცნება და განახორციელოს ის, რასაც მანამ ვერ ბედავდა...



მერე კლოდ ლელოუსი ცნობილი ფილმი „ქალი და მამაკაცი“ დაიბადა, მართლაც დაიბადა, ფილმი კი არა, თითქოს ქალი და მამაკაცი დაიბადა თავიდან, ახლებურად მოევილინა სამყაროს მათი ოდითგანვე არსებული და მუდამ ცვალებადი ხატება, ადამისა და ევას დროიდან მოყოლებული სქესთა ჭიდილის, სიყვარულისა და არც ისე მარტივი ურთიერთობის ახალი მოდელები. ასე იყო რომეოსა და ჯულიეტას, ტრისტანისა და იზოლდას, დანტესა და ბეტრიჩეს, ვერტერისა და ლოტეს და კიდევ ბევრ სხვა შემთხვევაში და ყოველი მათგანი, ასე ვთქვათ, სასიყვარულო პარადიგმასავით ახალ სატრფიალო სქემასა და მოდელს სთავაზობდა კაცობრიობას. ჩვენს ცხოვრებაში სამბა შემოვიდაო, იგონებს ფილმის მთავარი გმირი... ეს ფილმიც სამბასავით მსუბუქად, ძალდაუტანებლად შემოვიდა და ადგილი დაიკვიდრა ადამიანთა ცხოვრებაში, მათ ცნობიერებაში, შემოვიდა თავისი უკვდავი მუსიკით, სილამაზით, უბრალოებითა და, ვინ იცის, რამდენი რამ შეცვალა კაცისა და ქალის ურთიერთობაში და, შესაბამისად, სამყაროშიც...

დიდი კინო აკეთილშობილებს, სინდისს აღვიძებს ადამიანში, აქ ერთი ფრაგმენტი შეიძლება გავიხსენოთ ფელინის ცხოვრებიდან. მოგონებების წიგნში ფელინი ყვება, რომ ერთხელ რომის ცენტრალურ ქუჩაზე სეირნობისას მოტოციკლეტით ვილაცამ ჩაუქროლა, მის ცოლს ჯულიეტა მაზინას ჩანთა გამოგლიჯა და გზა განაგრძო. რა თქმა უნდა, პოლიციას შეატყობინეს, რადგან ჩანთაში ჯულიეტას გასაღები, ფული და რომელიღაც ფილმის სცენარის ნაწილი ჰქონდა. პოლიციამ ძებნა დაიწყო, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ გაზეთებშიც გაშუქდა ეს ისტორია, მეორე დღეს მთელი იტალია ამაზე ლაპარაკობდა და ამ ამბავს გადმოსცემდა. რამდენიმე დღის შემდეგ ფელინის ვილაც უცნობმა დაურეკა და ქვევით ჩასვლა სთხოვა... ქვევით პატარა ბიჭი დახვდა, პარკი გადასცა და გაიქცა. პარკში ჯულიეტას ჩანთა, ჩანთაში კი უკლებლივ ყველა ნივთი იდო და კიდევ პატარა წერილიც, სადაც მოკლედ ეწერა: „გვაპატიე, ჯელსომინა!“ ჯელსომინა ხომ ფელინის ერთ-ერთი პირველი ფილმის გმირია, რომელსაც ჯულიეტა მაზინა ბრწყინვალედ ასრულებს და მართლაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ალბათ, კომენტარსაც არ საჭიროებს, იმდენად მრავლისმეტყველია ეს ფაქტი.

თანამედროვეობაში თუ გადმოვინაცვლებთ, ისიც უნდა ითქვას, რომ მას მერე, რაც მელ გიბსონის ფილმი „ქრისტეს ვნებანი“ გამოვიდა ეკრანებზე, ბევრი დამნაშავე მიადგა სასამართლოს კარს და დანაშაული აღიარა. და ასეთი მაგალითი უამრავია.

ტომები ვერ დაიტევს, ცხოვრება არ გვეყოფა იმის გადმოსაცემად, თუ რა შეცვალა კინომ კაცობრიობისა და თითოეული ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ ხომ ნამდვილად შეცვალა და მერე როგორ... ჩარლის რომელიმე ფილმს რომ ნახავთ, მერე მისი პატარა წერილიც წაიკითხეთ, ჯერალდინას რომ სწერს, თავის შვილს, და მერე ყური უგდეთ, დააკვირდით, რა მოხდა თქვენში და თქვენს ირგვლივ, როგორ განიწმინდა და გაცისკროვნდა სამყარო, როგორ გალამაზდა ცხოვრება, როგორ მოგადგათ ცრემლი, არა, დარდი და სევდა კი არ მოგეძალათ, არამედ სიყვარული და მშვენიერება შეიგრძენით — ეს კათარსისია, ეს განწმენდა — დიდი ხელოვნების უპირველესი დანიშნულება, ეს მისტიკური რიტუალია, უხილავი ენითა და უხილავი გზებით სიკეთის მომგანი... ყური უგდეთ დიდ ადამიანებს და ნურასდროს მოიწონებთ ცუდ წიგნს, ცუდ მუსიკას, ცუდ კინოს — ნუ, ნუ მიაფურთხებთ მარადისობას...

\* \* \*

ერთ ზღვისპირა ქალაქში, პატარა მყუდრო ქუჩაზე ერთი გოგონა ცხოვრობდა, ნებიერა, სიყვარულში გაზრდილი, ნაფერები, თანაც ლამაზი... იზრდებოდა და კიდევ უფრო მშვენიერ-

ბოდა. თვალს ვერ სწყვეტდნენ ბიჭები — ყველას, უკლებლივ ყველას მოსწონდა, მაგრამ ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა... შორეული, საოცნებო და მიუნვდომელი იყო ეს ქალი... და მაინც, ისინი ყოველთვის ერთსა და იმავე კაფეში დადიოდნენ — იმ ქუჩაზე, სადაც ეს გოგონა ცხოვრობდა, და იცოდნენ, აუცილებლად შემოვილიდა, დედისთვის სიგარეტს იყიდდა ან კიდევ რაიმეს... შემოვილიდა, მაგრამ არავის შეხედავდა, არავის გაუღიებდა საპასუხოდ. როგორ არა, სხვაც ბევრი იყო ლამაზი, იქნებ მასზე ლამაზიც, მაგრამ არავინ იყო მისნაირი, მუსიკა დაჰყვებოდა თან, იდუმალების შარავანდედი მოსავდა და ამოუცნობ შუქში ჰხვევდა. ხშირად დადიოდნენ ამ კაფეში ერთი პოეტი და ერთი მუსიკოსი, ისინიც აქ დადიოდნენ და მათაც იცოდნენ — გოგონა შემოვილიდა, უეჭველად შემოვილიდა და დედისთვის სიგარეტს იყიდდა, ანდა რაიმე სხვას...

მამის თვრამეტი წლისა იყო, ახალგაზრდა, პირმშვენიერი, მუდამ გარუჯული... ლალი და თავმომწონე, მაგრამ ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ, ვერც მისკენ მიმართულ მზერას, ვერც იმას, სიჩუმე რომ დაისადგურებდა კაფეში მისი შესვლისთანავე და მხოლოდ მრავლისმეტყველი „ოჰ“ ამოჰყვებოდა სიღრმიდან ამოსუნთქულ სევდანარევი აღფრთოვანებას, ან ნისლივით რომ ჩამოწვებოდა გავსებულ ოთახში მასზე ფიქრი და ოცნება... თუმცა, ვინ იცის, იქნებ ამჩნევდა კიდევ...

მერე გამოჩნდა ვილაც, ვინც სხვა თვალთ შეხედა — ალბათ, უფრო მინიერით. ასე იყო თუ ისე, გოგონა ბედს ენია, შვილები გააჩინა, გაზარდა, სიყვარული არ მოაკლო, იცხოვრა, იშრომა, ტკივილიც ბევრი ნახა, სიხარულიც, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, ყოველ შემთხვევაში, ისეთი არაფერი შეუქმნია საკუთარი არსებობა რომ უკვდავეყო... და მაინც... მაინც შემორჩა ისტორიას ელოიზა პინჰეიროს სახელი, რადგან არსებობს რიო-დე-ჟანეიროში ერთი ალაგი, სახელად — იპანემა, და მყუდრო ქუჩაზე მდებარე კაფე „ველოსო“, სადაც ერთი პოეტი — ვინისიუს დე მორაისი და მუსიკოსი — ანტონიო კარლოს ჟობიმი დაიარებოდნენ და იცოდნენ, შემოვილიდა, უეჭველად შემოვილიდა გარუჯული იპანემელი გოგონა...

## საქვლიანი ინტერპრეტაცია

ჩეტ ბეიკერი... ის არც თავისთვის მღერის, არც სხვისთვის, მსმენელი სულ არ სჭირდება, უცნაურია, მაგრამ თითქოს ხმაც არ სჭირდება, მდუმარედ ქმნის ჰარმონიას... უსმენ და გგონია — აი, ახლა ჩაიფერფლება, ველარ გაატანს, ხმას ვერ მიანვდენს ბგერას, რომლისკენაც უჭირავს გეზი, მაგრამ ტყუვდები — აგრძელებს და გისრუტავს თუ შენი ნებით გითრევს მუსიკის სევდიან მორევში...

არადა, რა ნაცნობია ყველა მელოდია, როგორ დაუძაბავად და ბუნებრივად სწვდება სმენას მრავალჯერ, სხვადასხვა შესრულებით ისევ და ისევ აჟღერებული ძველი მოტივები... „My one and only love“, „My funny valentine“, „Time after time“, და ასე უსასრულოდ... თითქოს აქამდე ამ სხვა ვერსიებსაც ეთანხმებოდი, გაინტერესებდა, როგორ ასრულებდნენ ელა ფიცჯერალდი, სარა ვონი და სხვა ვირტუოზები... უსმენდი და, რა თქმა უნდა, ბრწყინვალედ ასრულებდნენ, შეუფასებელია მათი ღვაწლი, ყოვლისმომცველია მათი ნიჭი, მიუნვდომელია მათი აღმაფრენა... მაგრამ მერე, ჩეტ ბეიკერს როცა უბრუნდები, თითქოს დანარჩენი ყველა ინტერპრეტაცია ფასს კარგავს... კარგავს არა იმიტომ, რომ რომელიმე სჯობია ან პირიქით, არამედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად შიშველი და განცდილია, მტკივნეულადაა განცდილი.

„I get along without you very well“ — მღერის როზმარი კლუნი და მუსიკას ატანს უმძიმეს განცდებს, სიმღერით

იამებს წუხილს... ქალურად არ ტყდება ტკივილის ვერგაძლე-  
ბაში და ბოლომდე ამაყად გაიბობბს, როგორ შეეგუა, როგორ  
მშვენივრად შეეგუა ცხოვრებას უშენოდ... უკან მისასვლელ  
გზასაც კი გიტოვებს, ისევ თავისთან გეძახის, გიტყუებს,  
ისევ გეარშიყება... აქ კი — ჩეტ ბეიკერთან — სულ სხვაგვარადაა  
საქმე, არც ვიცი, როგორ... ბოლომდე დამთავრდა რა-  
ღაც, ამოიწურა თითქოს...

სევდიანია მისი ინტერპრეტაცია, ტკივილამდე სევდიანი  
და წარმოუდგენლად განცდილი...

\* \* \*

ნელა, ტაატი შემიძლია სიარული, რბილი, მაგრამ მოქ-  
ნილი სხეული მაქვს, უფრო სწორად რბილი და მოქნილი, უც-  
ნაური აღნაგობა. სიცხე მაინცდამაინც არ მიყვარს, ნანვი-  
მარზე გამოვდივარ ხოლმე სასაბურთალოს, წვიმის სუნი მაცოცხ-  
ლებს და მკვებავს, ნოტიო ჰაერი უნის და იმედს მმატებს...  
დავებტები და მხრებით დამაქვს ის სიმძიმე, წილად რომ  
მხვდა. ჩემზე ამბობენ, როგორი დაცულიაო, თავს შეაფარებს  
ამ თავის ტვირთს და არის არხეინადო. როგორ ცდებიან... ნე-  
ტავ შემეძლოს ამ თავშესაფრის გარეშე ცხოვრება. მივეკრო-  
ბი ხოლმე რაიმე ადგილს, მივეჩვევი და იქიდან წამოსვლა მე-  
ზარება, არ მიყვარს ადგილის ცვლა. საცეცები მაქვს კარგად  
განვითარებული, მეექვსე გრძნობაც. მიყვარს ყვავილები და  
მწვანე ფოთლები, ბუნება მიყვარს საერთოდ, ხის ქერქის  
სუნზე გონება მეზინდება. როგორია ჩემი ცხოვრება, მისარია  
სიცოცხლე? არც ვიცი... ზოგჯერ კი, ზოგჯერ არა. ერთი პა-  
ტარა ლოკოკინა ვარ, ღვთის მიერ გაჩენილი...

### კითხვა-პასუხი

როგორ ხარო, მეკითხები?

ცოტა დავიღალე საკუთარი თავით, ასეთი გაფაციცებუ-  
ლი სიფხიზლით. ვიცი, ეს რომ იმ გამოღვიძებულ და გაბრ-  
წყინებულ ბრძენკაცს ვუთხრა, ვისითაც ყურები გამოგიჭედე  
და ვისითაც ახლა ასე ვარ გატაცებული, მეტყვის, ჯერ კიდევ  
ვერ გათავისუფლებულხარ, ეგოს ტყვეობაში იმყოფებიო. კი,  
ვიცი, მაგრამ, აჰა, ესაა, რაც შემიძლია-მეთქი, ვუპასუხებ.

რატომღაც ჩემი საყვარელი ფსალმუნი მომაგონდა, „და  
სასუმელმან შენმან დამართო, ვითარცა ურწყულმან“... რო-  
გორც ჩანს, ჯერ არ ვარ ამ ღვთიური „სასუმელით“ ჯეროვ-  
ნად მთვრალი.

რა განუხებსო, მეკითხები...

ისეთი არაფერი, მაგრამ ვერ გავიგე, როგორ უნდა  
იცხოვროს ადამიანი. კი, სიკეთე უნდა თესოს ისე, რომ მარ-  
ჯვენამ არ იცოდეს, რას აკეთებს მარცხენა, და არც მარცხე-  
ნამ უნდა იცოდეს რაიმე მარჯვენას შესახებ... მაგრამ რისთ-  
ვის? იმისთვის, რომ სამოთხე დაიმსახუროს? მაგრამ ესეც  
ხომ ანგარებაა? ანდა რაღა სამოთხეა ის სამოთხე, თუკი იქ  
შენი საყვარელი ადამიანები ვერ მოხვდებიან? აჰა, აქ ვარ და,  
ვთქვათ, ძალიან ბედნიერი ვარ, უნდა ვიყო, წესით, მაგრამ  
სხვები არიან ცუდად და ეს მანუხებს, ზოგჯერ — მტანჯავს.  
არა, არა, მგონი ყველაფერი სხვანაირადაა და კაცობრიობამ  
ჯერ ვერაფერი გაიგო ღვთიური ჩანაფიქრის შესახებ.

### როგორ დანსვენაო, მეკითხები...

უკან, ზღვის უკან, სადაც მზე ჩადიოდა, ღრუბლები იყო,  
მაგრამ მზეს არ ეფარებოდა. ეს ღრუბლები ზღვის ფერი იყო  
და ისე ერწყმოდა ზღვას, რომ მის გაგრძელებას ჰგავდა, ამი-  
ტომ, გეგონებოდა, მზე შუა ზღვაში ჩადიოდა. კიდევ რა

გითხრა, მზე რა ფერი იყო? რა ვიცი, ვერაფერს ვიტყვი... ალ-  
ბათ, ჩამავალი მზის ფერი... საოცარი დღე იყო... როცა დაბ-  
ნელდა, აქეთ, მოპირდაპირე მხარეს მთვარე დავინახე, ძალი-  
ან დიდი, სავსე და ყვითელი, ბებერ მთვარეს რომ ეძახიან. ნე-  
ტავ სიბერე მართლა ასეთი ლამაზი იყოს, როგორც იმ დღეს  
ის მთვარე... ხეებში ილანდებოდა და ხის ვარჯები მის ფონზე  
იკვეთებოდა, თითქოს ზედ მიეხატა ვილაცას... საოცარი,  
მართლაც საოცარი დღე იყო... მეორე დილას კი მოიღრუბლა  
და წვიმა წამოვიდა... ზღვა კი, ასეთი სუფთა და ასეთი მშვი-  
დი, არასდროს მინახავს... მეძახდა, რა თქმა უნდა, შევედი,  
არნახული ნეტარება ვიგრძენი, წყლის ზედაპირზე გულაღმა  
ვინეკი და ზედ მანვიმდა... რაღაცას ხმამაღლა ვამბობდი და  
ზღვიდან ჩემივე ხმა მიბრუნდებოდა... არ მახსოვს, რაზე  
ვლაპარაკობდი, მგონი მადლობას ვუხდიდი არსებობისთ-  
ვის... ისიც იმავსე მპასუხობდა... აი, ეს სამი შთაბეჭდილება  
გამომყვა... ხო, კიდევ, იმ დღეს თუ წინა დღეს დელფინებმა  
ჩამოიარეს, ოჰ, როგორ მინდოდა ერთი მაინც მოსულიყო და  
ჩამხუტებოდა... მაგრამ მგონი ძალიან ბევრი მოვიწოდე,  
არა? არც ის უზარმაზარი მოძრავი ღრუბლები დამავიწყდე-  
ბა ოდესმე, უკვე ჩასული მზის მერე რომ გაჩნდნენ ჰორიზონ-  
ტზე, თითქოს წმინდა გიორგი იყო ცხენზე ამხედრებული,  
ოლონდ მახვილი არ ეჭირა და არც გველეშაპი იყო სადმე, ასე  
რომ, არავინ მოუკლავს.

კიდევ რა მოგიყვე, ახლა მე გკითხავ, მართლა ასე გიყვარ-  
ვარ, როგორც მეუბნები? ასე უანგაროდ და უსასყიდლოდ?  
ასე მარადიულად? — კი, ასეო, შენ მპასუხობ.

მიხარია... ისევ ჩემი საყვარელი ფსალმუნი გამახსენდა  
„ვიდოდითა თუ შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემე-  
შინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემთანა ხარ“... ისე, რა  
კარგი იქნებოდა, იმ დღეს ერთი დელფინი მაინც მოსუ-  
ლიყო ჩემთან ახლოს, ისე ახლოს, რომ ხელი შემეხო და მოვ-  
ფერებოდი... ჰმ, რა გაუმაძღარია ადამიანი, არა?

### მისტიკური სქემები

მე დავდივარ, შენ დადიხარ, ის დადის, ჩვენ ყველანი დავ-  
დივართ, რაღაც მიმართულებას ვირჩევთ და ნახაზებს ვტო-  
ვებთ მინაზე, ნახაზებს, რომლებსაც თვალთ ვერ აღიქვამს.  
არასდროს გვიფიქრია თუ რა ფორმა აქვს ჩვენს მიერ დატო-  
ვებულ გრაფიკულ სურათს, არ გვიზრუნია მის სილამაზეზე,  
მის სინატიფეზე, საერთოდ არ გვახსოვს ის, როგორც ფაქტი.  
არადა, ვინ იცის, რას ვხატავთ ჩვენი გადაადგილებით — იქ-  
ნებ რაღაც დაუკავშირებელ აბდაუბდას ან იქნებ მრავალმ-  
ნიშვნელოვან იეროგლიფებს. რა შედეგებს ვქმნით ჩვენი  
არაცნობიერი ნაბიჯებით, იქნებ საკუთარ ბედს ვქსოვთ  
ზურგს უკან დატოვებული უხილავი ძაფებით. ეგებ არსე-  
ბობს ან შესაძლოა არსებულიყო ნათელმხილველი, რომე-  
ლიც ადამიანის ნავალი გზების მიხედვით დაინახავდა მის  
წარსულსა და მომავალსაც... არავინ იცის, რა საიდუმლოე-  
ბას ინახავს ეს უხილავი მისტიკური სქემები და ამავე დროს  
ყველაზე მატერიალური მონახაზები — ყველაზე უტყუარი  
დასტური სამყაროში ჩემი არსებობისა.

მე დავდივარ, შენც დადიხარ და ვინ მოთვლის, ალბათ,  
რამდენჯერ გადაკვეთილა ჩვენი გზები და რამდენი ასეთი  
გადაკვეთის წერტილი გაჩენილა ამ ციურ ტილოზე, დედამი-  
წა რომ ჰქვია. არც ვიცი, ვინ ხარ, ჩემი გზების მკვეთელი,  
სივრცეში რამდენჯერ შეხვედრილო და დროში მერამდენედ  
აცდენილო მეგობარო? ეგებ დრომაც მოიცალოს ჩვენთვის  
და ოდესმე შეგვახვედროს ერთმანეთს ან — იქნებ არც. აი,  
ახლაც დადიხარ და არც იცი, რა კვალს ტოვებ — ლამაზად  
იარე... ვინძლო ამ გზამ ერთხელაც ჩემი სახლის კარამდეც  
მოგიყვანოს...



ვანო ჩხიკვაძე

ნიმნიდან „2013“

\* \* \*

საძნე, მოჭრიალე ურმებს,  
თივის ადევნებულ სურნელს,  
ისეც ორი ციდა გახდი —  
რატომ უნდა გთმობდე, სულ მე...

რატომ, მიპასუხე, რატომ,  
გულო, გახლეჩილო ორად.  
მკერდი, სალოცავო ხატო,  
ჯავრით გადამწვარი ბოლავს.

შენ სულ სხვანაირად მათრობ,  
ძუძუ რომ მანოვე, გმადლობ!

ისევე შევასკდები ფიქალს,  
შენთვის სიცოცხლეც რომ დავთმო,  
აქაც, დაიხსომე,  
იქაც,  
ჩემი ტკივილი ხარ, ქართლო!

\* \* \*

მათი ბუნება უსულგულო და ხარბია,  
ჩემი და შენი ცხოვრება ამოიცოხნეს.  
მთავარსარდლები  
ბრძოლის ველიდან გარბიან —  
რა ენაღვლებათ ჯარისკაცების სიცოცხლე.

უფსკრულისაკენ ფარას რომ მიერეკება,  
თვითონ რა უჭირს, ეს ომი ჩვენი ომია,  
ვაი, ამ ბელადს —  
ჭკუამხიარულ ერკემალს  
ჭირის ტრაპეზი ლხინის სუფრა რომ ჰგონია.

გავშვობის ფილი

უნიავებს ნიავი  
შუალამის სარეცელს —  
ცაზე, ცისკრის ვარსკვლავზე,  
მშობიარე მთვარე ნეფს.

ჩვენმა უიმედობამ  
დიდი ნიგნი დახურა,  
ცხენზე ამხედრებული  
მოიჩქარის გლახუნა.

როგორც იქნა უფალმა  
ჩვენი ხსნის გზა გვარჩენა —  
ემურება მხედარი  
ბახტრიონის საშველად.

ხეს აკრული ცახცახებს  
ხვიარა და ფათალო —  
მაღე შენც გეტირება  
გაჩენის დღე, თათარო.

კოშკზე ცეცხლი ინათებს  
და ხერხემალს გაღუნავს,

მტერს დაჰყვილებს, დაღუნავს,  
იმერელი გლახუნა.

მიიმღერის, საგმიროს —  
თუ არა ხარ ნაღდიო,  
ვერ გადააფრინდები  
ალმოდეზულ ბახტრიონს.

ხეზე აცახცახდება  
ხვიარა და ფათალო —  
მაღე შენც გეტირება  
გაჩენის დღე თათარო.

\* \* \*

თავს რატომ ილლი ჩიტო-ჩიორავ,  
შენსავით დღემდე ბევრი ჩიოდა,  
აბა, გახაფხულს როგორ მოიყვან,  
ნავის მქექავო, ცხოვრობ იოლად.

რა საბრალოა შენი ნიოკი,  
დამშვენებული ხარბი ჩიჩახვით,  
ვითომ სხვებისთვის იგლეჯ იოგებს,  
სინამდვილეში — მშია, იძახი.

ღვთის გულისათვის,  
იქნებ გარუმდე,  
შენს მუცლისგვრემას ქვეყანა ხვდება —  
ტოტზე კვირტმა რომ გაიფაჩუნოს,  
მერცხლის გალობის მაღლი სჭირდება.

\* \* \*

ვიდრე თეთრი ყვავი  
ლხინის სუფრას თამადაობს,  
არ მოდუნდე,  
თავი  
სასთუმალზე არ დადო.

წუთისოფლის მგზავრი  
გვიან მივხვდი — მღალატობ —  
ვილა გაგაგზავნის  
„საიდუმლო ბარათო“.

რა ვქნა საყვარელო,  
გული შენთვის ავადობს.  
გამოფხიზლდი,  
თავი  
სასთუმალზე არ დადო.

\* \* \*

არ შეიძლება,  
არ შეიძლება,  
საქართველოში ზარები დუმდნენ.  
არ შეიძლება ვიდგე იმათთან  
წმინდა გრძნობები ვინც გამიქურდეს.

ღრეობს პატრონად მომჯდარი ბანდა,  
შენს გაჭირვებას შორიდან უმზერს.  
ნავალ ყანთან,  
მე უნდა დავდო,  
სანყალი თავი, ჯალათის კუნძზე.

ვანო ჩხიკვაძე ერთნაირი წარმატებით მუშაობს როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. სხვათა შორის, დრამატურგიასა და ესეისტიკაშიც. ეს ნიშნავს, რომ აქვს სათქმელი, ფორმა, პრინციპი და საკმაო მიზეზი იმისათვის, რათა ჰქონდეს სისავესის განცდა. თუმცა სადაც არის სისავესი, იქვე არის გრძნობა მისი დაკარგვისა. ეს შემოქმედებითი ბუნების თვისებაა. სხვანაირად ამას პასუხისმგებლობას უწოდებენ, შემოქმედებით პასუხისმგებლობას, რომელიც ერთდროულად გულისხმობს უარისა და თანხმობის იმპულსების შეთავსებას, შეერთებას, შერწყმას. გინდა-არ გინდა დაისმის კითხვა: ერთი უანრიდან მეორეში გადასვლა უკანდახვევა თუ წინსვლა? თუ არც ერთია და არც მეორე, მაშინ არის შესაძლებელი ტერენტისა არ იყოს, არც უკან დახვევა, არც წინსვლა, არამედ რაღაც სხვა... ალბათ თავისუფლება. თავისუფლება დიალექტიკური მოვლენაა. განსაკუთრებით იქ, სადაც ტალანტია, რომელსაც სჩვევია ფორმებისა და საშუალებების თავისუფალი გამოყენება. კაცმა რომ თქვას, რატომაც არა, თუ სხვაგვარ ენაზე გინდა ლაპარაკი, ვინ გიშლის, ილაპარაკე, ოღონდ შედეგი ჩანდეს, მკითხველი ხედავდეს, თუ რატომ ცვლის ლირიკული „მე“ პროზაულ „ჩვენ“-ს, რატომ გადაერთვება გონების ანალიტიკური მდგომარეობა სულის ელეგიურ მდგომარეობაზე. ვანო ჩხიკვაძის უანრულ სინქრონიას აქვს მიზეზი. ეს არის ტკივილი, რომელსაც მშობლიური მიწის ტრაგიკული ბედი განაცდევინებს. სათქმელი ბევრია, უსასრულოდ ბევრი. საგნები და მოვლენები აჩრდილებივით რიალებენ თვალწინ: გულგაგლეჯილი ქართლი, ბრძოლის ველიდან გაქცეული მეთაურები, ჭკუამხიარული ბელადები, ცირკადქცეული ქვეყანა, შიში, სირცხვილი, სიბნელე. ზნეობრივ-მორალური დეკადანსი, შემოქმედებითი სულის დაცემა, კულტურის კვდომა. როგორ გინდა ქვეცნობიერიდან ამოიტანო ის, რასაც ფიქრობ, რასაც გრძნობ, რასაც განიცდი. ცხოვრება თვითონ ვთავაზობს გზასა და საშუალებას, ყოფიერების ლოგიკა თავად აყალიბებს ფორმულებს: იდეები ლექსებში, სიუჟეტები მოთხრობებში. თუმცა სადემარკაციო ხაზი არც აქ არის გავლებული, შეუძლებელია არ გაჩნდეს პროზის პოეტოზმები და ლექსის პროზაიზმები. ესეც ბუნებრივია. ეს ხომ ერთი სტილია, ერთი ავტორი, ერთი ადამიანი, ერთადერთი, ვანო ჩხიკვაძე — ყოველთვის სანიტერესო, ყოველთვის საკითხავი.

## ტრიპტიქი

### 1. მონოლოგი

დღეს მე თეატრის დაკრძალვაზე მოველ, ბატონო!  
ურეჟისორო და უავეტორო,  
ბოლო სპექტაკლი.  
შავი ფარდა.  
ფუგები. ბახი.  
ჭირისუფლები მწუხარე სახით.

ავანსცენიდან, საბოლოოდ თავს გვიკრავს, გადის.  
მამის აჩრდილთან მგლოვიარე ჰამლეტის ლანდი.

სარკეს აცმევენ მიტკალის პერანგს,  
სიტყვას ვინ ამბობს? —  
პუბლიკა ღელავს.

ვინც კარგად იცის ღალატის ფასი,  
სად არის დასი?  
მივუსამიძირო უნდა კაცებს,  
ქალებს ვემთხვიო,  
ვინც ერთგულად ზრდის  
ერთმანეთის ზიზლის ემბრიონს.

განუზომელი არის მათი დამსახურება,  
ბოლოს და ბოლოს რომ ჩაძაღდა ეს ბებრუხუნა.  
რამდენი წელი ისავსავა, ჭორის ხურვებით  
დასკდნენ სვეტები, დაიშალა, როგორც ხუხულა.

ო, ეს ბებერი მუცლით მეზღაპრე,  
პირში მთქმელი და ძველი ამრევი,  
მაშინაც გვერდით გვედგა, როდესაც  
შემოგვიჭირეს მჭიდროდ ქამრები.

ვერ აშინებდა რისხვა მეფეთა —  
კარგია, კარი სამუდამოდ გამოეკეტა.

ტრადიციული „ბუნტარები“ დამსხდარან გუნდად,  
ჭილყავებივით ბრჭყალებსა და  
ნისკარტს ღელავენ.  
თუმც ცრემლის ღვრაში ჩაათავეს აქტი მესამე,  
ცხადზე ცხადია, ერთმანეთის გაძიძგნა უნდათ.

დაერეოდნენ, ჩვენ რომ არა, ერთუროს ახლავე  
(იცოდნენ მაინც, რომ საკუთარ თავსა მარხავენ!)  
ამ ჩვენს უბადრუკ, გამყიდველ დროში,  
ბევრმა ღირსება გაცვალა რკოში.

სულით ბოგანომ და მანანალამ,  
თითო ქვა ყველამ გამოაცალა.

ვიდრე ნანგრევებს დაიტირებს შავი ყორანი,  
დაჩნდება ცაზე მთვარე,  
უფლის ნამბორალი.

არის პროგნოზი, ელიან აედარს,  
ააშრილებს სუფლიორი როლები და ვთარს —  
ბებერი „პრიმა“ მიცვალებულს  
დაუნთებს სანთელს,  
კაბის ბოლჩაში უკანალი დაუნყებს თანთალს.  
არ ვცნობდე მაინც, ყოფილ „ფერიას“,  
კიდევ შემომრჩნენ, ვინც დამიმონმებს,

რომ კარგად მახსოვს მისი სინორჩე —  
ეს ცომი ბევრჯერ მომიზელია...

მიცვალებულზე კარგს ამბობენ,  
ანდა არაფერს,  
ამ საცოდავს კი წყევლა-კრულვა  
თან გააყოლებს,  
თეატრს ვინ ჩივის, თავმომწონე  
ჩვენი ქალაქი,  
კარგა ხანია, საბალახოდ  
დარჩა საქონელს.

თეატრის ნაცვლად —  
„სწრაფი კვება“,  
მარკეტი,  
კაფე,  
დიდება მუცელს —  
ლანჩი...  
ლანჩი...  
დადექი, ქაფე!

შეფშზარეულის მოუხდება  
ოტელოს  
ჩაჩი,  
ოფიციალის ლანგარი — ჰამლეტს...  
და როგორც იყო,  
გადაიქცევა კვლავ სავლედ პავლე,  
მონოლოგების მოსაგონარს  
ცრემლებით დავლევთ.

რაც არის ვხედავთ,  
რაც იქნება ისიც ცხადია,  
მზიან ამინდშიც როგორ ბნელა,  
რა წყვილია,  
ფეხი აუდგამთ —  
საკიდრები ძველი სამოსით,  
სარეკვიზიტო სანყობიდან  
უხმოდ გადიან...

ერთი ფასი აქვს,  
ახლა უკვე, მეფის მანტიას,  
კეისრის ტოგას, აზდაკის ჯვალოს,  
მხოლოდ სანთელი — კითხვა ანთია:  
— რატომ, ძვირფასო?  
— რისთვის, უფალო?..

დღეს მე თეატრის დაკრძალვაზე  
მოველ, ბატონო!

### 2. ნაპრქალი

წვეულებაზე შემთხვევით მოვხვდი,  
ათიათასი ბოდიშის მოხდით —  
კმაყოფილი ვარ მე ჩემი იღბლის,  
რომ მომიწვიეთ,  
ამიტომაც თავს მდაბლად გიხრით.

კაცი კი არა, ტკივილთა სკივრი,  
ცირკის მანეჟზე როდემდე ივლის.  
როცა დარბაზი დგას და ტორტმანებს,  
ითხოვს უაზრო სალტო-მორტალეს,  
ღრიალებს ჯოგი, ბრძანებს ფანტომი,



რომ სასიკვდილო ჩემი ნახტომით,  
ხორციტ მდიდარს და სულით ბოგანოს,  
გული მოგფხანო,  
დუფი მოვბანო.

აკი გითხარით, სკივრი ვარ-მეთქი,  
გნებავთ ქვევრი და გნებავთ კამოდი.  
ახადეთ, ნახეთ, ეს ტკივილები  
თქვენს გულეშიც ხომ  
ტყვიასავით გადი-გამოდის!

მოგონებების ტოტს თუ დავარხევ  
სიხარულით ვერ დაგიტკობთ სმენას,  
ვერ მოგანატრებთ ჩიტების სტვენას,  
ბუნების წიაღს და მობალახე  
თავისუფალი ჯოგების მოდგმას,  
ვინც ჯერ არ იცის რაა მარულა,  
ვინც არ გახედნა ჟოკეიმ — ლოთმა,  
ვინც ცირკის შხამით არ მონამლულა.

კარებს უღებენ ყველა მანიაკს,  
თუ გაუყურდით როზგს მანანალის,  
ნახავთ, როგორი ასატანია  
ლოკოკინა რომ სირბილს გასწავლის.

ჩემი სიცოცხლე ნაკრძალია,  
უნდა მიცავდე,  
მაგრამ რას იზამ,  
როცა ირგვლივ მტრების ღობე დგას.  
მხოლოდ მან იცის, რა ფასი აქვს მანძილს მინამდე,  
მანეჟს ქერამდე ატყორცნილმა ვინც გადმოხედა.  
ჩემი სიცოცხლე ნაკრძალია,  
მაღე დარეკავს,  
აქაც სისხლიან ნადირობის სეზონის ზარი,  
შერვუდის ტყეში გაახურებს საყვირს მარეკი  
და გამაგიჟებს ფლოქვით მოხსულ მიწის ზანზარი.

იქუხებს თოფი,  
ხარირემის ძარღვებს დახეთქავს,  
ძახელის ტოტზე დამნიფდება  
სისხლის კუნწულა.  
არ ემუქრება ტყვია მხოლოდ ძალს და სახედარს  
და არც ანალვლებთ  
მსხვერპლი ვინ სად წააძუნძულა.

რაც მთავარია ჟინი არ აკლიათ,  
ხოცავენ —  
დალევის საბაბი აქვთ.  
გამრავლებასაც არ აცლიან,  
რაცა აქვთ, ყველაფერი ნაძარცვია.

ჩვენ რომ გვეგონა, მოხდებოდა რალაც პირიქით,  
კვდება თევზი და ღვება ქვირითი.

ლემით გატიკნული ყეფენ ნაგაზები,  
ნაკლულ და ცალყურა მთვარეს აბრაზებენ.  
ქალაქში ახალი ცირკი ჩამოვიდა —  
ახლებმა შეცვალეს ძველი ჯამბაზები.

ხომ გავიმარჯვებთ — ბრუნავს ბორბალი —  
ახალი ცირკი, ძველი პროგრამით.  
კმაყოფილია ბებერი ქოსა,  
ვინც სირაქლემას შემოგვძღვნა პოზა.

ბოლოს რომ ყველა ცოდვა ავკიდოთ,  
ქვეყნის სახსნელად მოდის შაპიტო.

ძველი პროგრამით,  
ახალი „ბირკით“,  
ცხოვრება მაინც თავის გზით მივრბის.

მაგრამ დღეს უფრო გამწარდა შოლტი,  
ცრემლებისთვის ხომ სულ ცოტაც გყოფნის.  
და უნაყოფო ნახერხში წვეთავს  
ადუღებული სისხლი და ოფლი.

ვიდრე ორკესტრის ბოლო აკორდზე  
ეჯიბრებიან ვინ ვის აჯობებს —  
გაროზგეს ლომი,  
ვეფხვი დაკოდეს,  
შავი ულაყი წამოაჩოქეს.

ის რაც უკულმაა, ამბობენ, წაღმა დევს,  
შიშის ეშაფოტი მანეჟზეც აღმართეს.  
ვილაცას აღმოაჩნდა ბიოდენი,  
საქმე გაიჩინა, გააკრა აბრა,  
ხერხემაღზე და ხერხემაღს დაბლა,  
თითებით ჭიანჭველას ნახირს მიმოდენის.

მე რა მეშველება, მე ხომ ნაკრძალი ვარ —  
ლამის ყოველდღე ვბრუნდები დაკრძალვიდან.  
სიცოცხლეში არა,  
ჩვენს სიკვდილშია,  
ოქრო ჩადებული,  
ფული გადახდილი,  
რალას ველოდებით? —  
მკაცრი საუკუნე  
ჩამოდგა, როგორც შავი ბალდახინი.

გააქვთ გრიალი სიცრუის ფანფარებს,  
ყოფილი ჯამბაზები თვალს მოაფარეს.

ალარ გამოჩნდი ცოდვის ნაპირო,  
ასეთი ნგრევა,  
შენ თუ გახსოვს  
მხოლოდ,  
ბაბილონ!

უარესს რომ ცვლის უარესი,  
როგორც წესია,  
აბა, როგორ ვთქვა,  
ეს ყასაბი უკეთესია.

ზურგზე შოლტი რომ გაიტკაცუნებს  
რა უხარიათ ამ პატარა, ცვედან კაცუნებს.  
წყეული ლეთე ველარ გავცურე,  
ღმერთო, მოჰკითხე,  
გაჩენის დღე ვინც შეგვაძულეს.  
მეჩჩეზე შეჯდა ცირკის შალანდა,  
ცოდვის ნახდა ქვეყანა, გაგვიშარავდა.

ჰოი, ბუცეფალ, იღბალს ენება,  
სიკვდილის მერეც ძალის ბედი გაქვს,  
მაკედონელის უკანალი რომ არ გეზიდა  
მითხარ აბა დღეს, ვინ გახსენებდა,

ერთი ჩემსავით, ლოთბაზარა, ბლენძი გეთრია,  
ანდა არ გეთქვა შავზე თეთრია.

ვცხოვრობთ სხვადასხვა ხვედრის იმედად,  
მეც ჩემებურად ვებრძვი დინებას.  
შენ თუკი ხათრით ძეგლი დაგიდგეს,  
დაუდგან ძეგლი ჩემს მოთმინებას.

ჰოი, ბუცეფალ!  
თუ დამცალდა, მოვინანიებ,  
ერთხელ ნათქვამი რომ ვერ გადავტევი.  
როგორც ნებავდათ ხორცი ქამეს  
სისხლი დალიეს,  
ძალის დასაღრღნელ ძვლებსაც ვიცი,  
ქვიშა გადათვლის.

აკი გითხარი?  
ბრუნავს ბორბალი —  
ახალი ცირკი,  
ძველი პროგრამით.  
ჩემი ნახტომი შეყინვია კედლის აფიშას,  
მოგლეჯავს ქარი და საცირკეთს თავზე დაახევს...  
მორჩა, სხეულის დილეგიდან უნდათ გამიშვან,  
ასე, რამდენი თავის ქალა სარზე გაახმეს...

ჩამოდგა საუკუნე,  
როგორც ბალდახინი,  
ჩვენს სიკვდილშია  
ფული გადახდილი!

### 3. გალერა

არა, ეს ლექსი ვერ მოგანატრებთ  
ბუხარს, სითბოს და ფაფუკ სავარძელს.

ვერც ვარდის ფურცელს ლუვრის ბაღიდან,  
შეცდენილი რომ ცრემლს დააღვრიდა.

არა,  
ეს ლექსი ვერ მოგანატრებთ  
ჩანჩალა სანჩოს და გმირ ლამანჩელს.  
ფაშატს მათრახის წვერს თუ ვაკადრებთ,  
ეგებ ამ თავსხმა წვიმას გადავრჩეთ...

სჯობდა სხვებით მეც დამელია —  
აქ აღსარებას ვის ჩააბარებ.  
თბილ ხალიჩებში თველემს გალერეა,  
„ამბრადაროსი“ — ლელავს კაბარე.  
ვის დავაჯერებ, ბევრიც ვიბაზრო,  
ნანახით თავი რომ დავიფასო,  
როგორ ელოდა, ნასვამ ფიროსმანს,  
კაფე „შანტანთან“, მთვრალი პიკასო.

სკდებოდა ჩენჩო —  
კენესოდა ზღარბი —  
მშობიარობდა ველური ნაბლი.  
„ინქარე, თორემ, — გვიხმობდა აბრა —  
ურჩი ცხენით სიცოცხლე გარბის“!

არ დავუჯერეთ, გვიან დავბრძენდით,  
სხვამ გადაყლურნა ჭიქა „აბსენტი“.  
ალარც დამსხმელი,  
ალარც დამლევი.  
ყელგამოჭრილი ყრია მამლები.

თოვლზე თაობის ბიოგრაფია,  
სისხლის წვეთებით გადმონერილი.  
გენერალიჩის ფუნჯი გაჰყრია,  
მამალს ჩიჩახვში, დანის წვერით.

ბიბილო.  
ვან-გოგის შავ-თეთრი ნახირი.  
არლისკენ მილოლავს ყვითელი ბული...

ორსეს რომ არ გასცდე,  
თვალი გაახილე,  
ჩაცეცხლე, თუკი გაქვს გადასახუხი...

ესეც პოლ გოგენი,  
ტაიტზეც დაჩაგრული,  
როგორც მარცვალი ხელსაფეკვაში  
ქალის ძუძუებში თავჩარგული.

მეოცეს დასასრული,  
მეერთეც ნიავება,  
ვინ გეტყვის,  
ინებე, თუ გინდა —  
უარესი გველი ამოსრილდება,  
დამპალი ეპოქის უბიდან.

ისევე გადმოლახა ცოდვამ ნაპირები,  
ისევე გველოდება „ქრისტეს დატირება“.

და მე აღარ ვიცი, რომელ გზას დავადგე,  
შენსკენ რომ მოდის თუ შენგან რომ მიდის.  
რატომ დავამგვანეთ სამშობლო ყავარჯენს,  
ზოგჯერ რომ ვეყრდნობით,  
ხშირად რომ ვყიდით.

საიდან დავინყე,  
სადამდე მოვედი.  
მჯილით მკერდს ჩაინგრევს  
მეხობტე პოეტი,  
თავისი ლექსებით კაფეს და მოედნებს  
აყრუებს ეს მცირე რემბო თუ გოეთე.  
სულ ბრძოლაა და სულ იდილია,  
შემახსენებენ, მინა გრილია,  
მეოცეს დასაწყისში ნეტავი მეცხოვრა,  
ავფარებოდი იქნებ ილიას.

ვთქვი და ასრულდა,  
გველი უბიდან,  
გონებას გვიჭამს,  
გულ-მუცელს გვიღრღნის  
ეს „დანაელთა საჩუქარი“ —  
დოლის აჯილდა,  
დღემდე არ იშლის ყბედობას, ჭიხვინს...  
თუ ველარ ვიბრძვით, ვიკითხოთ მაინც,  
ასე რად ხდება,  
ასე რად არის,  
ვინ ჩაგვისახლა სულში ზამთარი,  
გვზვერავს ბინოკლი,  
გვმართავს რადარი.

ისევე მოვიდნენ,  
ტყე გამიკაფეს,  
კავკასიონის მწვერვალთა შარფი  
მხრებზე მოიგდეს...

ფიცები „პიკაპი“  
აღმართს მიჰკივის,  
დაღმართზე ჩარბის.  
მყინვარს — ილიას თავმოჭრილ მამალს,  
სისხლი სდის,  
სისხლი სამშობლოს ნამავს.

დაჭრილ გულს ნიკალა არაყით შეიხვევს,  
თუმცა ჭეშმარიტებას ეძებენ ღვინოში...  
უდაბნოს აქლემი.  
აქლემზე შეიხი,  
ქვიშაზე ასახდენ ზმანებებს მიმოშლის...

ვინც მხატვრის ყალამმა ვერ შემოინახა,  
მცხეთის სანახებში მინახავს!

გეძახი, მაგრამ შენ აქ რა გინდა,  
უფლის ნახატო, მთვარის ფიქალო.  
ერთი სიტყვაც რომ მოგწყედეს ბაგიდან,  
ვაითუ უცებ ჩამოიშალო.

შენი სხეული შადრევანია,  
სიბერის მწუხრმა რომ ვერ დაბინდა.  
ხელისგულზე რომ სული დალიე,  
დრომ უკვდავების ტახტი დაგიდგა.

შენ იქ ხარ, იქ ხარ, სადაც თრიალეთს  
მკერდზე უქარგავ ღმერთის ნაბიჯებს.  
ღვთისმშობლის თვალი თავს დაგტრიალებს  
და მწყემსი ბიჭი თიკნებს ალვიებს.

უკვე მერამდენე საუკუნე,  
სული მოლოდინით დამელია,  
როდის მიატოვებ გაუხუნარ  
სასაფლაოების გაღერებას.

ვიდრე ბოლო სუნთქვა ამომართვეს,  
შენი სიყვარულის მძევალს,  
ერთხელ ჩემ სახელზე ამონათდი —  
„ძევას!..“  
სიცოცხლეო...  
ძევას!..“

სამშაბათს, 25 მარტს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
განხილვა

**ჯანო ჯიქიძის**  
ავტობიოგრაფიული  
რომანისა

**„წარუვახანის სოლო“**

მომხსენებელი  
**სალომე კაპანაძე**  
დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის 41

დევიდ ჰერბერტ ლოურენსი

# პორნოგრაფია და უსამსობა

კითხვას, თუ რას ნიშნავს ეს ორი სიტყვა, ადამიანები ბუნებრივია სხვა-დასხვანაირად უპასუხებენ. რაც ერთისთვის პორნოგრაფიაა, მეორისთვის შეიძლება გენიოსის ჩაცინება იყოს.

თვითონ სიტყვა „პორნოგრაფია“, როგორც ლექსიკონები გვიხსნიან, „მეცხვებთან დაკავშირებულს“ ნიშნავს, ანუ, უფრო ზუსტად, „მეცხვების აღწერას“, მაგრამ რას ნიშნავს „მეცხვი“ ჩვენს დროში? თუ ეს ის ქალია, რომელიც ფულს იღებს იმისთვის, რომ კაცს ლოგინში ჩაუწვევს, ცოლების უმეტესობა სწორედ ამას აკეთებს, ანუ მათი ქორწინება არსებითად ქმრისთვის თავის მიყიდვაა. მეორე მხრივ, მეცხვი ქალები, როცა თვითონ სურთ, ამას უსასყიდლოდ აკეთებენ. საერთოდ, თუ ქალს რაღაც მაინც მეცხვის, მაცდუნებლის არა სცხია, როგორც წესი, მშრალია და უინტერესო. ამასთან ალბათ კარგი ადამიანი თვისებების მქონე მეცხვიც ბევრია. მაშ რატომ უნდა ვიყოთ ასეთი ცალმხრივი და შეუვალნი? კანონი საკმაოდ მოსაწყენი და ერთგვაროვანი რამ არის და მის პუნქტებს ბევრი არაფერი აქვთ საერთო ცხოვრებასთან.

იგივე შეიძლება ითქვას სიტყვა „უსამსობასთან“ დაკავშირებით. არავინ იცის მისი მნიშვნელობა. ვთქვათ, ეს სიტყვა obscena-სგან მოდის: — ის, რაც არ შეიძლება სცენაზე იქნას ნაჩვენები. ბევრი რამ გაიგეთ ამ განმარტებიდან? ვერაფერი! ის, რაც ტომს უხამსობად მიაჩნია, ლუსის და ჯოს აზრით სრულებითაც არაა ასეთი. და საერთოდაც, უმრავლესობა წყვეტს, რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა. თუ სპექტაკლი ათ მაყურებელს აგდებს შოკში, დანარჩენ ხუთასს კი არა, მამასადამე ის უხამსი ყოფილა ათი მაყურებლისთვის, დანარჩენი ხუთასისთვის კი — სრულიად უწყინარი რამ. აქედან კი ის გამოდის, რომ უმრავლესობის აზრით, სპექტაკლი უხამსი არ არის. შექსპირის „ჰამლეტი“ კრომველის დროის პურიტანებს შოკში აგდებდა, ახლა კი ასეთ ზეგავლენას არავიზე არ ახდენს. სამაგიეროდ, არისტოფანეს ზოგიერთი პიესა ახლანდელი მაყურებლისთვის არის შოკისმომგვრელი, ბერძენ მაყურებელზე კი, როგორც ჩანს, ასეთ ზემოქმედებას არ ახდენდა. ადამიანი ცვალებადი არსებაა და სიტყვები მასთან ერთად იცვლიან მნიშვნელობას. ბევრი რამ ახლა განსხვავებულად აღიქმება, ვიდრე წარსულში, ბევრი რამ კი საერთოდ ქრება და სხვა რალაცამი გადადის. თუ ჩვენ გვეჩვენება, რომ ვიცით როგორ სამყაროში ვცხოვრობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ცვლილებებს გარდაქმნილ სამყაროში სწრაფად და შეუმჩნეველად გადავყავართ. ჩვენ იძულებული ვართ შევეგუოთ იმას, რომ ყველაფერს უმრავლესობა წყვეტს, უმრავლესობა, ბრბო, ბრბო და კიდევ ერთხელ ბრბო. მათ იციან, რა არის უხამსობა და რა არა. მათ ყველაფერი იციან. თუ დაბალი კლასის წარმომადგენელმა ათმა მილიონმა უკეთ არ იცის, ვიდრე მაღალი კლასის წარმომადგენელმა ათიოდე კაცმა, მათემატიკაში რაღაც რიგზე ვერ ყოფილა. მაშინ კენჭი ვუყაროთ! ხელი ავნიოთ, ხმები დავითვალოთ და ვნახავთ. **Vox populi, vox dei. Odi profanum vulgum. Profanum vulgum! Profanum vulgum!**<sup>1</sup>

ზემოთქმული შეიძლება ასე შევაჯამოთ: თუ ბრბოს მიმართავთ, თქვენი სიტყვები იმ მნიშვნელობას იძენს, როგორც მათ ბრბო აღიქვამს, როგორც ის უმრავლესობას ესმის. ამასთან დაკავშირებით ერთი კაცი მწერდა, რომ ამერიკის კანონი უხამსობის მიმართ ძალიან მარტივია და ამერიკა აპირებს ეს სამართლებრივი ნორმა პრაქტიკაში დანერგოს. — სწორედაც, ჩემო კარგო მკითხველო, სწორედაც, სწორედაც! ბრბომ ხომ ყველაფერი იცის უხამსობის შესახებ. უწყინარი პატარა სიტყვები, რომლებიც ფრაკს და ბუზს ერითმება, უხამსობის მწვერვალს წარმოადგენს. ვთქვათ მბეჭდავმა პირველ სიტყვაში შეცდომით ასო ფ-ს ნაცვლად ტ დაბეჭდა, ხოლო მეორეში ასო უ-ს მაგივრად ო. ასეთ შემთხვევაში ამერიკელი საზოგადოების თვალში მან უხამსი, უნესო საქციელი ჩაიდინა, აღვირახსნილი საქციელიც კი, და მისი აკრებილი ტექსტი პორნოგრაფიულად ჩაითვლება. დიად საზოგადოებას ხომ ვერ შეედავება, გინდ ბრიტანეთისა იყოს და გინდ ამერიკის. **Vox populi, vox Dei** ხომ იცით. და თუ არ იცით, საზოგადოება გასწავლით. ამავე დროს ამ **vox Dei**-ს ქებით ცაში აჰყავს კინოფილმები, ნიგნე-

ბი და საგანგებო პუბლიკაციები, რომლებიც ისეთ გამოუსწორებელ ცოდვილსაც კი, როგორც მე ვარ, საზიზღრად და უხამსად ეჩვენება. იძულებული ვარ ყალბი პრანჭია ქალივით თუ პურიტანით მათ ცხვირი ავუბზუო და გვერდზე გავიხედო. როცა უხამსობა გულისამრევად სენტიმენტალური ხდება, ანუ მაყურებლისთვის მისაღებ პიკანტურ ფორმას იღებს და როცა **vox populi, vox Dei** მისი გამსჭვალავი სენტიმენტალური სკაბრეზულობისგან ხრინინიანი ხდება, მაშინ მე აღარაფერი მრჩება გარდა იმისა, რომ ფარისევლივით თავი რაც შეიძლება შორს დაეჭირო, რათა არაფერი გადაემედოს და არ გაეჭყუყიანდე. ეს ყველაფერი ერთგვარ წებოვან, მყარ კუპრს მაგონებს და ვერაფერი მაიძულებს მათ შევეხო.

ზემოთქმული კვლავ შეიძლება ასე შევაჯამოთ: ადრე თუ გვიან ყველა ჩვენგანი დილემის წინაშე დგება: ან უმრავლესობის, ბრბოს მხარე უნდა დავიცვაოთ, ან არ გავაკეთოთ ეს. ან ქედი უნდა მოიდრიკო **Vox populi, vox Dei**-ს წინაშე, ან ყურები დაიხშო და ეს უხამსი ღმუილი არ გაიგონო. ან მასხარას ჩაჩი უნდა მოირგო ფართო მასების თავშესაქცევად, **Deus ex machina**, ან უარი თქვა მის წინაშე მანჭვა-გრეხვაზე და მხოლოდ დროდარო გააშაყირო და გააღიზიანო ეს მოუქნელი და ბინიერი მონსტრი.

როცა რაიმე სიტყვის მნიშვნელობაზე მიდგება საქმე, თუნდაც ეს უმარტივესი სიტყვა იყოს, სჯობს პასუხის გაცემა არ იჩქაროთ. იმიტომ, რომ ყოველ სიტყვას სულ ცოტა ორი მნიშვნელობა აქვს და ისინი სრულიად სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნებიან. პირველი ის მნიშვნელობაა, რომელსაც მასში ბრბო დებს, მეორე კი სიტყვის ინდივიდუალური მნიშვნელობა. აი, უბრალოდ სიტყვა „პური“ რომ ავიღოთ. ბრბოს გაგებით ეს ის პროდუქტია, რომელსაც ფქვილისგან აცხობენ გოგორის პურისა თუ ფუნთუშას სახით და შემდეგ ჭამენ.

ახლა კი ამ სიტყვის ინდივიდუალური მნიშვნელობა განვიხილოთ: თეთრი პური, ნაცრისფერი პური, სიმინდის კვერი, შინნაცხობი პური, ახალგაზოგის პურის სუნი, პურის ქერქი, პურის ნაფხველები, აუფუბელი პური, სეფისკვერი, პურის ფულის შოვნა, ამჟავებული ცომის პური, სოფლის პური, ფრანგული პური, ვენის პური, შავი პური, გუმინდელი პური, ჭვავის პური, პური „გრეპში“, ქერის ფქვილის პური, ჩაიზე მისაყოლებელი ფუნთუშა, **Bretzeln**,<sup>2</sup> **Kringeln**,<sup>3</sup> ნაზუქი, სნიადი, მაცა...და ასე შემდეგ დაუსრულებელი. თუნდა ასეთი არასრული ჩამონათვალიც კმარა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისეთი მარტივი სიტყვაც კი, როგორცაა პური, დროისა და სივრცის საზღვრებს აფართოებს და მეხსიერების კორიდორებს უშორეს მხარეებსა და დროში გადაყვარს. თითოეული ეს მნიშვნელობა ხომ ინდივიდუალურია, ამიტომ თითოეულ ჩვენგანს, როგორც პიროვნებას, როგორც ინდივიდს, საშუალება ეძლევა თვითონ იმოგზაუროს საკუთარ თავში ამა თუ იმ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობის დასადგენად თავისი წარმოდგენის შესაბამისად. და როცა სიტყვა ჩვენთან თავისი ინდივიდუალური მნიშვნელობით მოდის და ჩვენში ინდივიდუალურ, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელ გამოძახილს პოულობს, მაშინ ის ნამდვილ, დიდ სიხარულს გვანიჭებს.

ამერიკელი რეკლამის ტექსტის შემთხვევები მიხვდნენ ამას და ამერიკული სიტყვაკაზმული ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებს სწორედ რეკლამებში ვაწყდებით- მაგალითად, იმ რეკლამებში, რომლებიც ახალი საპნის აქაფების თვისებას ასხამენ ხოტბას. ასეთი რეკლამები ისე ჟღერს, თითქოს პროზად დანერგილი ლექსებიაო. მათში სიტყვა „აქაფება“ ცოცხალ, ინდივიდუალურ ელფერს იძენს, ოსტატურად შედგენილი პოეტური ჟღერადობის სიტყვების კონტექსტში. ყოველ შემთხვევაში ეს პოეტურად ჟღერს მათთვის, ვინც ვერ ამჩნევს, რომ პოეზია ეს სატყუარაა, ანკესზე წამოგებული.

ამგვარად, ბიზნესი ახერხებს სიტყვის ინდივიდუალური, დინამიური მნიშვნელობის მიგნებას, მაშინ, როცა პოეზია ამ უნარს ჰკარგავს. პოეზია სულ უფრო და უფრო ესწრაფის სიტყვის უსიცოცხლო, ხელოვნური, ყურით მოთრეული მნიშ-

ვნელობის გამოყენებას და საბოლოოდ ეს ის მნიშვნელობა აღმოჩნდება, რომელსაც მათში ბრბო დებს, ეს კი ინდივიდში ბრბოსთვის დამახასიათებელ რეაქციას იწვევს, რამეთუ თითოეულ ადამიანში სხვადასხვა თანაფარდობით ორი „მე“ თანაარსებობს — მასობრივი „მე“ და ინდივიდუალური „მე“. ზოგიერთი ადამიანი თითქმის მთლიანად მასობრივი „მე“-სგან შედგება, მოკლებულია რა სამყაროს ინდივიდუალურად, მხატვრულად აღქმის უნარს. ამ ტიპის მასობრივი „მე“-ს მქონე ადამიანთა ყველაზე უარესი ნიმუშებია პროფესიული საქმიანობით დაკავებული ადამიანები: იურისტები, მასწავლებლები, მღვდლები და ა. შ. ამ დროს ავადსახსენებელ, ათვალწუნებულ ბიზნესმენებსა და სხვადასხვა დარგის მენარმეებს, რომელთა გარეგნობის მიხედვითაც იფიქრებ, რომ უზომოდ გაბერილი მასობრივი „მე“ უნდა ჰქონდეთ, სინამდვილეში, ხშირ შემთხვევაში, მთრთოლვარე, მფრთხალ მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალ, ინდივიდუალურ „მეს“ ფლობენ. ფართო საზოგადოება, რომელიც იდიოტივით გონებასუსტია, ვერასოდეს შეძლებს ინდივიდუალურ რეაქციას ექსპლოატატორთა ვირემშაკობაზე. საზოგადოებას ყოველთვის ექსპლუატაციას უწევდნენ და ეს მუდამ ასე გაგრძელდება. ექსპლუატაციის მეთოდები იცვლება მხოლოდ. დღეს მას ექსპლუატაციას უწევს, როგორც კვერცხისმდებელ ქათამს. მოქარგული სიტყვებითა და სიტყვათა ინდივიდუალური მნიშვნელობებით თავგზაარეული ბრბო ყურისწამლებად კაკანებს, გამოხატავს თავის თანხმობას, მომავალშიც ოქროსკვერცხისმდებელ ქათამდ დარჩეს. მართლაც რომ **Vox populi, vox Dei**. ეს ყოველთვის ასე ყოფილა და ასეც დარჩება. რატომ? იმიტომ, რომ მასას ჭკუა არ ჰყოფნის სიტყვების მასობრივი მნიშვნელობა მათი ინდივიდუალური მნიშვნელობისგან განასხვავოს. მასა ყოველთვის ვულგარულია, რადგანაც არ შეუძლია განასხვავოს საკუთარი გრძნობები ექსპლოატატორთაგან თავსმოხვეული გრძნობებისაგან. მასა ყოველთვის უმეცარია, რადგან გარედან იმართება სხვადასხვა ჯურის არამზადების მიერ და არასოდეს საკუთარი ნიალიდან გულწრფელი სწრაფვებით და სურვილებით. მასა ყოველთვის უხამსია რადგან საკუთარი აზრი არასოდეს ჰქონია და არც არასოდეს ექნება.

ეს კი კვლავ ჩვენს თემასთან გვაბრუნებს პორნოგრაფიისა და უხამსობის შესახებ. ამგვარად, ადამიანის რეაქცია ნებისმიერ სიტყვაზე შეიძლება იყოს მასობრივი, ისეთი, როგორც ბრბოს აქვს და ინდივიდუალური, მოაზროვნე ადამიანისთვის დამახასიათებელი. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ჰკითხოს თავის თავს: ინდივიდუალურია კი ჩემი რეაქცია, თუ ის ჩემში არსებულმა მასობრივმა „მემ“ მიკარნახა. რაც შეეხება ე. წ. უხამს სიტყვებს, უნდა ითქვას, რომ მილონიში ერთმა ადამიანმა საეჭვოა შეძლოს მათზე ბრბოსგან განსხვავებული რეაქციის გაკეთება. გარწმუნებთ, რომ პირველი თქვენი რეაქცია ბრბოს რეაქცია იქნება. ბრბოს ეს სიტყვები აღაშფოთებს, ბრბო ამ სიტყვებს გმობს. მაგრამ ამის იქით არ მიდის, მოაზროვნე ადამიანი კი ჩაფიქრდება და საკუთარ თავს ჰკითხავს: მართლა ვარ კი შოკირებული? მართლა ასე შეურაცხყოფილი და აღშფოთებული ვარ? და პასუხი იმ ადამიანისა, რომელიც ისე შორს მიდის, რომ ამ შეკითხვებს უსვამს საკუთარ თავს, ასეთი იქნება: არა, სრულებითაც არა ვარ შოკირებული, არც შეურაცხყოფი-



დევიდ ჰერბერტ ლორენსი

ლი, არც აღშფოთებული. მე ვიცი ეს სიტყვა და მას ისე აღვიქვამ, როგორც არის. ამიტომ არ ვაპირებ ბრბოს ხუმტურს ავყვე და ბუზი სპილოდ ვაქციო. ვერანაირი კანონები ამქვეყნად ვერ მაიძულებს სხვანაირად ვიფიქრო. და თუ ვინმე, კაცი თუ ქალი, გაიგონებს რა ე.წ. უნმანურ სიტყვას, არ იჩქარებს აღშფოთებას, კარგად გაიაზრებს და მასობრივ მსოფლმხედველობას ინდივიდუალურით შეიცვლის, ამით მხოლოდ მოიგებს. და რამდენადაც მასობრივ ცნობიერებას საფუძვლად ფარისევლობა უდევს, ჩვენთვისაც ზედმეტი არ იქნებოდა ჩაფიქრებულობით და ფარისევლური მანერები მოგვეშორებინა.

აქამდე ჩვენ მხოლოდ უხამსობის პრობლემაზე ვმსჯელობდით, პორნოგრაფიასთან დაკავშირებით კი საქმე უფრო რთულადაა. მაშინაც კი, თუ ადამიანმა შეძლო მასობრივი ცნობიერებიდან ინდივიდუალურზე გადასვლა, გულის სიღრმეში მაინც შეიძლება რჩებოდეს ეჭვი, უნდა ჩაითვალოს თუ არა რაბლეს ქმნილება პორნოგრაფიულად. და მან, ურთიერთსაინააღმდეგო ემოციებით შეპყრობილმა, შეიძლება დიდხანს იმტვრიოს თავი, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს არეტიონს,<sup>4</sup> ან თუნდაც იმავე ბოკაჩოს მიმართ.

მასხოვს პორნოგრაფიის შესახებ ერთ სტატიაში ავტორი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ მისი დანიშნულება სექსუალური ლტოლვის აღძვრა, ან რაც იგივეა, სექსუალური აღგზნების გამოწვევაა. ამასთან აქცენტი იმაზე კეთდებოდა, მთავარი ის არის, აქვს თუ არა ავტორს — მწერალს თუ მხატვარს — ასეთი განზრახვა. ისევე ის ყელში ამოსული, გაცვეთილი თემა განზრახვის შესახებ! მაგრამ რა მოსაწყენია დღეს ეს ყველაფერი, დღეს, როცა ვიცით, როგორი მძლავრი და დაუძლეველია ჩვენი ქვეცნობიერი ზრახვები. და რატომ უნდა ეთვლებოდეს ადამიანს დანაშაულად გაცნობიერებული ზრახვები და რატომ უნდა იყოს გამართლებული არაცნობიერი ზრახვები? — ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ადამიანში ხომ არაცნობიერი ზრახვები სჭარბობს ცნობიერს. მე ის ვარ, ვინც ვარ, და არა მხოლოდ ის, ვინც მგონია, რომ ვარ.

და მაინც, რამდენადაც ვიცი, ადამიანთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ პორნოგრაფია რალაც მდაბალი, ჭუჭყიანი რამაა. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ის არ მოგვწონს. და რატომ არ მოგვწონს? იმიტომ, რომ სექსუალური გრძნობას ინვეგს?

ფიქრობ, რომ ეს არ არის მიზეზი. როგორც უნდა ვეცადოთ თავი ისე მოვაჩვენოთ, რომ სრულიად გულგრილი ვართ სექსის მიმართ, ადამიანთა უმრავლესობა სრულიადაც არაა წინააღმდეგი ზომიერი სექსუალური აღგზნებისა. ის გვათბობს, სტიმულს გვაძლევს, ისე, როგორც მზის გამონათება ღრუბლიან, მოლუშულ დღეს. მიუხედავად თითქმის ორასწლოვანი პურიტანიზმისა, ადამიანებს არ დაუკარგავთ ინტერესი ცხოვრების ინტიმურ მხარეთა მიმართ, თუმცა მასობრივი ცნობიერება და ბრბოსთვის დამახასიათებელი თვისება, დაგმოს სექსის ნებისმიერი გამოვლენა, არ გვაძლევს ამის აშკარად განცხადების ნებას. რა თქმა უნდა, ამქვეყნად ბევრია ისეთი ხალხი, რომლებშიც ნამდვილად ზიზღს ინვეგს სექსუალური გრძნობის ყველაზე უმარტივესი, ყველაზე ბუნებრივი გამოვლენა. მაგრამ ესენი, როგორც წესი, ფსიქიკური გადახრების მქონე ხალხია, რომელთაც თავისი მოყვასი სძულთ — მუდამ ყველაფრით უკმაყოფილო, სასონარკვეთილი, არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ხალხი. საუბედუროდ ჩვენმა ცივილიზაციამ ასეთები ძალიან მოამრავლა. და უნდა აღინიშნოს, რომ ისინი, თითქმის ყოველთვის, გაუკუღმართებული, არაჯანსაღი სექსით იკმაყოფილებენ თავს.

თვით ყველაზე მოწინავე შეხედულების მქონე ხელოვნებათმცოდნეები ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ნახატი ან ნიგნი, რომელიც სექსუალურ გრძნობებს აღძრავს ipso facto<sup>5</sup> ცუდია. მაგრამ ეს წმინდა წყლის ფარისევლობაა. ხელოვნების დიად ქმნილებათა ნახევარი ხომ, იქნება ეს პოეზიაში, ფერწერაში, მუსიკაში თუ პროზაში, სწორედ იმითაა მშვენიერი, რომ ჩვენში სექსუალურ გრძნობებს ინვეგენ. ტიცინის თუ რენუარის ნახატები, სოლომონის სიმღერა თუ „ჯეინ ეარი“, „ენი ლო-

რი“<sup>6</sup> და მოცარტის ოპერები — გარდა იმისა, რომ ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენენ, ჩვენში სექსუალურ გრძნობებს, სექსუალურ სტიმულაციას ინვეგენ (რაც გნებავთ, ის უწოდეთ). მიქელანჯელომაც კი, რომელსაც, ასე ვთქვათ, სძულდა სექსი, აუცილებლად მიიჩნია, თავისი „სიუზის რქა“ ფალიკური ფორმის რკოთი შეეცხო. სექსი ძალიან მძლავრი, კეთილისმყოფელი და აუცილებელი სტიმულია ადამიანის ცხოვრებისა და სიხარული გვიპყრობს, როცა მის თბილ, ბუნებრივ დინებას ვგრძნობთ ჩვენში, თითქოს მზის სხივები გველვებოდეს.

ასე რომ, ყოველგვარი საფუძველი გვაქვს უარვეყთ აზრი, თითქოსდა სექსუალური მოტივის არსებობა ხელოვნებაში პორნოგრაფიად უნდა ჩაითვალოს. ეს შეიძლება ასე იყოს ვილაც უსახურ პურიტანელთათვის, მაგრამ ისინი ხომ ავადმყოფები არიან, ავადმყოფები სულიერად და ფიზიკურად, ამიტომაც მათ ბოძვას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. სექსუალური მოტივები, რა თქმა უნდა სხვადასხვაა, უსასრულოდ მრავალგვარი და უსასრულოდ მრავალი ხარისხის. აღიარებულია, რომ სექსის მცირეოდენი დოზა ნაწარმოებში პორნოგრაფია არ არის, მაშინ, როცა დიდი დოზით სექსი უკვე პორნოგრაფიაა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომაა. ბოკაჩოს ყველაზე ღია ეპიზოდები ჩემთვის ნაკლებად პორნოგრაფიულია, ვიდრე „პამელა“ ან „კლარისა ჰარლოუ“<sup>7</sup> ან თვით „ჯეინ ეარი“<sup>8</sup> კი — აღარაფერს ვამბობ თანამედროვე ნიგნებისა და კინოფილმების ნიაღვარზე, რომლებიც ცენზურას არ გადაიან. ამ დროს ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“ ჩემი აზრით, ძალიან ახლოსაა პორნოგრაფიასთან და ასევეა ზოგიერთი, ძალზე პოპულარული ქრისტიანული საგალობელიც კი.

მამ რა ხდება? ფიქრობ, აქ მხოლოდ სექსუალური მოტივი არ არის მთავარი ან თუნდაც მწერლისა თუ მხატვრის წინასწარ განზრახვა, სექსუალური გრძნობების აღგვიძრავს. შესაძლოა ასეთი განზრახვა რაბლეს ხანდახან მართლაც ჰქონდა, და ალბათ ბოკაჩოსაც ექნებოდა, თუმცა მათში ის სხვანაირად იყო გამოვლენილი. და სახეებით დარწმუნებული ვარ, რომ საწყალ შარლოტა ბრონტეს ან „შეიხის“ ავტორს აზრადაც არ მოსვლიათ მკითხველთა სექსუალური შეგულიანება. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ „ჯეინ ეარი“ პორნოგრაფიის ზღვარზეა, ბოკაჩოს ნაწარმოებები კი ზნეობრივად ჯანმრთელი და ნედლია.

ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანმა, სრულიად უსახურმა ადამიანმა, რომელიც იმით ამაცობს, რომ თავიდან ფეხებამდე პურიტანია, ამას წინათ „უნმანურ ნიგნებს“ მიუძღვნა აღშფოთებული სტატია, რომელშიც, სხვათა შორის, მწუხარე და ამავდროულად გაბრაზებული ტონით ასეთ რამესაც წერს:

„...და ამ ჭაბუკმა და ქალიშვილმა, რომლებიც აქამდე სრულიად უბინონი იყვნენ, ამ ნიგნის ნაკითხვის შემდეგ სექსობრივი კავშირი დაამყარეს ერთმანეთთან!!!“

ჰოდა ძალიან კარგადაც მოქცეულან! ესაა სულ, რაც შეგვიძლია ვთქვათ. მაგრამ ეს ბრიტანული მორალის უსახური დამცველი, როგორც ჩანს, მიიჩნევს, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა თუ ისინი ერთმანეთს დახოცავდნენ, ან ნერვიულ სტრესამდე მიიყვანდნენ. ასეთი ავადმყოფობა სჭირთ უსახურ პურიტანებს.

ჰოდა რა არის ბოლოს და ბოლოს პორნოგრაფია? ყოველ შემთხვევაში ეს არ არის სექსუალური გრძნობის აღძვრა და სექსუალური აქტივობის შეგულიანება ხელოვნების ხერხების საშუალებით. თავისთავად სექსუალური გრძნობებში ცუდი არაფერია, თუკი ჯანსაღად ვლინდება და არა დამახინჯებული, არაბუნებრივი სახით. ჯანსაღი სექსუალური სტიმული უდავოდ სასარგებლო და აუცილებელია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. უამისოდ სამყარო უღიმღამო, მოსაწყენი იქნებოდა. მე ყველას აღორძინების ეპოქის მხიარულ მოთხრობებს მივცემდი წასაკითხად. ეს ადამიანებს მათი გაფუყული, მედიდური მე-ს ჩამოფხვკაში დაეხმარებოდა — იმ სენის თავიდან მოშორებაში, რომლითაც მთელი თანამედროვე ცივილიზაციაა დაავადებული.

რაც შეეხება პორნოგრაფიას, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მასზე მეც კი უმკაცრეს ცენზურას დავანესებდი.

ამის გარჩევა ხომ ძნელი არ არის. ჯერ ერთი, ნამდვილი პორნოგრაფია თითქმის ყოველთვის არალეგალურია, ამკარად არასოდეს ავლენს თავს. მეორეც, მისი გამოცნობა იმითაც შეიძლება, რომ თითქმის უკლებლივ ყველა შემთხვევაში შეურაცხმყოფელია, თვითონ სექსისთვისაც და ადამიანისთვისაც. პორნოგრაფია მცდელობაა — შეურაცხყოფა ადამიანის სექსუალური ბუნება, ტალახში ამოსვარო ის. ეს კი მიუტყვევებელი დანაშაულია. ავიღოთ თუნდ ისეთი გულისამრევი მოვლენა, როგორცაა პორნოგრაფიული სურათებით ვაჭრობა, რაც ბევრ ქალაქში ხდება. რაც თვალში მომხვედრია, ისეთი საზიზღრობა იყო, ტირილი მოგინდებოდა. შეურაცხყოფა ადამიანის სხეულისა, ნაბილწვა ადამიანური ურთიერთობებისა. სიშიშვლე ამ სურათებზე ამაზრზენი გახლდათ და უბადრუკი, სექსობრივი აქტი კი ტრივიალური, დამამცირებელი და მახინჯი.

იგივე შეიძლება ითქვას წიგნებზე, რომლებიც არალეგალურად იყიდებოდა. ეს წიგნები ან ისე საძაგელი იყო, რომ კითხვისას გულისრევის შეგრძნება გინდებოდა, ან ისეთი სულელური, რომ მათი დანერა თუ ნაკითხვა მხოლოდ გონებასუსტს შეეძლო.

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას უწმინდურ ლიმერიკებზეც, რომელთაც ნასადილევს ამბობენ ხოლმე, ან უხამს ანექლოტებზე, კომივოიაჟორები რომ უყვებიან ერთმანეთს მონევისთვის განკუთვნილ ოთახებში. ხანდახან ამ ამბებს შორის მართლაც გონებაშეშლილ რაიმესაც გაიგონებ, რაც მთხრობელს დიდნილად ამართლებს, მაგრამ ჩვეულებრივ ისინი ჭუჭყიანი, უხამსი ანექლოტებია და ე. წ. „იუმორი“ მხოლოდ სექსთან დაკავშირებულ ბილნსიტყვაობაში მდგომარეობს.

სიმართლე რომ ითქვას, ბევრი ჩვენი თანამედროვის სიშიშვლე ასევე უბადრუკი და გულისამრევი, სექსობრივი აქტი კი ბევრ კაცსა და ქალს შორის — მართლაც დამამცირებელი და მახინჯი. და ამაში არაფერია საამაყო. ეს ჩვენი თანამედროვე ცივილიზაციის დაკნინება და კატასტროფაა. დარწმუნებული ვარ, არცერთ სხვა ცივილიზაციაში, ძველი რომის ცივილიზაციაშიც კი, არ ყოფილა ასეთი უზომო იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა სიშიშვლე ასეთი სამარცხვინო და დამამცირებელი გახლდათ და რომელთა სექსი ასეთი მახინჯი, უბადრუკი და ჭუჭყიანი. იმიტომ, რომ არცერთ სხვა ცივილიზაციაში არ ყოფილა სექსი საზოგადოების ფსკერზე და სიშიშვლე საზოგადოებრივი ტყუალებების კედლებზე.

ახალგაზრდობის მოაზროვნე ნაწილს, მადლობა ღმერთს, ესმის ეს და, როგორც ჩანს, მტკიცედ აქვს გადამწყვეტილი, შეცვალოს მდგომარეობა ორივე თვალსაზრისით. ისინი ცდილობენ გადაარჩინონ თავიანთი ნორჩი სილამაზე, იხსნან ის უფროსი თაობის მიერ შექმნილი სულიშემსუთავი, პორნოგრაფიული მინისქვეშა სამყაროსგან. არ სურთ, რომ სექსი რაღაც სამარცხვინოდ და აკრძალულად ითვლებოდეს. ასეთ ცვლილებას უფროსი ასაკის, დაშტამპული აზროვნების თაობა რა თქმა უნდა გმობს, თუმცა სინამდვილეში ეს უდიდესი ცვლილებაა უკეთესობისკენ. ეს ნამდვილი რევოლუციაა.

გამაოგნებელია ის ძლიერი ნება, რომელსაც უსახური, ვულგარული მასა ავლენს, რომ სექსი ჭუჭყად აქციოს. ახალგაზრდობაში დიდხანს ვცხოვრობდი იმ ილუზიით, რომ ჩვეულებრივ, ჯანმრთელი გამომეტყველების ადამიანებს, რომელთაც ყველგან ხვდები —მატარებლებში, სასტუმროების მოსანე ადგილებში, საძინებელ ვაგონებში —ასევე ჯანმრთელი, ნორმალური გრძნობები ჰქონდათ, თუმცა შესაძლოა მათი დამოკიდებულება სექსისადმი რამდენადმე უხეში, ქარაფშუტული ყოფილიყო. თურმე როგორ ვცდებოდი. სრულიადაც არ ყოფილა ასე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები სექსისადმი შეურაცხყოფელ დამოკიდებულებას, დაუჯერებელ სიძულვილს, შეურაცხყოფის მიყენების სურვილს ავლენენ. ასეთ ტიპებს ქალთან სექსუალური ურთიერთობის შემდეგ გამარჯვების ტრიუმფალური შეგრძნება აქვთ, შეგრძნება, რომ ქალი ტალახში ამოსვარეს, დაამდაბლეს, ფეხქვეშ გათელეს და კიდევ უფრო საზიზღრად აქციეს, ვიდრე აქამდე იყო.

სწორედ ამ კატეგორიის სუბიექტები ჰყვებიან ბინძურ ანექლოტებს, ჯიბით დაატარებენ ჭუჭყიან სურათებს და კითხულობენ უხამს წიგნებს. ესენი არიან დიდი პორნოგრაფიული კლასის წარმომადგენლები, რიგითი, მდაბიო კაცები და ქალები. ისინი სექსის მიმართ ისეთი სიძულვილით, ისეთი ზიზღით არიან გამსჭვალულნი, როგორც ყველაზე დაშტამპული აზროვნების პურიტანები, და როცა ე.წ. საზოგადოებრივი აზრი მოუწოდებს მათ ზნეობისაკენ, ისინი ყოველთვის ანგელოსების მხარეს დგანან. ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ფილმის გმირი ქალი უსქესო, უვნებო არსება უნდა იყოს, ფერის დაკარგვამდე გარეცხილი სისუფთავით. ეჭვიც არ ეპარებათ, რომ სექსუალურ გრძნობებს ავლენენ მხოლოდ არამზადები და ბოროტმოქმედები, და რომ ეს სიმდაბლე და ავბორცობაა. მიაჩნიათ, რომ ტიციანი და რენუარი უკიდურესად უწესოები და უხამსები არიან და არ სურთ მათმა ცოლებმა და ქალიშვილებმა ამ მხატვრების ნახატები იხილონ.

და იცით რატომ? იმიტომ, რომ სექსის სიძულვილის უსახური სენით არიან დაავადებულნი, რაც ჭუჭყიანი ავბორცობის ყვირთელი სენითაა გაღრმავებული. სასქესო და ფეკალური ფუნქციები ადამიანებისა ერთმანეთთან უშუალო სიახლოვეში სრულდება, მაგრამ, ამავე დროს, ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად განსხვავებული მიმართულებისანი არიან. სექსუალური ნაკადის ფუნქცია — შექმნა და სიცოცხლეა, ფეკალური ნაკადის ფუნქცია კი სრულიად საპირისპირო — განადგურება, დაშლა, გახრწნა, თუკი შეგვიძლია ასეთი სიტყვები გამოვიყენოთ. ჯანმრთელი ფსიქიკის ადამიანი ამ განსხვავებას აღიქვამს როგორც ბუნებრივს და ამ ორი ნაკადის, როგორც ურთიერთსაპირისპიროს, ჩანვდომს შესაძლოა ჩვენი ყველაზე ღრმა ინსტინქტი იყოს.

მაგრამ იმ ადამიანში, რომელიც დეგრადაციას განიცდის, ეს ინსტინქტი, ისევე როგორც სხვა ძირითადი ინსტინქტები, მკვდარია, და ამიტომ მის აღქმაში ეს ორი ნაკადი მსგავსია. ამით აიხსნება ვულგარული ბრბოს ქცევის საიდუმლო, პორნოგრაფიისთან მათი დამოკიდებულების ფსიქოლოგია: ისინი ვერ ასხვავებენ სექსუალურ ნაკადს და ფეკალურ ნაკადს. ეს იმ ადამიანებს ემართებათ, ვისი სულიც დაღმასვლას განიცდის და ვისი უღრმესი ადამიანური ინსტინქტებიც კვდება. მაშინ მათთვის სექსი ჭუჭყი ხდება, ჭუჭყი კი სექსი. სექსუალური აღზნება ტალახში გორვის სურვილს უტოლდება, ქალში სექსუალობის ყოველი ნიშანი კი მისი ჭუჭყიანი ბუნების გამოვლინებად აღიქმება. ასეთ დღეშია დღეს ვულგარული, უსახური ადამიანი, ბრბოს ადამიანი, რომლის სახელიც ლეგიონია, და ეს ადამიანი ხმას იმალლებს, სხვათა ხმებს ანმოებს — ეს არის Vox populi, vox Dei. და ეს არის წყარო ყოველგვარი პორნოგრაფიისა.

სწორედ ამიტომაც შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ბრონტე, თავისი „ჯეინ ეარიტ“ და ვაგნერი თავისი „ტრიგტანი და იზოლდატი“ გაცილებით ახლოს არიან პორნოგრაფიისთან, ვიდრე ბოკაჩო. ვაგნერისთვისაც და შარლოტა ბრონტესთვისაც ისეთი შინაგანი ნყობა, ისეთი სულიერი მდგომარეობაა დამახასიათებელი, როცა ყველაზე ძლიერი ინსტინქტები სუსტდება და სექსი მხოლოდ ოდნავ უხამსობად აღიქმება, რომელსაც ეძლევიან, მაგრამ თან ეზიზღებათ. მისტერ როჩესტერის ფიზიკური ლტოლვა ჯეინ ეარისადმი „არარესპექტაბელურად“ რჩება მანამ, სანამ მისტერ როჩესტერი დამწვრობას მიიღებდეს, დაბრმავდებოდეს და ინვალიდი, უმწეო და მთლიანად სხვებზე დამოკიდებული გახდებოდეს. და მხოლოდ მაშინ მის ვნებას, ბოლომდე დამცირებულს და შეურაცხყოფილს, ჰა და ჰა არსებობის უფლება ეძლევა. რაც შეეხება ყველა ადრინდელ სასიყვარულო სცენას, მკითხველში სასიამოვნო სექსუალურ აღზნებას რომ იწვევენ, ისინი ასეთი ფინალის შემდეგ რამდენადმე უხამს ელფერს იძენენ.

იგივე შეიძლება ითქვას „პამელაზე“, „ნისქვილი ფლოსზე“, „ანა კარენინაზე“. თუ ხელოვნების ნაწარმოები სექსუალურ გრძნობას მხოლოდ იმიტომ აღძრავს, რომ დასცინოს მას, დამციროს და დაამდაბლოს ის, ზიზღი აღძრას მის მიმართ, ეს უკვე ნიშნავს, რომ მასში არის პორნოგრაფიის ელემენტები.

იმავე მიზეზის გამო პორნოგრაფიის ელემენტი XIX საუკუნის ლიტერატურაში თითქმის ყველგან გვხვდება და იმ დროის ბევრ, ე. წ. „ზნეობრივად უმნიშვნელო“ ადამიანს ჰქონდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პორნოგრაფიული თვისებები, მაგრამ პორნოგრაფიული მადა ისე ძლიერი არასდროს ყოფილა, როგორც დღეს. ეს უქვეყნო ნიშნა ჩვენი საზოგადოების ავადმყოფური მდგომარეობისა და ამ ავადმყოფობის წამალი არ არის პურიტანიზმი და კიდევ უფრო მეტი პურიტანიზმი. ეს ავადმყოფობას მალავს, ლპობის პროცესს კი აჩქარებს მხოლოდ. ერთადერთი საშუალება ისაა, აშკარად, ქარაგმების გარეშე ვილაპარაკოთ სექსსა და იმაზე, თუ რა ახდენს მის სტიმიულირებას.

ნამდვილი „პორნოგრაფი“ ბოკაჩოს მართლა ვერ იტანს, იმიტომ, რომ ცინცხალი, ჯანმრთელი უშუალოდ დიდი იტალიელი მთხრობელისა თანამედროვე „პორნოგრაფ“ პიგმეის ჭუჭყიან მატლად აგრძნობინებს თავს, ანუ იმად, რაც იგი სინამდვილეშია. სწორედ ამიტომ დღეს ყველას, დიდსა თუ პატარას მივცემდი საკითხავად ბოკაჩოს, ვისაც კი ამის სურვილი ექნებოდა.

ჩვენი დროში, როცა საზოგადოება საიდუმლო თუ ნახევრად ლეგალური პორნოგრაფიის ჭაობშია ჩაფლული, პანაცეა ამ ბოროტებისგან მხოლოდ სექსის შესახებ უშუალო, გულახდილი საუბარი შეიძლება იყოს. და შესაძლოა რენესანსის ეპოქის მთხრობელები — ბოკაჩო, ლასკა და სხვები — იყვნენ საუკეთესო შხამსანიანალმდეგო საშუალება როგორც პორნოგრაფიის, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის სახიფათო ფსევდონამდების — „სულიერი იარების სამკურნალო საშუალება“ — როგორც მათ პურიტანები უწოდებენ — წინააღმდეგ.

საკითხი პორნოგრაფიის შესახებ, ჩემი აზრით, საიდუმლოს საკითხამდე დაიყვანება. საიდუმლოს და ფარულობის გარეშე პორნოგრაფია არ იქნებოდა. მაგრამ ფარულობა და მორიდებულობა სრულიად სხვადასხვა რამაა. საიდუმლოებასა და ფარულობაში აუცილებლად იმალება შიშის ელემენტი, რომელიც ხშირად სიძულვილთანაა ახლოს, მორიდებულობა კი ყოველთვის მშვიდი და თავშეკავებულია. ჩვენ დროში მორიდებულობა აბუჩადაა ავადმყოფი ზნეობის უსახური დამცველებისგანაც კი. სამაგიეროდ, პატივშია ფარულობა, თუმცა ის თავისთავად ნაკლია. მორალის დამცველთა პოზიცია ასეთია: ძვირფასო ახალგაზრდა ქალბატონებო, შეგიძლიათ სრულიად დაივიწყოთ მორიდება, თუ თქვენი პატარა, ბინძური საიდუმლოებანი არ გამჟღავნდება.

ეს „პატარა, ბინძური საიდუმლოებანი“ ახლა უსაზღვროდ ფასდაუდებელ რაიმედ იქცა ბრბოს ადამიანისთვის. ეს ერთგვარი ჩირქგროვა თუ მუნჯი გახდა, რომელსაც როცა გააღიზიანებ, ან მოიფხან, მწველ შეგრძნებას იწვევს, რაც სიამოვნებას განიჭებს. ჰოდა ამ პატარა ბინძურ საიდუმლოებებს, ამ ჩირქგროვებსა და მუნჯუებს ადამიანები სულ უფრო და უფრო ხშირად აღიზიანებენ და იფხანენ, და ალგზნებაც სულ უფრო მატულობს და მათი ნერვული სისტემაც თანდათან იშლება და ფსიქიკური მდგომარეობაც უარესდება. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს სიყვარულზე რომანების და ფილმების სულ ცოტა ნახევარი პოპულარული ხდება სწორედ პატარა ბინძურ საიდუმლოებათა „ფხანის“ წყალობით. თუ გნებავთ, შეგიძლიათ ამას სექსუალური ალგზნება დაარქვათ, მაგრამ ეს განსაკუთრებული ხასიათის სექსუალური ალგზნებაა, რომლითაც სხვებისაგან მალულად ტკეპნიან. ბოკაჩოს კითხვა კი სხვაგვარ ვნებათაღელვას იწვევს — უბრალოს, ბუნებრივს, აშკარასა და ჯანმრთელს და ის არ უნდა აგვერიოს იმ ფარულ ალგზნებაში, პატარა ბინძურ საიდუმლოებათა ფხანა რომ იწვევს. სწორედ ასეთ ალგზნებას ეძებენ თანამედროვე ბესტსელერებში. ეს ფარული, შემპარავი, ვერაგული „ფხანა“ წარმოსახვის გაღიზიანებული ადგილისა თანამედროვე პორნოგრაფიის კვინტესენციაა და ეს საზიზღარი და ძალიან სახიფათო მოვლენაა. პორნოგრაფიის გამოვლენა, და მითუმეტეს მხილება, არც ისე ადვილია სწორედ იმიტომ, რომ ის ფარულად, ვერაგულად და მახვილგონივრულად მოქმედებს.

ამით აიხსნება თანამედროვე იაფფასიანი სასიყვარულო რომანების და ფილმების პოპულარობა და ის, რომ ისინი მორალის ფხიზელი დარაჯების მოწონებასაც კი იმსახურებენ. და ეს გასაგებიც არის. ვერაგულად შენიღბულ გაღიზიანებას, ნერვებს საამოდ რომ უღიტიტებენ, თქვენ როგორც მკითხველი ან მაყურებელი, იღებთ ფარულად, ნატიფი, ქათქათა ქვედა საცვლის საფარქვეშ, თანაც ისე, რომ არცერთი უხეში, უცენზურო სიტყვა არ მოგჭრით ყურს, რომ ეჭვი ალგეძრათ იმის შესახებ, თუ რა ხდება სინამდვილეში.

ასე რომ, საიდუმლოს, დაფარულის გარეშე პორნოგრაფია ვერ იარსებებდა. მაგრამ თუკი პორნოგრაფია ვერაგული, ფარული ქმედების შედეგია, თვითონ პორნოგრაფია რას წარმოშობს, როგორია მისი ზემოქმედება ადამიანზე?

მისი ზემოქმედება ადამიანზე მრავალმხრივია და ყოველთვის მავნებელი. ყოველ შემთხვევაში ერთი მავნე შედეგი გარდაუვალია. თანამედროვე პორნოგრაფიას, იქნება ეს რენესანსის ნაკეთობები მოვაჭრეთა თუ პოპულარულ რომანთა მალაზიების, ფილმებისა თუ პიესების პორნოგრაფია, აუცილებლად მიყვარათ ისეთ მანკიერებამდე, როგორიცაა თვითდაკმაყოფილება, ონანიზმი, მასტურბაცია, უწოდეთ, როგორც გნებავთ. თანამედროვე პორნოგრაფია არის უშუალო მაპროვოცირებელი მასტურბაციისკენ ახალგაზრდებისთვისაც და მოხუცებისთვისაც, კაცებისთვისაც და ქალებისთვისაც, გოგონებისთვისაც და ბიჭებისთვისაც. სხვანაირად ვერც იქნება. როცა დაშტამპულად მოაზროვნე მორალის დამცველები ზარებს არისხებენ იმის გამო, რომ ვიღაც ახალგაზრდა კაცმა ვიღაც ახალგაზრდა ქალთან სექსობრივი კავშირი დაამყარა, ისინი სინამდვილეში უკმაყოფილებას გამოხატავენ, რომ ეს ახალგაზრდები არ გაიყარნენ და ცალ-ცალკე არ დაკავდნენ მასტურბაციით. სექსმა ყოველთვის უნდა იპოვოს რაღაც გამოსავალი, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ჰოდა აი ჩვენი დიადი ცივილიზაციის პირობებში ის გამოსავალს მასტურბაციაში პოულობს. მთელი ნაკადი პოპულარული ლიტერატურისა, მთელი ინდუსტრია მასობრივი გართობისა, მიმართულია ძირითადად მასტურბაციის პროვოცირებისკენ. მასტურბაცია ყველაზე გასაიდუმლოებული, ყველაზე ინტიმური აქტია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირებისა, უფრო მეტად ინტიმურიც კი, ვიდრე დეფეკაცია და მოშარდება. ეს არის მთავარი შედეგი — ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური — სექსის საიდუმლო საბურველში გახვევისა და მისი სტიმიულირება და პროვოცირება ჩვენი დიადი პოპულარული ლიტერატურის მიერ ხდება შენიღბული პორნოგრაფიით, სასიამოვნოდ რომ უღიტიტებს ჩვენს პატარა, ბინძურ საიდუმლოებებს, ისე, რომ ვერც კი ვხვდებით, რა გვჭირს.

გამიგონია, ზოგიერთი მასწავლებელი და მღვდელი იწონებს კიდევ მასტურბაციას, ხედავს რა მასში სხვანაირად გადაუჭრელი პრობლემის გადაწყვეტას. ეს, ყოველ შემთხვევაში, პატიოსანი პოზიცია მაინც არის. სექსუალური პრობლემა მართლაც არსებობს და მას გვერდს ვერ ავუვლით. ის არსებობს, მაგრამ მშობლებისა თუ მასწავლებლების, მტრის თუ მოყვრის მიერ ტაბუდადებულია და აკრძალულმა, თავისი გამოსავალი იპოვა და ეს გამოსავალი მასტურბაციაა.

რა შეიძლება ითქვას ამ გამოსავლის შესახებ? არის კი ის ჩვენთვის მისაღები? მისაღებია თუ არა უსახურ მორალისგან თავისთვის? თუ მისაღებია, მაშინ აშკარად უნდა განაცხადონ ამის შესახებ. არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა მოიკატუნოს თავი, თითქოს არ იცოდეს, რომ მასტურბაცია ეწევა ყველა — მოხუცი თუ ახალგაზრდა, კაცი თუ ქალი. მორალის სადარაჯოსთან მდგომებმა, რომლებიც მზად არიან ცენზურა დაადონ სექსის ყოველგვარ აშკარა, პატიოსან გამოვლინებასა და ასახვას, ბოლოსდაბოლოს უნდა აღიარონ, რომ თავიანთი საქციელის გამართლება მხოლოდ ასეთი განცხადებით შეუძლიათ: „უფრო ზნეობრივად მიგვაჩნია, თუ ადამიანები სექსის მაგივრად მასტურბაციით იქნებიან დაკავებულნი“. თუ ასე აშკარად დააფიქ-

სირებდნენ თავიანთ აზრს, მაშინ ცენზურის არსებული ფორმები როგორღაც მაინც გამართლებული იქნებოდა. თუ მორალის სადარაჯოზე მდგომნი ამჯობინებენ, რომ ადამიანები მასტურბაციას ენეოდნენ სექსის ნაცვლად, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სწორი ყოფილა და მასობრივი გართობის ინდუსტრია ისეთივე უნდა დარჩეს, როგორც არის. და მართლაც, თუ სექსობრივი ურთიერთობა მომაკვინებელი ცოდვია, მასტურბაცია კი მასთან შედარებით სუფთა და უვნებელი, მაშინ ყველაფერი კარგად ყოფილა და არაფრის შეცვლა არ არის საჭირო.

მაგრამ არის კი მასტურბაცია ისეთი უვნებელი, როგორც ცდილობენ დაგვარწმუნონ? მართლაც ასეთი სუფთა და უვნებელია სექსთან შედარებით? არა, მე ასე არ ვფიქრობ. რა თქმა უნდა მასტურბაცია ახალგაზრდობაში გარდაუვალია, მაგრამ ამის გამო ის ბუნებრივი არ ხდება. მე მგონია, იმ ბიჭებსა და გოგონებს შორის, ვინც მასტურბაციას ეწევა, ისეთი არავინ იქნება, რომ სირცხვილის, ბრაზის, სიცარიელის შეგრძნება არ ჰქონდეს. ალგზნებას მოსდევს სირცხვილი, სიბრაზე, დამცირება და სიცარიელის გრძნობა. დამცირებისა და სიცარიელის შეგრძნება დროთა განმავლობაში ძლიერდება, გადადის რა სულ უფრო და უფრო მზარდ სიბრაზეში საკუთარი თავის მიმართ მაგნე ჩვევის ვერ დაძლევის გამო. საქმე ისაა, რომ მასტურბაციისთვის თავის დანებება, როცა ის ჩვევად იქცევა, პრაქტიკულად შეუძლებელია. ის სიბერემდე გრძელდება, მაშინაც კი, თუ ადამიანი დაქორწინებულია, ან სასიყვარულო კავშირები აქვს. და ეს ჩვევა ყოველთვის აჩენს მასში სიცარიელის და დამცირების, დამცირების და სიცარიელის გრძნობას. შესაძლოა ეს ჩვენი ცივილიზაციის ყველაზე დიდი ბოროტებაა. ასე რომ, მასტურბაცია სულაც არ არის უწყინარი და უვნებელი სისუსტე, ის, რა თქმა უნდა, ყველაზე სახიფათო სექსუალური მანკიერებაა ყველა იმ მანკიერებათაგან, რომლითაც კაცობრიობა ოდესმე ყოფილა ავად. შედარებით სუფთა შეიძლება იყოს — გააჩნია სუფთას რას დაარქმევ. მაგრამ უვნებელი!!!

ყველაზე სახიფათო მასტურბაციაში ისაა, რომ არაქათის აცლის ადამიანს. სექსობრივი აქტისას თითოეული პარტნიორი რალაცას გასცემს და რალაცას იღებს სამავიეროდ. პირველადი მასტიმულირებული იმპულსი გადის და ახალ მასტიმულირებელ იმპულსს ადგილს. რალაც სრულიად ახალი ემატება და ძველი გადამეტვირთულობა იხსნება. და ეს შეეხება ყველა სახის სექსუალურ ურთიერთობას, რომელშიც ორნი მონაწილეობენ, ჰომოსექსუალურ ურთიერთობასაც კი. მაგრამ მასტურბაციის შემთხვევაში მხოლოდ დანაკარგია. ამ დროს არავითარი ურთიერთგაცვლა არ ხდება, არის მხოლოდ ენერჯის დანაკარგი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. თვითდაკმაყოფილების აქტისას, შეიძლება ითქვას, ადამიანის ორგანიზმი გვამივით ფუნქციონირებს. მასში არ ხდება არავითარი ცვლილებანი, არის მხოლოდ სასიკვდილო გახვევა — ის, რასაც სასიცოცხლო ძალთა აუნაზღაურებელ დანახარჯს უწოდებენ. ორ ადამიანს შორის სექსუალური აქტისას კი ასე არ ხდება. იმ შემთხვევაშიც კი, პარტნიორებმა ერთმანეთი რომ გაანადგურონ, ნულოვანი შედეგი, რაც მასტურბაციას მოსდევს, მაინც არ იქნება.

მასტურბაციის ერთადერთ დადებით შედეგად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის ზოგიერთ ადამიანში გარკვეული სახის ფსიქიკურ ენერჯიას გამოათავისუფლებს. მაგრამ ეს ის ფსიქიკური ენერჯიაა, რომელიც მხოლოდ ნეგატიური მხრივ ავლენს თავს, აღვიძებს რა ადამიანს ავადმყოფურ მიდრეკილებას, ყველა და ყველაფერი ეჭვქვეშ დააყენოს თუ უსაფუძვლო, წვრილმანი კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს, ან კიდევ მეორე უკიდურესობაში გადავარდეს — ყველას და ყველაფრის მიმართ დაუოკებელი, პირფერული თანაგრძობით აღივსოს და მტირალა სენტიმენტალობაში გადავარდეს. სენტიმენტალობა და ავადმყოფური მიდრეკილება ზედმეტად ჩაკირკიტებული ანალიზისაკენ და ხშირად თვითანალიზისკენაც, რაც ასერიგად დამახასიათებელია ჩვენი თანამედროვე ლიტერატურისათვის, არის თვითდაკმაყოფილებისაკენ საყოველთაო მიდრეკილების

ნიშნები. სწორედ ასე ავლენს თავს მასტურბაცია, სწორედ ასეთად მიიჩნევა, მასტურბაციით პროვოცირებული გაცნობიერებული რეაქცია ადამიანისა, მიუხედავად იმისა, კაცია თუ ქალი. ასეთი ცნობიერების ყველაზე მკაფიო მახასიათებელია ის, რომ იგი ობიექტუა კონცენტრირებული და არა სუბიექტუა. ეს ეხება როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, მაგალითად რომანს, ასევე მეცნიერულ შრომებსაც. როგორც ერთის, ისე მეორის ავტორები ვერ ახერხებენ თავიანთი „მე“-ს საზღვრებიდან გასვლას, ისინი განუწყვეტლივ დადიან მანკიერ წრეზე, რომლის ცენტრშიც მათი საკუთარი ძვირფასი პიროვნება დგას. საქმეა, თუნდაც ერთი ცოცხალი მწერლის დასახელება შეიძლება ბოდეს, რომელიც ამ მანკიერი წრის საზღვრებიდან გასვლას შეძლებდა. ამავე დოზით ეხება ეს მხატვრებსაც. სწორედ ამით აიხსნება მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებთა უკიდურესად დაბალი დონე, ისევე, როგორც მათი მაღალნაყოფიერება. ეს არის შედეგი თვითტკობისა საკუთარი თავის მანკიერი წრის შიგნით. თვის საკუთარ თავში ჩანთქმა, მასობრივი მაყურებლისთვის საჩვენებლად გამოცანა.

და, რა თქმა უნდა, ეს ჩვევა ქანცამცელელ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე. ნამდვილი მასტურბაცია ინგლისში XIX საუკუნეში დაიწყო. ის სწრაფად გავრცელდა და სულ უფრო და უფრო მეტად იწვევს სასიცოცხლო ენერჯიის დაშრეტას, ადამიანური არსის გადაგვარებას. ადამიანები ლამის საკუთარი თავის ფიტულეზად იქცნენ. რეაქცია გარე სამყაროზე ჩაკვდა, აღქმის სიმწვავე უკიდურესად შესუსტდა, შემოქმედებითი აქტივობა მიიწვავდა. მათგან მხოლოდ რალაც ნიჟარის მსგავსი დარჩა, ნახევრად ცარიელი არსება, საკუთარ თავში ფატალურად ჩანთქმული, რომელსაც არც გაცემა შეუძლია და არც მიღება. დიახ, მათ არ შეუძლიათ არც გაცემა და არც მიღება, რამეთუ მხოლოდ საკუთარი თავისთვის არსებობენ. და ეს არის მასტურბაციის შედეგი. ჩამწყვდეული მანკიერ წრეში, საკუთარი „მე“-თი შეზღუდული, გარემომცველ სამყაროსთან თითქმის კავშირგანწყვეტილი ადამიანი თანდათან უფრო ცარიელი ხდება, ვიდრე მთლად ნულად და არარაობად იქცეოდეს.

მაგრამ რადაც უნდა იქცეს იგი, ნულად თუ სრულ მარაობად, თავის პატარა, ბინძურ საიდუმლოებებს მაინც მაგრადაა ჩაჭიდებული, რათა შეუმჩნეველად, მალულად მოიფხანოს და გააღიზიანოს ის. და ეს მანკიერი წრე თავისი ჩაუნვდომელი, ბრმა, გაუგებარი კანონებით უცვლელი რჩება.

ჩემს მიმართ განსაკუთრებულად კეთილგანწყობილი ერთი კრიტიკოსი წერდა: „საზოგადოებისთვის მისაღები რომ გამხდარიყო მისტერ ლოურენსის დამოკიდებულება სექსისადმი, მაშინ ორი რამ აღარ იარსებებდა: სასიყვარულო ლირიკა და მოსაწვეი ოთახის ანექდოტები.“ ვფიქრობ, იგი არ ცდებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომელ სასიყვარულო ლირიკას გულისხმობდა. თუკი ისეთ შედეგებს, როგორიცაა მაგალითად: „აჰ, ვინ არის ეს სილია და რას უნდა ველოდო მისგან“, მაშინ დაე სასიყვარულო ლირიკამ აღარ იარსებოს. არის კი ყველა ეს „წმინდა“, „კეთილშობილი“, „ღვთით კურთხეული“ აბდაუბდა მოსაწვეი ოთახის ანექდოტებზე უკეთესი? არაფრით. მე პირადად ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ. „Du bist wie eine Blume. Jawohl!“<sup>10</sup> წარმოიდგენ ხანშიშესულ ჯენტლმენს, უბინო ქალწულის თავზე რომ უდევს ხელი და ღმერთი ევედრება, იგი მუდამ ასეთი უმნიკლო, კეთილგონიერი და მშვენიერი დარჩეს. როგორი გულისამაჩუყებელია! მაგრამ ეს ხომ წმინდა წყლის პორნოგრაფიაა.

ცისკენ სალოცავად აპყრობილი თვალებით ეს პატივცემული ბატონი მალულად თავის პატარა ბინძურ საიდუმლოებებს უღივინებს. მან ხომ შესანიშნავად იცის, რომ თუ უფალი ღმერთი ახალგაზრდა ქალწულს კიდევ რამდენიმე წელს ასეთ უმნიკლოსა და კეთილგონიერს დატოვებს, — უმნიკლოსა და კეთილგონიერს ამ სიტყვის ვულგარული მნიშვნელობით, — მაშინ ის სინორჩის ხიბლსა და მშვენებას დაკარგავს და უბედურ, საცოდავ შინაბერად იქცევა. ასე რომ, სენტიმენტა-



ლობა ყოველთვის პორნოგრაფიის უტყუარი ნიშანია. კაცმა რომ თქვას, მშვენიერი, უმნიშვნელო ქალწული რატომ „უგმი-რავს გულს მწუხარებით“ პატივცემულ მოხუც ჯენტლმენს? ნორმალური ადამიანი, არა მასტურბატორი, ლამაზი, ნორჩი გოგონას დანახვისას გაიფიქრებდა: „რა მშვენიერი საპატარ-ძლოა. გაუმართლებს, ვინც მას შეირთავს.“ ასე იფიქრებდა ნორმალური ადამიანი, მაგრამ არა საკუთარ თავში ჩაფლული პორნოგრაფი მასტურბატორი. მისი ტლანქი გული კი თურმე მწუხარებამ განგმირა, როცა მშვენიერი, უმნიშვნელო ქალიშვილი დაინახა. არ გვჭირდება ასეთი სასიყვარულო ლირიკა. ისედაც საკმარისად მონამულნი ვართ ამ პორნოგრაფიული შხამით, აქამდეც ბევრი გვინახავს ცისკენ თვალაპყრობილი პატივცემული ბატონები, სადაც სიღრმეში პატარა ბინძურ საიდუმლოებებს რომ უღივნიებენ.

მაგრამ რაც შეეხება ნამდვილ სასიყვარულო ლირიკას („ჩემი სიყვარული წითელ, წითელ ვარდს ჰგავს“), ეს სრულიად განსხვავებული რამაა. ჩემი სიყვარული შეიძლება მაშინ ჰგავდეს „წითელ, წითელ ვარდს“, თუ ის „თეთრ, თეთრ შროშანს“ არ ჰგავს. მაგრამ ჩვენი დღევანდელი ლირიკა ხომ უმეტესად სწორედ „თეთრი, თეთრი შროშანებით“ გვინუხებს გულს. უკვე ყელში გვაქვს ამოსული ეს შროშანები და ასეთი ლირიკა. ჯანდაბამდის ჰქონია გზა თეთრი — ქათქათა შროშანების ლირიკას მოსაწვევი ოთახის ანეკდოტებთან ერთად. მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის — შროშანების ლირიკა ისეთივე პორნოგრაფიაა, როგორც მწველთა ანეკდოტები. *Du bist wie eine Blume* — ისეთივე პორნოგრაფიაა, როგორც ყველაზე ბინძური ანეკდოტები, ისეთივე ფხანა პატარა, ბინძური საიდუმლოებებისა, ისეთივე ცისკენ აპყრობილი თვალები. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა იქნებოდა, რობერტ ბერნსს იმად რომ იღებდნენ, ვინც სინამდვილეშია. მაშინ სიყვარული შეიძლება დარჩენილიყო „წითელ, წითელ ვარდად“.

მანკიერი წრე, ისევ ის მანკიერი წრე! მასტურბაციის მანკიერი წრე. მანკიერი წრე საკუთარ თავში ჩაფლული ცნობიერებისა, რომელიც არ ითვლება ცნობიერებად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რამეთუ ვერ აცნობიერებს თავის თავს სრულად და ამკარად და მუდამ მხოლოდ თავისი პატარა, ბინძურ საიდუმლოებებითა დაკავებული. მანკიერი წრე მუდმივად ფარულობისა და საიდუმლოებისა მშობლების თუ მასწავლებლების თუ მეგობრების მხრიდან. და საერთოდ ყოველი მხრიდან. და მაინც, ყველაზე მთავარი ოჯახური მანკიერი წრეა. საიდუმლოების უზარმაზარი შეთქმულება პრესის მხრიდან მის თანხმებულ პატარა, ბინძურ საიდუმლოებათა მუდმივი ფხანით. მუდმივი მასტურბაცია და მუდმივი პირველქმნილი სინამდვილე! მანკიერი წრე!

მაგრამ არის თუ არა აქედან გამოსავალი? არის, მხოლოდ ერთი. უნდა შევწყვიტოთ საკითხის გახვევა საიდუმლო საბურველში. ერთხელ და სამუდამოდ! ერთადერთი გზა საშინელი მენტალური ქავილის შეწყვეტისა, რომლის მიზეზს თუ ჩავეძიებთ, სექსუალურ ლტოლვამდე მიგვიყვანს, სექსის შესახებ დაუფარავი, ბუნებრივი მსჯელობაა. ეს საკმაოდ ძნელი ამოცანაა, რადგან სექსის შესახებ ყველაფრის გასაიდუმლოება ადამიანებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. მაგრამ მთავარია დანება. კაცი რომელიც მოახერხებს და თავის მოზარდ, გულისგამანაყლებლად ანც ქალიშვილს ეტყვის: „ჩემო გოგონა, ერთადერთხელ იყო, რომ შენი წყალობით სიამოვნება მივიღე, მაშინ, როცა მე და დედაშენმა ჩაგასახეთ“ — პირველ ნაბიჯს დგამს მთავარი მიზნის მიღწევისაკენ: გაათავისუფლოს საკუთარი თავი და ქალიშვილი პატარა, ბინძური საიდუმლოებისაგან.

და მაინც, როგორ დავაღწიოთ თავი პატარა, ბინძურ საიდუმლოებებს. ფაქტია, რომ ეს უკიდურესად ძნელია ჩვენთვის, ბავშვობიდანვე საიდუმლოებებს შეჩვეული თანამედროვე ადამიანებისათვის. მხოლოდ თეორიული განსჯებით და მეცნიერული მიდგომებით, იმის მსგავსით, როგორსაც დოქტორი მარი სტოუპსი გვთავაზობს, შორს ვერ წახვალ. თუმცა,

რა თქმა უნდა, დოქტორ სტოუპსის მეცნიერული განსჯებიც კი უკეთესია, ვიდრე უსახურ მორალისტთა ფარისევლობა. მაგრამ მეცნიერული მეთოდის გამოყენებით და სერიოზული მსჯელობებით პატარა, ბინძურ საიდუმლოებათა მხოლოდ დეზინფიცირება თუ შეიძლება. ზედმეტი სერიოზულობა და ინტელექტუალური განსჯები ან მთლიანად კლავს სექსს, ან უზადრუკ დეზინფიცირებულ საიდუმლოდ აქცევს. „თავისუფალი, სუფთა“, მაგრამ უბედური სიყვარული ამდენი ადამიანისა, რომელთაც საამკარაოზე გამოაქვთ თავიანთი პატარა, ბინძური საიდუმლო და მის საფუძვლიან დეზინფიცირებას ახდენენ ჭკვიანური, მეცნიერული განსჯებით, უფრო პათეტიკურიც კი ჩანს, ვიდრე ჩვეულებრივი სიყვარული თავისი პატარა ბინძური საიდუმლოებებით. უბედურება ისაა, რომ პატარა, ბინძური საიდუმლოს მოკვლით მასთან ერთად ცოცხალ, დინამიკურ სექსს კლავთ და სანაცლოდ მეცნიერულ კანონებს და კარგად აწყობილ მექანიზმს იღებთ.

აი, რა ემართებათ, ვინც მეტისმეტად „თავისუფალი“ გახდა სექსში, ვინც მართლა დაიჯერა „სუფთა, თავისუფალი სიყვარული“. მათ სექსი იმდენად აქცევს განსჯის საგნად, რომ ის, როგორც ასეთი, სექსი აღარ არის და რაღაც აბსტრაქტულ ქმედებად იქცა, მხოლოდ ტვინში რომ ხდება. და ყველა შემთხვევაში ეს აუცილებლად უბედურებით მთავრდება.

ზემოთქმული ეხება ასევე, (და ალბათ უფრო მეტი ზომითაც კი) ემანსიპირებულ ბოჰემას. ახლა ხომ ბოჰემურ ცხოვრებას ბევრი ახალგაზრდა მისდევს, თუმცა საეჭვოა რომელიმე მათგან ბოჰემიაში<sup>1</sup> იყოს ნამყოფი. ისინი ე.წ. „თავისუფალ სიყვარულს“ ქადაგებენ, ანუ სრულ თავისუფლებას სექსში. პატარა, ბინძური საიდუმლო მათთვის, კაცებისთვისაც და ქალებისთვისაც, საიდუმლო აღარ არის. პირიქით, მათ გულახდილობა ამ საკითხებში შოკისმომგვრელია. მათთვის აკრძალული თემა არ არსებობს. ქცევებშიც არაფრით იზღუდავენ თავს.

რა შეიძლება ამის შესახებ ითქვას? როგორც ჩანს, მათ პატარა, ბინძური საიდუმლო მართლაც მოკლეს, მაგრამ ამასთან ერთად გაანადგურეს ყველაფერი დანარჩენიც. გარდა ამისა, მასზე მიკრული ტალახი არსად წასულა. სექსი კვლავ ბინძური რჩება. ერთადერთი, რაც უკვალოდ გაქრა, სასიამოვნო ალგზნებაა, საიდუმლოებაა, რომ ინვედა. აქედან მოდის საშინელი მოწყენილობა და დეპრესია, თანამედროვე ბოჰემურ ცხოვრებას რომ ახლავს. აქედან მოდის დღეს ამდენი ახალგაზრდის გამოფიტულობა და სულიერი სიცარიელე. მათ მიაჩნიათ, რომ პატარა, ბინძური საიდუმლოებანი მოკლეს. სასიამოვნო ალგზნება საიდუმლოებისაგან — აი, რა მოკლეს მათ. სამაგიეროდ, ტალახის ნაწილი დარჩა. და დაემატა დეპრესია, განურჩევლობა, ცხოვრებისადმი ინტერესის დაკარგვა. იმიტომ, რომ სექსი, ჩვენი ცხოვრების გენერატორი, მათ შემთხვევაში არაფრის გენერირებას აღარ ახდენს.

რატომ ხდება ეს? ორი მიზეზით. შესაძლოა იდეალისტებმა, დოქტორ მარი სტოუპსით რომ მსჯელობენ, და ბოჰემური ცხოვრების ახალგაზრდა მიმდევრებმა, მართლაც მოკლეს პატარა, ბინძური საიდუმლო, მაგრამ ყველამ ეს საკუთარი „მე“-ს საზღვრებში შეძლო და მხოლოდ. მაგრამ ჩვენ დღეს ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელშიც ამაღლებული სისუფთავის და მის პატარა, ჭუჭყიან საიდუმლოებათა კულტია გამეფებული. ამ კულტის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა ყველაფერი — საზოგადოებრივი ცხოვრება, პრესა, ლიტერატურა, კინო, თეატრი და რადიო. შინაც კი, სადილად მსგდარნი, ამ გავლენას თავს ვერ ვაღწევთ. და ასეა ყველგან, სადაც უნდა წავიდეთ. გოგონა თუ ახალგაზრდა ქალი — დაუნერული კანონით — სუფთა, კეთილგონიერი და უსქესო უნდა იყვნენ. *Du bist wie eine Blume*. მაგრამ მან, „ყვავილის მსგავსმა“ გასაცოდავებულმა, მშვენიერად იცის, რომ ყველა ყვავილს, შროშანსაც კი, მათრობელა ყვითელი მტვერი აქვს ღეროს ზედა ნაწილში და ნებოვანი დინგი ბუტკოზე. ეს კი სექსის ნიშანია, ნამდვილი სექსისა. და მაინც, მიღებულია, რომ ყვავილები უს-

ქვემოქმედებანი და, როცა გოგონას ეუბნებიან, რომ ყვავილს ჰგავხარო, ეს ნიშნავს, რომ იგი უსქესო არსებაა და ასეთად უნდა დარჩეს. მან ხომ მშვენივრად იცის, რომ სულაც არ არის უსქესო არსება და ამ აზრით სულაც არა ჰგავს ყვავილს. მაგრამ როგორ უნდა აღუდგეს წინ ყოვლისშემძლე საზოგადოებრივ აზრს, თავს რომ ახვევენ?! ამას ვერ იზამს. და აქ მოზიემე სახით გამოჩნდება პატარა, ბინძური საიდუმლო. გოგონა კარგავს ინტერესს სექსის მიმართ, ყოველ შემთხვევაში მამაკაცთან სექსის მიმართ და მასტურბაციისა და საკუთარი თავისადმი მოჭარბებული ინტერესის მანკიერ წრეში ხვდება, რის გამოც მორცხვი და საკუთარ თავში ჩაკეტილი ხდება.

ეს თანამედროვე ახალგაზრდობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურებაა. ბევრმა ახალგაზრდამ, შეიძლება ითქვას მათმა უმეტესობამ, ამკარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება სექსისადმი და ამით პატარა, ბინძურ საიდუმლოებს კუდი ნაწყვეტა. ამას არ შეიძლება არ მივესალმოთ. მაგრამ სახალხო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობა კვლავ უფროსი თაობის უსახურ მორალისტთა ჩრდილში რჩება. ეს უსახური მორალისტები გასულ საუკუნეს ეკუთვნიან, ცვედანთა საუკუნეს, ლამაზი სიტყვების სამოსელში გახვეული სიცრუის საუკუნეს, საუკუნეს, რომელიც ადამიანში ადამიანურის ჩაკვლას შეეცადა. ეს უსახური მორალისტები მეცხრამეტე საუკუნის ნაყარ-ნუყარს წარმოადგენენ. და ჩვენ გვმართავენ. გვმართავენ გაცვეთილი, შემპარავი, ფარისევლური ტყუილებით გასული დიადი საუკუნიდან რომ გადმოჰყვანთ და რომელსაც ჩვენ, მადლობა ღმერთს, თანდათან თავს ვაღწევთ. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ განაგრძობენ ჩვენს მართვას სიცრუის დახმარებით, სიცრუის გულისთვის და სიცრუის სახელით. მეტისმეტად მოუქნელი და მეტისმეტად მრავალრიცხოვანი არიან ეს უსახურები. არა აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა გვყავს დღეს. ყველა ისინი უსახურები არიან, გასული საუკუნის ნარჩენები, ლამაზი სიტყვების საბურველში გახვეული ტყუილების, უმნიშვნელო სინამდის, კეთილგონიერებისა და პატარა, ბინძურ საიდუმლოებათა საუკუნის ნარჩენები.

ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული ლამაზი სიტყვებში გახვეული სიცრუეები, უმნიშვნელო სინამდისეები და პატარა ბინძური საიდუმლოებანი — აი, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი დეპრესიისა და სიციხიერებისა, რასაც დღევანდელი ახალგაზრდობა განიცდის. მართალია, ბევრი ახალგაზრდა ახერხებს დაძლიოს პატარა, ბინძური საიდუმლოებანი და მისი თანმხლები სიცრუე და ფარისევლობა, მაგრამ ეს მხოლოდ პირად ცხოვრებაში, მთლიანობაში კი ახალგაზრდა თაობას უსახური მორალისტები კვლავ დიად სიცრუეს ახვევენ თავს. აქედან მოდის ახალგაზრდების რეაქცია: გამომწვევი საქციელი, არეულ-დარეული ცხოვრება, ისტერიულობა, რასაც ყოველთვის მოსდევს სისუსტე, უძლეულება, პათეტიკური სისუფლე. ახალგაზრდები თავს ისე გრძობენ, თითქოს სატუსალოში იყვნენ, გრანდიოზული სიცრუის სატუსალოში, სადაც ზედამხედველებად მოხუცი მატყუარები გვევლინებიან. და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ იშრება ასე ადრე სექსუალური ნაკადის წყარო და ახალგაზრდული ენერჯია. ახალგაზრდები სიცრუის ჯაჭვით არიან შებორკილნი და ეს სექსუალურ წყაროს აშრობს. ხანგამძლეობა, თუნდაც ყველაზე ოსტატური ტყუილისა, არასდროს აღემატება სამი თაობის ცხოვრების პერიოდს, თანამედროვე ახალგაზრდობა კი უკვე მეოთხე თაობაა, XIX საუკუნის მიერ თავსმოხვეულ სიცრუეში რომ ცხოვრობს.

მეორე მიზეზი, რომლის გამოც სექსუალური ენერჯია იშრება, ის არის, რომ თანამედროვე ახალგაზრდები, მიუხედავად მათი ემანსიპირებულობისა, ჯერაც ვერ ახერხებენ მასტურბაციის მანკიერი წრიდან თავდაღწევას. როცა ამას ცდილობენ, საზოგადოება სიცრუის უზარმაზარი ენერჯით და პატარა, ბინძური საიდუმლოებებით უპირისპირდება მათ და უკანვე, მანკიერ წრეში აბრუნებს. ბოჰემური ცხოვრების მიმდევართა შორის ყველაზე ემანსიპირებულებიც კი, თავი-

ანთი სექსუალური ნარმატებებით რომ ტრაბახობენ, სექსის საკითხებში საოცრად შებოჭილად გრძობენ თავს და ნარცისტული მასტურბაციის მანკიერ წრეში რჩებიან ჩაკეტილნი. არ არის გამორიცხული, რომ სექსს მათ ცხოვრებაში ნაკლები ადგილიც კი ეჭიროს, ვიდრე მორალის უსახურ დამცველთა ცხოვრებაში, და მასზე აბსტრაქტული წარმოდგენებით შემოიფარგლებოდეს. პატარა, ბინძურ საიდუმლოებათაგან ყველაზე უმცირესთათვისაც კი არ მოიძებნება ადგილი მათ სტერილურ ტვინში. მათი სექსი უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე თეორიული მათემატიკა, და როგორც ცოცხალი, ფიზიკური არსებანი, ისინი ნაკლებად ცოცხლები არიან, ვიდრე მოჩვენებანი. ბოჰემის მიმდევარი თანამედროვე ახალგაზრდა მართლაც ჰგავს მოჩვენებას. მას ნარცისისაც კი ვერ შეადარებ. ის უფრო საზოგადოების ანარეკლია სარკეში. პატარა, ბინძური საიდუმლოს მოკვლა თითქმის შეუძლებელია. შეგიძლია ათასჯერ მიუსაჯო სახალხო სიკვდილით დასჯა, ის მაინც მოახერხებს და მალულად მზის სინათლეზე გამოძვრება, კიბოს მსგავსად, წყალში ჩაძირული თქვენი „მე“-ს ნაპრალებიდან. აღიარებულა, რომ ფრანგები ყველა სხვა ერზე მეტად არიან დაუფარავნი და გულახდილნი სექსის საკითხებში, მაგრამ ისინი ალბათ ყველაზე ძნელად გადანყვეტენ პატარა, ბინძურ საიდუმლოებებს შეელიონ. ალბათ არც სურთ ამის გაკეთება. როგორც უნდა იყოს, მხოლოდ საჯაროობა სექსის საკითხებში ამ ურთულეს ამოცანას ვერ გადანყვეტს.

საქმე ისაა, რომ როგორც უნდა მოახდინოთ სექსის საკითხებში თქვენი გულახდილობის დემონსტრირება, მხოლოდ ამით პატარა, ბინძურ საიდუმლოს ვერ მოკლავთ. მარსელ პრუსტის ყველა რომანიც რომ თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ, მათში მოყვანილი ყველა დეტალით, საკუთარ თავში პატარა, ბინძურ საიდუმლოს მაინც ვერაფერს დააკლებთ. მხოლოდ აიძულებთ, უფრო ეშმაკი და გაქნილი გახდეს. მეორე მხრივ, შეგიძლიათ სექსისადმი სრული განურჩევლობისა და აპათიის მდგომარეობას მიაღწიოთ, მაგრამ პატარა, ბინძურ საიდუმლოს ვერ მოკლავთ. ან ვთქვით დონ ჟუანი რომ იყო, სიყვარულის მორევში გადაშვებული ქარაფუტა, თქვენი „მე“-ს სიღრმეში დაბუდებულ პატარა, ბინძურ საიდუმლოს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ანუ კვლავინდებურად დარჩებით ნარცისიზმის და მასტურბაციის დომინანტებში, თვითდაკმაყოფილების და თვითიზოლაციის მანკიერ წრეში. რადგანაც თუ პატარა, ბინძური საიდუმლო თქვენში დაივანებს, ის ყოველთვის მასტურბაციისა და თვითიზოლაციის ცენტრი ხდება. შეიძლება ეს ყველაფერი სხვანაირადაც ითქვას: თუკი თქვენ მასტურბაციისა და თვითიზოლაციის მანკიერ წრეში მოხვდით, მის ცენტრში აუცილებლად აღმოჩნდება პატარა, ბინძური საიდუმლო. ამდენად, გამომდინარე, რომ სექსის საკითხებში ყველაზე ემანსიპირებულები, ყველაზე თავისუფალი ახალგაზრდები შესაძლოა ყველაზე უიმედოდ არიან ჩაკეტილნი მასტურბაციისა და თვითიზოლაციის მანკიერ წრეში. და უნდა ითქვას, რომ ისინი მაინცდამაინც არც ცდილობენ იქიდან თავის დაღწევას, ვინაიდან თუ ამას გააკეთებენ, მათ შიგნით მხოლოდ სიციხიერე დარჩება.

და მაინც, ზოგიერთებს ძალიანაც უნდათ თვითიზოლაციის ამ საშინელი წრიდან გამოსვლა. თანამედროვე ადამიანთა საერთო უბედურება ისაა, რომ მეტისმეტად არიან ჩაფლულნი საკუთარ თავში და ამ საკუთარ თავში ჩაფლულობის ტყვედ იქცევენ. აი, ასეთ „მხიარულ“ შედეგებამდე მივყავართ პატარა, ბინძურ საიდუმლოებებს. მაგრამ ამ ტყვეობიდან გათავისუფლებას ცოტა ვინმე თუ ცდილობს, რადგანაც თავისუფლებისკენ თითქმის არაფერი აქვთ წასაღები „საგზადად“. თუმცა ზოგს ნამდვილად სურს დაუსხლტეს თვითიზოლაციის ბოროტ ბედისწერას, კაცობრიობის ამ ბოროტ ბედისწერას. არიან ჯერ კიდევ ამქვეყნად ამაყი ადამიანები, თუნდაც მათი რიცხვი მცირე იყოს, რომელთაც სურთ ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდნენ პატარა, ბინძურ საიდუმლოებათაგან.

პირველი, რაც უნდა გაკეთდეს ამისათვის, ისაა, რომ ბრძოლა გამოვუცხადოთ უმნიშვნელო სინამდის შესახებ სენტიმენტალურ, ცრუ მითს და პატარა, ბინძურ საიდუმლოებებს ყველგან, სადაც კი წავაწყდებით, საკუთარ თავში თუ ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანებში. დაუნდობლად ვებრძოლოთ XIX საუკუნის გრანდიოზულ სიცრუეს, რომლითაც მთლიანად გაჟღენთილია ჩვენი სექსუალური ცხოვრება, რომელიც ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი. ვებრძოლოთ განუწყვეტლივ და თავდაუზოგავად, რადგან ეს სიცრუე ყოველისმეძღვრება და ყველგანმყოფი.

მეორეც, როგორც უნდა იყოთ ჩაფლულნი საკუთარ თავში, უნდა გაცნობიეროთ, რომ ამქვეყნად მარტო თქვენ არ ხართ, რომ თქვენს გარდა სხვა სამყაროც არსებობს. თითოეულმა ადამიანმა, როგორც უნდა იყოს ის ჩაფლული საკუთარ თავში, კარგად უნდა გაიაზროს თავისი „მე“-ს საზღვრები და ისწავლოს გათვალისწინება იმისა, რაც ამ საზღვრებს მიღმა არსებობს. ცხოვრება, რომელიც ჩემს გარემომცველ სამყაროში მიმდინარეობს, ჩემს შინაგან სამყაროს მხოლოდ ზედაპირულად ეხება, და ის, გარე ცხოვრება, მაიძულებს დავივიწყო საკუთარი თავი და დავეყვებ ჩემში ჩასახულ და ჩემს სულ უფრო და უფრო ამაფორიანებელ გულისწადილს - ნაცარტუტად ვაქციო ძველი სამყაროს გრანდიოზული სიცრუე და ახალი სამყარო შევქმნა. და თუ ჩემი ცხოვრება შემდგომშიც კვლავინდებურად თვითჩაფლულობასა და საკუთარ თავში მასტურბაციულ ჩანთქმულობაში გაგრძელდება, ასეთი ცხოვრება საერთოდ არ ელირება. და მართლაც, თუ ჩემი ინდივიდუალური ცხოვრება საზოგადოებაში გაბატონებულმა ყოვლისნამბილწავმა სიცრუემ უნდა წარმართოს, მაშინ ის გროშადაც არ ღირებულა. თავისუფლება უზარმაზარი მონაპოვარია — პირველყოვლისა თავისუფლება სიცრუისაგან. ეს კი პირველ რიგში საკუთარი თავისაგან თავისუფლებას ნიშნავს, საკუთარი სიცრუისგან თავისუფლებას, საკუთარ თავზე, როგორც ზეგანსაკუთრებულზე წარბოდეგნისგან თავისუფლებას, (საკუთარ თავშიც კი). თავისუფლებას საკუთარ თავში ჩაფლულობისა და მასტურბაციაში ჩანთქმულობისგან. მეორე მხრივ, ეს ნიშნავს უზარმაზარი სიცრუისგან საზოგადოების თავისუფლებას, უმნიშვნელო სინამდისგან, პატარა, ბინძური საიდუმლოებებისგან თავისუფლებას. სიცრუის ყველა სხვა ნაირსახეობა, როგორი ურჩხულისებრიც უნდა ჩანდნენ ისინი, ამ უმთავრესი სიცრუის საფარველქვეშ იმალება — უმნიშვნელო სინამდის შესახებ სიცრუის ქვეშ. მოკალით უმნიშვნელო სინამდის სიცრუე, და მასთან ერთად უკვე დაუცველი და უმწეო, ფულის ყოვლისშემძლეობის სიცრუეც მოკვდება.

ადამიანს უნდა ჰქონდეს ნათელი ცნობიერება და თვითშეცნობის უნარი, რათა შეეძლოს იმის დადგენა, სად მთავრდება მისი „მე“-ს საზღვრები, და ძლიერ მოწინააღმდეგე იყოს ზეგავლენა მოახდინოს გარემომცველ სამყაროზე. თუ მასში ასეთი სურვილი გაიღვიძება, მაშინ ის ძირითადად უკვე აღარ არის საკუთარ თავში ჩანთქმული, ისწავლა, როგორ დაიმორჩილოს თავისი „მე“, მიუხედავად იმისა, თუ რა გრძნობები უბურღავენ გულს. ეს ასევე ნიშნავს, რომ ის მიეჩვიას, საკუთარ თავზე არ იმოქმედოს არც ემოციურ და არც სექსის სფეროში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი შინაგანი სამყაროდან სიცრუეს გააძევენ, ადამიანი შეძლებს გარე სამყაროს სიცრუესაც შეებრძოლოს. ესაა თავისუფლების აზრიც და თავისუფლებისთვის ბრძოლის აზრიც.

ამდენად, თანამედროვე სამყაროს უდიდესი სიცრუეა უმნიშვნელო სინამდის სიცრუე — სწორედ ის წარმოშობს პატარა, ბინძურ საიდუმლოებებს, ამ სიცრუის განსახიერება კი მორალის უსახური დარაჯები არიან, რომლებიც XIX საუკუნემ დაგვიტოვა მემკვიდრეობად. ისინი დომინირებენ თანამედროვე საზოგადოებაზე, პრესაზე, ლიტერატურაზე, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე. და ბუნებრივია, მიუძღვებიან ე.წ. ფართო მასებს, უბრალოდ რომ ვთქვათ, ბრბოს.

ეს კი მათი მხრიდან იმ ყველაფრის მუდმივ თვალთვალსა და კონტროლს ნიშნავს, რაც შეიძლება აქტიურად დაუპირისპირდეს უმნიშვნელო სინამდის და პატარა, ბინძურ საიდუმლოებებს. ამ თვალთვალს, როგორც წესი, თან სდევს მუდმივი ნახალისება იმისა, რასაც შეიძლება „ნებადართული“ პორნოგრაფია ვუნდოთ, ანუ „ლეგალიზება“ რაფინირებული ქვედა საცვლებქვეშ დამალული უმნიშვნელოდ წმინდა და პატარა, ბინძურ საიდუმლოებათა ფხანისა. მორალის უსახური დარაჯები მზად არიან „ვერ შეამჩნიონ“ და ნაახალისონ კიდეც გულისამრევი პორნოგრაფიის ნიაღვარი, მაგრამ აუცილებლად ჩაახშობენ ყველა გულახდილ, პირდაპირ ნათქვამ სიტყვას.

რაც შეეხება ამ საკითხთან დაკავშირებულ კანონებს, ისინი უბრალოდ ფიქციაა. თავის სტატიაში, „ნიგნების ცენზურის შესახებ“, რომელიც ჟურნალში „XIX საუკუნე“ გამოქვეყნდა, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვიკონტ ბრენდფორტი წერს: „უნდა გვახსოვდეს, რომ ისეთი ქმედებანი, როგორიცაა უხამსი ნიგნების გამოცემა და ღია ბარათებისა და ფოტოების დაბეჭდვა, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით სამართალდარღვევაა და შინაგან საქმეთა მინისტრს, ვისი მთავარი მოვალეობაც ქვეყანაში მართლწესრიგის დაცვაა, სამსახურებრივი მოვალეობის გამო არ შეუძლია ამას ერთ შემთხვევაში ისე მიუდგეს, როგორც დანაშაულს, მეორე შემთხვევაში კი — არა.“

ასე ამთავრებს თავის სტატიას ეს უცდომელი *ex cathedra*<sup>12</sup> მინისტრი. თუმცა სულ რაღაც ათიოდე სტრიქონის წინ იმავე სტატიაში ამტკიცებდა: „უნდა ვაღიაროთ, რომ თუ კანონს ბუკვალურად შევასრულებდით, მაშინ გამომცემლები სასამართლოს სამსჯავროსთვის უნდა გადაგვეცა ისეთი ნიგნების დაბეჭდვისა და გამოცემისთვის, როგორიცაა „დეკამერონი“, „ბენვენუტო ჩელინის ცხოვრება“<sup>13</sup> „ათას ერთი ღამე“ (კუპიურების გარეშე). მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ნებისმიერი სასამართლოს სანქციებზე მაღლა დგას და ეჭვიც არ მეპარება, რომ სასამართლო განხილვას იმ ნიგნების მიმართ, რომელთაც ადამიანები საუკუნეთა განმავლობაში კითხულობენ, ფართო საზოგადოების მხარდაჭერა არ ექნება.“

მამ ვაშა საზოგადოებრივ აზრს! თურმე საკმარისი ყოფილა სულ რაღაც სამი-ოთხი საუკუნე გავიდეს და საზოგადოებრივი აზრისთვის ყველაფერი ნათელი ხდება. ასევე თურმე შინაგან საქმეთა მინისტრს, როგორც უნდა ახსოვდეს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, მაინც შეუძლია ერთ სამართალდარღვევას ასე მიუდგეს და მეორეს ისე. ამკარა არაობიექტურობაა მისი მხრიდან. და რა არის ბოლოსდაბოლოს ეს ყბადაღებული საზოგადოებრივი აზრი? ისეთივე სიცრუე მორალის უსახური დამცველებისა, ოღონდ კიდეც უფრო დიდი ზომით. მათი ნება რომ იყოს, ბენვენუტო ჩელინის ხვალვე აკრძალავდნენ. ემინიათ, სასაცილო მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ, რადგან ფართო მკითხველი საზოგადოების მიერ მოიჭიდადებელი ბენვენუტოს მოწონებას უკვე ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. საზოგადოებრივი აზრი კი არ არის აქ მთავარი, არამედ მორალის უსახური მცველების შიში, კიდეც უფრო სასაცილო, სულელურ მდგომარეობაში არ ჩაიგდონ თავი. საქმე აქ მარტივადაა. ფართო მასების მხარდაჭერა რომ დაიბეკონ, საზოგადოებრივი აზრის უსახური მპყრობელები კრძალავდნენ და აკრძალავდნენ ყველა ახალ ნიგნს, რომელიც XIX საუკუნის ლამაზი სიტყვების საბურველში გახვეულ ტყუილებს ამხელს. და მაინც, მორალის უსახური დარაჯები უხიზლად უნდა იყვნენ. ფართო მასა დღეს ცვალებადი, მერყევი მომხმარებელია. ეს უსახურები თავიანთი დახასვებული სიცრუით მას აღარც ისე ეძვირფასება. გარდა ამისა, ფართო მასებს შორის არსებობს სხვა ხალხიც, თუმცა ისინი ახლა უმცირესობას შეადგენენ, რომელთაც სძულთ სიცრუე, და ისინიც, ვინც ამ სიცრუეს თავს ახვევენ და თავისი საკუთარი, თანამედროვე, დინამიური წარმოდგენები აქვთ პორნოგრაფიასა და უხამსობაზე. ხომ შეუძლებელია აბითურო ძალიან ბევრი ხალხი მეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში თუნდაც უმნიშვნელო სინამდისითა და პატარა, ბინძური საიდუმლოებებით.

ამ უმცირესობას კარგად ესმის, რომ სერ ჯეიმზ ბერის და მისტერ გოლზუორთის წიგნები, სხვა ნაკლებად ცნობილ ავტორებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრად უფრო პორნოგრაფიულია, ვიდრე „დეკამერონის“ ყველაზე ამკარა, ყველაზე გულახდილი აღწერები, ვინაიდან ისინი პატარა, ბინძურ საიდუმლოებებს ულიტინებენ და მკითხველს მალულად მასტურბაციისკენ უბიძგებენ, მაშინ, როცა ბოკაჩოს ზნეობრივად ჯანმრთელ წიგნები მკითხველზე ასეთი ზემოქმედებას არ ახდენენ. უმცირესობას ასევე კარგად ესმის, რომ ბერძნულ ლარნაკებზე თითქოსდა ყველაზე „უნესო“ ნახატები -ო, შეუბღალავი, უბინო, პატარძალი მდუმარებისა! — სრულებითაც არაა ისეთი პორნოგრაფიული, როგორც კინოეკრანზე ახლო ხედით ნაჩვენები კოცნა, რომელიც ქალებს და კაცებს მასტურბაციისკენ უბიძგებს, რასაც აკეთებენ კიდეც მალულად, განცალკევებულნი.

მაგრამ შესაძლოა ისეთი დღეც დადგეს, როცა ფართო მასშტაბზე კი მონიდომონ სიმართლის თვალეში ჩახედვა და მიხედნენ, თუ რით განსხვავდება პრესა, კინო და თანამედროვე მასობრივი ლიტერატურა, საზოგადოებას ფარულად მასტურბაციულ პორნოგრაფიას რომ ახვევს თავს, სექსუალური იმპულსის ჭეშმარიტად მხატვრული ასახვისაგან, რასაც ჩვენ ბოკაჩოს წიგნებში, ბერძნული ლარნაკების ფერწერასა თუ ძველი პომპეის ხელოვნებაში ვხვდებით. ასეთი წიგნები, ასეთი ფერწერა, ასეთი ხელოვნება აუცილებელია ყველა ჩვენგანისათვის, რათა უფრო სრულად შევძლოთ საკუთარი თავის გამოხატვა.

ჯერჯერობით კი, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი აზრი ამასთან დაკავშირებით სრულიად დაბნეულია, ლამის იდიოტიზმამდე დაბნეული. როცა ჩემი სურათების გამოფენაზე<sup>14</sup> პოლიცია დაგვესხა თავს, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომელი ტილოების კონფისკაცია უნდა მოეხდინათ, ამიტომ ყველა ნახატი წაიღეს, რომელშიც თუნდაც შორეული მინიშნება იყო ქალისა თუ კაცის სასქესო ორგანოს შესახებ. მათ არ აინტერესებდათ არც სიუჟეტი, ან მითუმეტეს ნახატის აზრი, და ხელოვნების ეს პოლიციისმუნდირიანი ნატიფი შემფასებლები მზად იყვნენ ყველაფრის ნება დაერთოთ, გარდა ტილოზე ადამიანის „სირცხვილის“ თუნდაც ფრაგმენტულად გამოსახვისა. აი, საზოგადოებრივი აზრი, პოლიციელებში განსახიერებული. საკმარისი იყო საეჭვო ადგილებზე ფუნჯის გადასმა, განსაკუთრებით მწვანე ფერის ფუნჯისა, რომ ლეღვის ფოთლის ასოციაცია გაჩენილიყო და „საზოგადოებრივი აზრიც“ სავსებით დაკმაყოფილდებოდა.

ამას სხვა სახელს ვერ მოუძებნი — იძულებული ვარ ადრე თქმული გავიმეორო: ეს სრული იდიოტიზმია. თუ უახლოეს მომავალში ბოლო არ მოეღება უმნიშვნელო სინამდისა და პატარა, ბინძურ საიდუმლოებათა შესახებ სიცრუეებს, მაშინ ჩვენი საზოგადოება მართლა კოლექტიურ იდიოტად გადაიქცევა, თანაც უკიდურესად საშიშ იდიოტად. რამეთუ საზოგადოება ინდივიდებისგან შედგება, თითოეულ ინდივიდს სქესი გააჩნია და მთელი მისი ცხოვრება სქესის გარშემო ტრიალებს. თუ უმნიშვნელო სინამდის და პატარა, ბინძურ საიდუმლოებათა შესახებ სიცრუე თითოეულ ინდივიდს მასტურბაციული თვითჩანთქმულობისა და თვითზოლაციის მანკიერ წრეში შერეკავს და იქ ამყოფებს, მაშინ ჩვენი საზოგადოება მართლა სრული იდიოტიზმის მდგომარეობაში ჩავარდება. ვინაიდან

მასტურბაციული თვითჩანთქმულობა ადამიანებს იდიოტებად აქცევს. თუმცა, მეორე მხრივ, თუ ჩვენ ყველანი სრულ იდიოტებად ვიქცევით, ამას უბრალოდ ველარ შევამჩნევთ. ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან!

ინგლისურიდან თარგმნა  
ბია ბარაქაძე

**შენიშვნები:**

1. ხმა ლეთისა და ხმა ერისა. მძულს უმეცარი ბრბო. დიას, უმეცარი ბრბო. -პირველი გამოთქმა ეკუთვნის რომაელ ფილოსოფოს სენეკას. მეორე და მესამე — რომაელ პოეტს ჰორაციუსს.
2. ბლითი
3. კრენდელი
4. პიეტრო არეტინო — აღორძინების ეპოქის იტალიელი მწერალი. სატირული კომედიების ავტორი.
5. თვით ფაქტის ძალით.
6. შოტლანდიური სიმღერა რეალური პიროვნების, არისტოკრატის -ენი ლორის მიმართ (1682-1764) მისგან უარყოფილი თავიანთმცემლის მიერ დაწერილი.
7. ინგლისელი მწერლის სემუელ რიჩარდსონის (1689-1761) ეპისტოლური ფორმით დაწერილი სასიყვარულო რომანები.
8. მოკლე, სახუმარო ლექსი, ხანდახან ეროტიკული შინაარსისა, რომელიც აუცილებლად ხუთი პნკარისგან შედგება და პირველი და მეორე პნკარი მეხუთეს ერითმება, მესამე კი მეოთხეს.
9. ინგლისელი მწერალი ქალის ჯორჯ ელიოტის (1819-1880) რომანი.
10. „ყვავილს ჰგავხარ. ჰო, რა თქმა უნდა“ (გერმ)
11. ჩეხეთის ძველი სახელი.
12. ქედმაღალი
13. ბენვენუტო ჩელინი — (1500-1571) იტალიელი სკულპტორი და იუველიერი, ცნობილია ავტობიოგრაფიული ნაწარმოებითაც „ბენვენუტო ჩელინის ცხოვრება“, რომელშიც ძალიან გულახდილად მოგვითხრობს საკუთარ თავზე.
14. ლოურენსი ლიტერატურული შემოქმედების გარდა ფერწერასაც მისდევდა.



**უმიჯრება, გულბრილობა თუ?..**

8 თებერვალს დიდი მეფის, მხედართმთავრის, პოლიტიკოსის, ფილოსოფოსის, „მესიის მახვილის“, წმინდანის — დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის აღსაზრდელებმა ტრადიციულ სასკოლო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. ამის შემდეგ ახალგაზრდობის ცოდნის შეფასების მიზნით მათ გამოჰკითხეს მოქალაქეები ქუჩაში: ლიცეუმის შენობის წინ, მეტროსთან, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან. 100 რესპონდენტიდან მხოლოდ შვიდმა უპასუხა მარტივ კითხვებს: დიდი მეფის გვარის, წარმომავლობის, პოლიტიკური აღმშენებლობის სტრატეგიის, „ანდერძის“, ლიტურგიკულ-ფილოსოფიური დოქტრინის, სულიერი მისიის... შესახებ.

ია ბაგრატიონ-მუსრანელი

ნათა ვარადა

# ვარადა ვარადას შესახებ

## დავინწყით აქედან

ბავშვობის შავ-თეთრ ფოტოებს, მთლად შავ-თეთრსავე ვერ ვუნოდებ, უფრო ეს იყო ე.წ. სერპია. მე ვამბობ, რომ იქ ნათლად ჩანს ჩემი მომავალი ცხოვრება. სახეს ატყვია და თვალებისა და ხელების მოძრაობაზეც ვიძიებდი.

ნებისმიერ ადამიანს, სულიერს, ეს შეიძლება ფრინველებზე და ცხოველებზე, ხეებზე და ქვებზეც კი განავრცო - ეძლევა, როგორც სხეული და სხეულის ნაწილები და როგორც სული - ასევე, ღმერთისაგან დაბადებიდან, გარკვეულწილად გამოყოფილი აქვს ამ დედამიწაზე თავისი ნიშა. ეს არის ე.წ. ადამიანის მისია.

მაგრამ, ნახე, აბა, ქვებს როგორი მისია აქვთ?! ისინი სახლებისთვისაა და საფლავებისთვის.

ხეები, ჩვენი ჟანგბადია და ჩვენი კუბოც.

ფუტკარი რა მაგარია, გაჭმევს და მერე სანთელს განვდის სამოთხისკენ მიმავალ გზაზე რომ ემანდ, შემთხვევით იმ ქვას ფეხი არ ნამოკრა, რომელიც გულზე გადავს.

სიცოცხლე წყლით მოდის, ცხრა თვე წყლის ცხოველი ხარ ადამიანი, მერე კი მიწისა. ცხრა თვე ადამიანისთვის და ცხრა რიცხვი უფლისთვის, ხო არის საკრალური.

ცეცხლი გამონრთვნის, გამოახმობს, გამოაშრობს და ცეცხლი გადაბუგავს, გაანადგურებს, მოსპობს. დატოვებს ნაცარს და ნაცრიდან და ფერფლიდან აღდგება.

ასეა. ნებისმიერ ადამიანს ეძლევა თავისი ნიშა, საიდანაც შეუძლია, რომ მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში, წვლილი და ენერჯია გაიღოს, ილოცოს და სხვა ალოცოს, დაბადოს და გაზარდოს, შექმნას და გაანაწილოს. ეს უკვე მასზეა. მის გონებაზე, მიხვედრილობაზე და ადგილისა და საკუთარი მისიის პოვნის ბედნიერ შემთხვევაზე.

ჰაერი? ლოცვის დროს ჩასუნთქვას და ამოსუნთქვას, მათ სწორ განაწილებას, ენერჯიის წარმოქმნა და მართვა შეუძლია.

თუმცა მიწას აუხსნელი, გამოუკვლევი როლი აქვს ადამიანის ყოფაში. მთელი ცხოვრება ეჭიდები მას, რომელიც, სადაცაა, იცი, რომ მოვა დრო და როგორც სათესლე კარტოფილი უნდა განთავსდე. აქ, მუდმივობისა და წილადის, ერთი მთლიანისა და მისი შემადგენელი ნაწილაკების საიდუმლოა. ცის ვარკვლავები ადამიანებივითაა, არის ასეთი ბედის ვარსკვლავი. ხალხის განლაგება სხეულზე, შენი თანავარსკვლავედის და კოსმიური ენერჯიის წყაროს წარმოადგენს.

ხანდახან მგონია, რომ ის, რაც ხდება მიწაზე და ცაზე, დაკავშირებულია უხილავად იმისთვის, რომ ადამიანმა შეძლოს სიცოცხლე, თუმცა მიწის ქვეშ, სხეულის ამოფარება, რომ სული განთავისუფლდეს, აი, ამის საჭიროებას ვერ ვხსნი.

მწერლობა შემთხვევით არ გადამიწყვეტია, ჩემმა გარდაცვლილმა პაპამ მირჩია.

ასე იყო. მის არქივში, მის ხელნაწერ ავტობიოგრაფიას გადავანყედი. წერს მშრალ ფაქტებს და ისეთი მხატვრულობაა, შემურდება კაი გვართან მწერალსაც. თორმეტ დედ-მამიშვილიდან ეს ერთი, ნაბოლარა დავრჩენილვარ ჩემს მშობლებს, ვარ დედისერთა.

მეთქი, ასე ერთ წინანდადებაში მთელი წიგნი, ეს ნიჭია და მე რატომ არ შეიძლება წინაპრისგან ეს ნიჭი დამყვებოდეს-

მეთქი?! აი, ასეთ ეშმაკურობას მივმართე და გაამართლა. მართლა. მე ახლა ბებია-ქალი რომ ვიყო, თუ გინდა ვიყო ქუჩების გამნათებელი ან დამკრძალავი ბიუროს შეფი, აი, ამ წერას მაინც ხომ აყვანილი ვეყოლებოდი?! და, მაინც თავსარჩენი საქმე სხვა მაქვს, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება და ელექტრონული გამომცემლობა, მაინც, ვწირავ საკუთარ თავს და ვწერ.

მე მგონია, რომ მთელი ჩემი შინაგანი და გარეგანი არსებობა ესაა, სხვა ადამიანების უფლებების, სიცოცხლის, უმანკოების, რწმენის დაცვა. ამას კი მწერლობის ნიშანად ასე თუ ისე თავს ვართმევ.

და მაინც, საიდან?! კომპასი რომ მქონდეს, სხვათა შორის, ნოუთბუქის ეკრანზე გამოვიტანე. ძალიან საყვარელია, ისარს რომ ატრიალებს და პროცენტებს მიწერს. აი, ახლა ნავედით ჩრდილოეთით, ახლა კი სამხრეთით. სინამდვილეში სანოლში ვართ ჩამძვრალნი და გაყინული ხელის თითებით და წითელი ცხვირით, ვკითხულობთ სურამის ციხეს პდფ-ში.

კომპასი რომ, მართლაც, აღმოაჩინო სახლის ძველ ნივთებში და ხელში ჩაიგდო, დაიდო ხელისგულზე და წახვიდე, ისევ ამ ქალაქ-ტიფლისში მოვხვდებოდი?!

კუნძული რომ არსებობდა და გაქრები-გადაფრენა და უკან ანუ სადღაც 1920-იან წლებში, ეს ხომ იქნებოდა ფანტასტიკის სფერო?!

ჭრელ, აღმოსავლურ მუთაქა-ხალიჯა-ფარდაც სალონში მოვანყობდი მხატვრული კითხვის სადამოებს, იქნებოდა ბევრი ჯაზი და აბსენტი. მოვიყრიდით თავს ერთი ვაი-ჭკუისგან რომ გვჭირს და იქნებოდა ღამის თენებები. აქ, აუცილებლად უნდა იყოს თრობითი საშუალება და თხრობითი წინადადება სასვენი ნიშნებით.

## იომქმდე ახლა.. იბრაქანი ცხომრება.. ბანისმარტივე სიყვარული

გაეროს ქალთა ფონდი გრანტის მისაღებად კონკურსს აცხადებდა. მქონდა პროექტი, მიხდოდა სამადლო სახლის დაფუძნება ჯერ თბილისში, მერე რეგიონებში. ეს სამადლო სახლი იქნებოდა ლიტერატორი ხალხის და ისინი, ლატაკი ოჯახის ბავშვებისთვის გამართავდნენ შეხვედრებს. კვირა დღეს სადილი, წიგნი, ხატვა და სიყვარული. ვერ ვიმოქმედე მაშინ, ახლა კი გვიან არის.

აი, ეს გაისმარტივე არის დიდი ერთუჯრედიანობა. ძველები გართულებულს უფრო პატივს მიაგებდნენ, იმიტომ, რომ ადვილ და იორლას ფასი არ ედო.

აი, ასეთი გართულება მაქვს სიყვარულთან დაკავშირებით. ახლა ხშირად ნავიკითხე, სულელებს სჯერათო, აბა უფალი?!

## მანქანას აქ ნუ გააჩერებთ

აბა, სად გავაჩეროთ?! ეს უცნაური აკრძალვები მახალისებს. აქ არ მოფსათ, ეზოში ავი ძალია, მანქანას აქ ნუ გააჩერებთ, აქ ნუ დადგებით – როგორ ყველაფერი მიტაცებულია. მიწის მტკაველი აღარ დარჩა ფეხი დადგა ან მოსაქმება დაგჭირდეს კაცს. ყველგან სათვალთვლო კამერასავით ჭახჭახებს წარწერა აკრძალვის. მალე ჰაერის მრიცხველს დაგვიყენებენ. ეს გამოთქმაა კიდევ ძალიან სევდიანი და ამასთან რეალისტური და სხარტულა.

## ვიზარაბთ ფერად ლითონს

რა არის იცი?! რალაც ქართული ისტორიისა და კულტურათა მისტიკისასავით არის ეს ფერადი ლითონი, გამოუღველი და აღურიცხავი. რამდენი ფერადი ლითონი და ჯართი უნდა ჰქონდეს მოსახლეობას?! ნაბიჯს ვერ გადაადგამ ყველგან იბარებენ ფერად ლითონს და ჯართს. ხშირად ვხე-

დავთ დიდ მანქანებზე დამაგრებულ გატეხილ რკინის საწოლებს, ძველ გაზებს, რადიატორებს, მაცივრებს. ვიბარებ რადიატორებს, ვჭრით და ვიბარებთ ძველ რადიატორებს. ვილაძას გააქვს ისტორია, ვილაძე გვწმენდს და თითქოს ესეც თავის გადარჩენის რაღაც ღვთის სასწაულია.

აი, ფული რომ მქონდეს, გაყინულ ქათმის ბარკლების ძეგლს დავდგამდი, კვერცხებისა და შლოპანცების გვერდით. ნამდვილად ეკუთვნის გაყინულ ბარკალს და ფენოვან ხაჭაპურს ყვავილებით შემკობა, მან ხომ შიმშილისგან გვიხსნა.

**თბილისის კონცერტინო**

მიყვარს ძველი სვანეთის უბანი, ვორონცოვი, პლესხანოვი. ისეთი სახლებია, ისეთი კარით, აივნით, ფანჯრით და წარწერებით მთელი ისტორიაა. თბილისის კონცერტინო - რა ხასიათზე დგება კაცი?! ცირკი, სანახაობა, კინტო, დოლი, თბილისობა.

**ჯივარ ხანიანი, გულსუნდა ნადარბაზევი და ქალაქის დასაქმარი მარწხი**

90-წლებიდან რაც მახსოვს ეს ჰეიდარ ალიევის სიკვდილია და მისი ვაჟის, როგორც ხონთქრის შვილის ანდერძის-დაგვარად გაპრეზიდენტება. გულსუნდა ნადარბაზევი კი არაა, უზუბეკეთის თუ ტაჯიკეთის პრეზიდენტი. სხვა სახელით და გვარით, მაგრამ მეხსიერებაში ასე მყავს შემორჩენილი. ჯივარ ხანიანიც მე მგონი ხშირად ისმოდა და კიდევ, უპატრონო ძაღლებს რკინის მჭრელი კავით რომ იჭერდნენ, მთელი უბნის ნარკომანობა და ბირჟა რომ ტიროდა და მერე ბუნკერებში გაზით გუდავდნენ - ქუჩის მანანალებს ასე დავსჯითო, თითქოს დაშინება იყო, მაგრამ ძაღლები რომ იყვნენ?!

მშრალი ხიდია, კიდე, მე მგონი, ის საყრდენი თუ ღერძი დედამინასაც რომ აქვს და მგონი ყველას, ცენტრი აქვს მოშლილი თუ დაკარგული რომ იტყვიან ადამიანზე, ტფილისზე უნდა თქვა მშრალი ხიდი არ მოგიშალოს ღმერთმა. ასე მგონია, ტიფლისელი მარტოხელების გარდაცვალების შემდეგ მათი გაჭირვებისგან დატილიანებული მოხუცი პენსიონერი მეზობლები იტაცებენ გარდაცვლილის ნივთებს, ბეჭდებს, ხალიჯებს, „ხრუსტალს“, ხატებს და მშრალ ხიდზე ეზიდებიან. ეს ძველი ჩრჩილნაჭამი ნივთების გამოფენა, ამ ქალაქის განიავებას ჰგავს.

ჩვენ ევროპული მეორადი ტანსაცმელიც რაღაც ცოდვების გამო გვერგო.

**ლიტერატურა და სხვა**

ლიტერატურა მოკვდა. მარტო პოეზია კი არაა, ან პროზა. როგორც ასეთი ლიტერატურა. ახლა დოკუმენტური ნაწერების დროა. ეს არ არის ცუდი. აღმოსავლური თვალთმაქცური ვარდ-ბულბულიანი და ადამიანის გულის გატუტუტება კაი ხნის წინ უნდა დასრულებულიყო.

წერის დროს ვგრძნობ მეხსიერება მეთიშება. დროებით ვკარგავ გენეტიკას, სხვა რამედ გადავიქცევი ხოლმე. არ ვიცი, ეს რა არის, როცა ვამთავრებ წერას, მაშინ ვუბრუნდები საკუთარ თავს და თავზე ხელს შემოვირტყავ ხოლმე, ვითომ აქ ვარ და მე ვარ. ხშირად ერთ სიტყვას მოვუყვანივარ ალტაცებაში, სასწრაფოდ ჩამირთავს ჩემი პანანა ნოუთბუქი და დამინყია წერა. ღამე, ძილ-ღვიძილობისას მოდის რაღაც ფრაზები, მეზარება ხოლმე ადგომა და მოწოდება კომპის, ამიტომ ის ღამეული გაფრენები იკარგება, მერე სიზმარი ყლაპავს მათ. მარტოობის დროს უფრო დიდი გავსებები მაქვს, მაგრამ მიწერია სამუშაო ოთახში სადაც ათასი კაცი ერთად ტატყანებს და ათასი კიდე ილანძღება და ათასი კიდე სიტყვების კალამბურობაშია, ჩვენი საზოგადოება გეც-

ნო? ადრე, სახლში კომპი არ მქონდა, ერთ ლარად კომპი არ მქონდა, ხო, ვწერდი სამსახურში და ვაპრინტებდი, გავდიოდი საპირფარეშოში კი არადა, მმმ. სველ წერტილში ანუ ტუალეტში, იქ ვკითხულობდი და შენიშვნებს ვიმახსოვრებდი, მერე ისევ თავიდან, ასე სანამ ლექსი არ მომეწონებოდა. ასე დაინერა ჩემი პირველი ნიგნი.

დაკვირვებული ვარ, როცა სახლში ან ვრეცხავ ან ვალაგებ ან სადილს ვამზადებ, ამ მოძრაობაში მოდის უეცარი გაფრენები, სასწრაფოდ მანყებიანებს წერას და გამოდის ხოლმე რაღაც კაი.

ადრე სიგიჟემდე მიყვარდა მწერლები, პერსონაჟები კი არაა, არც ლიტერატურული გმირები, ახლაც რომ მკითხო ვერ დაგისახელებ ასეთ ლიტერატურულ გმირს, თინეიჯერობის დროს დათო მიყვარდა, ჯიბგირი და სიყვარულის ისტორიიდან, ახლა კი შეიძლება ვთქვა რომ არ მახსენდება, დოსტოვესკი მიყვარს, ბულგაკოვი, მათი პერსონაჟები კი არ მახსენდება, ხო, ამიტომ სიყვარულით დავინყე წერა. სიყვარულში ხო ბევრი რამე გადამდებია და მე წერის ავადმყოფობა გადმომდეს, ეს ვენერიულზე უფრო საშიშია, თუ არ წერ, ესე იგი, „ლომკა“ გყლაპავს და სულ არაფრის მნიშვნელობის მაგრამ უნდა კი აუცილებლობისა გამო კი დანერო.

**შინაგანი პროცესი**

შემოქმედი ახალ ნან.-ზე მუშაობისას, გაუხედნავ ველურ ცხენს არჯულებს და ათვინიერებს., შესაძლებელია ხომ რომ გაიტაცოს, გადმოაგდოს, ნიხლი უქნას და დააშავოს, მაგრამ ეს პროცესი ხანდახან გადაკარგვისა და დროის განვლისა მიზეზიც შეიქმნების, უცილობლივ.

ისე, გიტაცებს იმ მასალების სიღრმე, მთავარსაც შესაძლებელ არს გაგაცილოს, ეშმაკს ურიცხვი თავისი მანქანები აქვს, რითიც რჩოლას დაგინყებს, მაგრამ შენ უნდა მოიკრიბო არაადამიანური ძალი და გახვიდე მთავარ გზაზე.

ეს პროცესი, შინაგანი წვის, ბევრად უფრო საინტერესოა, ქმნადობისა და ღწვის, შემდეგ მზა მასალას ბევრად მირჩვენია. ამიტომ, ხომ არაა, რომ ბევრი საკუთარ შექმნილს აღარ უბრუნდება უკან, იქნებ ღმერთის საქციელიც ასე აიხსნას.

**სიკეთე და ფანტაზია**

ეს ორი განუყრელი რამ კაცობრიობის სიცოცხლისათვის აუცილებელი თანმდევი სურვილია.

დიდი რამეა, კეთილი კაცი. არ აქვს მნიშვნელობა ანგარებითა ეს სიკეთე თუ გულუბრყვილო, მთავარია სიკეთე იყოს. ფანტაზიორებს აქვთ სიკეთის ჩადენის სურვილები. ადამიანი, რომელსაც ფანტაზიების გარეშე ცხოვრობს, ის სიკეთესთან მწყრალადაა.

კიდევ იცი, რა მიყვარს?! ძველი ქართული სიტყვები. ეს არის დღევანდლობაში სიგოიმე, იქნებ მართლაც ასეა. ტერმინი მისი არ მახსენდება რატომღაც, ხო ხვდები, არქაული, ხო გამახსენდა, მაგრამ უდიდესი კაიფია, მთელი შოთა რუს-



ნანა ვარდა

თაველი არქაულობა და სრული სიგიჟეა. სხვათაშორის შოთა მაშინვე იმ ეპოქაში სიტყვებით თამაშობდა და სათავისოდ არგებდა, ჭრიდა და კერავდა, რალაც უცნაური წრე-ბრუნვაში ჰყავს რიგი სიტყვებისა და კაიფობს ძალიან მაგრად, ანუ ენას ისე მაგრად ფლობს, რომ ამ სიტყვების ტრიალი არ ეზარება, ამას ახერხებს კიდევ გურამიშვილი, ეს მეტასიტყვობანაა. გურამიშვილს საერთოდ მე მგონი თავისი ენა აქვს. რალაც ზეენა. ორივეს სიტყვების დიდ აუზს ვეძახი, გოგირდოვან აუზს, იმიტომ, გოგირდოვანს, რომ რალაც უცნაური მისტიკური და სამიში სიღრმე აქვს და იცი, ქვევრს სანამ განმედდა მამაჩემი, ქვევრის თავზე გოგირდს ახრჩოლებდა, ეს იცი რატომ?! მერე დანურულ ყურძენში უხსენებელი რომ არ ჩამძვრალიყო და ქვევრი არ წაებინა. გოგირდის სუნზე ფრთხება და მიდის, ხოდა, შოთა და გურამიშვილის სიტყვების აუზსაც ეს გოგირდის სუნი აქვს, ბოროტი ვერ ეკარება.

**პროზა თუ პოეზია**

არც ერთი. იმიტომ, რომ ორივე ერთია. როგორც ღმერთი ერთია, ასევე. მე მიყვარს როცა მკითხველი მომყვება. მისმენს და ჩემთან ერთად ცდილობს ახალი რამ თქვას, გამოიგონოს. მე მიყვარს მკითხველი რომელიც ეკამათება და არ მიჯერებს. ამიტომ, ჩემთან ყოველთვის ორი სანინალმდეგო დინებაა, რასაც ვწერ, ქვეაზრად მის სანინალმდეგოს ვდებ, რათა მკითხველმა არ მოიწონოს და ქვეშეშეშეში საინტერესო პლანს წააწყდეს. პლანი რა არის?! კახეთში პლანს ეძახიან ვაზების მწკრივს. ვენახის პლანებშიო. ასევე ბალახ მარხიხანას. თრობისაა ეს პლანი.

**შენი „ძვეყანა“ — ქალაქი, ხანა, მკვიდრი შენს ნიშნში**

ისეთი რამეა შენ წერ, მაგრამ საბოლოოდ მისი სცენარით დანერგულ ნიგნში ამოყოფ თავს.

ცხოვრება თვითონ გთავაზობს სცენარს, გარშემო დიდი დოკუმენტური კინო მიდის, მისი სცენარის ავტორი უხილავია, შენ მას რალაცებებს პარავ და პლაგიატორობ, საბოლოოდ კი ისევე ის უხილავი გკარნახობს, შთაბეჭდილება, ადამიანებისგან მოსმენილი ამბები, თავსგადახდენილი უცნაურობები, ეს ყველაფერი სხვისი ხელით გეგზავნება, თუმცა ამას ვერსად გაექცევი, სულ რომ მეთორმეტე საუკუნის ციხე-გოჯში გამოიკეტო. შენ თვითონ ხარ ის ეპოქა, ქალაქი და მკვიდრი. მე, 15 წელი ვიცხოვრე სოფელში, გაუსაძლის დროს, სრულ უშუქობასა და შიმშილობისას, როცა კალენდარზე 1992 წელია და შენ ჩვენს ნელთადრიცხვამდე დროინდელ ტექნოლოგიებით არსებობ, ნავთის ლამპა, კერასინკა, ცეცხლი და ჭრაქი. ისე კაი სათაურია ცეცხლი და ჭრაქი. ან ნაცარი და ჭრაქი, ახლა თექვსმეტი წელი მისრულდება რაც ვარ ქალაქში, თან ქვეყნის მთავარ დედაქალაქში ვცხოვრობ და იცი რა მინდა გითხრა, აი, სოფელი, ქალაქი ერთი ჩიტობაა. მთავარი სხვა რამეა. იმედი მაქვს იმ მთავარისკენ მივყავარ დინებას, მე ხომ სულ დინებას მივყვებოდი.

**რუსთველი და აღმამენაბელი**

ესე ამბავი სპარსული... შოთას იუმორი მხიბლავს, მისი პოეტური ფანტასმაგორია. სიკეთე, ერთი ღმერთის იარაღი, ხოლო ბოროტება ურელიგიო. ავთანდილის დუალისტური ანარეკლი, ბიბლიური ადამიანის განცდების ხორც-შესხმა ტარიელი. სარკე. არაბულ-სპარსულ-ინდური - ერთი მთავარი ღმერთის სიკეთე და მასთან დაპირისპირებული ძალა - ბოროტება.

ტარიელის ვაჭრად შესვლა ქაჯეთს, აღმამენებელმა კიდობანში ჩასვა მეომარი, თავად ვაჭრის ტანსაცმელი გადაიცვა და ასე მიადგა დარიალის ხეობას, ციხეს და გააღებს

ლეკებმა ციხის დიდი ალაყაფი და შეუშვეს ვაჭარი. მეფემ კიდობნიდან ამოუშვა ასი მეომარი (ტროას ომი, ხის ცხენი?) და გადაბუგა ციხე, ჩამოხსნა კარი და ლეკებს აჰკიდა და ჩამოატანინა გელათში.

გეცნოთ?!

ამირანის და დევის ქალის გაბაასება? ვაჭარი ვარ, ტანტრე მქვია. ამირანის დრამა.

რუსთველი დროში მოგზაურობს, ის არ შემოიფარგლება თამარის ეპოქით, იყალთოს ნასწავლი მეცნიერი, განა აღმამენებლის გვერდის ავლით შესძლებდა უმთავრესი პოემის დანერგას? ვერ. ჯვრის იერუსალიმის მონასტერიც და იყალთოს აკადემიაც არის დავით აღმამენებლის დაარსებული.

ვეფხისტყაოსანში ქართული მითოლოგია არის ქრისტიანულ რწმენამდე აყვანილი - ნეოპლატონიზმი. ბერძნული მითოსიდან დავარ-კირკეს სახე და მედეა-ნესტან-დარეჯნის განსახება - ნესტან-დარეჯანი სპარსულია და ნიშნავს - (ნესტ-ანდარი-ჯეჰან - არ არის ქვეყანაზე - მისი მსგავსი თუ უებრო არამქვეყნიური?) შაჰრიერი ანუ ტარიელიც სპარსულია და ნიშნავს ხელმწიფეს.

პოემა ქორწილით მთავრდება.

ეკლესია და მონაზნობა ნიშნავს დაქორწინებას იესოზე ანუ ეკლესიაზე. სასიძო-სარძო. ერთარსს. ქალ-კაცის გაერთიანებით ხდება სრუყოფა ანუ ღმერთთან მიახლება.

ნებისმიერ რაინდულ თუ სამიჯნურო ეპოსში ჩვენ იშვიათად ვხვდებით ქორწინებით დაგვირგვინებას - მხოლოდ ქართულ ზღაპრებს აქვთ კეთილი ბოლო.

ხალხურ ვეფხის-ტყაოსანში კი საქმე უფრო მითოსშია, ძველ ამბებშია და ალეგორიული, აპოკრიფული ბიბლიის ანუ ძველი აღთქმის ნაწილს - წარღვნას უკავშირდება.

ქართველების ისტორიაც ხომ იწყება ასე, იაფეტურად, როცა ნოე შვილებს კიდობნის გარეთ გამოუშვებს. ხალხურში ტარიელი ჰქვია და მთელი პოემა ამ ღმერთივით მამაკაცზეა. ნესტან-დარეჯანი კი მზე-ქალაა. მაცილები მზე-ქალს კიდობანში მოტყუებით შესვამენ. მზე ბენდება.

ტარიელი თუ უფალია, თითქოს ავთანდილი იესოს სახეა, რომელიც ეხმარება ქაჯეთში ჩასვლა რომ შეძლოს უფალმა და იქედან დატყვევებული მშვენიერება ანუ აბსოლიტური სიკეთე, როგორც მრავალჭირგამოვლილი არისტოტელე იტყოდა გამოიხსნან და ამას შეძლებენ. კიდევ, ერთი. ეკლესიაზე ქორწინება ასე ჰქვია მონოზნობას და ტარიელის და მზე-ქალის ქორწილიც სავარაუდოდ აქეთკენ მიინშნება.

დავით აღმამენებელს პროგრამა გიორგი მთაწმინდელმა დაუნერა ორი საუკუნით ადრე, ხოლო რუსთველს იდეები ნეოპლატონიზმით გახურებული დავითმა და მისმა სემინარის ლექტორებმა იოანე პეტრინმა და არსენ იყალთოელმა მიანოდეს. თამარი შოთას შთაგონებაა, რამაც გონი აუმღვრია, ქართულ მთის მითოსიდან ამოიზარდა ნერგი, რომელმაც ქრისტიანული ნაყოფი მოიხსა.

**ნიგნები**

პირველი ნიგნისა ბევრი არაფერი. არც კი მინდოდა. ძალითძალათ გავაკეთე. თან რედაქტორმა, როსტომ ჩხეიძემ აკი დამინერა დავგვიანებულია ასე ათი წლითო და კიდევ არ ვაპირებდი.

თუმცა კარგი სამკარედიანი ნიგნი გამოვიდა, ქრისტინე რობაქიძეს შესანიშნავი ილუსტრაციებით. დრო გადის და უფროდაუფრო მომწონს ეს პირველი. პირველი შვილივითაა, მემკვიდრესავით. მთელ ჩემს გენეტიკას მოიცავს.

მეორე ნიგნი უფრო ხულიგნურია. სწრაფად. მარიამ ნიკლაურის ნიგნზე რეცენზიას ვწერდი და უცბად მომწერა მარიამომ რომ დაურეკე გამომცემელს, თანახმაა შენი მოთხრობები დაბეჭდესო.

მოკლედ. ასე.

ეს წიგნი უნდა გამოემცა. აქ ნამდვილი შთაბეჭდილებები. აქ, ცოტაა ძაან მოგონილი ამბავი და უფრო მეტი ნამდვილია, თუმცა თავისებურად გახურაზე მიმწვარ-მომწვარი.

ამ წიგნისა ის ვიცი, რომ ჩემ სოფელში გაიყიდა. წაიღეს, ბავშვობის მოგონებები შერათ, მათზე იყო, გადაშალეს და სარკე დახვდათ. ბევრს უგრძობი გულმა, ვერაფერი კი ვერ გაუგო, მაგრამ თქვეს რომ ეს რა არისოო, რეები დაუნერიაო. ბევრმა გაჩუმება ირჩია, სკოლის ფილოლოგმა კი გემოვნებიანმა მკითხველმა, დიდი ხანია ასე წიგნი არ მომწონებიაო.

ეს წიგნი, სწორედ, იქ მოხვდა, სადაც უნდა მოხვედრილიყო. იმ სოფლის ოჯახების ბიბლიოთეკებში უნდა დაედო ადგილი.

ადგილმონაცვლეობა მწერლის აუცილებლობა რატომ? როცა ტოვებ გარემოს, და ფიზიკურად გადაადგილდები, სული ჯერ ძველ სანახებში რჩება, მერე იწყებ წერას ქვეცნობიერით და უფრო ღრმად დაზუმავე ამბებს. აი, ქალაქში სულ რამდენიმე მოთხრობა მაქვს, დანარჩენი 15 წლის წინანდელი სოფლის თავგადასავალია, ახლა ამ ქალაქიდან რომ ავიბარებ, მერ დავწერ ამ ქალაქზე, როგორც ჯოჯოხეთის კარიბჭეზე.

**ბოლოს**

აი, ამ ბოლოს კი უკვე საკუთარი პოეზია ხდება ჩემთვის შთავგონება. ვკითხულობ ძველს და ვწერ ახალს. ეს ალბათ ცუდია, წრეში სირბილს ჰგავს, მაგრამ ვნახოთ. მანქანას არ ვყიდულობ, მინდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვიმოძრაო, აიროს ათასი სიტყვა, სუნი, მოძრაობა, ტკივილი, სიბინძურე და აღფრთოვანება. ცოტა დამღლეულია, როცა თუ ვინმე შეგახო შემთხვევით, შენ მისი მთელი გენეტიკა ზეპირად იცი.

ამბობენ, რომ რთული ვარ და ჩემი პოეზიის გაგებას სჭირდება სხვა ცოდნა. ვეთანხმები, მე თვითონ ბევრს ვკირკიტებ წიგნებში. გამიხარდა, როცა მარტვილში დამხვდა კარგი მკითხველი, ძალიან მოგვწონს სულ ვკითხულობთო, მაგრამ ვერ გიგებთო. ნაფუკითხე მამა ანდრიას ლექსი და ლტოლვილების დაბრუნებაზე და იტირეს. მე ვუთხარი, ნუ ეძებთ ლექსის მიღმა სათქმელს, მე მიყვარს პირდაპირი საუბარი და წერა და ამიტომ, ჩემი სათქმელი არის წინა პლანზე. შესაძლებელია მკვლევალმა და კირკიტა კრიტიკოსმა დაინახოს და მიაგნოს ჩემი სიტყვების მიღმა ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ამას დიდი სიამაყე მოაქვს ჩემთვის, ეს ქვეცნობიერში დანალექი წიგნებია, ფოლკლორია, წიგნების შთაბეჭდილებებია, როცა ხელს ანერ ლექსს, მთელი შენი ბიბლიოთეკის წიგნების ავტორთა სახელით გაქვს უფლება ეს გააკეთო.

აი, თამაზ ბაძალუა, ხო, როგორ მიყვარს და დარბაზში ზის და მისმენს, მისი დისშვილი, თუ დეიდაშვილი, ძალიან კარგი ახალგაზრდა. მეთქი, თამაზის სული აქ ტრიალებს და მმასპინძლობს. მერე ჩავედით კანიონში და ჭყონდიდელის ეპარქიაში და თამაზ ბაძალუას მისტიკა და მისი უცნაური ლტოლვა ამ დაფარული განზომილებებისკენ, ჩემთვის გასაგები გახდა.

მწერალი თუ გინდა გაიგო, უნდა ჩახვიდე და ნახო ის ადგილები, სადაც ის იზრდებოდა. ბავშვური პირველი შთაბეჭდილებები, ბუნების მიერ დატოვებული კვალი, ეს შემოქმედის საკვებია.

**პ.ს.** ხანდახან, ვგრძნობ, რომ პრეისტორიული პრიმიტიული ცოცხალი არსების მსგავსად, ვიკირები, ოლონდ ვულკანურ, ცარცულ პერიოდში კი არა, ჰაერში, ხორციელად და ცოცხლად. უცნაური შეგრძნებაა, ეს სამყარო თითქოს მართლა დაბერებულია.

მაგრამ, ახლა ამ დილას, როცა ვზივარ აივანზე, და მოპირდაპირე, გზის გადაღმა კორპუსის თავზე მტრედების დილის აბაზანას ვუყურებ, ყავას ვაგემოვნებ და გერონტი ქიქოძეს წერილებს ვკითხულობ, გამახსენდა, როგორ ვმალავდი ამ გიჟ-პოეტობას სახლში და როგორ გულდასმით მისაფრთებოდა ცალკე ეს მუზა და ცალკე ეს ოჯახობა. ვიყავი სულ დეპრესიული, ძილადმივარდნილი, „პატარა გიჟი იყავი“ დედაჩემი ასე იხსენებს ჩემს ბავშვობას, მეთქი რაში გამოიხატებოდა და ჯერ იყო შიშველი დარბოდი და ამ ხუჭუჭა თმას ცოცხალი თავით არ ივარცხნიდი, მერე ბუნების მოვლენების დროს, წვიმა, ქარი, ელ-ჭექი მთლად გადაირეოდი ხოლმეო.

როგორ არ მახსოვს, წვიმის დროს ცეკვა მიყვარდა ვერანდაზე, ქარში დავდიოდი ხოლმე და ხმამაღლა ვლაპარაკობდი, ასევე მიყვარდა უცნობ ადგილების ნახვა, სადაც არ ვიყავი ნამყოფი, ასე აღმოვაჩინე ქურმუხების სასაფლაო, წარმოდგენა არ მქონდა რომ მეორე სასაფლაოც ჰქონდა სოფელს და ეს იყო შოკი, მეგონა მარტო მე ვიცოდი ამ მეორე სასაფლაოს არსებობა, ქურმუხი კი იმიტომ ერქვა, რომ იქ ადრე სავარაუდოდ ქურმუხის წმინდა გიორგის ნიში იყო, ჰერეთის წმინდა გიორგი ნამოვიდოდა ნათლის სვეტითა და აქაც დაბრძანდებოდა ხოლმე, გალავანი კი ახლაც არის შემორჩენილი, რომელიც სავარაუდოდ ნეკრეს-ქალაქიდან იწყება გაივლის მთელ ყვარელს და ლაგოდეხს და კახში კი მგონი დამთავრდება, გამოდის რომ ძველად, ძალიან ძველად კახეთის სამეფოს ერთი მთლიანი გალავანი ერტყა.

დავიტანჯე თავი ამ დამალობანათი. მაგრამ თუ გამომიჭერდნენ პოეტურ დოკლაპიობით, საშინლად დამცინოდნენ დები. ლექსების წერა მათთვის უცხოპლანეტელობა იყო და ამიტომაც, დიდხანს მინდოდა დავიწყება ამ უწარისა, და როგორც ჩვევას მავენს თან შეძენილს ვებრძოდი, ვივინებდი, მაგრამ სანამ აქტიური წერა არ დავიწყე, მანამდე ბიოლოგიურად ცუდად ვიყავი, დეპრესიული, უძალო და ძილადმივარდნილი. და მერე კი ყველა მიხვდა შინ და გარეთ, რომ მე ეს დამეყვა.

ქართველები, ხო, წარმართები ვიყავით და იმის იქეთ კი ვინ რა იცის, რა გვერქვა?!

ჭყონდიდის ეპარქიაში დავრწმუნდი, რომ ღვთისმშობლის რჩეული ვიყავი.

საკურთხეველი უდიდესი ეკლესიისა არის მუხის ძირი, რომელიც არის ძალიან დიიდ რადიუსის. ამ მუხასთან წარმართ კოლხს პირველი შვილი მოჰყავდათ აკვნით და მიანარცხებდა ხოლმე ხეს და სწირავდა, თან სტიროდა, მე მოგაკალი შვილო.

ქურუმები კი ჩვილის სისხლს იცხოვდნენ და იწმინდებოდნენ და ქადაგად დავარდებოდნენ და მისწობდნენ.

მოვიდა ანდრია მოციქული, მარიამის ხილვით და თხოვნით და მოაჭრევინა და დაანვევინა ეს მუხა და ქრისტე იქადაგა და მიიღეს, კოლხებმა იესოს ჯვარცმა რა დაინახეს და ღვთისმშობლის სალმობა და ტანჯვა.

ნახე, როგორ ახლოს არიან?! ეს წარმართი საწყალი დედები და მარიამი, რომელიც ამხელა მიწიერ ტვირთს ზიდავს, იესოს, ხომ ყოველ კვირას წირვაზე, ხელახლა და თავიდან ვწირავთ საზიარებლად.

**პ.ს.ს.** ნესტის სუნმა გამომაყრუა. ერთ ღამეში მოვიდა ნისლებით მოდონდლავებული, ლოფლოფი შემოდგომა, ხილის შელეკავით ტკბილი და თანთალა.

წვიმას სიგარეტით და რძიანი ყავით ვიშინაურებ აივანზე, ყვითელია ნახევრად უკვე კაკლის ხე, მე ველური თუთის ხის მერიდება, ჩასაფრებული ვარ, მისი ფოთოლცვენა უნდა გადავილო, შარი-შურით, სწრაფად და მზიანად ჩამოდის მისი ფოთოლი, სხივების სავარცხელით ივარცხნის სათოვლო ტოტებს.



# გული გავუთხოვთ ერთმანეთს

□

## დარინა ყურაშას ესაუბრაბა შალვა კირთაძე

— *წლებს მერე ბავშვობის მოგონებებს უფრო მეტი სი-  
ფაქიზით იხსენებენ, ეფერებიან... გვიამბეთ ბავშვობისდ-  
როინდელ მოგონებებზე...*

— აქ, ქუთაისში, დავიბადე, სკოლაც აქ დავამთავრე. ბავ-  
შვობაში 26 მაისი დიდ სიხარულთან იყო დაკავშირებული. ამ  
დღეს არდადეგები იწყებოდა და ჩვენც დედულეთში, მარტივი-  
ლის რაიონის სოფელ ლეხანდრავაში მივყავდით მშობლებს.  
ბაბუა, შალვა კირთაძე, რესპუბლიკის დამსახურებული მას-  
წავლელი იყო, დიდბუნებოვანი კაცი. მემამაყება, მისი სახე-  
ლი რომ მქვია. სამწუხაროდ, 1943 წელს ომში დაიღუპა. ბებია  
მეორე სოფელშიც კი გამოგვყვებოდა ხოლმე იმის შიშით, „ჩა-  
ბარებულ ბავშვებს“ არაფერი დაემართოთ. უნიკალური ქა-  
ლი იყო, ყოველთვის ცდილობდა შვილიშვილებისთვის მიეცა  
ის დიდი სიხარული, რაც ყოველ ზაფხულს მასთან გაქცევის  
სურვილს გვიძაფრებდა. დღესაც დიდი სიამოვნებით ვიხსე-  
ნებ იქ გატარებულ დროს, ყოველ წუთს...

მამულეთი ხონის რაიონის სოფელ გორდში გვაქვს, საი-  
დანაც მოდის ჩემი გვარი. იქ ოღლა ბებო მყავდა, რომელმაც  
ჩემს გულსა და გონებაში დიდი სიბო და სიყვარული დატო-  
ვა. სტუდენტი რომ ვიყავი, სტიპენდია 105 მანეთი მქონდა,  
იმ დროისთვის დიდი ფული იყო. ბებიასთან რომ ჩავდიოდი,  
მამაჩემსაც ვთხოვდი ხოლმე ფულს და ვჩუქნიდი ბებოს,  
თუმცა მას თავისი პენსიიდან 3 მანეთი ყოველთვის შვილიშ-  
ვილებისთვის ჰქონდა გადანახული, ის რომ არ ეჩუქებინა  
გადაიროდა. როგორც თვითონ იტყოდა, „ჩუქნიდან ამო-  
ღებულ ფულს“ სხვა ფასი აქვსო. ამის ნოსტალგია, ალაღად  
ვიტყვი, დღესაც მაქვს.

— **ქუთაისში ცნობილი ადამიანების შვილი ბრძანდ-  
ებით. მამათქვენი ინიჩინი იყო, დედა — ფილოლოგიურ  
მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ბევრისგან გამიგო-  
ნია, დედობრივი გრძნობით ზრუნავდა სტუდენტებზეო.**

— პირველ რიგში ვამაყობ იმით, რომ საქართველოში და-  
ვიბადე და თან ქართველად. შემდგომ იმით, თუ ვისი შვილიც  
ვარ. ძალიან სამწუხაროა, რომ ორივეს წარსულში ვახსენებ.  
მამაჩემი, გურამ კირთაძე, მშენებელი ინჟინერი იყო. ქალაქ-  
ში ბევრი შენობაა მისი აშენებული, განსაკუთრებით კი ვუფ-  
რთხილდები მშობლიურ, მამისგან აშენებულ სახლს, რო-  
მელშიც ამჟამადაც ვცხოვრობ. დედა, ნანული ჯიქია, აკაკი  
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი იყო.  
1998 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა და წლების შემ-  
დეგაც შალვა კირთაძე ასოცირდება, როგორც ნანული ჯი-  
ქიას შვილი, რაც ჩემთვის საამაყოა. მშობლებს საზოგადოე-  
ბა კარგად იცნობდა. დედის გარდაცვალება იმდენად მოუ-  
ლოდნელი იყო, რომ დღესაც წარმოუდგენლად მეჩვენება  
მისი არყოფნა. ისეთი გრძნობა მაქვს, ისევე ჩვენთანაა, მხარს  
გვიჭერს და ზრუნავს ოჯახზე. შვილების მიმართ განსაკუთ-  
რებული დამოკიდებულება ჰქონდა, ბევრს მოითხოვდა  
ჩვენგან, წუთითაც არ გვშორდებოდა. ჩვენი სტუდენტობი-

სას ქუთაისი-თბილისის გზაზე იყო გაბმული. განსაკუთრე-  
ბულ ყურადღებას აქცევდა ზრდილობას და ქართულად  
სწორ მეტყველებას. განსაკუთრებული ქალი და დედა იყო.  
სტუდენტების მიმართ, მართლაც, დედაშვილური დამოკი-  
დებულება ჰქონდა, გამორჩეული ლექტორი ყველა სტუდენ-  
ტში შვილს ხედავდა. მასხოვს, ერთხელ გამოცდას იბარებ-  
და, ერთი ბიჭი იყო, კოლხი, არ უნდოდა ჩაჭრილიყო გამოც-  
დაზე და მინიმალურ კითხვებს უსვამდა. ამასაც ვერ გასცა  
პასუხი სტუდენტმა და შეწუხდა: „სი დოულურ სქან დიდას,  
მუშენ ვედიგურე მეტ, ჟირიანს მუშენ მოჭარაფუა?“ შენ მო-  
უკვი დედაშენს, მეტი რატომ არ ისწავლე, ორიანს რატომ  
მანერინებო. ბევრი რამ ვისწავლე დედისგან და დღეს თუ მე-  
გობრული დამოკიდებულება მაქვს სტუდენტებთან, ეს დე-  
დის დამსახურებაა.

— **რამდენადაც ვიცი, დისერტაცია XIX საუკუნეში  
მოღვაწე გრიგოლ აბაშიძეზე დაიცვა. გრიგოლი გამორჩე-  
ული ნიჭის პატრონი იყო, წერენ თანამედროვენი. თქვენ  
ნიგინც გამოცით, სადაც დედათქვენის მიერ შეგროვილ  
მასალას მოუყარეთ თავი. ხომ არაფერს გვეტყოდით, მა-  
ინცდამინც გრიგოლ აბაშიძე რატომ აირჩია დედამ სა-  
დისერტაციო თემა?**

— დიას, ეს ის გრიგოლ დავითის ძე აბაშიძეა, რომელიც  
შორაპანში დაიბადა და 1905 წელს პეტერბურგში ავადმყო-  
ფობით გარდაიცვალა. უნიჭიერესი პოეტი იყო, — ამბო-  
ბენ. ერთ ეპიზოდსაც იხსენებენ მისი თანამედროვენი, სა-  
ლონში საღამოობით ლექსებსა და ჩანაწერებს კითხულობდ-  
ნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ განცდებს. დილით აკაკი წე-  
რეთელი მისულა და უთქვამს, საღამოს ჩემი ახალი ლექსი  
უნდა წავიკითხოო, და დაუწვია იმ ლექსის წაკითხვა. გრიგო-  
ლიც იქვე ყოფილა, ღია კარში მდგარს გაუგონია აკაკისეუ-  
ლი თხრობა ლექსის, საღამოს კი თავად წაკითხა თურმე  
აკაკის ის ლექსი, რაზეც გადარეულა ავტორი, ჩემი ახალი  
ლექსია და შენ საიდან იცოდი ზეპირადო. ამ დილით მოვის-  
მინე რომ ყვებოდით და დავიმახსოვრეო — უთქვამს გრი-  
გოლს სიცილით. სამწუხაროა, რომ ასეთი გამორჩეული ნი-  
ჭის ქართველის საფლავი პრაქტიკულად დაკარგულია სა-  
ქართველოსთვის.

დედაჩემს სწორედ ამ გრიგოლ აბაშიძეზე ჰქონდა დი-  
სერტაცია დანერილი. მისი გარდაცვალებიდან 5 წლის მერე  
ამ მასალებს თავი მოვუყარე და წიგნად გამოვეცი. ჩემმა მე-  
გობარმა, ელგუჯა თავბერიძემ მთხოვა, ისევ გადამემუშავე-  
ბინა და ხელახლა, უფრო აკადემიურ დონეზე გამომეცა ეს  
წიგნი. მუშაობა უკვე დაფინჯე და ალბათ მალე დავასრულებ.

უნივერსიტეტში დედაჩემის სახელობის სტიპენდია და-  
ვანესე, რომელსაც ჩემი ხელფასიდან ვუხდი ქართული ენი-  
სა და ლიტერატურის სპეციალობის ერთ გამორჩეულ სტუ-  
დენტს. სამწუხაროდ, მეტის დაფინანსება არ შემიძლია.

— **რამდენად დიდი იყო დედის გავლენა თქვენი მომა-  
ვალი საქმიანობის არჩევაში?**

— დედის გავლენამ ვერ გადაწყვიტა ჩემი არჩევანი. იგი  
ფილოლოგი იყო, მე მათემატიკოსი ვარ. ბაბუა მყავდა მათე-  
მატიკოსი, დედის მამა, რატომღაც ბავშვობიდან განსაკუთ-  
რებული დამოკიდებულება მქონდა მათემატიკის მიმართ.  
მიუხედავად ამისა, მიყვარს ქართული ლიტერატურა, ისტო-  
რია, პოეზია... პატივს ვცემ იმით, ვისაც ლექსი უყვარს და ამ  
საქმეს ემსახურება.

სასიამოვნოდ მახსენდება სტუდენტობის წლები. 1986  
წელს ჩავაბარე სახელმწიფო უნივერსიტეტში კიბერნეტიკი-  
სა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე. დამთავ-  
რებით ალმა მატერი დავამთავრე. სტუდენტობის მეგობრე-  
ბი ორ ნაწილადაა პირობითად დაყოფილი, ერთი — ვისთანაც  
ჩავაბარე და მეორე — ვისთანაც დავამთავრე უმაღ-

ლესი სასწავლებელი. ყოველ მეორე წელს ვიკრიბებით ხოლმე მეგობრები და აღვნიშნავთ უნივერსიტეტის დამთავრების სხვადასხვა თარიღს. ერთმანეთთან ნათელ-მირონიც გვაკავშირებს, მიუხედავად წლებისა, მეგობრობა არ შეგვიწყვეტია. მითუმეტეს დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ერთმანეთი მოვიკითხოთ, თუმცა სუფრასთან გვერდი-გვერდ ჯდომა და იქ გატარებული დრო მაინც შეუფასებელია.

უნივერსიტეტში ჩაბარებიდან მალევე საბჭოთა ჯარში გამიწვიეს. მაშინ ასეთი კანონი იყო. 2 წელი იქ ვიმსახურე, 1989 წლის 9 აპრილსაც იქ შევხვედი. მახსოვს, ყველანი როგორი დაძაბულნი ვიყავით და განვიცდიდით საქართველოში მომხდარ ამბებს. ამის მერე სიხარული მხოლოდ ის იყო, რომ თავისუფლების მოედანზე დაღუპული ხალხი გაამართლეს, მართლები ვიყავით, თავისუფლებისთვის ვიბრძოდით... გაგვიხარდა, იმ ჩვენი თანატოლი რუსი ჯარისკაცების წინაშე, რომლებიც ორჭოფობდნენ და არ იცოდნენ ვისთვის დაეჯერებინათ — გავემართლდით.

— **ბევრისთვისაა ცნობილი თქვენი (და არა მარტო თქვენი) გულიანო-გულბერილი აფხაზეთში დაღუპულ ბიჭებთან დაკავშირებით. რამდენადაც ვიცით, მათ ჭირისუფლებთან დღემდე არ გაგიწყვეტიათ კავშირი.**

— ჩემი სტუდენტობის პერიოდი აფხაზეთის ომს დაემთხვა. სამეგობრო ომში წავიდა და რამდენიმე, სამწუხაროდ, ვერ დაბრუნდა... დღესაც არ დაგვიწყებია არც ჩვენი მეგობრები და არც მათი ოჯახები. მე ერთ-ერთი დაღუპული მეგობრის ოჯახში შევიღად ვარ მიჩნეული. მეგრული წესის თანახმად, როცა ოჯახში შეიღად გარდაიცვლება, ბიჭის დედა სხვა ბიჭს თმას შეჭრის, ნიშნად იმისა, რომ მას შეიღად მაგივრად აღიარებს. ასე ვარ მანანა დეიდასა და ბორია ბიძიას ოჯახში მიჩნეული. გოჩა წულაია, 1992 წლის 19 იანვარს, ნათლისღებას, აფხაზეთის ომში დაიღუპა. ყოველი წლის 15 ნოემბერს გოჩას მეგობრები ქუთაისიდან და თბილისიდან ჩავდივართ მისი მშობლების სახლში და ერთად აღვნიშნავთ ჩვენთვის ძვირფასი მეგობრის დაბადების დღეს. დედამისი ამბობს: ჩემი შვილი მაშინ მოკვდება, როცა მის საფლავზე არავინ მივაო. დარწმუნებული ვარ, ეს დრო არასდროს დადგება. არც ავთო ნიკლაური დაგვაგინწყდება სამეგობროს. ავთომ ლენინგრადის უმაღლესი საარტილერიო სკოლა დაამთავრა და საბჭოთა ჯარის ოფიცერი ჩვენთან ერთად ჩაირიცხა უნივერსიტეტში, გუდამაყრის ხეობიდან იყო... 1992 წლის 22 აგვისტოს დიდი გულისტკივილით დავასაფლავეთ... სამწუხაროდ, ზუსტად არ ვიცით, მის საფლავში ავთოს ცხედარი ასვენია თუ არა, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ იქ საქართველოს შვილი დასაფლავდა და ქართველმა დედამ დაიტირა...

2006 წელს ჩემს მეგობრებთან ერთად რეზერვში წავედი. 2007 წელსაც ვიყავით წასულები და 2008 წელსაც ვმონაწილეობდით ომში, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა რომ განახორციელა. როცა პირველად წავედით, ჩვენთან ერთად იყო (გული მწყდება წარსულში რომ მიწევს მეგობარზე საუბარი) ერთი ძალიან კარგი ბიჭი, ქობულეთის რაიონის სოფელ ჯიხანჭურიდან, სარწმუნოებით მუსლიმი. ჩვენზე უმცროსი. ისე მოხდა, რომ რეზერვიდან დაბრუნების მერე ერთ თვეში ეს ბიჭი გაქრისტიანდა. მერე ვაჟა ერაცში წავიდა, იმ ხანად შეგვეძლო მას დავხმარებოდით და სამოქალაქო სამსახურში გადასვლა შეეთავაზებოდა, მაგრამ უარი გვითხრა: ჩემი სული ჯარისკაცობას და საქართველოს ემსახურებაო. მართლაც, სულით ჯარისკაცი იყო... ცხინვალთან დაიღუპა 2008 წლის ომში, როცა ბრძოლის ველიდან დაჭრილები გა-



შალვა კირთაძე და დარინა ყურუა

მოჰყავდა... დღეს მის მშობლებთან ჩავდივართ და ყველაზე მეტად რაც მახარებს, ისაა, რომ ვაჟას დასაფლავებიდან მესამე დღეს მისი ოჯახიც გაქრისტიანდა.

ავვისტოს ომში, ცხინვალის დაცვისას იყო იმის საშუალება, რომ წამოვსულიყავით იქიდან და უვნებლად დავბრუნებულიყავით სახლებში, მაგრამ მე და ჩემმა თერთმეტმა მეგობარმა დავტოვეთ ავტობუსი და დავბრუნდით ცხინვალში. ბედნიერი ვარ, რომ ეს ბიჭები დღესაც ჩემს გვერდით არიან. როცა ვაჟა ჩამოვასვენეთ ქუთაისში და ხარების ტაძარში მიცვალებულს წესი ავუგეთ, ყველა იქ ვიყავით. იგი თავის ოჯახში მშობლებთან რომ წავასვენეთ, კიდევ ერთხელ დავინახე, თუ რამდენად დიდია ქართველი კაცის ადამიანობა და ბუნება. დედა მკვდარ შვილს დასტიროდა და ამბობდა: ჩემს შვილს ტყვია ზურგში არ მოხვედრია, ის საქართველოსთვის დაიღუპა გმირულად, გმირი შვილი გამიზრდიაო. ანალოგიური იყო მანანა დეიდას სიტყვები, მაშინ, როცა გოჩას დასაფლავებდნენ: ბოლო და უკანასკნელი ყოფილიყოს ჩემი გოჩა, ვინც საქართველოსთვის დაიღუპაო. ხალხი, რომელთაც, ალაღად ვთქვათ, არანაირი უმაღლესი განათლება არ მიუღიათ, პატიოსანი შრომით აღზარდეს ასეთი შვილები. ეს ყველას არ შეუძლია, ეს ერთეულების ხვედრია. თავის დროზე დიდმა ვაჟამ თქვა: ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადაო. ასეთი ქალბატონები მრავლად არიან დღეს საქართველოში და ამით ჩვენი ერი ბედნიერია.

— **პირველი სამსახური...**

— ჩვენს უნივერსიტეტში დიალექტოლოგიის ინსტიტუტში დავიწყე პირველად მუშაობა. მერე გელათის საერო ინსტიტუტში ვკითხულობდი ლექციებს. აქედან მოყოლებული აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ვარ დაკავშირებული დღემდე. აქ მუშაობდა დედაჩემი და ჩემი სული, როგორც იტყვიან, ამ სასწავლო დაწესებულებას ეკუთვნის. მსურს, რომ ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე დავახარჯო ამ უნივერსიტეტს და აქ მოსულ სტუდენტს საშუალება ჰქონდეს მიიღოს სრულყოფილი განათლება.

— **წლების მანძილზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას ხელმძღვანელობდით. თქვენს მიერ გამოცემულ რომელ წიგნებს გამოარჩევდით?**

— უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელობისას და ახლაც უამრავი საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნი გამოიცა. საბედნიეროდ, ჩვენს უნივერსიტეტს ჰყავს საამაყო პროფესორა, რომელთა ნაშრომები და წიგნები ჩვენი ახალი თაობის აღზრდას ემსახურება. ამათგან რომელი-

მეს გამორჩევა გამიჭირდებოდა, მაგრამ რამდენიმეს მაინც დავასახელებ. ძალიან საინტერესო და გამოსარჩევია ავთანდილ ნიკოლეიშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ასევე თორნიკე ეფრემიძის, ლევან სვანაძის, გიორგი მჭედლიძის წიგნები...

**— დღეს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ხართ. თქვენი აზრით, რა პრობლემებია უნივერსიტეტში?**

— პრობლემები, როგორც ყველგან, აქაც ბევრია. სამწუხაროდ, თვითონ ცხოვრება არაა ისე მოწყობილი, რომ პრობლემები არ არსებობდეს. ძალიან ცუდია, რომ საინჟინრო ფაკულტეტზე სტუდენტები ძალიან ცოტანი არიან. მოკლე ხანში, ალბათ, ჩვენს ქვეყანაში დაცოტავდება ამ პროფესიის ადამიანები. სხვას ვასწავლიდით და ახლა სხვამ უნდა გვასწავლოს აქეთ. ანალოგიური ვითარებაა აგრარულ ფაკულტეტზეც. სტუდენტთა სიმცირის გამო დამსახურებული პროფესორები დაუსაქმებელი რჩებიან. ამას ძალიან გულშენაწრული ვუყურებ და მინდა ეს პრობლემა მალე მოგვარდეს, ისე გაჩნდეს ინტერესი ახალგაზრდებში ამ ფაკულტეტების მიმართ. ქართველი კაცი თუ სოფელსა და მიწასთან კავშირს განყვეტს, მაშინ ეს პირველ რიგში ქვეყნისთვისაა ცუდი. და საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში მეტად უნდა დაფასდეს პედაგოგი და ლექტორი, ისინი, ვინც აღმზრდელი როლი საქმიანობას ემსახურებიან.

**— როგორ წარმოგიდგენიათ უნივერსიტეტის მომავალი?**

— ჩვენ იმდენად ნიჭიერი ვართ, რომ ყოველთვის, ყველა საქმეში გამოვაგლენთ ხოლმე ამ ნიჭიერებს. მგონია, რომ უნივერსიტეტს დიდი მომავალი აქვს. ნიჭიერი და წარმატებული სტუდენტები გვყავს. სიამაყით აღვნიშნავ, რომ ერთი თვის წინათ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებმა საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ იმიტირებულ სასამართლო პროცესის წარმართვაში, რომელსაც ამერიკის საელჩო თაოსნობდა, პირველი ადგილი აიღეს. ეს არ ხდება პირველად და მუდამაყვება, ასეთი წარმატებული სტუდენტები რომ სწავლობენ ჩვენთან. ასევე წარმატებულნი არიან მსგავსი პროექტების ჩატარებაში ბიზნესის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, არაბული, თურქული, სპარსული) და აგრარულ ფაკულტეტთა სტუდენტები. ძალიან კარგი თაობაა და მათი იმედი ნამდვილად მაქვს. ისიც ალაღად ვთქვათ, ზარმაცი ვართ (ამას ჩემს თავზეც ვიტყვი პირველ რიგში), ყოველთვის რაღაც კრიტიკული და დიდი პრობლემის წინაშე უნდა ვიდგეთ, რათა გავერთიანდეთ და ერთმანეთს დავუდგეთ მხარი. მიმაჩნია, რომ ახლანდელმა თაობამ დაინახა, ნიჭიერებასთან ერთად, შრომაც აუცილებელი ყოფილაო, და თუ ეს ასე მოხდება მართლაც გაიბრწყინებს ივერთი მიწა.

**— საუნივერსიტეტო პროექტები, რომელთაც სასიკეთოდ გავლენა მოახდინეს სტუდენტებზე?**

— გამოცდებს საგამოცდო ცენტრში რომ ვატარებთ, დიდ პლიუსად მიმაჩნია, რადგან ეს გვაძლევს საშუალებას სტუდენტი ობიექტურად შეფასდეს და დამსახურებულად მიიღოს სტიპენდია. ძალიან კარგია ჩვენი ბიბლიოთეკის დირექტორის, ბატონი გიორგი ჭიჭინაძის პროექტი, რომლის საშუალებითაც ჩვენი ბიბლიოთეკა ევროპის ნამყვან ბიბლიოთეკათა ქსელში ჩაერთო, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს ადგილზევე მოიძიოს საჭირო ინფორმაცია არამარტო საქართველოს, არამედ დიდი ბრიტანეთის, ინგლისის და ევროპის სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებში დაცულ ინფორმაციაზე. შემოვიდა ელექტრონული სწავლება. ყველა სტუდენტს თავისი ელექტრონული მისამართი აქვს, სადაც მისდის ყველა სახის ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ, ასევე გამოცდების შედეგები თუ ტესტირების ნიმუშები... წარმატებულად მუშაობს საფინანსო და მატერიალური სამ-

სახური. ამ ახალ წელს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას საშუალება მოგვეცა 100%-იანი პრემიები დაგვერიგებინა თანამშრომლებისთვის. ასევე სააღდგომოდაც გავცემთ ხოლმე ხელფასის ნახევარს დამატებით პრემიის სახით.

გაცვლითი პროგრამის საშუალებით კი ჩვენი სტუდენტები დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ევკოპტეში, თურქეთში, ლატვიაში, პოლონეთში სწავლობენ და ჩვენთანაც ჩამოდიან უცხოელი სტუდენტები სასწავლებლად.

**— მოგზაურობა გიყვართ. ხშირად აიყოლიებთ ხოლმე სხვებსაც და საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს მოინახულებთ. ბევრი ქუთაისელი გემადლიერებთ, ტაო-კლარჯეთი თქვენი დახმარებით რომ იხილა. ყველაზე მეტად დამამახსოვრებელი რა იყო თქვენი მოგზაურობებიდან? იქაურ ქართველებზეც რას გვეტყვი?**

— თურქეთში პირველად 2004 წელს ვიმოგზაურე. მაშინ ტარიელ ფუტყარაძე ხელმძღვანელობდა ექსპედიციას. შავშეთში (ქართული სახელწოდებაა ფიობანი, თურქული — მიედანჩიკი), იმერხევის ხეობაში დაყავით 11 დღე. ამ თურქეთში დღემ დაუწინიყარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში. საქართველომ დაბრუნებისთანავე ჩემს მეგობრებს მეუღლებითურთ მოვუყარე თავი და ზუსტად ერთ კვირაში წავიყვანე და ვაჩვენე იქაურობა. დღემდე ვმოგზაურობ და დავდივართ ტაო-კლარჯეთში. იქაურ ქართველებთან ვმეგობრობთ. იქ მდებარე ყველა ქართულ ტაძარში ქართული ჩოხა-ახალუხით ვარ ნამყოფი. მუდამაყვება, რომ იქ ჩასვლით ჩვენთან, ჩვენს ქვეყანასთან იმ ქართული სულის დაკავშირებას ვცდილობთ, რომელიც დღესაც არაა დაკარგული იქაურ ქართველებში. ძალიან მინდა დედსაქართველოდან მოწვევტილ ქართველებს მთელი საქართველო მოეფეროს. უამრავი მეგობარი და ახლობელი მყავს ტაოდან. ჩემი გოგონას ნათლობაზე თურქეთიდან ჩამოსული სტუმრებიც იყვნენ. ორი თვეა იქ არ ვყოფილვარ და ერთი სული მაქვს, როდის მომეცემა წასვლის საშუალება. გაცეცებას ვერ ვმალავდი, როცა ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია ვნახე. საოცრებაა VIII-X საუკუნეებში ასეთი ტაძრების აგება. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ოშკმა თავისი გუმბათით და იშხანმა მოხატულობით. ოთხთა კი გრანდიოზული ბაზილიკური ეკლესიაა. არტანუჯის ციხეს გეოგრაფიულად ისეთი მდებარეობა აქვს, რომ ერთდროულად აკონტროლებს ხუთ ხეობას, ქაჯეთისა და თორთუმის ციხე ხომ საოცრებაა ...

საიდან სადამდე იყო ჩვენი ქვეყანა გადაჭიმული და დღეს რაღა დავრჩით?!...

**— წელს, თუ არ ვცდები, თუშეთშიც იყავით. როგორ გაიხსენებთ ამ მოგზაურობას?**

— საქართველოს ყველა კუთხეში ვიყავი, გარდა თუშეთისა და იქ მოგზაურობის სურვილი ჩემს მეგობრებთან ერთად ავიხდინე ამ ზაფხულს. მიუხედავად იმისა, რომ 2700 მეტრი სიმაღლიდან კინალამ მანქანით გადავვარდი, დღეს მაინც სასიამოვნოდ და სახალისოდ გვახსენდება იქაური მოგზაურობა. თუშეთში ზღაპრული ბუნებაა, ზვიადი მთები და კომკები საქართველოს სიდიადეა. სამწუხაროდ, ყველაფრის დათვალეერება ვერ მოვასწარით ამ მოგზაურობისას, ამიტომ განზრახული გვაქვს და აუცილებლად წავალთ ჩვენი საძმო მომავალ ზაფხულს ამ მართლაც საოცარ მხარეში.

**— დაბოლოს, თქვენი თვალით დანახული ხვალისდელი დღე ჩვენი ქვეყნისა...**

— მინდა, თითოეული ქართველი აფხაზ და ოს ძმებთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ფიქრობდეს საქართველოს მომავლისთვის. ის, რაც ჩვენია, ქართულია, მეტი არ დაგვეკარგოს. ყველა ჩვენგანმა უნდა გადადგას ის ერთი ნაბიჯი, რათა ჩვენს შვილებს უკეთესი ანმყო და ბედნიერი მომავალი შევუქმნათ. ერთმანეთს ტიტები და სიყვარული ვაჩუქოთ და არა ბოღმა და შური.

შალვა საბაშვილი

# ისევ „ერთი კარგი რითმის შესახებ“

გავეცანი ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ (27 მაისი, 2011) დაბეჭდილ თამაზ ნატროშვილის წერილს „ერთი კარგი რითმა“, რომელიც სიღრმითა და მომხიბვლელივით ამ ავტორის სხვა წერილების სიმაღლეზეა. მასში განიხილება იოსებ გრიშაშვილის კომენტარი აკაკი წერეთლის ერთ-ერთ ლექსზე და მისივე მოსაზრება პოეზიისა და ლიტერატურული კვლევების ღირებულებათა თანაფარდობაზე. ავტორის თქმით, თუმცა გრიშაშვილი უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ წერილთა ავტორიცაა, თვით პოეტისათვის საკუთარ პოეტურ შედეგთა შექმნა უპირველესია. თამაზ ნატროშვილს ესმის მისი სულის მოძრაობა, მაგრამ მის გამოკვლევებსაც არანაკლებ ღირებულად მიიჩნევს. მე, როგორც მკითხველი, ამ პოზიციას სავსებით ვიზიარებ, მაგრამ აღმოჩნდა საინტერესო ფაქტი, რამაც ჩემი გამოხმაურება გამოიწვია.

ჯერ ჩემი აზრი იოსებ გრიშაშვილზე. მეჩვენება, რომ მისი შემოქმედების მნიშვნელობა ერთგვარად დამცრობილი იყო. ეს პოეტი კი XX საუკუნის ქართული პოეზიის სათავეებთან იდგა და გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად ყველაზე მასშტაბურ შემოქმედს წარმოადგენდა. ის მართლაც თხემით ტერფამდე პოეტი იყო, გამოკვეთილი ორიგინალური სახის, ფლობდა პოეზიის მრავალ საიდუმლოს, იყო ცხოვრებისეულ თემათა პოეზიის რანგში აყვანის დიდოსტატი და ლექსის მხატვრული ფორმის ვირტუოზი. ამოუწურავი გამოგონებლობა ახასიათებდა რითმათა მოძებნაშიც. მართალია, თემატურად ე.წ. „ხორციელი სფეროს“ პოეტი იყო, მაგრამ უზადო ლირიკული წარმოსახვისა და ტექნიკის წყალობით ეს „ხორციელება“ მის ლექსებში არაიშვიათად დიდ სულიერებად მალდებოდა. საილუსტრაციოდ „ხელთათმანის ლილიც“ იკმარებდა. დღეს თითქოს გრიშაშვილის ფენომენის გადააზრება მიმდინარეობს, რისი ნიშნებიც თუნდაც მისი „ასი ლექსის“ გამოცემაში და მის თანმხლებ, პატარა ნაცვლიშვილის საყურადღებო წერილში დავინახე.

რაც შეეხება კონვენციური ლექსის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს — რითმას, მასზე ყველა რანგის პოეტები ლაპარაკობენ და, რა გასაკვირია, რითმის ერთ-ერთი უდიდესი ვირტუოზიც ამ ფენომენისადმი მგრძობიარე იყოს. რითმაზე გრიშაშვილი ხშირად მსჯელობს. მაგალითად, ლექსში „მომდერალ ქალს“ პოეტი ლექსის აქსესუარებს სილამაზის ეტალონად მიიჩნევს და სათაყვანო ქალი ელვარე სტრიქონთა სიმაღლეზე აპყავს ბრწყინვალე რითმებით:

**შენი სიმაღლე ისრად მესობა,  
ვის შეგადარო, რა მოვიგონო,  
შენ ჩემი ლექსის უმაღლესობა!  
შენ ჩემი ლექსის კარგო სტრიქონო!**

რიტმის მოვლენის მისეულ გააზრებაზე კი მეტყველებს თუნდაც სტრიქონები („ლამაზმანებს“):

**რიტმამ სტრიქონში დაიხრჩო თავი,  
ველარ შეიძლო თქვენი მცველობა.**

ხოლო თუ როგორ „იხრჩობს“ ხოლმე თავს გრიშაშვილის რითმა, კარგად ჩანს თუნდაც ამავე ლექსის სტრიქონებში:

**ო, თქვენი ხელის ნაძერწავიდან  
ჩემს წიგნს ამშვენებს ჩუქურთმა ბევრი,**

**მაგრამ რაც იყო – მორჩა, ნავიდა,  
ღვინის ჭაშნიკმა გაბზარა ქვევრი.**

დააკვირდით: სიტყვები „ძერწვა“ და „ნასვლა“ არაფრით ჰგავს რითმანწყვილს, მაგრამ მას მერე, რაც პირველი მათგანისგან პოეტმა მიმღეობა შექმნა, თანაც არა სრულასპექტიანი „გამოდერნილი“ ან „გამონაძერნი“, არამედ უწყვეტ-განგრძობადი „ნაძერნი“ ანუ „ნაძერწავი“ და იგი „დან“ თანდებულითაც აღჭურვა, მეორე კი ზმნის წყვეტილ მსკრივში მოაქცია („ნავიდა“), ანუ მას მერე, რაც თითოეული ზემო სიტყვათაგანი ავტორის ნებით წარმოდგენილად დასცილდა თავის საწყის ფორმას (ჩაიძირა, ჩაიკარგა, გაუჩინარდა სიტყვიერ ფორმათა ზღვაში, ანუ „სტრიქონში დაიხრჩო თავი“), უკვე იშვიათი სილამაზის რითმა განდდა. ამგვარი ჯადოსნობა ბევრ პოეტს როდი შეუძლია!

არანაკლებ სახიერად გვიმხელს რითმანარბოების მისეულ გაგებას გრიშაშვილი ლექსში „1914 წ. 23 აპრილი“:

**მე დღესაც მიყვარს ლექსში რითმის აბურთავება.**

ეს ფრაზა და მისით გამოხატული აზრი იმდენად ზუსტია, თავისი და მიუმსგავსებელია, კომენტარიც კი არ სჭირდება. 1923 წლის ლექსშიც „აგარაკზე“ ამ მხრივ ბევრი საყურადღებოა. საყვარელ ქალს სწერს: „ალბათ სტკებები ლამაზ რითმის მიგნებით“-ო. ანუ განსაკუთრებულ რითმათა გამორჩევა ჩვეულებრივთაგან (ესეც ერთგვარი „მიგნებაა“), პოეტის გარდა, იოსებ გრიშაშვილს მკითხველის მოვალეობადაც მიანია. აქვეა სარითმოდ მოხმობილი თუ შექმნილი უცნაურ-სურნელოვანი სიტყვანწყვილი „გუთნეულს“ - „კუთნეულს“ (პოეტის აზრი შეუჩერებლად მუშაობს ლექსის ქმნისას ლექსიკის სფეროშიც). გვერდადუველია საოცარი ძალის რითმები, შექმნილი ტოპონიმ „ნალვერის“ უჩვეულო ზმნაქცევით:

**ტყის დუმილში კვლავ გინახავ ნალვერდას,  
ჩემი ლექსი შენთან დაიმუხლება,  
ალბათ ახლა თვალი აგინალვერდა,  
ალბათ ნაძვებს მწვანე კაბა უხდება.**

მე-3 სტრიქონი უნდა ნიშნავდეს: „ალბათ ახლა ნალვერის ხედვით ტკებები“, მაგრამ ისე უჩვეულო და კაშკაშად თავისია ფორმა „აგინალვერდა“, ვერც ერთი პოეტი ვერასოდეს მისცემს თავს უფლებას მსგავსი კონსტრუქცია თავის ლექსში გაიმეოროს. აქვე თვალი მომტაცეს რითმებმა: „რონოდა“ - „მქონოდა“, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის მიერ „მოდებულ“, მაგრამ „არარეალიზებულ“ რითმათა ვახტანგ ჯავახაძისეული „ლექსიკონიდან“ მასსოვს. როგორც ვხედავთ, იგი გრიშაშვილთან ჯერ კიდევ 1923 წელს ყოფილა ლექსში „რეალიზებული“. სხვებიც იქნება ასეთი.

რარიგ ეფექტურია რითმები თუნდაც ლექსში „პატარას“:

**შენ კი მეტრფი, პატარავ, მაგრამ აბა რალა დროს!  
ლამის სევდამ ეს გული ამოსწვას და დაღადროს.**

ამ რითმის მძაფრი ზემოქმედების ახსნას ვრცელი ლინგვისტური ნიაღვრე დასჭირდებოდა. ისე, ცალკე ამოკრეფილნი („ამტან ვნებას“ - „ამპარტავნებას“, „დალიდა“ - „მალიდან“, „ჩაგხედე“ - „სითავხედე“, „მიგდე“ - „შეურიგდე“, „ძებნა“ - „გადაგვებნა“, „სეხნია“ - დამიკვეხნია...) ეს

რითმები სრულად ვერ გვაგრძობინებენ ლექსში მათგან შექმნილ ეფექტს. აქედანაც ჩანს, რომ ისინი ლექსის ორგანული ნაწილებია და არა მის მხატვრულ ქსოვილთან ხელოვნურად მიტმანსნილი (ლიტერატურაში კი საპირისპირო მაგალითები ბევრია). გრიშაშვილი თვითმიზნური „მრითმველი“ არაა: „რითმებს ვსრუტავდი ხარბად და მკაცრად“ („ჩემს ეხმისავარს“) – ნერს კიდევ და სხვებსაც ასწავლის („პოეზია“), რომ:

**ლექსი როდია რითმის მიგნება,  
არც მნიგნობრული – ეს არ იქნება!**

**ლექსი ძარღვია – გულის ნაწყვეტი,  
ყვავილის სუნთქვა, მახვილის წვეტი.**

**ის წყაროსა ჰგავს აკისკისებულს,  
მშობლიურ ღიმღის აკაკისებურს.**

(მიაქციეთ ყურადღება მშვენიერი აკუსტიკის რითმანყვილს — „აკისკისებულს“ — „აკაკისებურს“. აქ გრიშაშვილის პოეზიის ძირებიც მოჩანს). პოეტი გატაცებულია ელვარე რითმებით, ოღონდ არ გადადის ნებადართულ ზღვარს — არ ვარდება ფორმალზმში.

აი, ასეთი პოეტისაგან განა გასაკვირი იქნებოდა, რომ რითმები ემჯობინებინა გამოკვლევებისათვის, თუნდაც ავტორი ყოფილიყო ბრწყინვალე „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემისა“? არა! ამიტომ ნერს თამაზ ნატროშვილიც ლექსის „პრილი თბილისში“ განხილვისას: „ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებას — გვარწმუნებს იოსებ გრიშაშვილი და ის სავსებით გულწრფელია. ეჭვიც არ უნდა გავგვიჩნდეს, ხომ არ კეკლეუცობსო. მის სულში პოეტი სძლევს მკვლევარს, მაგრამ ობიექტური რეალობა მხარს არ უჭერს ემოციურ პრიორიტეტებს. თუნდაც ეს ერთი პანია გამოკვლევა (თავისი წონით) არაფრით ჩამოუვარდება ერთ კარგ ლექსს“.

სავსებით ვეთანხმები ავტორს, თუმცა ამ ლექსის შექმნის პრობემის მისივე სახიერი აღწერიდან (მტვრიანი არქივიდან ჟრჟოლისმომგვრელ გამოზაფხულზე თბილისის მზიან ქუჩებში ამოსვლა) ისიც ჩანს, რომ პოეტის ნათქვამი პრობითა, ნაწილობრივ — მომენტით გამოწვეული, და საკუთარ გამოკვლევებას სრული უარყოფა კი არა, არამედ უფრო იმის გამოხატვაა, რომ პირადად მას პოეტური მიგნებები უფრო მეტ სიხარულს ჰგვრიან, რადგან უფრო მეტად უკავშირდებიან სულის შემოქმედებით აღმასვლას. ეს ფაქტია და მის უარყოფას აზრი არა აქვს. მაგრამ სიხარულს გარდა არსებობს ცნობისმოყვარეობაც და ინტერესის არქონის შემთხვევაში პოეტი-აკადემიკოსი იმ გამოკვლევებს არც შეასრულებდა.

და თუ ეს ასეა, მაშ რაღა დარჩა განსახილველი?

აი, უკვე მივადექით პატარა პარადოქსს, რომლის გაცნობა კიდევ უფრო ცხადად წარმოაჩენს, რარიგ ძლიერია რითმის ფენომენი და რა კუროზების გამოწვევა შეუძლია.

მართლაცდა, მთელმა საქართველომ იცის, აგერ უკვე მწ წელია, გრიშაშვილის უნებლიე დაეჭვება: „**რად ვეჭიდები ამ გუჯრებს, / ამ ცხრათავიან მღვეებსა**“, და მკვეთრი საბოლოო განაჩენიც: „**ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი / მე ამდენ გამოკვლევებას**“. იცის და მასში „კითხულობს“ იმას, რისი დანერაც მოსალოდნელი იყო გრიშაშვილისაგან, ანუ იმას, რომ „რითმები მირჩევნია გამოკვლევებს“. ყველაფერი შეთანხმებულია ფსიქოლოგიის კანონებთანაც (მთლიანად!) და ენასთანაც (ერთი შეხედვით!). მეც, პირადად, ბავშვობიდან ანუ ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ვიცნობდი ამ „ფორმულას“ და მთელი არსებით ვიზიარებდი მის თითქოსდა ცხად აზრს. და მხოლოდ ახლახან, როცა მითითებული წერილის კითხვისას ჩავუღრმავდი გრიშაშვილის სტრიქონებს, უცებ აღმეძრა ეჭვი: თქვა კი სინამდვილეში პოეტმა ის, რისი თქმაც ენადა? მალე გაცემული დაერწმუნდი, რომ

პასუხი უარყოფითია: მას სიტყვებით არ უთქვამს ის, რასაც ჩვენ მივანერთ და რისი თქმაც ნამდვილად ენადა!

ახლა თავის მხრივ გაცემულ მკითხველსაც უნდა დავუმტკიცო ჩემი ნათქვამის სისწორე და ისიც გავშიფრო, რატომ მოხდა ეს კუროზი და რატომ დარჩა იგი ამდენ ხანს შეუმჩნეველი. თან რაოდენ მკვეთრი გამოთქმაა! პოეტი იმას კი არ გვიცხადებს — პოეზია გამოკვლევებზე მაღლა დგასო (რამიც, ვეჭვობ, ვინმე შედავებოდა!), არამედ უაღრესად ზღვარგადასულად — ერთი კონკრეტული ლექსის ერთი კარგი რითმაც კი გადაწონის ჩემს (და შესაძლოა ასევე სხვათა — ტექსტიდან ესეც კი არ გამოირიცხება!) ყველა გამოკვლევასო, რაც უკვე ძალიანაც სადავო ჩანს, და ალბათ გრიშაშვილის ქეშმარიტი მიდგომითაც (ასე რომ იყოს, როგორ შეაღწედა უზარმაზარ დროს იმ კვლევებს?). ეს თქვა პოეტმა სარდაფიდან მზეზე გამოსვლისას. მაგრამ, ვიმეორებ, თქვა კი?

მართლაცდა, როცა ერთმანეთისაგან მეტისმეტად განსხვავებულ ღირებულებათა მქონე ორ საგანთან გვაქვს საქმე, და ერთ-ერთი აშკარად გვირჩევნია მეორეს, რას ვამბობთ, რომელს რომელზე არ გავცვლით? ცხადია — მეტად ღირებულს ნაკლებად ღირებულზე. მაგალითად, ბავშვის ჯანმრთელობას არ გავცვლით სიმდიდრეზე, ანუ მირჩევნია ღარიბი ვიყო, ოღონდ შვილი ჯანმრთელი მყავდეს. ჯერ წარმოვთქვამთ იმას, რაც გვირჩევნია, რასაც ვერ დავთმობთ, ანუ ვერ გავცვლით, მერე კი იმას, რის სანაცვლოდაც ვერ დავთმობთ, ანუ რაზეც ვერ გავცვლით. ესე იგი, თუ რითმა მირჩევნია გამოკვლევებს, უნდა ვთქვა: „**ერთ კარგ რითმასაც არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებზეო**“. ხომ ასეა? იქნებ სიტყვათა ამგვარი კონსტრუქციის სემანტიკური აზრი საყოველთაოდ არაა დადგენილი ქართულში? როცა შინ ამ თემაზე მსჯელობა წამოვიწყებ, მოსაუბრეს უმად გაახსენდა რაფიელ ერისთავის ლექსიდან: „**არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა**“, რაც მე მანამდე არ გამეფიქრებია. გამოდის, რომ ამგვარად დალაგებული სიტყვების აზრი ქართულში დიდი ხანია საყოველთაოდ მიღებულია და არავითარ ბუნდოვანებას არ შეიცავს. სწორედ სალ კლდეებს არ ცვლის რაფიელ ერისთავი, რადგან ისინი ურჩევნია უკვდავების ხეს. და ასევე: „**არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა**“. აქაც, რაც არ გაიცვლება, ის პირველ რიგში ითქმის (ეს სამშობლოა), ხოლო რაზეც არ გაიცვლება — ის მეორე რიგში (ესაა სხვა ქვეყნის სამოთხე). რაფიელ ერისთავს რომ დაენერა: არ გავცვლი უკვდავების ხეს სალს კლდეებზე, ან სხვა ქვეყნის სამოთხეს ჩემს სამშობლოში გაჭირვებულად ცხოვრებაზეო, ხომ სულ სხვა რამე გამოუვიდოდა ნათქვამი? ასე რომ, სადავო და ბუნდოვანი არაფერია — რაც არ გაიცვლება, ის წინ ითქმის.

ოღონდ წარმოთქმისა თუ დაწერის რიგზე მეტად აქ ისაა მთავარი, რომ წარმომთქმელისთვის ნაკლებღირებული საგანი თანდებულდართულია („უკვდავებისა ხეზედა“), ის კი, რასაც იგი ვერ გავცვლის — უბრალო მიცემითი დგას („სალსა კლდეებსა“). თორემ რა გვიშლის შევცვალოთ სიტყვათა რიგი — ღვთიური ქართული ენა ხომ უსაზღვროდ ელასტიურია — და ასე ვთქვათ: „უკვდავებისა ხეზედა არ გავცვლი სალსა კლდეებსა“? არაფერი! ისე, „გაუცვლელი“ საგანი სახელობითიც შეიძლება მოექცეს: „არ შემიძლია გავცვალო (ან „არ გაიცვლება“) სალი კლდეები...“, ნაკლებღირებულს კი, რაზეც გაცვლა დაუშვებელია, აუცილებლად სჭირდება თანდებული („ხე“ ან თუნდაც „მი“: „არ გავცვლი... სამოთხეზე“ ან „სამოთხეში“).

ახლა, ამ შუქზე ხელახლა შევხედოთ გრიშაშვილის საკვანძო ნათქვამს: „ერთ კარგ რითმაზე არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებას“. რას არ გავცვლი პოეტი? პასუხი: „გამოკვლევებს“. რაზე არ გავცვლის? პასუხი: „ერთ კარგ რითმაზე“. მაშ რა გამოდის მისთვის უფრო ძვირფასი? ცხადია, „გამოკვლევები“! არ არის მათზე დაბალღირებული, რაზეც გაცვლა და-

უშვებელია? რა და „ერთი კარგი რითმა“! ამას წყალი არ გაუვა! გრიშაშვილს წამოსცდა ის, რაც არც გაუფიქრია, სახელდობრ: გამოკვლევები მირჩევნია კარგ რითმასო. ხოლო როგორ უნდა მოქცეულიყო, ის რომ გამოსულიყო, რაც, ეჭვს გარეშეა, უნდოდა ეთქვა? ცხადია, რაფიელ ერისთავისებურად, ანუ შეუღლებული და ძვირფასი საგანი (რიტმა) უთანდებულო მიცემითში ჩაესვა („ერთ კარგ რითმას“), ნაკლებლირებული კი „ზე“ თანდებულოთ აღეჭურვა: („გამოკვლევებზე“), ე.ი. დაენერა, როგორც ზემოთაც ვთქვით: „ერთ კარგ რითმასაც არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებზე“, და ყველაფერი თავის ადგილზე იქნებოდა. მაგრამ ის ასე არ მოიქცა.

რატომ დაუშვა ლაფსუსი ვირტუოზმა პოეტმა? მიზეზი რითმაა და მხოლოდ რითმა, ძვირფასო მკითხველო, რომელსაც ყველაფერი შეუძლია ჩაადენინოს პოეტს (მაგალითები უამრავია). რითმა ძალმოსილია, ელვისებურად და სამარადისოდ დაუფიქრებლად გამოკვეთოს აზრი, რომლის პროზაულად, იმავე შთამბეჭდაობით ჩამოსაყალიბებლად ათეული გვერდებიც არ იკმარებდა. სახიერად წერდა ალექსანდრ პუშკინიც: წერს ნაუფიქრად სტრიქონს (ცხადია, რითმით, შ.ს.) და ნებისმიერ აზრს ელვარედ გამოვქანდაკებო. ან რად გვინდა პუშკინი, გრიშაშვილი აქვე არაა? „რად დროს“ — „დალადროს“, „ნაიდა“ — „ნაძერწავიდან“, „სეხნია“ — „დამიკვებნია“ და ა.შ. რითმის ჯადოქარი იყო და სწორედ რითმამ კი „ულალატა“ წამით, მაგრამ სამუდამოდ (ჯერ მას და მერე მთელ საქართველოსაც): ათქმევინა სრულიად საპირისპირო იმისა, რისი თქმაც სურდა!

კონკრეტულად კი ეს ასე მოხდებოდა: სინათლეზე ამოსულმა დაღლილმა პოეტმა ჯერ შვებით ამოისუნთქა: „სოსო, რა კარგი დღე არის, სოსო, რამდენი ქალია!“, მერე გააღრმავა პირველ სტროფში დაწყებული „რად ავიხიე არქივი“ (სხვათა შორის, ნიგნში „არხივი“ წერია, თუმცა ლექსის ეპიგრაფში „არქივი“) და დაიჩვილა: „რად ვეჭიდები ამ გუჯრებს, ამ ცხრათავიან მდევებსა“ — და ხაფანგიც უკვე საკუთარი ხელით დაგებული აღმოჩნდა. როგორც კი დაინერა „გუჯრებს“, უკვე განისაზღვრა, რომ მათი („გუჯრების“) განსაზღვრებაც ანუ „ცხრათავიანი მდევები“-ც ასევე მიცემით ბრუნვაში მოხდებოდა. ამით სტროფის წყვილნომრიანი სტრიქონის ბოლოში მოექცა მიცემითში მყოფი „მდევებსა“ და ამთავითვე ცხადი გახდა, რომ მეორე წყვილნომრიანი სტრიქონის ბოლოში გათვალისწინებული მისი მომავალი რითმაც პოეტს მიცემითში უნდა ჩაესვა. ასეც მოხდა — ამას უკვე ვერც გრიშაშვილი აღუდგებოდა წინ და ვერც გოეთე — პოეზიის სამბრძანებლოში საკუთარი კანონები მოქმედებენ. უნდოდა თუ არა, სტრიქონისათვის: „ამ ცხრათავიან მდევებსა“ პოეტს უნდა დაეწყვილებინა რითმის შემცველი „მე ამდენ გამოკვლევებსა“. ამ სამსიტყვედმა შეადგინა მეოთხე სტრიქონი, მესამე სტრიქონის ჯერ კიდევ შეუვსებელი სივრცისათვის კი ბუნებრივად დარჩა შესადარი ობიექტის („კარგი რითმის“) შესაბამისი ფორმით მოხსენიება, ანუ ფორმულა: „ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი“. აბა, „რიტმა“ — საც და „გამოკვლევებ“-საც უთანდებულო მიცემითში ხომ არ მოაქცევდა! ერთ-ერთს ხომ უნდა დართოდა „ზე“ თანდებული! და რადგან სიტყვა „გამოკვლევებსა“ მოჰყვა სიტყვას „მდევებსა“, რითაც მისთვის ავტომატურად გამოირიცხა „ზე“ თანდებულის დართვა, უკვე სავსებით გარდაუვალი გახდა მისი დართვა ჯერ კიდევ თავისუფალ სიტყვისათვის „რიტმა“. მჯერა, რომ ეს სწორედ ასე მოხდა, ანუ პოეტი წამოეგო შეცდომაზე — განსახილველი სტრიქონი დაწერა უნებლიეთ, გარემოებათაგან ცდუნებულმა, და არა თავიდანვე გააზრებულად. მართალია გავრცელებულია აზრი, რომ პოეტი წინა საართომ სტრიქონს მისი მომდევნო, მასთან გასართომი სტრიქონის წინასწარგათვალისწინებით ქმნის, ე.ი. ლექსის შესაბამის მონაკვეთებს არსებითად „უკულმა“ წერს — ჯერ იგო-

ნებს მომდევნო სტრიქონს, რითაც აფიქსირებს სართომ სიტყვასაც (შესაძლოა არ წერს ქალაღზე, მაგრამ იმასსოვრებს გონებაში), მერე კი უკვე გულდაჯერებული აყალიბებს წინა სტრიქონს. ამ ილეთის აზრი მარტივია: თუ გართმევა ვერ მოხერხდა, გამოცვლის მომდევნო სტრიქონის სტრუქტურას და სხვა საცდელ სართომ სიტყვას შეარჩევს, და იმავს გაიმეორებს შემდგომშიც, ვიდრე ფონს გააღწევდეს.

ასე რომ მოქცეულიყო, გრიშაშვილიც ასცდებოდა კუროზს: ჯერ სტროფის II ნახევარს მოიფიქრებდა, და მაშინ მას ველარაფერი აიძულებდა აზრი არასწორად გამოეთქვა, მერე კი შეადგენდა სათანადოდ მისადაგებულ, ამავე სტროფის I ნახევარს. მაგრამ ეს „უკულმა“ წერა საერთო კანონი სულაც არაა — იგი შედარებით „სუსტადმრითმველ“ პოეტებს ახასიათებს, ან ისეთ სიტუაციებს, როცა ლექსის დამწყები თუ რომელიმე სხვა მონაკვეთის მთავარი აზრი პირველ რიგში აგონდება პოეტს და იგი სასურველია სტროფის ბოლოს მოთავსდეს, თვალში უკეთ მოხვედრისათვის. დანარჩენ დროს ლექსი „ნაღმა“ იქმნება. გრიშაშვილისთანა რითმის ვირტუოზის შემოქმედებით პროცესში კი ეს „წესი“ ალბათ უმეტესწილად ირღვეოდა, რადგან მას არ ეშინოდა გართმვისა და ნებისმიერი ჩიხიდან გამოსვლის იმედიც ექნებოდა. ამიტომ ის უშიშრად დაწერდა მზეზე გამოსვლისთანავე ფრაზას: „რას ვეჭიდები ამ გუჯრებს,/ ამ ცხრათავიან მდევებსა“ და ამით თავის მომავალ ენობრივ კუროზსაც გაუაზრებლად უზრუნველყოფდა. ისე, ეს აბოპოქრებულ ზღვაში ვინმეს გადასარჩენად დაუფიქრებლად გადაშვებული კაცის ქმედებაა და ჩემს დიდ პატივისცემასაც იმსახურებს!

აი, ასეთი მიკროპოეტური „დრამა“ გათამაშდა „დიადი გარდატეხის წელს“, პოეტებისათვის უმკაცრესი პოეტურ-სოციალური დაკვეთების მრისხანე ეპოქის შუაგულში, როცა, თამაზ ნატროშვილის გულგებით, გრიშაშვილმა შეიძლება შეგნებულად გადაინაცვლა „რიტმებიდან“ „გამოკვლევებისკენ“. ხოლო ავტორისა და ყველა მკითხველისათვის ეს დრამა შეუმჩნეველი დარჩა იმიტომაც, რომ, ჯერ ერთი, ისედაც იცოდნენ, რა სურდა ეთქვა ავტორს, და თითქოსდა ცხადი იყო, რომ რაც უნდოდა ეთქვა, სწორედ იმასვე იტყოდა. და მეორეც — იმიტომ, რომ სიტყვას „გაცვლა“ აქვს მეორე, უფრო სწორად კი პირველი, ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც ხაზს უსვამს ორ საგანს შორის მსგავსებას და არა განსხვავებას. ხომ ცვლიდნენ ცხვარს ხორბალზე, სანელებლებს სამკაულებზე და ა.შ., რა თქმა უნდა შესაბამისი პროპორციით. ეს ნიშნავს, რომ გასაცვლელი საგნები თანაბრად ღირებულნი იყვნენ. ამ შემთხვევაში კი წარმოთქმის რიგს აღარც აქვს მნიშვნელობა (ეს კია, ადამიანი პირველად აცხადებს იმას, რაც აქვს თვითონ, ე.ი. რისი შეთავაზებაც შეუძლია სხვებისთვის, მერე კი იმას, რაც სურს მიიღოს სანაცვლოდ). აი, ამან თუ მოუდუნა სიფხიზლე და შეიყვანა „საპატიებელ“ შეცდომაში გრიშაშვილი და მისი მკითხველები, ანუ ჩვენ „გავიგეთ“ სწორედ ის, რის თქმაც უნდოდა პოეტს, და არა ის სანინაღმდეგო, რაც მან ნამდვილად დაწერა. მაგრამ რაც ახლა ითქვა, სამართლიანი მხოლოდ მაშინაა, როცა საგნები ტოლი-



იოსებ გრიშაშვილი

რებულნი არიან და მათი დასახელების რიგსაც მნიშვნელობა ნაკლებად აქვს, ანუ როცა გაცვლა შესაძლებელია. რითმებსა და გამოკვლევებს კი უთანაბრო ღირებულებანი აქვთ, და ამიტომაცაა იქ გაცვლა დაუშვებელი. ამიტომ ძალაშია ჩვენი მთელი ზემო მსჯელობანი და ვერსად გავექცევით იმ ჭეშმარიტებას, რომ გრიშაშვილის ფორმულა სინამდვილეში აცხადებს შემდეგს: „არ გავცვლი ამდენ გამოკვლევებს ერთ კარგ რითმაზე“, ანუ ვერ შეველევი ჩემს გამოკვლევებს, ისინი ჩემთვის რითმაზე ძვირფასიაო.


რა თქმა უნდა, ეს უნებური კაზუსი ახლა, ალბათ, ვეღარ გასწორდება. ვგულისხმობ ავტორის ნების დაურღვევლობის კანონს, თორემ თვით გრიშაშვილი სულ ადვილად დანერდა (მართალია, არა ნეგატიური „არ გავცვლი“-ს, არამედ პოზიტიური მტკიცების ფარგლებში) თუნდაც ასე: „ერთ კარგ რითმაში გავცვლიდი მე ამდენ გამოკვლევებსა“-ო, და, მიუხედავად სტროფის არახელსაყრელი, შეცდომისაკენ მიმკადებელი დასაწყისისა, კუროიზსაც ასცდებოდა. ისე, ამგვარი სწორება ავტორის ნების აღდგენა უფრო იქნებოდა, ვიდრე დარღვევა.

დაბოლოს, ასეთი ასპექტიც გასათვალისწინებელია. ხომ შეიძლება პედანტმა (კარგი გაგებით), ქართულის კარგად მცოდნე მთარგმნელმა (ხომ შეიძლება ისეთი ჟამიც დადგეს, უცხოელმა მთარგმნელმა ქართულიდან „თარგმნამდე“ ჯერ ქართული ენა ისწავლოს!) აღნიშნული სტრიქონი თარგმნოს „სწორად“, ანუ გადმოსცეს ის, რაც იქ მართლა წერია? საიდან მიხვდეს, რომ სინამდვილეში გრიშაშვილს „კარგი რითმა“ ურჩევნია „ამდენ გამოკვლევებს“ და არა პირიქით? რეალურად ხომ შებრუნებულს წერს? პასუხი: საიდან და ისევე ენის კანონებიდან. მას რომ მართლაც გამოკვლევები ერჩივნოს, „ერთ კარგ რითმაზე“ კი არა, „უთვალავ კარგ რითმაზე“ არ გავცვლიო, ასე დანერდა ( ხომ შეიძლება არ გაცვალოს ერთ რითმაზე, მაგრამ გაცვალოს ათზე? როცა ვინმეს რაიმეს გაკეთებაზე, თუნდაც ნივთის მიყიდვაზე ვერ იყოლიებენ, ხომ თანდათან უმატებენ საზღაურს?). ან გვეტყოდა: „ერთ გამოკვლევასაც არ გავცვლი უამრავ კარგ რითმაზეო“. ის კი „ერთ“ კარგ რითმას ასახელებს და „ამდენ“ გამოკვლევას. გამოკვლევა რომ ერჩიოს, ბევრ გამოკვლევას კი არ შეადარებდა ცოტა რითმასთან, არამედ, პირიქით, ცოტა გამოკვლევას — ბევრ რითმასთან. რაც უფრო ძვირფასია ნივთიერება თუ საგანი, მისი მით ნაკლები რაოდენობა კმარა უფრო დაბალღირებულ საგანთა მეტი რაოდენობის გადასაწონად! ამიტომაც გრიშაშვილის ფორმულის ენობრივი ანალიზიც ადასტურებს იმას, რაც ისედაც ცხადია: გრიშაშვილს უნდოდა ეთქვა სწორედ ის, რაც ყველას, მისი ჩათვლით, კიდევაც გვეგონა, რომ თქვა — გამოკვლევებს კარგი რითმები მიჩვენებიაო (თუ ვინმეს ახლა უკვე საპირისპირო ჰგონია, გაიხსენოს: „რად ავიხირო არქივი!“). თუმცა, როგორც ვაჩვენე, პოეტი ამ ერთხელ უნებლიეთ მისმა საყვარელმა რითმამ დააღალატა.

იოსებ ჭუმბურიძე

# ორი და კიდევ ერთი წიგნი

ცხოვრების ეტლის სადარბაჯლი...



„— ამბობენ, რომ თქვენი ჯანმრთელობისთვის ხშირი მოგზაურობა, განსაკუთრებით ფრენა, საშიშია...

— მე ავადმყოფად არ ვგრძნობ თავს. გარდა ამისა, მოძრაობა კი არაა მომაკვდინებელი, არამედ უმოძრაობა. სიცოცხლის ხანგრძლივობა, რა თქმა უნდა, დიდად მიმზიდველია, მაგრამ, ალბათ, ის არ არის ბედნიერების ერთადერთი სახე. ვინ იცის, იქნებ მთავარი ის კი არ იყოს, რამდენ ხანს ცხოვრობს ადამიანი, არამედ ის, თუ როგორ ცხოვრობს“.

— ეს რეზო თაბუკაშვილთან ჩემი ინტერვიუს ფრაგმენტია.

ბუნებრივია, გამიხარდა, როცა ის მთლიანად ვიხილე ახლახან გამოსულ წიგნში „რეზო თაბუკაშვილი“.

გამიხარდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემია, უფრო იმის გამო, რომ

თვითონ წიგნი ზემოთ ციტირებული სიტყვების გამართლებათა: ლიტერატურის მუზეუმის ეგიდითა და მაგთიკომის დაფინანსებით გამოსული 498 გვერდიანი წიგნი (გამომცემელი — **ლაშა ბაქრაძე**, რედაქტორი — **მზია ჩხაიძე**, დიზაინი — **ბექა ბალარჯიშვილი**, გიორგი გიგაშვილი, წიგნზე მუშაობდნენ **მედეა თაბუკაშვილი**, **თეა თვალავაძე**) ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იცხოვრა რეზო თაბუკაშვილმა.

ბუნებრივია, ერთი წიგნი, რაგინდ ვრცელიც იყოს, მის ნაღვანს ვერ დაიტევს, მაგრამ აქ წარმოდგენილი სცენარები, ლექსები, თარგმანები, მოთხრობები, დღიურები თუ გამოსვლები მოღვაწის შთამბეჭდავ პორტრეტს მანაც ქმნიან.

წიგნის თითქმის ნახევარი სცენარებს ეთმობა — იმ დოკუმენტური ფილმების სცენარებს, თავის დროზე, ქართული ეროვნული სულის გაღვივებასა და თავისუფლების წყურვილის გაძლიერებას დიდად რომ შეეშველნენ.

პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, **ექვთიმე თაყაიშვილია** — „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“.

მას მოსდევს დილოგიები **მიხეილ თამარაშვილზე**, **მიხეილ ხერგიაზე**, **გრიგოლ ფერაძეზე**, **ფორე მოსულიშვილზე**, ტექსტის გამირებზე...

და თითქოს ჩაგვესმის რეზო თაბუკაშვილის ხმა, ხმა მშობლიური და ძვირფასი. და კვლავაც გვიცხოველდება ის საოცარი განცდა, ამ ფილმების პრემიერებზე რომ გვეუფლებოდა — „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“.

შემდეგ განყოფილებაში ლექსებია — ყმანვილობისა და სტუდენტობის პერიოდში დაწერილიც და სიცოცხლის ბოლო დღეებში შექმნილიც.

აქვეა **შექსპირის** სონეტების მისეული თარგმანებიც. პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, 66-ეა:

**ყველაფრით დალილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა, რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება...**

ცალკე კარია გამოსვლებისთვის.

გამოსვლები უნივერსიტეტში, მოსკოვის კინოს სახლში, ტელევიზიით... უნივერსიტეტში გამართული შეხვედრა ხომ ყველას გვახსოვს.

სწორედ იქ ითქვა ის ცნობილი ფრაზა: „**პატრიოტობა პროფესია არ არის, პროფესიონალიზმია პატრიოტიზმი**“.

ოღონდ, ეს ფრაზა აუცილებლად სრულად უნდა დავიმონწმოთ ხოლმე, თუ გვინდა, ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა შევუნარჩუნოთ, ანუ ეს სიტყ-

ვები არ უნდა მოვაკვეციოთ: „ის პროფესიონალიზმი, რომელსაც შენს სამშობლოს მოახმარ“.

შემდეგ კარში წარმოდგენილი დღიურებიც ამ სულისკვეთებითაა გაჯერებული: „დღეს გადავიღე ქართული ბიბლია მიხეილ თამარაშვილის მეტად საინტერესო მინანურით (გადავადებინე ფოტოპირი და მიმაქვს საქართველოში). ბიბლიას სომეხი ავტორის იტალიური კომენტარები აქვს და თამარაშვილის აღმწოდებელი მინანური სწორედ ამ კომენტარს ეხება“.

ნიგნის ერთ კარს „გახსენება“ ჰქვია. აქ არის გამოსათხოვარი სიტყვები, ლანა ლოლობერიძის მოგონება („პირველი სიყვარული“), თამაზ ჩხენკელისა და ზაზა კვერცხიშვილის ესეები...

„რეზო თაბუკაშვილის შეცვლა ან განმეორება შეუძლებელია“ — ეს მიხეილ თუმანიშვილის სიტყვებია.

რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ამას ამბობს ხელოვანი, რომელიც ასევე ვერავენ შეცვალა, ვისი დატოვებული თეატრიც დღემდე უნუგეშოდება დაობლებული.

...ნიგნი კი სცენარით მთავრდება. ოღონდ, ეს უკვე თვითონ რეზო თაბუკაშვილზე გადასაღები ფილმის სცენარია.

ჯგუფმა, ვისთან ერთადაც რეზო თაბუკაშვილმა თავისი განთქმული დოკუმენტური (თვითონ რომ „სამწერლობს“ უწოდებდა) გადაიღო, ამ სცენარის განხორციელება დღემდე ვერ შეძლო.

ეს სამწუხაროც არის და სამარცხვინოც.

საინტერესოა, კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსანთა რამდენი „საუცხოო“ მივლინების საფასური დასჭირდებოდა მის გადაღებას?!

სცენარის ავტორი კოტე ჯანდიერია.

კოტე ჯანდიერი რომ ცუდ სცენარს არ დაწერდა, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

მასში გამოყენებულია რეზო თაბუკაშვილის ეს „ორაგულის ბედი“ — ამით იწყება და ამითვე მთავრდება.

რალა თქმა უნდა, გამოყენებულია მისი უკანასკნელი ლექსიც, ანდერძად რომ დაუტოვა შვილიშვილებს — რეზოს და ბომბოს:

**...მაგრამ იცოდეთ, რომ იმ დღიდან  
თქვენთან არა ვარ,  
თუ ასპარეზად  
საქართველო გეპატარავათ...  
ტკბილი გექნებათ სიყმანვილე,  
მეერ სიბერეც,  
სხვათა მიღწევით სიხარული  
თუ გაიბევრეთ...**

ჯერ გადაუღებელ ფილმს რეზოს ხმა ამთავრებს: „ასეთია ბედი იმ უჩვეულო არსებისა, სიკვდილის შემდგომაც საკუთარ შთამომავლობაში სისხლხორცეულად გარდასახვა რომ ალუთქვა ბედმა“.

და ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც. ფილმს იწყებს და ამთავრებს მატარებლის ბორბლების დრაგადრუგი. კუპეში ფანჯარასთან ზის დაღლილი რეზო თაბუკაშვილი, რომელსაც „ახსენდება თუ ეზმანება შორეული სანაპირო, უცხო მდინარეები, ამ მდინარეთა თავანკარა სათავეები და გამჭვრვალე წყალში მოსხმარტალე ორგულეები (გია ჭუბაბრიას ფილმის სანყისი კადრები)“...

ბოლო კადრიც მსგავსია: „მატარებლის კუპე... რეზოს დაღლილი სახე... ბორბლების დრაგადრუგი“...

ეს ის მატარებელია — „ცხოვრების ეტლის სადავრებელი“...

ამ ეტლით რეზო თაბუკაშვილმა შეუდარებელი ღირსებით იმგზავრა...

### ფრთხილი და კრიტიკა

„არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური.“

სათაური იგივეა, როგორც თვალის ადამიანისა, ან სარკმელი კაცთა სამყოფლოსი.

სათაურია პირველი დერიტა შემოქმედებისა.

სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას“ (კ. გამსახურდია).

...თავიდან გამიჭირდა ამ ნიგნის სახელწოდების მიღება. იმის მიუხედავად, რომ სულხან-საბას-გან მოდის, მისი იგავის პირობითი სათაურია.

როცა პირველი თავები (სამი წერილი სულხან-საბაზე) წავიკითხე, თანდათან ჩავნვდი სათაურის სიმბოლიკას, რაც ისევე მოიცავს კრიტიკოსის დანიშნულებას, როგორც ის ორი ცნობილი ნილაბი გამოხატავს ცხოვრების არსსა და ნუთისოფლის ტკბილმწარეობას.

„მოტირალ-მოცინარი“ — ეს უკვე თეიმურაზ დოიაშვილის სათაურია. მისი შემოქმედებითი მრწამსის გამოხატველი.

თუ სულხან-საბასთან მოტირალსაც და მოცინარსაც „ერთი რამ აქვთ საერთო — ნუხილი კაცთა მოდგმის მდებალი არსებობის გამო“, თეიმურაზ დოიაშვილს, იგავის პერსონაჟებს ვერ მიამსგავსებ, რადგან ის არც მუდამ „მოტირალია“ და არც „სრულობით იცინის“, ხშირად სიცილის დროსაც მოწყენილია. მაშინაც კი, როცა „ეროტიკულ-სექსუალურ ლირიკაზე“ მსჯელობს, შიგადაშიგ, რა თქმა უნდა, ლაღობს, სარკაზმსა და ირონიას უხვად იყენებს, მაგრამ დასკვნას სერიოზული ინტონაციით გვთავაზობს.

თემურ დოიაშვილის ამ ახალ ნიგნში ბოლო ათი წლის განმავლობაში შექმნილი გამოკვლევები, წერილები და ესეებია შესული. რა თქმა უნდა, მათი მხოლოდ ნაწილი, რადგან ფრიად ნაყოფიერი კრიტიკოსისა და ლიტერატურისმცოდნის ათწლიან მონაგარს ეს დიდტანიანი (458 გვერდიანი) ნიგნიც ვერ დაიტევდა.

„კანტი-კარამზინი-ბარათაშვილი“, „ბედნიერი ერი“: სტრუქტურა და საზრისი“, „მიხეილ ჯავახიშვილი და ფსიქოანალიზი“, „არტისტული ყვავილების“ პროლოგი“, „ოთარ ჩხეიძის გალაკტიონი“, „მეოცე საუკუნის ქართული პოეზია“, წერილები იზა ორჯონიკიძეზე, ირმა რატიანზე, ნინო დარბაისელზე, აკაკი ხინთიბიძეზე, მიხეილ ქვლივიძეზე, რეზო სირაძეზე, ემზარ კვიციანიშვილზე, ბესიკ ხარანაულზე — ასე ვრცელია კვლევის დიაპაზონი...

მთავარი კი ახალი თვალსაზრისებია.

ამ ნიგნში მათ უხვად იპოვიტ.

ამის მკაფიო მაგალითია გამოკვლევა — „ფრთხილი და დიადემა“.

ეს გამოკვლევაცაა და ესეც. მეტიც, ის მხატვრულ ქმნილებადაც წარმოგვიდგება.

ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა ლიტერატურათმცოდნე მეცნიერების საზღვრებს გასცდება, როცა კრიტიკოსსაც ფრთხილი გამოეხსმება და ახალ მხატვრულ ღირებულებას შექმნის.

„საუბარი უცნაური კითხვით უნდა დავიწყო: რას ეძღვნება, რას ამკობს ეს ლექსი-ზმანება?“

იგულისხმება გალაკტიონის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

რატომ უნდა დასმულიყო ეს კითხვა?

იმითომ, რომ „ნიკორწმინდა არ არის ოდენ სახოტბო-ოდური სტილით შესრულებული ლექსი. აღწერის სკრუპულოზურობითა და სტილისტიკით, იგი უახლოვდება ანტიკური მწერლობის ისეთ ფანრს, როგორცაა ეკვრასისი.“

ეკვრასისი არის ტექსტის განსაკუთრებული სახეობა, რომლის მიზანია, მსმენლის თვალს გამოკვეთილად დაანახოს ის, რასაც აღწერს მთხრობელი“.





ეს გამოკვლევა ცნობრედ იმის გარკვევას ეძღვნება, თუ „როგორ რეალიზდება „ნიკორწმინდაში“ ეკვრასისის კონსტრუქციული პრინციპი, რამაც მსმენელი აღწერის პროცესში მაყურებლად უნდა გარდაქმნას“.

აქ იმასაც გაიგებთ, თუ რატომ არ ასვენებდა გალაკტიონს ნოტრ-დამი — პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი, რომელიც ჰიუგოსთვის „ქვის წიგნია გრანიტის კაბადონებით“.

სხვა თავში იმას მივხვდებით, რომ მოხუცი მამა, გალაკტიონის ვენახში სასხლავით ხელში ილია ჭავჭავაძეა (არადა შეიძლება უფრო აკაკიზე გვეფიქრა)...

კიდევ სხვა თავში მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებს გაანათებს ფსიქოანალიზი და „ერთი ისტერიის ისტორიას“ ფროიდის მოძღვრების კონტექსტში განვიხილავთ.

აქ ერთი უნდა აღინიშნოს: ჩვეულებრივ, სხვათა მოსაზრებებს მკვლევარები იმ მიზნით იმონებენ, მათი დახმარებით საკუთარი თვალსაზრისი რომ გაამყარონ (აკაკი განერელია ამას ინტელექტუალურ უმწეობას უწოდებდა). თემურ დოიაშვილი ამგვარ დახმარებას არ სჩაბროებს, პირიქით, ციტატები, უპირველეს ყოვლისა, მის უპირატესობას ადასტურებენ.

მას ძალუძს ერთ აბზაცში გზიდან სამი წინამორბედი მკვლევარი ჩამოიშოროს.

ასეთი აბზაცი უფრო ვრცელიც რომ იყოს, სწორედ აღნიშნულის გამო, დამონება უდავოდ ღირს:

„მოთხრობის ფინალი, მართლაც ტრაგიკულია, მაგრამ ეს სამწუხარო ამბავი სულაც არ მიგვანიშნებს იმ ადამიანთა ხვედრზე, რომელთაც შეეძლოთ კარგი ქართული ოჯახის შექმნა, მაგრამ ბედმა უმეხთლა და არც გარემოებამ შეუნყო ხელი“ (დ. ბენაშვილი). მწერლის განზრახვა არც ის უნდა იყოს, რომ „ოქროს კბილის“ მკითხველს უჩვენოს ცხოვრების სწორი გზა, დაარწმუნოს სიყვარულის სიმაღლესა და ძალაში და სულიერად აამაღლოს თვითონ მკითხველი“ (ტ. კვანჭელაშვილი). „ოქროს კბილი“ არც მხოლოდ ფრანგული რომანების და მოთხრობების ყაიდაზე დაწერილი ნაწარმოებია, რომლის ავტორი სმირაედ ენათესავება მოპასანს“ (გ. ჯიბლაძე).

...სხვა რომ არაფერი შექმნა ბოლო ათწლეულში ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას, ეს ერთი წიგნიც ეყოფოდა გამოსარჩლებად.

**ნაბლი, რომორც მიზანი**

აქ სათაურშივე შეცდომაა: დიალოგი ერთს ნიშნავს. წიგნი კი ორმოცზე მეტი დიალოგია.

სათაურიც შესაბამისი უნდა იყოს: „დიალოგები ცენზურაზე“.

ნეტავ შეცდომა მართო ეს იყოს...

ეს იმ დიალოგების ბეჭდური ვერსიაა, **ლაშა ბულაძე** რადიო „შოკოლადის“ ეთერში 2013 წელს რომ წარმართავდა.

პროექტი, რა თქმა უნდა, ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველო“ დაფინანსებულია.

ავტორებიც, ანუ ლაშა ბულაძის გადაცემის თითქმის ყველა სტუმარიც შესაფერისია: **გოგი გვახარია, თათა ციფურაშვილი, რატი ამალღობელი, გაგა ნიჟარაძე, ვახუშტი მენაბდე, ერეკლე დეისაძე, პაატა შამუგია...**

გამოთქმულ აზრებშიც არაფერი უნდა იყოს მოულოდნელი, თუმცა შეუძლებელია, მაინც არ გაგვაკვირვოს **ნოდარ ლადარიასთან** გამართული დიალოგის ერთმა პასაჟმა.

ნამყვანი ეკითხება: „**რატომ მოინდომა, მაგალითად, ნაციონალურმა მოძრაობამ უნივერსიტეტების გაკონტროლება?**“

ხომ გასაკვირია ასეთი შეკითხვა ლაშა ბულაძისაგან, მაგრამ პასუხი უფრო განსაცვიფრებელია:

„**წინა ხელისუფლებისადმი ლოიალური აკადემიური კადრები ან არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ოპოზიციურად განწყობილებს, ან მათზე ოდნავ უკეთესები იყვნენ. შესაბამისად, ამგვარმა კონტროლმა დიდად არ დააზიანა უნივერსიტეტი**“.

ღიას, მეც არ მეგონა, ლადარიასგან კიდევ რამე თუ გამაკვირვებდა, მაგრამ ეს მართლაც მეტისმეტია.

უთუოდ საკუთარ თავსა და თავისნაირებს გულისხმობს!..

სხვა მხრივ, რა მოგახსენოთ: არც ის გამკვირვებია, გოგი გვახარიას ირონია რომ დაუძველდა (ძველი ბერძნები ჩვენი ნაბლით აღფრთოვანებულანო), არც ის, პაატა შამუგია, თავისი „ანტიცეცხლის“ თურმე, რუსთაველის პოემის გაცოცხლებას რომ (?) ცდილობს, არც ის, ეკატერინე აღდგომელაშვილს 17 მაისი ეკლესიისა და სახელმწიფოს ამკარა დაპირისპირებად რომ ესახება; არც ის, ერეკლე დეისაძეს რომ თვითცენზურა არ გააჩნია...

გვახარია ირონიაზე ვსაუბრობდი. მკითხველი შემეცოდა და „ნაბლის მეტაფორა“ უნდა გავუშიფრო: გვახარია ამბობს, რომ საქართველომ ძველი ბერძნები აღაფრთოვანა. მათ თქვეს, რომ ეს არის მინა, სადაც ადამიანი არასოდეს დარჩება მშვიერი, იმიტომ, რომ ნაბლს მაინც შეჭამსო.

გვახარია აქ დიდ უბედურებას ხედავს. მისი აზრით, ამით აიხსნება ჩვენი ერთი ნაკლი — ცნობისმოყვარეობის არქონა, რადგან „თუ გაქვს ნაბლი, აღარ გჭირდება სხვა საკვების ძებნა“ (საინტერესოა, თურამაული რომ ჰქონდეს, პანტას თუ დაუნყებს ძებნას?!).

ბოლოს ნამყვანი (არა გვეგონია, აქ რაიმე ქვეტექსტი იგულისხმებოდეს) სტუმარს ასეთ შეკითხვას დაუსვამს: „ესე იგი ნაბლი, განათლება თუ დიალოგი?“

პასუხი ასეთია: „განათლება და დიალოგი, ორივე, რა თქმა უნდა. და მოგზაურობა“.

ნამყვანი: „თუმცა ზოგი დადის ამსტერდამში, მაგრამ როგორც 17 მაისის ამბებიდან გაირკვა, ის უნახავს მხოლოდ, რომ „კაცები აცოცხლებიან ერთმანეთს“. დადიან მაგრამ სხვა რამეებს ხედავენ“.

არ ვიცი, ბულაძეს ასეთი „ხედვა“ რატომ არ მოსწონს, ერთი კი უნდა შევნიშნო. დიალოგების წარმმართველი საკმაოდ ჭკვიანია და იცის, რომ ხანდახან ისეთი პიროვნებებიც უნდა მიიწვიოს, როგორც **რისმაგ გორდეზიანია**.

თუმცა, არა მეგონია, მიზნად ის ჰქონდეთ, რის გამოც ეს ფაქტი მომწონს: ბატონი რისმაგის კომპეტენტური საუბარი (თემა: „ცენზურა ანტიკურობაში“), ამკარად წარმოაჩენს კლასიკური (და არა ამერიკულ-დასავლური) განათლების უპირატესობას. იგივე ითქმის **თემურ კობახიძეზეც** („აკრძალული წიგნები — ჯეიმზ ჯოისის „ულისე“).

„ბოლოს და ბოლოს უნდა გაჩნდეს ამ ქვეყანაში (არც კი ნამოსცდებათ — ჩვენს ქვეყანაში — ავტ.) სამოქალაქო საზოგადოება, რომელზეც ვერც პოლიტიკოსი და ვერც საპატრიარქო ვერ მოახდენს გავლენას“. — აცხადებს ერთ-ერთ დიალოგში **მაგდა გურული**, ვისი სტატუსიც ასეა მითითებული: „თანამედროვე არტის კურატორი“.

ალბათ, წიგნის ავტორები ფიქრობენ, რომ ეს ხსენებული მიზნის მიღწევას გააადვილებს.

ღმერთმა ქნას!..

მერე რა, რომ ღმერთი არა სწამთ, სამაგიეროდ, ის ხომ სწამთ, რასაც ამ „დიალოგებში“ ამბობენ...



გურამ ყორანაშვილი

# იძულებითი პასუხი ჟურნალისტს

როგორც „ჩვენი მწერლობის“ მკითხველებს მოგეხსენებათ, ჟურნალის 2013 წლის 15 ნოემბრის ნომერში გურამ გოგიაშვილმა ჩემი ნააზრევებიდან, როგორც იტყვიან, „ქვა ქვაზე არ დატოვა“. თავისი ნაბოღვარი იმით გაამყარა, რომ ჩემზე ფრიად უარყოფითად წერდნენ 5 აკადემიკოსი და 12 დოქტორ-პროფესორი თავიანთ კოლექტიურ წერილში (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 19 სექტემბერი, 2003). ისე გამოდის, რომ მე, გურამ ყორანაშვილი, არც ისტორიკოსი ვყოფილვარ და არც ფილოსოფოსი. მე კი ვფიქრობდი და კვლავაც ვფიქრობ, რომ ცოდნის ეს ორივე დარგი ჩემთვის ძალზე ახლობელია და მეხმარება ერთიმეორის გაღრმავებულ გაგებაში. მაგრამ თუ მავანი, ჩემი პერსონისადმი მტრულად განწყობილი, აიხირებს, რასაკვირველია, წარმოიდგენს, რომ არც ისტორიკოსად ვვარგვივარ და არც ფილოსოფოსად. ასე რომ, მსგავსი გაგება-შეფასების საფუძველი უმთავრესად სუბიექტში, მის ფსიქოლოგიაშია საძებნი.

იძულებული ვარ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის სწავლის (1957-62) ჩემს დასასრულზე მოგიტხროთ. ჯერ კიდევ სტუდენტობის ბოლო კუსებზე გავიცნობიერე, რომ საზოგადოების განვითარებისა და მსოფლიო-ისტორიული პროცესის რიგი საკითხები ვლადიმერ ლენინისა და იოსებ სტალინისაგან თავსმოხვეულ დოგმებზე იყო დაფუძნებული. კერძოდ, ასე გახლდათ ეკონომიკურ-სოციალური ფორმაციების თაობაზეც. სადიპლომო ნაშრომი სწორედ ამ საკითხების გარკვევას მიუძღვნე. რასაკვირველია, მსგავსი „მკრეხელობა“ არ მპაპატის, რის გამოც იმხანად უდიპლომოდ დავრჩი.

ასეთი „მარცხი“ ჩემს ცხოვრებაში საკეთილო აღმოჩნდა. მივალწიე, რომ აღმადგინეს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე (ამისათვის დამჭირდა შვიდი საგნის ჩაბარება). მომდევნო ხუთი წლის მანძილზე ამ ქალაქში ვცხოვრობდი, 1967 წელს კი დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია აქაურ ფილოსოფიის ინსტიტუტში. დისერტაციის თემა გახლდათ ჩემეულ „ერეტიკულ“ შეხედულებათა ერთი ნაწილი. მთლიანობაში კი ეს მოვახერხე სადოქტორო დისერტაციაში, რომლის დანერგა თუმცა 1972 წელს დავასრულე, მაგრამ ანტიმარქსიზმის ბრალდებით მისი დაცვა მხოლოდ შვიდი წლის შემდგომ შეეძლო. ამაში აქაურ, შედარებით ლიბერალურად განწყობილ ფილოსოფოსთა გარდა დამსახურება მიუძღვით ორ მოსკოველ ოპონენტსა და წამყვან დანესებულეებს — ლენინგრადის უნივერსიტეტს.

საერთოდ, ცხადია, ჩემს „ლელოს“ ვერ გავიტანდი, უცხოურ და საბჭოურ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში რომ არ დანყებულაიყო ცხარე დისკუსიები წინაკაპიტალისტურ საზოგადოებათა თაობაზე.

მოგახსენებთ, რაშია საქმე. შესაბამისი საბჭოური ტრადიციის თანახმად, ფორმაციათა ცვლის კანონზომიერებას ადასტურებს მრავალი ძველი ისტორიის მქონე საზოგადოება. სინამდვილეში ეს მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით ხდებოდა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მსოფლიო-ისტორიული ცენტრების გადანაცვლებას. აღნიშნული გარემოება გაცნობიერებულ იქნა ჰეგელის მიერ თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“. იმავე ნაირად ფიქრობდნენ ავთენტური მარქსიზმის წარმომადგენლებიც, ოლონდ, ცხადია, მატერიალისტური თვალსაზრისით.

მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი მოწინააღმდეგეებისა და კერძოდ, გ. გოგიაშვილისათვის არაფერს, აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს.

ჯერჯერობით გამოქვეყნებული მაქვს ოცი წიგნი, მათ შორის, ერთი გახლავთ კოლექტიურად დანერგილი სახელმძღვანელო. გარდა ამისა, დაბეჭდილი მაქვს თხუთმეტამდე ბროშურა და მრავალი ათეული სამეცნიერო სტატია. თუ ამას რაიმე სერიოზული მნიშვნელობა გააჩნია, ვიტყვი იმასაც, რომ უცხოურ (რუსულ და ინგლისურ) ენებზე დაიბეჭდა ოცამდე ჩემი სტატია და რეცენზია, აგრეთვე ერთი მონოგრაფია. გ. გოგიაშვილი ფიქრობს, რომ ყოველივე ამას ჩემი ფულით მივალწიე. საბჭოური პერიოდის განმავლობაში ჩემი ხუთი წიგნისა და რამდენიმე ბროშურის დაბეჭდვა, ცხადია, ამ გზით ვერ მოხერხდებოდა. შეცვლილ პირობებში კი ჩემი წიგნებისა და ბროშურების დიდი ნაწილი სხვათა დახმარებით, ანდა უშუალოდ გამომცემლობების ხარჯით არის გამოქვეყნებული. მათი გასაღებაც ასე თუ ისე მოხერხდა.

დანერგილი მაქვს „საქართველოს ძველი ისტორია“, მაგრამ მისი დაბეჭდვისაგან, ქართველთა ეთნოგენეზისა და მესხების პრობლემის არასაკმარისად გაგების გამოისობით, თავს ვიკავებდი.

ჩამოვთვლი ზოგიერთ სიახლეს, რის ნარმოჩენაც ჩემეულ ნაშრომებში ჯერ კიდევ საბჭოურ ეპოქაში, მიუხედავად რეტროგრადების წინააღმდეგობისა და ცენზურისა, შეეძლო:

შევეცადე სათანადოდ მიმეზლო საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული ფაქტორის როლისათვის. ვამტკიცებდი, რომ საქართველოს ისტორიულ პროცესში კლასობრივი ბრძოლა უმნიშვნელო ხასიათისა იყო, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენში XIX საუკუნის დადგომიდანვე დაიწყო, რომ ქართველობა — როგორც ერი — XI-XII საუკუნეებში გაჩნდა. საქართველოში 1980-იან წლებში ერთ-ერთმა პირველმა, ცნობილ ფილოლოგოს გურამ ასათიანთან ერთად, დავაყენე საკითხი ეთნოფსიქოლოგიის, მათ შორის, ეროვნული ხასიათის, ასევე ეთნიკური თვითშეგნების შესახებ. შევეცადე დამესაბუთებინა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ათვლა უნდა დავიწყოთ არა ძვ.წ. 1000 წლიდან, როგორც ამას მავანი „ბობოყა“ ისტორიკოსები ცდილობდნენ, არამედ ძვ.წ. დაახლ. 300 წლიდან, ე.ი. ფარნავაზის მეფობიდან. სპეციალურ ვრცელ ნაშრომებში გავარკვიე ილიასა და ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა და თეორიული ნააზრევი. დავადგინე, რომ იოსებ ჯუგაშვილის ვითომდაც პირველი ე.წ. საპროგრამო ნაშრომის, რომელზედაც მსოფლიო სტალინოლოგიაში დიდი ეჭვებია, ავტორი გახლდათ ლადო კეცხოველი. ჩემეული მოხსენების ბაზაზე მოვანყე დისკუსია ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხზე და ა.შ. დღემდე, თუმცა ობიექტურად არცთუ ისეთი თვალსაჩინო წარმატებით, ცდილობ ნამდვილი სამეცნიერო ოკიტიკის დანერგვას.

რა თქმა უნდა, ჩემს მოწინააღმდეგეთათვის, მათ შორის ჟურნალისტ გ. გოგიაშვილისთვის, აღნიშნული გარემოებაც არაფერს ნიშნავს. ამდენად, ისინი მშვენივრად ადასტურებენ ჩვენი წინაპრების ღრმააზროვან ფსიქოლოგიურ დაკვირვებას — თუ სურვილი გაქვს, შეიძლება რიყეზე ქვა ვერ შეამჩნიო. არცერთს არ უცდია ჩემეულ ნაშრომებზე დაენერა რეცენზია, თუნდაც უარყოფითი — თითქოს ისინი არც კი არსებობენ. სჯერდებიან იგნორირებას. ყოველივე ეს არ ახალბა, ძველია.

მავან ისტორიკოსთა, მათ რიცხვში გ. გოგიაშვილის სანინააღმდეგოდ, რომლებიც ფსიქიატრიის სფეროში განსწავლულობასაც ჩემეულობენ, მე მტკიცედ მწამს, რომ დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფია ღრმა კრიზისშია. მაგრამ კონსერვატორ-რეტროგრად ისტორიკოსთა წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა. დღემდე ვერ მოხერხდა მტკივნეული საკითხის შესახებ ერთი სერიოზული დისკუსიის გამართვაც. სამაგიეროდ, ჩემი მხრიდან გამონვევას მათ „სათანადოდ“ უპასუხეს: შექმნეს მტამპი, რომ უქნარა, არაფრის

გამკეთებელი ვარ და ოდენ სხვათა კრიტიკით ვარ გატაცებული. ერთი სიტყვით, თითქოს მეცნიერებასა და ფილოსოფიაში სრულიად მარგინალური პიროვნება გახლავარ. ამასთანავე, მაგანნი ზნეობრივ გაკვეთილებსაც მიტარებენ.

აი, გამოჩნდა ძალზე საშუალო დონის ჟურნალისტი, შორს მდგომი სერიოზული აზროვნებისაგან, რომელმაც იკისრა შეფასებინა ჩემი ისტორიოგრაფიული და ფილოსოფიური ნაღვანი. სხვათა შორის, გ. გოგიაშვილს აქვს ნათარგმნი ერაზმ როტერდამელის „ქება სისულელისა“ და ორი ჩეხი ავტორის მხატვრული ნაწარმოები სოკრატეს შესახებ. აქედან გამომდინარე, თითქოს საფიქრალია ოთხმოც წელს მიტანილს, შესაბამის სიბრძნეზე ოდნავი წარმოდგენა მაინც შექმნოდა. მაგრამ ასე როდი მოხდა. ვერ უშველა იმ გარემოებამაც, რომ იგი სოლომონის ძე გახლავთ.

გ. გოგიაშვილის ფილოსოფიურ ნასიბრძთაგან მოვიტან ერთ მაგალითს. ერთგან მკითხველებს ასე მოძღვრავს: „როგორც ყველა დროში, მაშინაც სხვათა არაერთი სიმართლე არსებობდა და ამ სიმართლეთა გაუთავებელი ჭიდილი აბო-ბოქრებდა ცხოვრებას“. გამოდის, რომ ჭეშმარიტება უამრავი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, იმდენი, რამდენი ადამიანიც მოისურვებს რაიმეს თქმას. თითქოს ჭეშმარიტებას ლაღადებდნენ კერძოდ ვლადიმერ ლენინი და იოსებ სტალინიც, გ. გოგიაშვილის კერპები. ამდენად, თავისი საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე უკანანკვლამა თითქოს სიმართლის გზით იარა. ახლაც კი, რაც გონებაში მოუვა, იგია ჭეშმარიტება. მისდა საუბედუროდ, ჭეშმარიტების ძიება და წვდომა ასე იოლი როდი გახლავთ — იგი ერთია და აზროვნების სფეროში შესაბამისად მისკენ სავალი ერთი, მაგრამ რთული გზა მიდის.

მაგრამ დავუბრუნდეთ მსჯელობის მთავარ ხაზს. ფილოსოფიურ ანუ ისტორიულ-თეორიულ ჩემულ ნაშრომთაგან დავასახელებთ შემდეგს: „გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში“ (169 გვ.), „ისტორიულ-ფილოსოფიური ეტიუდები“ (ორ წიგნად, 1985-92, სულ 475 გვერდის მოცულობით), „პროფესია ისტორიკოსი“ (1986, 134 გვ.), „წინააკაპიტალისტური წარმოების წესები“ (1988, 240 გვ.), „ერთი სოციალური თეორიის უცნაური მეტამორფოზი“ (2012, 300 გვ.). ჩემს კრიტიკოსთაგან, კერძოდ, გ. გოგიაშვილს ხომ კეთილი უნდა ენება და რამენაირად გაეაზრებინა, თუ რა მოსაზრებებს ვავითარებ დასახელებულ წიგნებში, სათანადო ვერდიქტის შეფასებები კი შემდგომ გამოეტანა.

ჩემულ საისტორიო ნაშრომთაგან მოგახსენებთ: „საქართველოს ისტორიის საკითხები“ (ორ წიგნად, 1994-95, 618 გვერდი), „ეროვნული საკითხი“ (1998, 266 გვ.), „ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად ნაკითხვის ცდა)“ (1999, 367 გვ.), „საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები“ (2002, 480 გვ.), „წინამართლის ტრაგედიის საიდუმლო“ (2004, 354 გვ.), სტალინი — „შტრიხები პორტრეტისათვის“ (2006, 400 გვ.), „ილიას ფენომენი“ (2007, 506 გვ.), „დიმიტრი ყიფიანი — ახალი დიმიტრი თავდადებული“ (2009, 440 გვ.), „ისევ წინამართლის ტრაგედიის საიდუმლოს შესახებ“ (2013, 187 გვ.). დაე ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელ ბედ-იღბალზე დიდად „დამაშვრალმა“ ისტორიკოსებმა განიხილონ ეს წიგნები და საზოგადოებრიობას ამცნონ თავიანთი აკვიატებული აზრები მათი ავტორის არაოპიზის თაობაზე.

ორი, მკვეთრად დაპირისპირებული მხარის კამათში გ. გოგიაშვილი, ადვოკატთა უმრავლესობის ჩვეულებისამებრ, ოდენ ერთი მხარის დაცვას სჯერდება. ასევე, როდესაც ეს „არამკითხე მოამბე“ არჩევს გიორგი მელიქიშვილსა და ჩემს შორის წარმოქმნილ დაპირისპირებას, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ერთი მხარე აინტერესებს. მაგრამ ვინ მისცა მას ასეთი ცოდნა და ინტელექტი, რომ მეორე მხარის პოზიციაზე სათანადოდ გაეთვალისწინებინა, აენონ-დაენონა ორივე მხარის არგუმენტები. ამ თვალსაზრისით ვურჩევდი ნაეკითხა ჩემი „განგსტერიზმი მეცნიერებაში და მისი ადვოკატები“ (1999)

და ბროშურა „მეცნიერებაში ერთი კონფლიქტის ისტორია“ (2011). მიუხედავად აღნიშნულისა, ვიტყვი, რომ ნიკო ბერძენიშვილის შემდგომ გიორგი მელიქიშვილი უთუოდ მოაზროვნე ისტორიკოსი გახლდათ და არ იმსახურებს იმას, რომ გ. გოგიაშვილის ვექილობის ამარა იყოს.

თითქოს გამოჩნდა გამონაკლისი ჟურნალისტი გ. გოგიაშვილის სახით, რომელმაც 2004 წლის შემოდგომაზე მოისურვა და „განიხილა“ ჩემი „წინამართლის ტრაგედიის საიდუმლო“, რაზედაც თითქმის სამი წელი ვიმუშავე. აღმოჩნდა, რომ ჩემს „მძვინვარე კრიტიკოსს“ წარმოდგენა არ ჰქონია ქართველთათვის დიდად მტკივნეული საკითხის არსზე და მხოლოდ მთავარი, საყველბურო ცოდნით იფარგლებოდა და იფარგლებდა. ქირქილით კი მეცნიერული ხასიათის კამათი გამოირიცხულია. გარდა ამისა, გ. გოგიაშვილს ძალზე დამაჯერებლად ეჩვენებოდა (და ეჩვენება) იურისტ ალექსანდრე შუშანაშვილის შესაბამისი წიგნი, რომლიდანაც საბოლოოდ არსებითს ვერაფერს გაიგებ. დავძენ იმასაც, რომ არ მომეცა შესაძლებლობა „კრიტიკოსთან“ კამათისა „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე და ამას ვცდილობდი გაზეთ „ახალი 7 დღის“ მეშვეობით.

შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ნაწილობრივ ჩემი „მავნე“, „ზედაპირული“ შეხედულების მსგავსად ფიქრობდნენ ისტორიკოსები შოთა ბადრიძე და გივი ჟორდანიას, ფიქრობენ ნოდარ გრიგალაშვილი (იხ. „თანამდევნი სული“, ნაწილი II, 2001) და მკვლევარ-ისტორიკოსი თენგიზ სიმაშვილი (წიგნი „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები — ილიას მკვლელები, 2011), იხ. აგრეთვე სულ ახლახან გამოქვეყნებული, ისტორიკოს დიმიტრი შვედიძის ვრცელი საგაზეთო სტატია „რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე“ („უიქენდი“, 18-24, 25-31 ოქტომბერი), რომლებშიც მხილებულია ქართველი ესდეკების, განსაკუთრებით, ბოლშევიკების საძრახისი როლი დიდ ქართველის მკვლელობის მომზადებასა და აღსრულებაში. ალბათ, თავის „ბასრი კალმის“ ძალას გ. გოგიაშვილი ამათ მიმართაც გამოაჩენს.

რაკი გ. გოგიაშვილმა ჩემი პორტრეტი, ცხადია, მრუდედ დანახული, დახატა, არც მე დავრჩები ვალში.

უპირველეს ყოვლისა, იგი გახლდათ ტიპური საბჭოელი ჟურნალისტი, შესაბამისი მსოფლმხედველობისა. აქედან გამომდინარე, საბჭოური სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულება (მიმართება) და ა.შ. არაფერს ნიშნავდა. ისტორიას რომ არ ენება და კვლავაც საბჭოურ წესწყობილებას ეარსება, იგი კვლავაც „დეპოში“ იქნებოდა. საბედნიეროდ, ბევრი რამ შეიცვალა. ეს ყველაფერი, ყოველ შემთხვევაში, ქვეცნობიერ დონეზე, გ. გოგიაშვილს აგრესიულად განაწყობს. ნაპოლეონის ცნობილი გამოხატვამისა (რუსებზე) არ იყო, მისი თავი რომ გადაფხვიკოთ, მყისვე homo sovieticus-ს აღმოაჩენთ. ვფიქრობ, ესეც განაპირობებს მისეულ სათანადო მიმართებას ჩემადმი, რომელმაც ცხოვრებაში სულ სხვაგვარი დიდი არჩევანი გავაკეთე და მას მივდიე.

მეტსაც გეტყვით, საბჭოური წესწყობილებისათვის გ. გოგიაშვილმა გაცოლებით მეტი „რამ სამსახური გასწია“, ვიდრე ეს ჩვეულებრივი, რიგითი ჟურნალისტიცაგან იყო მოსალოდნელი. იგი გახლდათ მთავარი რედაქტორი ოფიციალური იდეოლოგიის ერთ-ერთი რუპორის — ჟურნალ „პარტიული სიტყვისა“, რომლის ტირაჟი ასი ათასამდე აღწევდა (გამოდობდა რუსულ ენაზეც). გ. გოგიაშვილის ბიოგრაფიის მარინა გოგოლაძე-გაბუნია (იხ. კრებული „მწერალთა ბიოგრაფიები, 2001) მიხედვით, თითქოს იგი „პარტიულ სიტყვას (საზრისს“) (?) რედაქტორობდა 1980-1981 წლებში (იგივეა გამეორებული წიგნის მეორე, 2005 წლის გამოცემაში). მაგრამ დაე გ. გოგიაშვილს ნუ დავუკარგავთ „დამსახურებას“, იგი ამ ორგანოს რედაქტორობას სწევდა მის „გარდაცვალებამდე“ (1989 წელს). ასე იყო შემდგომშიც, როცა რედაქტორი იყო მის (ორგანოს) მემკვიდრე ჟურნალ „საზრისისა“ 1990-1991 წლებში

(აქედანაც ჩანს, რომ წინამავალი ორგანო „უსაზრისობა“ ყოფილა), ვიდრე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, სავსებით საფუძვლიანად, ე.წ. საქართველოს კომუნისტურ პარტიას აკრძალავდა.

ისე, ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს „ძვირფას“ სეხნიას ვულოცავ საყვარელი ჟურნალის დაარსების „სახელოვან“ იუბილეს — 70 წლისთავს. მის ფურცლებზე ხომ იგი ასეთ სიტყვებს აფრქვევდა: „1982 წელს საბჭოთა საქართველომ იზეიმა დიდი ეროვნული და ინტერნაციონალური დღესასწაული — რუსეთისა და საქართველოს დიდი მანიფესტი — გეორგიევსკის ტრაქტატი“. ჟურნალი დიდი სიამაყის გრძნობით აქვეყნებდა საბჭოთა გენერალ ივან ბაგრატიონის მოგონებას: „ჩემთვის სამახსოვრო და ძვირფასია ისიც, რომ პირადად ვმონაწილეობდი ბრძოლებში ქართველი ხალხის მხარეზე მისი საძულველი მტრების წინააღმდეგ“. რასაკვირველია, იგულისხმება დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა...

მაგრამ ერთი რამ მინდა დავაზუსტო. პარალელური ორგანოს, ჟურნალ „კომუნისტის“ რედაქტორი გახლდათ ფილოსოფოსი, პროფესორი ვაჟა კეშელავა — ბევრ მხრივ ნორმალური, კეთილმოსურნე (არა ბოლშევიკი!) პიროვნება, რომელსაც განსხვავებულ აზრს გააგებინებდი. ამდენად, საქმე ოდენ კომუნისტური ჟურნალის რედაქტორობაში კი არა, არამედ პიროვნებაშიც, კერძოდ, მის ინტელექტსა და ზნეობრიობაში მდგომარეობს.

გ. გოგიაშვილი შემდგომ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორად, შემდეგ კი ერთ-ერთ მესვეურადაც მოგვევლინა. რალაქნაირად აიკვირება, რომ ვითარცა ჟურნალისტს ხელეწიფება მეცნიერების საკითხებში გარკვევა. საერთოდაც ვერ ვიტყვით, რომ ჟურნალისტის სფეროში გ. გოგიაშვილი წარმატებული იყოს. ამის დადასტურება ისიც, რომ მას დღემდე ერთი ჟურნალისტური კრებულიც კი არ აქვს დასტამბული.

ხსენებულ ბიოგრაფიულ კრებულში გ. გოგიაშვილი მწერალთა შორისაც (სხვათა შორის, იაკობ გოგებაშვილის გვერდით, რაკი ანბანის რიგი ასეა) მოიხსენიება. თურმე მას ფასეული საბავშვო თხზულებანიც დაუწერია. მაინც საინტერესოა, რა კრიტიკიუმიტი ამოყო თავი ამ კრებულში?

ცნობილია, რომ გ. გოგიაშვილი ეწევა მთარგმნელობით საქმიანობასაც, ანუ მისეული ენობრივი ნოვაციით რომ ვთქვათ — გადმოიწერა-გადაიწერა. ასე რომ, არის ქართულად გადმოიწერებული. მისეულ თარგმანებზე ვირეშმაკულად აწერია: „გადმოაწერა ქართულად“. ბრიყვთათვის თვალის ასახვევად, გასაბიბუღებლად ისე აჩვენებს თავს, თითქოს ორიგინალიდან (ლათინურიდან, იტალიურიდან, ფრანგულიდან, ესპანურიდან, სერბულ-ხორვატიულიდან, პორტუგალიურიდან) აქვს ნათარგმნი. სინამდვილეში მას ამ ენებისა, როგორც იტყვიან, იწიბინი არ გაეგება. უდავოა, რომ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციას მდიდარი ისტორია გააჩნია, მამ რა გაგვიჭირდა ისეთი, რომ სხვა ენებზე შექმნილი ნაწარმოებები რუსული ენის მეოხებით „გადმოვაწეროთ“ და ესენი ფასეულ თარგმანებად წარმოვადგინოთ?

თითქოს მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ნაკლოვანება ნაზღაურდება იმით, რომ გ. გოგიაშვილი კარგი მოქართულე გახლავთ. ამ თვალსაზრისით თავს ვერ გამოვიდებ, რამეთუ ეს საკითხი სპეციალურად არ დამიმუშავებია, ამიტომაც ვერ დავემსგავსებ ჩემს „მძვინვარე ოპონენტს“ და მისებურად ხელაღებით, ჰაიპარად ვერ ვიმსჯელებ, მაგრამ რუსული გამოთქმისა არ იყოს, „ენდე, მაგრამ შეამონმე“. „გადმოიწერა“-„გადაიწერა“ და მისთანებზე უკვე მოგახსენებდით. არა მგონია, საფუძვლიანი და პერსპექტიული იყოს ხმარება სიტყვისა „მიემშვიდობა“ (მიესალმას ნაცვლად), ანდა „სოფელი-ქვეყანა“ (მსოფლიოს, უფრო სწორად, სამყაროს მნიშვნელობით) ვთქვათ, ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით „უმცროსის“ მაგიერ „უმრწამის“ ხმარება. ყურს დიდად ეხამუშება სციპიონ უფროსის — გ. გოგიაშვილის მიხედვით, ალბათ,

„უზუცესის“ — მიმართ „ჰანიბალის ნამქცევის“ თქმა და დაწერა. ჩვეულებრივი ქართული ენის მიხედვით აქ ხომ ჭიდაობა იგულისხმება? არა გეგონია, სეხნა//სეხნიას ნაცვლად „სახელმოდგამი“ დამკვიდრდეს. არც „ატიკური გლეხობა“ არის სწორი და ა.შ.

მკითხველებს ვპირდები, რომ სხვა დროს სპეციალურად გავირჯები იმისთვის, თუ როგორი წიგნი შესძინა გ. გოგიაშვილმა ჩვენს საზოგადოებას გამოჩენილ ნიდერლანდელ მოაზროვნე ერანზ მროტიერდამელზე.

როგორც ნაფიცი საბჭოელი ჟურნალისტი, ამჯერად ყვითელი პრესის სტილში, უამრავჯერ ცრუპენტელობს. თითქოს 1968 წელს, მოსკოვში საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, როდესაც მართლაც გიორგი მელიქიშვილის დახმარებით მე ისტორიის ინსტიტუტში დავინყე მუშაობა, თითქოს „ყველასგან შერისხული ვიყავი“. სხვათა შორის, 1970 წელს, როცა ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ გამიცნო, შემომთავაზა ფილოსოფიის ინსტიტუტში გადასვლა. გამოჩნდა პერსპექტივაც უნივერსიტეტში შტატიში მუშაობისა, მაგრამ მტკიცედ მსამდა, რომ ისტორიის ინსტიტუტში უფრო ვიყავი საჭირო. ბლფეია, თითქოს გიორგი მელიქიშვილმა სადოქტორო დისერტაცია დამაცვევინა და გვერდში ამომიყენა. სინამდვილეში მან ჯერ კიდევ 1971 წელს ორჯერ „მირჩია“, უნივერსიტეტში გადასულიყავი. რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვი იმასაც, რომ ისტორიის ინსტიტუტში 33 წლის განმავლობაში მუშაობისას ამ ორგანიზაციის ეგიდით ერთი წიგნიც ვერ გამოვეცი. მაგრამ, საბედნიეროდ, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მეხმარებოდნენ წიგნების დაბეჭდვაში.

თითქოს ერთხელ (!) პარლამენტშიც კი აღმოვჩნდი. მაგრამ ეს ამბავი მთლად შემთხვევით არ მოხდა. იმ წლებში საკმაოდ ვაქტიურობდი პუბლიცისტიკის სფეროში, ვიყავი არჩეული (შვიდასამდე ხმით) „საქართველოს სახალხო ფრონტის“ გამგეობის წევრად, ასევე გახლდით „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ დარბაზისა და გამგეობის წევრი, ვმონაწილეობდი პოლიტიკურ აქციებში... სიცრუეა, თითქოს „ცინიზმითა და ირონიული ტონით“ მოვიხსენიებდი ივანე ჯავახიშვილს, ჩემთვის ნამდვილად ერთ-ერთ სათაყვანებელ პიროვნებას. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს მისეული ყველა აზრის მიღებას, ვთქვათ, ქართველთა ეთნოგენეზისის, საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებში და ა.შ. ამდენად, ჩემეული დამოკიდებულება (მიმართება) არაა ისეთი, როგორც გ. გოგიაშვილისა ვლადიმერ ლენინისა და იოსებ სტალინისადმი.

აქ არაა ადგილი ჟურნალისტს, თუთიყუშოვით რომ იმეორებს მავანთ, მის მრჩეველთა მონაჩმასს, ავუსხნათ ჩემეული „პლაგიატის“ ამბავი. თურმე ჩემი მოხსენება, რომელმაც 15-20 წელი გასტანა, პირნმინდად მქონია გადაწერილი ხაშურელი მხარეთმცოდნის პანან კინტლა საგაზეთო სტატიიდან. ეს სჭირდებათ იმისათვის, რომ კერძოდ, თავიდან აიცილონ დავით მუსხელიშვილის მიერ ნიკო ბერძენიშვილის საისტორიო-გეოგრაფიული ნააზრევის ურცხვად მითვისების ფაქტი. სხვათა შორის, ამ ფსევდოკადემიკოსის მიმართ ჟურნალისტი დასძენს: „ფრიად პატივსაცემი ინსტიტუტის დირექტორის სავარძელში ასევე ფრიად პატივსაცემი აკადემიკოსი“. მაგრამ, ჩანს, გ. გოგიაშვილს ასაკის გამოსივლით დაემართა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ ე.ი. იმ გაზეტისა, რომლის ერთ-ერთი მესვეურთაგანი იგია, 2011 წლის 29 იანვრის ნომერში მე გამოვაქვეყნე საკმაოდ ვრცელი სტატია „გლახა ჭრიაშვილის სინდრომი. პასუხად ფსევდოკადემიკოს დავით მუსხელიშვილს“, რომელშიც, რომ იტყვიან, ჩამოვანიკნიკე უკანასკნელის სამეცნიერო ნაქურდალი. მშენიერად მახსოვს როგორ ქირქილებდა მაშინ დ. მუსხელიშვილის ამჟამინდელი მეხოტბე, ცხადია, არა ჩემი მისამართით.

თურმე საქართველოში მოღვაწე და დასაფლავებულ ურარტუოლოგოს პეტრე უშაკოვზე მე მთლად არასწორი წარმოდგენა მქონია, ჩემს ოპონენტს კი აქვს საფუძველი არა-

რაობად წარმოადგინოს იგი — საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების, ათზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი.


ისე, საინტერესოა თუ რას ნიშნავს ჩემი „ვაიკორანაშვილობა“ და რატომ ვაგებ ამით მისეულ ნაღდ გოგიაშვილობასთან შედარებით.

დასკვნის სახით მოგახსენებთ შემდეგს. გურამ გოგიაშვილის „განსწავლულობის“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენასთან, რასაც ალექსანდრ სოლჟენიცინი „ობრაზოვანშიჩინას“ ეძახდა. მისეული (გ. გოგიაშვილისეული) ბევრი ნაყოფი სწორედ ამ „ხით“ იცნობა. აღნიშნული გარემოების გარდა, მისი

ნიშან-თვისებები კონიუნქტურის აყოლა, უკიდურესი ცალმხრივობა და მოსმენის, დიალოგის უუნარობა, ილიასეული ერთი პერსონაჟისა არ იყოს ერთი და იგივეს მოსაბეზრებელი გამეორება. აქ აღძრულ რიგ საკითხებზე მისთვის რამდენჯერმე გამიცია პასუხი (წერილობით), თორემ, ვიმეორებ, ზეპირი მოსმენა-დიალოგი ხომ გამოირიცხულია! დიდად ვეჭვობ, რომ ჩემმა ამჟამინდელმა მცდელობამაც რაიმე დადებით შედეგი გამოიღოს. მაგრამ მისთვის წაყრუება არა და არ ეგების, რამეთუ ამ შემთხვევაში ქართულ „საზოგადო ქორთან“ — საბჭოური აზროვნების რეციდივთან ვაგებ საქმე.

რუსუდან ქუთათელაძე

# „ღვთისმშობლის ღიმილი“ სელს შეგვაშველებს



მერაბ კოსტავა

უნინ, საბჭოურ დროს (კიდევ კარგი, უკვე წარსულს ჩაბარებულს) პარასკევი დღე მიყვარდა. „ლიტერატურული საქართველოს“ ახალი ნომრის მოლოდინი გულს საამოდ მიჩქროლებდა. ლამის ერთადერთი გაზეთი იყო, ნაკითხვა რომ მოგიხდებოდა. მერე რარიგი ქართული ამოიკითხებოდა, სიტყვებიც ხომ ისეთი იყო, სხვა გაზეთებში დღისით სანთლით ვერ მოიძიებდი... ახლაც მიყვარს პარასკევი. „ჩვენ მწერლობას“ მოველი. ვიზუალურადაც მშვე-

ველდიურ მეტყველებაში კანტიკუნტად თუ გაკრთება. ისიც არა! აქ კი „მამულიშვილინო!“-ო. ვინლა მოგვინოდებს ასეთი მადლიანი სიტყვით. მეტიც. მავანთაგან ნათქვამი იქნებ ყალბადაც გაისმას. სხვა სიტყვებს აღარ გავიხსენებ. ლამის მთელი წერილის გადმოწერა დამჭირდებოდა. მაგრამ სიტყვა კონტექსტის გარეშე ვერც მოახდენს ასეთ გავლენას, რასაც ეს წერილი ჰბადებს. ტექსტი მოედინება ისევე ბობოქრად, როგორიც იყო თავად მერაბ კოსტავას ცხოვრება. აზრი დაწვრილი და რაც მთავარია — მართალია. კიდევ ამ წერილმა იმით გამახარა, იშვიათადლა თუ ახსენებენ ამ გმირს, „მუდმივ განსაცდელში რომ იწრთობოდა“, და ვისაც „მისმა უპირველესმა მეგობარმა და სულისმძიერმა ტყუპისცალმა, ზვიად გამსახურდიამ ძე ქარიშხლისა უწოდა“. მერაბ-გმირს აღარ იცნობენ და მისი პოეზია ვინლა იცის! არადა წერილში ციტირებული თითოეული პნკარი ჭეშმარიტი პოეზიით სუნთქავს, რაოდენ ფართო ერუდიცია სჭვივის, ისტორიის, ლიტერატურის რა ცოდნა მოსჩანს. ამას კი თან ერთვის ქრისტიანული მრწამსის წრფელი შეგრძნება, დოგმათა ცოდნა, რაც იმ, რელიგიის დევნის დროისათვის, ათეიზმის ზეობის ხანაში, სრულიად წარმოუდგენელი იყო.

ნიერს (იმდროინდელი შავ-თეთრისგან განსხვავებით), ხოლო შინაარსობრივად ასევე საინტერესოს, მეტადაც, უფრო ტევადსაც, მრავალმხრივსაც, ვრცელსაც... აი, ახლაც, ერთ-ერთი ბოლო ნომრის (2013, 24) ფურცელას რომ შევეუდექი, მაშინვე თვალში მეცა მერაბ კოსტავას ფოტო, დევგმირისა, არწივისებური გამოხედვით, სკულპტურულად ჩამოძერწილი პროფილით. გარეგნობაც რომ ჭეშმარიტად გმირისა ჰქონდა! მაკა ჯოხაძის წერილი „ღვთისმშობლის ღიმილი (მერაბ კოსტავას საგალობლები)“ სულმოუთქმელად წავიკითხე. არც მეყო! კიდევ და კიდევ მივუბრუნდი. ეს როგორი წერილია! დასაწყისშივე, სულ რამდენიმე სტრიქონითაა დახატული ჩვენი უახლესი ისტორიის ავბედითი წარსული: „ნამიერი აღმაფრენისა და დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად სამყაროს კიდევ ერთი პატარა, უძველესი კულტურისა და ტრადიციის მქონე ქრისტიანულ ქვეყანაში სამოქალაქო ომის სახელით გადატრიალება მზადდებოდა“. მომზადდა, ჩატარდა და ძალუმადაც ვინწინეთ ამ ომის მსახვრალი ხელი! იმდროინდელი ჭრილობა, ვფიქრობ, ჯერაც მოუშუშებელია.

ვისურვებდი ახალმა თაობამ ნაიკითხოს ეს წერილი და გაიცნოს სამშობლოს თავისუფლებას ზვარაკად შეწირული გმირი, მისი ცხოვრება, მისი უმშვენიერესი პოეზია, ამონარიდების სახით აგრერიც საოცრად რომაა მონოდებული ამ წერილში. ეგებ ცოტა ხნით მაინც მოსწყდნენ კომპიუტერის, ინტერნეტის ცივსა და უტყვე ეკრანს, ემოცია რომ არ გააჩნია, და ყური მიაპყრონ მაკა ჯოხაძის გულისცემით ნაკარნახევ სიტყვებს, ეგებ მაგალითი აიღონ.

ნეტამც ახდებოდეს მაკა ჯოხაძის ოცნება: „ამიერიდან ყოველ გაზაფხულზე, ვარდობისთვის, მაისობისას მთაწმინდისაკენ მიმავალ პატარებსა თუ შეყვარებულ გოგო-ბიჭებს ყელზე ნითეულბაფთაშებმული უცოდველი ბატკანივით წინ წაუძღვება მერაბის ლექსის სტრიქონები:

**კაქმანი გადამიგდე, დარდი განუკურნელი,  
დამიკვიდრე სულში ქრისტე და აღდგომის სურნელი,  
ნუში, მთები და ველები, შუქთა ფენა მთიების,  
თეთრი, თეთრი ყვავილები, თეთრი ეკლესიები.**

ამ ნატვრის აღსასრულებლად „ჩვენ მწერლობაში“ გამოქვეყნებული წერილი „ღვთისმშობლის ღიმილი“, მჯერა, ხელს შეაშველებს.

ნანა კუციანი

# მარადი მოდელი ყოფისა

(როზა დევდარიანის ლიტერატურული ზღაპარი „უფლისა“)

უკუეთე არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცაათასა. მათე 18, 3.

ბორის პასტერნაკი მხატვრული სიტყვის, ზოგადად, ხელოვნების „დანიშნულებას და საღმრთო ვალს“ ლაკონურად განმარტავდა: «Дописать Откровение» [„ექიმი ჟივავო“].

რუსი მწერლის მრწამსით, «Большое, истинное искусство то, которое называется Откровением Иоанна и то, которое его дописывает».

გურამ დომანაშვილის მოსაზრებითაც, „ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა. მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ბიბლიის მარადი სიბრძნეები და გაფრთხილებები მთელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიანოდოს მკითხველს“ [ინტერვიუ მწერალთან, „ცისკარი“ 3, 1999].

როზა დევდარიანის „უფლისა“ „ბიბლიის მარად სიბრძნეებს და გაფრთხილებებს“ ირეკლავს. წმინდა წერილისეულ რემინისცენციებსა და ალუზიებს იმარხავს ტექსტი.

ჟანრი ზღაპარია, იგავის სიღრმეებს რომ მოისთავს. მთავარი პერსონაჟის სახელი — უფლისა, მეტსახელი — ქრისტესია.

სახელი გულისხმობს სახეს.

ხუთნაწილიანი ზღაპარ-იგავი ყოფის ოდინდელ მოდელს აირეკლავს, ყოველი მოაზროვნის გზასავალს, სიცოცხლის საზრისზე რომ დააფიქროს მკითხველი.

ნაწილი პირველი „იდილია“, მინიერი სამოთხის ლიტერატურული რეფლექსია.

ედემის მკვიდრი, პატარა უფლისა-ქრისტესია „იების სურნელს აფრქვევს.“

ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ვკითხულობთ: „იის კონა და ლოცვანი — აქედან იწყება ადამიანი. ჩვენც იის სუნი გვაქვს, როცა ვიბადებით, ასეთივე სუსტი, გულში ჩამწვდომი, მაგრამ — ერთი-ორი დღით, სანამ სიარულს ვისწავლით და ტალახში ამოვიგანგლებით.

თუ გინდა, ტალახში გაძლო, ჯერ ია უნდა მოკლა, იის სუნი მოიშრო. ჩვენს ბედზე, ია ადვილად კვდება.“

სამკვიდრო კორდია, სამოთხის მისამართი, გალაკტიონის სტრიქონში მიყუჟული: „ისევე აყვავდა მდელო და კორდი, დავდივარ, ვწუხვარ და მენანება.“

სხვა პერსონაჟებიც სამოთხის მინიერ ანარეკლში — კორდზე მკვიდრობენ: დედა მზისავარი ოქრომკედით ქარგავს დილის ნამზე არეკლილი ციავის მიბნედილ ათინათებს ცვრით მოსირმული კორდისავ კალთებზე აკრეფილი ჰაეროვანი და გამჭვირვალე ზეზით.

გარდაცვლილი მამა ღვთისავარი ნამდვილ სამოთხეში მკვიდრობს, მაგრამ კორდზე მისი მყოფობა გამუდმებით იგრძნობა და იგულისხმება — ბრწყინავს თორ-აბჯარ-მუზარადი, წმიდა თავლის სანთლის იდუმალი შუქით გამთბარი.

„ალვზე გაკიდული, მზეზე ნანრთობი ზეზი ობობას ქსელის ძაფის სისხო ძლივს იქნებოდა, მაგრამ ხალიბის რკინაზე მტკიცე იყო ყოველი მკედი.“

ნესტანის რიდესავით, „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე — ნაჭედისა.“

ქრისტესია ყრმაა და, სხვა წანამძღვართა გარდა, ასაკიც განაპირობებს მის ბედნიერ ყოფას: „კორდზე დანავარდობდა, ხობის ლაპებს გულში იხუტებდა, ოფოფებს სავარცხლებს უკოცნიდა,

მოლაღურებს ქოჩრებს უვარცხნიდა, ნაკადულში მოლივლივე თევზებს ფერად-ფერად კენჭებს ესროდა, პანია მელიკოებს ბუთქუნა კუდებს უპრეხდა“...

შესაქმის წიგნშივეა ადამიანი სახელდებული ქმნილებათა, ყოველი სულიერის კეთილ პატრონად: „და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატებად ღმრთისა შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი და აკურთხნა იგინი ღმერთმან, მეტყუელმან: აღორძნდით და განმრავლდით და აღავსეთ ქუეყანა და უფუფლენით მას. ჰმსთავრობდით თევზთა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა და ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა ქუენარმაველთა“.

იოანე ოქროპირის განმარტებით, „არარაი არს ცხოველთა და ნერგთავანი, რომელ არა მოქმედებად რადმე სახმრისა რაისმე კაცთაისა დაუბადებეს დამბადებელსა... პირველ გარდასვლისა ყოველივე ესე სამთავრო და მონა იყო კაცისა, ვინაითგან მთავრად დაედგინა იგი ღმერთსა ყოვლისავე... ხოლო შემდგომად მცნებისა გარდასვლისა, რაჟამს ებადება კაცი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ და პირუტყვთა გულისთქმასა სამთავროდ მოუმზადა სიტყვიერი იგი გონებაი თვისი და უსმ იქმნა სამეფოსა მის მცნებისა, მიერთგან განადგა ღმრთივდადგინებულსა მას მთავრსა სამთავროდ მისსა მიცემული იგი ბუნებაი დაბადებულთაი“ [გარდამოცემა].

„მცნების გარდასვლამდის“ ნექტარიით მათრობელაა ბედნიერი ყოფა ყრმა ქრისტესისასიც და ამადაც გამეორდება „ნექტრის“ პარადიგმა რამდენიმეგ ზის:

„მზისაკენ ხელგანვილი ბიჭი გულდაგულ ისრუტავდა სიცოცხლის ნექტარს“;

„ბოლომდე სვამდა დედის სიყვარულის უნეტარეს ნექტარს.“

უზაკველი და უთვალთმაცქო ასაკი — სიყრმე — უფლისაგან დასაზღვრული მისამართია სამოთხისა.

„დამქნარ-გაყვითლებული შავარნო მწვანედ აღაღანდებოდა, მოთელილი ბალახი წელში გასწორდებოდა, გულწასული ჭიამაია სოსანის წვერზე მოექცეოდა“ ქრისტესისა მოალერსებისას — სინერგია სამოთხის მადლი.

ტატოს სიყრმისეულ ოცნებაშიც ხმელის განედლები, შავარნოს „განცოცხლების“ ნატურა ჩაღვრილა, სატრფოს მიმართავს: „მინდა, შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი, რომ განაცოცხლო შავარნო, მდელო, სიცხითა დამჭნარი“ („არ უკიჟინო, სატრფოო“).

ილიასეული ნაფიქრიც მოგვაგონდება კორდზე მოზეიმი ჰარმონიის წარმოდგენისას: „რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ“ („მე ზავრის წერილები“).

ქრისტესისა — ადამიანის, სამყაროს გვირგვინის, მეექვსე დღის ქმნილების მყოფობა ჰარმონიის მთავარი აკორდია, კორდის მელიოდიის მთავარი აკორდი.

ყრმა იმ უზენაესი პრინციპით ცხოვრობს, უფალი რომ ასწავლიდა კაცთა მოდგმას: „განიცადენით შროშანი ველისანი, ვითარ იგი აღორძნდის“ [მათე 6, 28]...

ბიბლიური პარადიგმებით დაყურსულა მთელი ტექსტი. პირველი ნაწილის IV თავის სათაური „ბინული, ცრემლი და ოქროს ემბაზია“, წყლის გრადაციებსაც რომ დაიმარხავს და იოანე დამასკელის „გარდამოცემისაკენაც“ მიგვახედებს: „კეთილ არს წყალი, ფრიალ სახმარ და განმბანელ ბინთა არა ხოლო ხორცთასა, არამედ სულისადაც, უკუეთუ ოდენ იქმნას მას ზედა გარდამოსლვაი სულისა წმიდისაი“ („გარდამოცემა“).

ქრისტესია მინიერი ედემის კეთილი პატრონია.

ყოველი სწული სულიერი დედასთან მიჰყავს ატირებულს, თანამლობელს.

დედა-მკურნალი „ჭრილობას ვაზის ცრემლით განბანდა და საღბუნად ვარდის ზეთში ამოვლებულ ოქრომკედს დაადებდა.“

„ვაზის ცრემლი“ „ვენახი ჭეშმარიტის“ მადლია.

„კაცთა შორის, ვით კერძოსა ღმრთაებობისა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი), იგივე მადლია, ამადაც დედა მზისავარი „ქრისტესიას ცრემლებს პეშვით იღებდა და ალვის ძირში დადგმულ ოქროს ემბაზში აგროვებდა.“

ლოცვა ყოვლისა სულიერისათვის ღვთაებრივი მადლით აშუქებს კორდის მკვიდრთა — ქრისტესიას დედიკოს და დიკოების (ბაიას, გვრიტიას, ნათიას, შუქიას, ცისიას, მზისიას — უფლის ანგელოზების) ნეტარ ყოფას.

სამოთხის რეფლექსიას დაიმარხავს სტრიქონები: „დედის თვალეში ხედავდა თავის თავს, ბედნიერებით გაცისკროვნებულს. სათნოება და სიყვარული, სასოება და სიხარული, სიმშვიდე და ნეტარება გამოკრთოდა ქრისტესიას ყოველი ნაკვეთიდან, ... კოცნიდა დედის კამკამა თვალეშ და ამ თვალეშში ჩასახლებულ ბიჭუნას.“

დედის თვალეში სამყაროდ, მაკროკოსმოსად აღიქმება, მიკროკოსმოსის ყოველ სულისძვრას რომ სარკესავით უზუსტესად ირეკლავს.

საცნაურია დეტალი — კორდის უგემრიელესი წყაროს წყალს ქრისტესია „სვამდა და უსასრულოდ სწყუროდა.“

ერთ დღესაც ყრმის ბედნიერ გონებაში ჩნდება კითხვა, ტრაგიკული და გარდაუვალი, სულის ზრდისათვის აუცილებელი — დედისადმი: „ოდესმე რომ ვერ გიპოვო, სად გეძებო?“

იგივე კითხვაა, გილგამეშს რომ გზას გაუყენებს — უთნაფიშთიმისაკენ.

პასუხი (როგორც ყოველი ქმედება დედისა) მანუგეშებელია, მშვიდი:

„წყაროსთან მიპოვი, სულ სხვა წყარო იქნება, ანკარა და გემონმინდა — ვეძა...“

გ უ ლ ი თ უნდა მოინდომო იმ წყაროს დაწაფება, უნდა წარმოთქვა ტკბილზე ტკბილი სიტყვები...“

საექსპოზიციო ნაწილში ართქმული ფინალში გაცხადდება — „ტკბილზე ტკბილი სიტყვები“ 41-ე ფსალმუნის საწყისი ტაეპია [„ვითარცა სურინ ირემსა...“].

დედის განმარტება, „თუ მისგან შესვამ, აღარასოდეს მოგწყურდებაო“, მაცხოვრისა და სამართელი დედაკაცის ოდინდელ დიალოგს აირეკლავს.

ქალის უბირ კითხვას: „ვინაი გაქუს შენ წყალი ცხოველი?“ უფალი იგავით უპასუხებს: „რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე; არამედ წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ“ (იოვანე, 4, 11...14).

«Вода живая, свежая, ключевая, представляется образом всеоживляющего благословения Божия... Как в обрядовых омовениях Ветхого Завета вода служила образом нравственного очищения евреев, так крещение в Новом Завете служит образом таинственного очищения от грехов, духовного возрождения в жизнь новую» (ბიბლიური ენციკლოპედია).

ქრისტესიას „დამტკბარი სასაც“ წმინდა წერილისეულის ანარეკლია: „ტკბილ არიან სიტყუანი შენნი სასასა ჩემსა, უფალო!“, რადგან „ტკბილ და მართალ“ არს უფალი (ფს. 85, 5).

„მხოლოდ ნიღბები იცვლებიან, წრე — მარადია“ (დავით წერეთელი, „ანტიგონე“).

ადამიანური ეჭვი ბუნებრივია: „და ეს სიტყვები რომ ვერ წარმოვთქვა?“

პასუხი კვლავ მშვიდია და მანუგეშებელი: „დიდი წყურვილი წარმოგათქმევინებს.“

„შუშანიკის ნამებაში“ კონსტატირებულია დამამშვიდებელი, მანუგეშებელი ცოდნა: „ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუშაადნის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყვის თვით უფალი: „მე მიუგო სიტყუაი თქუენ წილ“.

კორდის იდილიაში ეჭვი იჭრება. მიზიშნებად „უფლისას“ მეორე ნაწილის სათაურიც კმარა — „ყირამალა.“

ბოროტი არ იგონებს ღირებულებებს, ის ჭეშმარიტ ფასეულობათა მნიშვნელობებს ცვლის დიამეტრალურად: „სიტყვის დაცემით იწყება კაცობრიობის დაცემა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვა მიგნიდან გახდა სხვა, გახდა ტყუილი — სანინალმდეგო თავისი აზრისა და მნიშვნელობისა. ეშმაკს არ შეუქმნია ახალი, ბოროტი სიტყვები ისე, როგორც არ შეუქმნია და არც შეეძლო შეექმნა სხვა სამყარო... მისი ტყუილის მთელი ძალა იმაშია, რომ მან არსებული სიტყვებით შექმნა სიტყვები „სხვაზე“, მოახდინა მათი უზურპაცია და ბოროტების იარაღად აქცია. ამიტომ მისი მსახურნი ყოველთვის ნაქურდალ ენაზე ლაპარაკობენ, ანუ ენაზე, რომელიც ღმერთს მოჰპარეს. მთავარი სიტყვის შინაარსი კი არა, სიტყვის სინმინდია. ხსნა ღმერთისათვის სიტყვების დაბრუნებაშია“ (მამა ალექსანდრე მემენი) (მაკა ჯოხაძე, „სამოთხე უსიყვარულოდ“).

ყირამალა დგება ქრისტესიას სამყარო.

ეჭვს რეალური სახე აქვს — ხალისიანი სიო — ახალშობილი ეშმაკუნას კუდი.

მაგრამ მაინც თითქოს არაფერი მოასწავებს გარდაუვალ განსაცდელს: „ქრისტესია ოცნების ზღვაში დაცურავდა. თვალეშტკბილა და ხალისიანი, მოციმციმე და ალერსიანი, გამჭვირვალე და ამოხშიანი, სიფრიფანა და ღიმილიანი სიო დიდი ხნის ნანატრი ზღაპრული რაშივით მდებლოდან მდებლოზე დაქროლებდა ბიჭს.“

ციცუნისათვის მოპარული ხუთიოდე თხილია სამანი, კორდის იდილიას რომ განარიდებს და ჯოჯოხეთის კონტურს პირველად მოუხაზავს მანამდის ბედნიერ ბიჭუნას.

დამაფიქრებელია ჰარმონიამ დისონანსად შეჭრილი ნოტი — „კორდიდან სირმების უნესრიგო წკრიალი.“

წესრიგს, კოსმიურ საგალობელს ქაოსის დისჰარმონიული ბგერები ენაცვლება.

გამტკნარებული დედა, რომელსაც თმაში ერთი ღერი ჭაღარა გასჩენია, თხილის დაბრუნებას უბრძანებს შვილს. საცნაური დეტალები ერთმანეთს მიჰყვება ტექსტში. დეტალთაგან პირველი: „ფულუროდან გამოძრომისა ქრისტესია ხმელ ფესვს გამოედო და სახე ოდნავ გაეკანრა.“

გაკანრული სახეც დაკარგული ჰარმონიის სიმბოლოა. ქრისტესისხლათი (!) უნამლებს შვილს გულმოკლული მშობელი.

მერე ჰარმონიის აღდგენის მცდელობაა — დარცხვენლიმა, განზრახვა დედას ჩურჩულით გაანდო.

მშობლის თანხმობამ იდილია აღადგინა.

„ბლის კუნწულები ბაჭიებს ჩამოჰკიდა გრძელ-გრძელ ყურებზე, მარწყვის ბლუჯეულები ციყვს ჩაუნნა ბუთქუნა კუდში“ ქრისტესიამ, დათუნია ხალისით ააკრეფინებს თხილს, ზებრიკოები, ვირიკოები, ჯორიკოები შეუერთდებიან, ლამის კენწერომდე დაფარავენ თხილით მაღალ ნაძვს.

ეს „ვირიკოები“ ხუან რამონ ხიმენისის „პლატერო და მე“-ს მზიურ სივრცეებს მოგვაგონებენ — აკი სამოთხის ანამცვრევი დიდი ესპანელის ნათელი წიგნიც.

სულში სინანულითა და მონანიებით აღდგენილი ჰარმონია მეყსეულად პოვებს გამოძახილს კორდზე, მიკროკოსმოსის სასიკეთო მეტამორფოზა მაკროკოსმოსში აირეკლება: „ველმინდორი მწვანედ გადალანდა, იაიები ცისფრად აკიფდნენ, ფურისულები წელში გასწორდნენ, ზამბახებმა თავი ასნიეს, შრომანებმა ტკბილად გაიღიმეს... ცა ციაგებდა, მზე მზეობდა, დარი დარობდა, ვარსკვლავები ჟიჟიკებდნენ, ნაკადული რაკრაკებდა, წყარო კისკისებდა... კორდს ბედნიერება დაუბრუნდა, ცა დედამინაზე ჩამოვიდა და ყველას ღიმილი ჩამოურიგა.“

გაპიროვნებათა სიჭარბე მაკროკოსმოსის სულიერებაზე მიზიშნებაა, ვაჟას მსოფლხედვის — „ვარსკვლავთ ჟიჟიკის“ ანარეკლი, ყველაფერში საღმრთო სულის, სულიწმინდის მადლის მყოფობის კონსტატირება.

შემოქმედისა და სამყაროს სინერგიულ თანხმიერებაზე მიზიშნებაა პასაჟი (მოვიხმობთ ვრცელ მონარიდს): „ადრე დილით წამოფრენილი ქრისტესია ამოხაველი მზის ცქერით ტკბე-

ბოდა. მზე მომთენთავად თბილი იყო და სა-  
ოცრად კეთილად ილიმებოდა. ყვავილები  
და ბალახები მზის საგალობელს მღეროდ-  
ნენ. ფრთახატულა პეპლები მნათობის ჯე-  
რაც მკრთალ სხივებს ელაცინებოდნენ, ცი-  
ცინათელები პანია ნათურების ჩაქრობას  
ემურებოდნენ, ჭიამაიები წითელ-წითელ კა-  
ბებზე ოქროსფერ წინკლებს იქარგავდნენ,  
სინდიოფალები სოროებიდან იჭვრიტებოდ-  
ნენ და გათენების მოლოდინში ყურებს ნე-  
ბა-ნება ათამაშებდნენ, კუდაპრეხილი ჩოჩ-  
რები მაღაყებს გადადიოდნენ...



ყველა ხარობდა და დღესასწაულობდა.

ჭიკჭიკი, გალობა, ჭრიჭინი, კრუალი, ლუ-  
ლუნი, კაკანი, წივნივი თუ ნანკანი ერთმანეთს  
ენაცვლებოდა და მზეც სწრაფად ღებავდა  
ვარდისფრად აღმოსავლეთს, თითქოს ამ წარ-  
მტაც ქმნილებებთან შეხვედრა ექარებო.

ალიონთან შეყრის ბედნიერი სამზადისის,  
ტკბილი ფუსფუსის აღწერისას „უფლისას“  
იგივე დეტალი კონსტატირდება, რაც გრიგოლ ორბელიანის  
„სადღეგრძელოს“ ქრესტომათიულ სტრიქონებში: „ცისკარმან  
აღმოსავლეთი ვარდისა ფრად შეჰლება, ცას სიხარული მოჰ-  
ფინა და ქვეყანასა — შევენება! აენთენ ცეცხლის ალებრივ  
შორს გაბნეულნი ღრუბელნი, ცა შევნიერობს, ნათლდება, მა-  
სა შევჰნატირთ მხილველნი. იღევა ბინდი ღამისა, ცაში ვარს-  
კვლავნი ჰქრებიან, ათასის ხმითა ფრინველნი განთიადს მიე-  
გებიან! მოჰქრის დილისა ნიავიც, გულისა მაგრილებელი,  
ფშვინვა დაინყეს ყვავილთა და ბაღში — ფოთოლთ შრიალი.  
ოჰ, რა ღამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული! დაჩუმდით,  
ყური მიუგდეთ... არ გესმით?! ჰგალობს ბულბული...“

„ყოველი სული აქებდით უფალსა“ — გონებაში გახშიან-  
დება წმინდა წერილისეული.

წმინდა ბასილი დიდი უსურვეს ადამიანეთს: „დიდთა საქმე-  
თა შემოქმედმა ღმერთმა... მოგცეს თქვენ ყოველსა შინა გულის-  
ხმისიყვანა მისი ჭეშმარიტებისა, რათა ხილულთაგან უხილავი შე-  
იცნოთ და ქმნილებათა დიდებულებისა და სილაზაზისაგან ჩვენი  
დამბადებლის შესახებ შესაფერისი წარმოდგენა შეიძინოთ“.

კორდის მინიერ ედემში კვლავ გველივით შესრიალდება  
სიო, უკვე არა ფოფინა, არამედ — მტვერში ამოვლებული კუ-  
დით, მაგრამ ქრისტესიას შეუმჩნეველი რჩება ეს დეტალიც —  
ნიშანი-გაფრთხილება.

მაცდურის მეტამორფოზა ნიშნეულია: „ქოჩორი ისე ალერ-  
სიანად აუნენა, თითქოს მამა ღვთისაგარი წამოდგა საფლავი-  
დან და უნახავი შვილის ფერებით სულს იბრუნებსო.“

ქრისტესიამ წყურვილი იგრძნო.

სხვა წყურვილი, არა „ვითარცა სურინ ირემსა“, არამედ —  
„ამაო და ამო“ (შოთა ბოსტანაშვილი).

სიო მშობლიურ კორდს განაშორებს ქრისტესიას, რო-  
გორც უცხო მონათხრობი — მაღალსოფელს დომენიკოს.

პირველი შეგრძნება ნეტარებაა (რასაკვირველია, ფსევდო-  
ნეტარება, ქრისტესიას რომ ნამდვილი ჰგონია): „ასეთი ნეტა-  
რება არსად უგრძნია — არც დედის უბეში, არც ფოთოლთ ჩურ-  
ჩულში, არც წყაროს ლიევიში, არც სხივთა ციალში.“

სიოს ქმედებანი უზუსტესი ზმნებით აღიწერება: „იანცა,  
იეშმაკა, იოინბაზა, ისისინა, იმრიალა, იქირქილა, ინრიალა,  
იქშუტუნა, ირიალა, მიდგა-მოდგა, გაძვრა-გამოდვრა, ავარ-  
და-დავარდა...“

მორიგი „ნეტარებისას“, ქრისტესია პანია თავუნიას მარა-  
გიდან გამოაყოლებს ხელს რამდენიმე კაკალს.

სიოს ფრთებიდან ჩამოსრიალებული, უნებლიეთ თვალე-  
ბამოღამებულ დედას ნიკამში ჩაჰქრავს შეტყუებულ ფეხებს,  
სისხლმდინარეს ქრისტესისხლსა მაღამოდ დადებას მოუნა-  
დინებს, მაგრამ მშობელი „შეაბრკოლებს.“

„ერთბაშად გაჩნდა დედის თმის მთელ  
სიგრძეზე ჭალარა ზოლი და ამ ზოლის ძირ-  
ში ღრმად ჩატეხილი მკვეთრი ნაოჭი ამო-  
იტიფრა.“

„შეშფოთების და გაოგნების“ ჟამი დგე-  
ბა, გაუცნობიერებელი სინანულისაც.

„ცრემლის მხურვალეობას გრძნობდა...  
თეთრი მტრედები მოდიოდნენ ლულუნით  
[სულიწმინდის პარადიგმა], ცრემლებს ოქ-  
როს ემბაზში აგროვებდნენ, ქრისტესიას  
მტირალა ტირიფების ძირში აწვედნენ და  
მშვიდი ლულუნით სიზმრების სამეფოსაკენ  
მიაქროლებდნენ...“

სიზმარეთში ქრისტესია დედმშობილა  
დადგაფუნობდა თვალშეუდგამი მთების  
მწვერვალებიდან დაქანებული ჩქერალების  
ქაფქაფა ნაკადულებში... ზეციური ზარივით  
იღუმალ ნიჟარას ყურმიპყრობილი ანგე-  
ლოზთა გუნდის ამო გალობით ტკებოდა.“

გამჭვირვალეა შესაქმისეულ სიშიშვე-  
ზე მინიშნება — სამოთხეში შიშველი ადამი სამოსელი პირვე-  
ლით შემოსილიყო.

სიტყვით შემოსილიყო ქრისტესიაც სიზმრის (ვაგლახ,  
მხოლოდ სიზმრის) ედემში.

არადა, უფლისმიერი ბრძანება-გაფრთხილებით, გა-  
მოცხადებაში კონსტატირებულით, „აჰა ესერა, მოვალ, ვი-  
თარცა მპარავი. ნეტარ არს, რომელმან იღვიძოს და დაიმარ-  
ხოს სამოსელი თვისი, რათა არა შიშულად ვიდოდეს“ (გა-  
მოცხადება 16, 15).

ქრისტესიას სიშიშველ აღნიშნულ პასაჟში სოფლისეულია  
და არა სამოთხისმიერი.

ანგელოზთა („ციურ დასთა“) გალობა ტატოს ლირიკულ  
ორანს უდაბნოში მდგარ ტაძარში ჩაესმის, ქრისტესიას —  
სიზმარეთში, ძილისშორისის იღუმალ სივრცეებში.

სინანული მონანიების წანამძღვარია.

ანგელოზთა რაგონებით, დედის თანხმობით, კორდის ყველა  
ბინადრის შემწეობით ქრისტესია თავუნიას მთელი სათაგვეთის  
საკმარ კაკალს მიუზიდავს და კვლავ ჰარმონიული მელოდია და-  
იღვრება ტექსტში (სამყაროშიც. ყოველი ტექსტი ხომ სამყა-  
როა!): ყოველი სული თავისებურად აქებს უფალს, კვლავ გაის-  
მის „ჭახჭახი და ლულუნი, კუჭკუჭი და ყივილი, ჭუკჭუკი და კაკა-  
ნი, კიკვივი და ტკარცალი, ჭიკჭიკი და ჭივჭივი, ჟივილი და ჟი-  
ვივი, ჭრიჭინი და ჭროკინი, რაკრაკი და ბოჟირი, დელა-ოდელა  
და რაშა-ორერა, ოდელა-დელა და დელია-რანუნი, ორერო-რე-  
რო და რერო-რანუნი. [„უფლისას“ სინონიმთა, საერთოდ, ენის  
მხატვრული სივრცე თავის მკვლევარს ელის — ნ.კ.]. სანამ იმ-  
დერეს და იჟიჟივ-იგალობეს, სანამ თავზე არ დაათენდათ.“

ხმაბაძვითი ზმნები კრიალოსნად აიკრიფება და „კირიე-  
ლეისონის“ მელოდიად ჩამოიღვრება, ცისკრის მარადიულ,  
ოდინდელ ლოცვად, როგორც (გავიმეორებთ) გრიგოლ ორბე-  
ლიანის „სადღეგრძელოში“ ან „ქრისტესიასავე“ ზემოთ აღწე-  
რილ პასაჟში.

„კრიმანჭულის მოსმენის შემდეგ სტრავინსკის უთქვამს, ეს  
ჩანანერები ადრე რომ მომესმინა, ჩემს ბევრ რამეს სხვანაირ  
ელფებს მივცემდიო. წარმოვიდგინოთ, რა დაემართებოდა  
„ღვთაებრივი გაზაფხულის“ ავტორს, აკეთელი აღმასხან ხუხუ-  
ნაიშვილის 1913 წელს ჩანერილი ფანტასტიური კრიმანჭული  
რომ მოესმინა — არამქვეყნიურად გაგრძელებული კირკიცი თუ  
ტკარცალი, ნამდვილი „დუნდე“, ექსტაზის უმადლესი გამოვ-  
ლინება“, — წერს ეშვარ კვიტაიშვილი („ყველა სიკეთის ღირსი  
(მაკა გოგუაძის რომანი)“, „ჩვენი მწერლობა“, №10, 2008).

ზღაპარ-იგავის მესამე ეპიზოდი [„ბუნების ხიდზე“] რომან-  
ტიზმის პერსონაჟთა — ჩაილდ-ჰაროლდის თუ მანფრედის,  
„მერანის“ ლირიკული გმირის სულიერი, ინიციაციური გზის



ანარეკლია — გაოგნებიდან (ეპიზოდის პირველ პასაჟს ასეც ასათაურებს ავტორი — მოლოდინისა და ნატურის აცხადების გზით — განავარდებამდის).

პასაჟთა საათურები უზუსტესად ირეკლავს ინიციაციურ რკალებს.

დედისა და დაიკო-ანგელოზების ხმით ამეტყველებული ნიავე კვლავ ცდილობს უზაკველი ყრმის ცდუნებას.

ბოროტის ბუნება უზუსტესად იხსნება საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ქრესტომათიულ იგავში. მორიელი განუმარტავს კუს, „ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს — ყველაყას უნდა ვუკბინოთ“.

სხვა ქრესტომათიული თხზულების ტრაგიკული კითხვაც მოგვაგონდება: „ვისი ხმა არის ეს საკვირველი? რად აქვს გულს ესე ჩუმი ნალველი?!“

თუ ბარათაშვილთან შეშოთება „ჩემ ნალველად“ დაინურება, რაფინირდება, გოეთეს გრეთჰენი კატეგორიულია — ფაუსტს გაენდობა, მეფისტოფელის სიახლოვეს მცია, განვერიდოთო.

მაცდური სიოს ვიზუალური ხატიც საინტერესოა ტექსტში — „[ქრისტესიას] წინ კობტად თმადავარცხნილი, ფერად-ბაფთებიანი, წამნამებაპრეხილი ნიავე იდგა.“

ოდნავ ქვემოთ ტექსტში მაცდური უკვე მამრადა ტრანსფორმირებული (კონსტატირდება „პანია უღვაშები“), ხაზგასმულია ბოროტის უარსო ბუნება, ძველ აღთქმაშივე მინიშნებული: ეშმაკი შევიდა (!) გველში, ახალ აღთქმაში — კოლტში... საცნაურია მარადი ტრანსფორმაცია, ფორმის მარადი ძიება უკეთური სულისგან.

საგულისხმოა „გარდამოცემისეული“ განმარტება: „ეშმაკიცა ნათლად დაიბადა და კეთილად შეიქმნა დამბადებელისაგან, რამეთუ „იხილა ღმერთმან ყოველი, რაოდენი ქმნა და აჰა, კეთილ ფრიად“, ხოლო იგი თვითმფლობელითა ნებითა ბოროტ იქმნა, ... ნებსით მიდრეკეს კეთილისაგან ბოროტისა მიმართ“ („გარდამოცემა“).

მაცდურის მიერ მსხვერპლის ცდუნების პროცესის გრადაციები ოსტატურად ირეკლება ტექსტში: ხაზი გაესმის ქრისტესიას ბუნების თანდათანობით ცვლილებას: ლილილოების, გვირილების, შროშნების — „ჩვეულ ბედნიერებათა“ ვერშემჩნევა, საკრალურის, ძვირფასის გაარაფრება, მზერის მიპყრობა (ყურადღება მივაქციოთ მანძილის გრადაციას) „სივრცის“, „შორეთის“, „დასალიერისაკენ“ [„დასალიერი“ აქ პირდაპირი მნიშვნელობისაგან განსხვავებულ ნეგატიურ დატვირთვისაც იძენს].

„უხმო გარინდებაცა და ჩუმი მოლოდინიც“ შინაგანი განგაშის ანარეკლია, ასე განსხვავებული კორდზე ყოფნისა განცდილი ბედნიერი ზეიმურობისა, დღესასწაულისა.

„მოუთმენლობა“, „ნდობა“, „განავარდების წყურვილიც“ ცდუნების ლექსიკონის კლასიკური არსენალიდანაა, „შინასკნელიდან დაძრული ველური კივილიც.“

ამაოდ ცდილობენ დაიკო-ანგელოზები ქრისტესიას გამოფხიზლებასა და გადარჩენას, „დანიშნულებასა და საღმრთო ვალს“ მოაგონებენ, აქამდის რომ ნეტარი მორჩილებით აღასრულებდა — „ციცინათელებს სანთლების ანთებაში ვუშველოთ“, „ბაიები უშენოდ თვალს არ ხუჭავენ“, „გვრიტები ბუდეს არ ეკარებიათ.“

ირღვევა წონასწორობა ქმნილებათა გვირგვინის — ადამიანის სულში და მეყსეულად ატორტმანდება მთელი მიკროდა მაკროკოსმოსი [გავისხენოთ ხოგაის მინდის მიცვალების ხალხური ლექსისეული რეფლექსია. ცდუნება მიცვალების ინვანანტია, სულიერი კვდომის სახე].

დაიწყებება, ტრანსფორმირდება გარემოც — შემოქმედის მწყალობელი ნებით „მალნართა“ აღმომცენებელი მინა „ეკალთა და კუროსთავთა“ აღმოუცენებს უფლის მცნებათა დამარღვეველს, გაკადნიერებულს (შესაქმე 3, 18).

კეთილ ძალთა მცდელობა ჟამიერ ნაყოფს გამოიღებს; „ქრისტესია, რომელიც დასალიერისაკენ (კვლავ დასალიერის კონსტატირება — ნ. კ.) მიმავალ გზას კინალამ დადგა, კორდისაკენ შეაბრუნეს.“

„კორდი“ სამოთხის, სამშობლოს, ჰარმონიის ენიგმად რჩება. ნაუცბადევი, უგულისყურო ლოცვაც საცნაურია და მაცდურის მწველი მოლოდინიც.

„თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?!“ — სულ სხვა კონტექსტში გაიფიქრებს მსგავსი ილიას ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟი („განდეგილი“).

ქრისტესიას სულში იჭვის შხამია ჩანთხეული — „განავარდების სურვილი“ მაცდურია.

ულრმესი ფსიქოლოგიზმითაა აღბეჭდილი პასაჟები: „თურმე როგორ ენატრებოდა ნიავეთან შეხვედრა! თავს ვერ უმხელდა, თორემ მასზე იდუმალი ფიქრის გარეშე წუთითაც არ უცოცხლია, სულ იმ ნეტარი შეგრძნებით სულდგმულობდა, მასთან ერთად ქროლვისას რომ განიცდიდა.“

ტრაგიკულია, მაგრამ, იმავდროულად, ინიციაციურად გარდუვალია კითხვა: „სულ ამ პანია კორდს ხომ არ უნდა მივეჯავხო?!“

ისეთივე გარდუვალი, როგორც გილგამეშისგან მშობლიური ურუქის მიტოვება უკვდავების ბალახის მოსაპოვებლად, დომენიკოსგან ლამაზ-ქალაქისა და კამორას მოსახილავად მალალ-სოფელს ჟამიერი განრიდება, ოდისევის ოდისეა — ითაკას ტკბილ-მწარე კვამლის მოსანატრებლად (თუ მონატრებამდის)...

„პანია კორდი“ რომ სამოთხის ენიგმაა, კაცთაგან უკეთესნიც კი ათასი ტროას ომის შემდეგ თუ ხვდებიან, ლუკას სახარების უძღები შვილივით...

ტრაგიკულია (ტრაგიკულად გარდუვალია) ფიქრი: „ნიავე, ერთხელ გამანავარდე თვალმუდგამ სილაჟვარდემი და მერე, თუნდაც ვერ ვიხილო ეს მზისქვეშეთი, აღარ ვიდარდებ.“

ფიქრს ფიქრი შეეღვრება, შემაკრთობელი, გადამრჩენელი, მაგრამ კვლავ მაცდური იძალებს. „ვერც უკუნში შემონათებული, გამჭოლი, თვალმუდგამი მზერა“ — დედისა — იხსნის, ვერც პირჯვარი, დედამ რომ გადასახა [„თან არა ახლდა დედის ლოცვა ჩემს მგზავრობას უკანასკნელს“, — ვკითხულობთ დავით ნერედიანის „სვანურ მოტივში“.

„ნებაი თვითმფლობელი“ — არჩევანის თავისუფლება „თვალმუდგამ ლაჟვარდს“ აღარჩევიანებს — „ქრისტესიას სიხარულს სწორედ ეს [ნიავეს — ნ. კ.] ჩურჩული, ეს ჩამიჩუმი, ეს შრიალი და ეს შარიშური აკლდა.“

„ლაჟვარდი უკვე ღმერთისაა“ [ლია სტურუა] — ოლონდ — არა ამ კონტექსტში.

ეს ბაირონის კაენის, მანფრედის, გოეთეს ფაუსტის, ივან კარამაზოვის დიდ ინკვიზიტორთან დიალოგის სივრცეების „სილაჟვარდეა“ და — არა ტატოსეული „ცისა ფერი“, პოეტი რომ მიმართავს:

„გულისთქმა ჩემი შენს იქით ა ეძიებს სადგურს, რომ დაჰშთოს ა ქამაოება.“

არც გაბრძნულ ჯაბუშანურის მტანჯველი კითხვის მსგავსი: „ანდა იმ მიღმის მიღმა რაღაა?!“

სილაჟვარდე (საფირონისფერი) ხორხე ლუის ბორხესის „შვიდი სალამოს“ პირველ ეპიზოდშიც („ლვთაებრივი კომედია“) კონსტატირდება — ჯოჯოხეთიდან სალხინებელში გადასვლისას დანტე ალიქვამს „აღმოსავლური საფირონის უტკბეს ფერს“.

ფსევდო-სილაჟვარდემი განავარდების ოცნება ჯოჯოხეთის გარსთა მოხილვით დასრულდება [დანტეს ოდინდელი „მარშრუტიც“ ინიციაციის გზაა].

შიმი ქრისტესიას თავიდანვე — „განავარდებამდეც“ ჩასჭროდა გულში, „მეშვიდე ცაზე გაქროლების ნაცვლად, დედამინაზე არ დანარცხებულიყო.“

სიბნელის გრადაციები IV ნაწილის სათაურებშია არეკლილი [„უკუნეთში“, „ქარის ფრთებზე“, „წყვდიადში“, „ქარიშხლის ტყვეობაში“, „წკვარამში“, „ჯურღმულში“].

საცნაურია სიოს გრადაციებიც ნიავედან — ტარტაროზამდის [ნიავე — ნიავექარი — ქარი — ქარიშხალი — გრიგალი — ტარტაროზი].

მსხვერპლის დაურევების შემდეგ ბოროტი სული ნიღაბს იხსნის — ნამდვილი სახით წარმოუდგება ქრისტესიას.

უფლის გამოცდაც კი გაბედა, იკადრა, არ ითაკილა სატანამ (მათე 4, 1-11), განა ადამიანს, თუნდ უფლის მოსახელეს, მსგავსსა და ხატს, დაერიდებოდა?!

განსაცდელი მიძიმა — ქვესკნელის ჯურღმულებში, გავარარებულ უფსკრულებში თუ ყინულოვან სივრცეებში სულიც იფლითება და სხეულიც.

დედის მოხმობისას ტექსტში ნუგეშად იღვრება უკუნეთის გამკვეთი სუსტი ნათელი, ძალასა და იმედს რომ აღუდგენს განწირულს *„ყოველთვის არის საშველი, ღორებშიც კი“* — *„სამოსელი პირველი“*.

„თონეში ცვარსაც კი ვინ მიაწოდებდა?!“ [მდრ. „სამოსელი პირველი“ — წუთისოფელი დორჩანაშვილთანაც თონე-ხრიოკად ცხადდება, დომენიკო კი „ცომია“].

კორდის ალერდის ჰარმონიაში უფლისმიერი, შესაქმისეული წყველა შემოიღვრება — ქრისტესიას სახე ესერება ბრონეულის, ქაცვის, ნარ-ეკლის, ზღმარტლის, მაყვლის, კუროს-თავის ეკლებზე.

„სიტყვები — ეკალი და კუროსთავი“ მუდამ განუყოფლადაა წარმოდგენილი წმინდა წერილში და აღნიშნავს უნაყოფო, უსარგებლო მცენარეს, რომელიც მიწაზე აღმოცენდა ცოდვითდაცემის შემდეგდროინდელი წყევლის შედეგად... მიტროპოლიტ ფილარეტის განმარტებით, მიწა მას აღმოაცენებს იქ, სადაც ადამიანი ყვავილს რგავს ან ხორბალს თესავს, რათა ცოდვა მარად კაცთა თვალთა წინაშე იყოს. იქ, სადაც წინათ სარონული ყვავილი ხარობდნენ, ახლა ეკალი და კუროსთავია“ (ბიბლიური ენციკლოპედია).

მიკროკოსმოსის ნადგურისცემისას იწყევლება მაკროკოსმოსიც — კორდზე ქარიშხალი მოითარეშებს, გაცამტვერდება „თავთუხი, იფქლი, მახა, დიკა, დოლი, ლერწმის, ჭილის და ისლის მორაცრაცე ღეროები“...

„ქარისაგან რხეული ლერწამი“ სახარებაში, „აბო ნამებაში“ მოწყვლადობის პარადიგმაა. მოწყვლადია კეთილი პატრონის გარეშე დარჩენილი კორდიც.

ბელზებელს მიმსგავსებული ქარიშხალი დედის საუფლოშიც შეიჭრება, საქარგავ სირმებს ეძვრება, ალუფხავს ფერთა იდეალურ ჰარმონიად შეჯუფთებულ ოქროსფერსა და ლაჟვარდს, ფირუხსა და ნარინჯს, ზურმუხტსა და ლალს *„ქრისტესიას“* ავტორი აღნიშნულ პასაჟში *ქეშმარიტ მხატვრად გვევლინება — ფერთა პალიტრის, ნიუანსთა შეხამების ბრწყინვალე მცოდნედ*.

ჯოჯოხეთის ვიზონებში გაიკიაფებს დედის სახება — ოდესლაც ყორნისფრთისფერთმიან, ცისფერთვალა, ულამაზეს ქალს თმა თოვლივით გასთეთრებია, სახე ობობას ქსელივით წერილი ნაოჭებით დაღარვია, მაღალ შუბლზე ღრმად ჩასტეხია ნაოჭები, სახე გაფითრებიათ დაიკო-ანგელოზებს.

მორიალებს ჯოჯოხეთის მხედრონი — ბაყაყები, გომბეშოები, ხვლიკები, ჯოჯოები, მაჯლაჯუნები, ღრიანკლები.

„ვინ შეინყალებს გველით დაგესლილებს? (ისუ ზირაქი, 12, 13)... ცეცხლი და სეტყვა, შიმშილი და სიკვდილი — ყოველივე ეს შურისგებადაა შექმნილი, მხეცთა კბილები და მორიელნი, ქვენარმავალნი და მახვილნი შურს მიაგებენ ურჯულთა დასაღუპავად (ისუ ზირაქი, 39, 29-30), — ვკითხულობთ წმინდა წერილში. „თუ შეულოცველს უკბინა გველმა, შემლოცველი ვეღარ უშველის“ (ეკლესიასტე 10, 11).

ძველი აღთქმის „შელოცვას“ ახალი აღთქმის „დალოცვა“, „კურთხევა“ ჩაენაცვლება, დედისაგან დალოცვილი, პირჯვარგადასახულია ქრისტესია და ეს თუ იხსნის.

ჯოჯოხეთის მორიგ გარსში ყინულების სამეფოსაგან განსხვავებულ სიტყვებს იგზნებს — „გონების ამრევს, სისხლის გამყინავს, ხორცის გამათნავს...“

ყველა პასაჟს შესაბამისი ფერი და სურნელი აქვს ტექსტში, ყველა სიტყვასაც. სიტყვა აქ თვითმკმარი სამყაროა — არა ელემენტი, არამედ — ლოგოსი.

ლოგოსური სიტყვა უნიღბოა, ჭეშმარიტი. ამ სიტყვებით აღინერება ფსევდო-დიონისესეული ბოროტიც — სიკეთის, შუქის ნაკლები, ჩრდილოვანი, ბნელი სივრცე, სადაც ვერ სწვდება ღვთიური მადლი.

პლასტიური, შემზარავი, დაუენყარია იგავური პასაჟი:

„ჯურღმული შმორიანი იყო, გარშემო ყველაფერი ჯანღმი გახვეულიყო. ბლანტი სიბნელე შემზარავ ჟრჟოლას გამოსცემდა. ჯანღი ავისმომასწავებლად ღუმდა და, მდუმარებაში ჩაფლული, მსხვერპლთან შესახვედრად ემზადებოდა...“

მოცურავდნენ, მოსხმარტალებდნენ, მოსრიალებდნენ, მოიზღაზნებოდნენ, მოიგლარზნებოდნენ... გველები“ (მაღალანთკარის ეკლესიის ფრესკების ჯოჯოხეთი არეკლილა თითქოს „ქრისტესიას“ პასაჟებში).

ეს არაა ვაჟის გუნებანაცვალი, „ბუნებაგადაბრუნებული“ გველი — ტანის „გლარზენით“ *„ქრისტესიაში“* ვაჟსეული სახელზმნა განმეორდება რომ მიეახლება ლუზუმს — კურნებისათვის.

მცხრალი ნათელი აპობს ჯურღმულის ნკვარამს — დედის თვალთა გამონაშუქი.

ნაგვემი სული კორდს უბრუნდება.

კორდი მშვიდია, მომლოდინე, შუქით გალიცილიცებული. სრული სიჩუმე სუფევს, მყუდროებას არაფერი არღვევს.

წმინდა ნიკოლოზ სერბის განმარტებით, „ჩვენი განშორება ღმერთთან აძლიერებს ღვთის სიყვარულს ჩვენდამი. როდესაც ამას ვგრძნობთ, გახურებულ რკინასავით გვწვავს სირცხვილი და მივისწრაფით, უფრო სწრაფად დაგვბრუნდეთ მასთან, ვიდრე განვეშორეთ და უდიდესი სიყვარულით ვბრუნდებით.“

ადამიანთა სულების უმრავლესობის ისტორია — ეს არის ღვთისაგან დროებითი გაქცევისა და მასთან სწრაფი დაბრუნების მონაცვლეობა“ *წმ. ნიკოლოზ სერბი, განშორება, „საპატრიარქოს უწყებანი“ 7*.

ქრისტესიას თვალთაგან მოწანწკარე ცრემლები ალვის ძირში მდგარ ოქროს ემბაზში ცვივა, ცრემლით გალიპლიპებულ ემბაზში ჩაენარცხება თავადაც — ჯოჯოხეთისგარსებმოვლილიც.

„ცრემლი კარვად გადაეხურა, დაიარებულ სხეულზე შემოევლო“.

კარვად გადახურული ცრემლთნადენი წიგნიერ ქართველთათვის ქრესტომათიულ ხილვას ამოიყოლებს — ბაზალეთის ვიზიონს.

ემბაზი ხსნის პარადიგმა: „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე [რელიგიურ-მიოლოგიური ვადა სულის განსჯისათვის] წმინდა ცრემლი ქრისტესიას დაიარებულ სხეულს, ამღვრეულ გონებას, შემუსვრილ გულსა და შემწიკვლულ ბუნებას [მდრ. ბარათაშვილისეული „ბუნება“, ბოროტი სულისაგან გვემული: „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“ (სული ბოროტო)].“

სხეულიდან თანდათან იდევენბოდა ხაშმი და თოში, შხამი და გესლი, ... სულიც განახლდა...“

ვედრებათაგან უპირატესი და უწმინდესია: „სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“...

განახლებული სული — ესაა „სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული, [რომელიც] ღმერთთან არა შეურაცხვეს.“

ეკლესიასტეს მრწამსით, „გარემოვალს სული და სიმგვრგველსა თვისსა მიიქცევის“ (1, 6).

„მზისთვალება, ოქროსფერკულულებიან ქრისტესიას ნუშის რძისა და ვარდ-ზამზახის შუქი ასდიოდა“ — როგორც ტექსტის, სიცოცხლის დასაწყისში — სიყრმეში.

საბასეული ამიანტოსის დარად „გამოხურვებული“, გვამსა შინა წრფელსულგანახლებული, უფლის მსგავსებასა და ხატებას იბრუნებს ქრისტესია, სახელს, რომელიც ებოძა, მაგრამ უნდა მოხვეჭა — „ყოველსა მოსახვეჭელსა“ აღმატებული.

ინიციაცია გარდაუვლად გულისხმობს მსხვერპლს.

მსხვერპლი ზვარაკია, წმიდათანმიდა — ტექსტში ეს დედაა, მზისავარი:

„ტილოდან დედა იცქირებოდა, სანატრელი, სათაყვანებელი, საესავი. მშვიდი, წყნარი, ურისხველი სახე ჰქონდა... თავსაბურავიც ოქროსფერი ეხურა, მკერდთან ქრისტესია ჰყავდა მიკრული, თვალნათელი, კულულებიანი, უზაკველი... სწორედ ისეთი, როგორსაც ბიჭუნა ხედავდა მაშინ, როცა დედას თვალებში ჩაჰყურებდა და მისი უბინო გამოხედვის უნეტარეს გოლეულს სვამდა.“

თითქოს უნათლეს ხატს ვუმზერდეთ — ღვთისმშობელს ყრმით.  
«Богоматерь просят: «Молился прилежно Сыну и Богу твоему. Ей вкладывают в уста отрывки Псалма: «И возрадовался дух мой о Боге Спасе Моем». Это Она говорит о Своем Младенце. Он возвеличит Ее. Он — Ее слава. Так может сказать каждая женщина» (ბორის პას-ტერნაკი, „ექიმი ყივავო“).

დედას გარშემო ანგელოზები ეხვივნენ, „რა დიდი ცნობა უნდოდა — ბაია, გვრიტია, ნათია, შუქია, ცისია და მზისია იყვნენ, ყელზე ოდნავ შესამჩნევი ზოლი გადაჰკრავდათ“, ახლად შობილი, უზაკველი, თვალმკერიალა ქრისტესიასკენ მოიჩქაროდნენ, ოღონდ თითქოს კი არ მორბოდნენ, მოფრინავდნენ.

ესმოდა დედის, ანგელოზთა, მინდვრის, კორდის ძახილი, უკეთ — გალობა, მრავალგზის განმეორებული: „უფლისა ქრისტესია!“

ქათქათა მტრედი პანია ნისკარტით მამისეულ, „ნავარდისას“ დაკარგულ ჯვარს ხელისგულზე დაუდებს...  
„კაბადონზე ცისკრის ნათელმა გადაირბინა, დიდმა ნათელმა.“

დედისაგან ოდესღაც განდობილ, წმინდა სიტყვებს ჩურჩულებს მწყურვალი: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდაში, ღმერთო...“

„წყაროს მწყურვალი ირემივით ხარბად დაენაფა და მიხვდა, ამიერიდან აღარასოდეს მოსწყურდებოდა...  
„მაგრამ დედა?!“

ტრაგიკულია ფიქრი, ნიშნეულია ვიზიონი: „წყლის ჭავლში დედა დაინახა.“

„ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული“ — ავთანდილიც „უმზერდა ჭავლსა წყლისასა“, წუთისოფლის მდინარების ოდინდელ ენიგმას, რათა, „თავის გამთავისწინებელს“, შეეცნო ძველთუძველესი სიბრძნე: „ყველაფერი მდინარებს“, ყველაფერი — გარდა სულისა...  
მერე საკრალური ხილვებია, თითქოს ჰაგიოგრაფიიდან ნასესხები სასწაულის ვიზიონები.

პასაჟს სრულად ამოვწერთ: „წყაროს ზედაპირი ერთიანად შეთრთოლდა და დედის ღიმილმა ცას შეანათა. ღიმილის შუქმა ცარგვალი გაკვეთა, მთელი კაბადონი მოიცვა და ქრისტესიას თავს ზემოთ, ზემოთ, ზემოთ, ზემოთ, სულ ზემოთ ნათლის გვირგვინად გამოისახა.“



**შოო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმში** ამ დიდებული მწერლის დაბადების დღე აღინიშნა ლიტერატურულ-თეატრალური საღამოთი „ცოცხალი ჩირაღდანი“.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის განყოფილების გამგემ **დალი სოფაძემ**. შოო არაგვისპირელის შემოქმედებაზე ისაუბრა მწერალმა და მეცნიერმა **როსტომ ჩხეიძემ**. მსახიობებმა — **თამარ ყორღანიამ**, **ზურაბ იაშვილმა**, **რეზი ქარცივაძემ**, **ანი ანდლულაძემ**, **გიორგი ნინოიაშვილმა**, **ნათია ჩხარტიშვილმა**, **ნათია მელიქიშვილმა** და **ნანა კვარაცხელიამ** — ნაიკითხეს ცალკეული ფრაგმენტები მწერლის ნოველებიდან: „ჭეშმარიტად“, „სისულელეა!..“ „წერილის ნაგლეჯი“, „იყოჩე“, „მინაა!..“ „ადე, ჩამოვიდა!..“ „რა ზიზლით მიცქერის!“ „ვაი, ჩვენი ბრალი!“ „მშულხართ“, „მომილოცნია ახალი წელი“.

ეს მშვენიერი თეატრალური სანახაობა ერთობლივად მოამზადეს შოო არაგვისპირელის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა **ნინო გვაზავამ** და მეტყველებისა და მხატვრული კითხვის აკადემიური ხარისხის მაგისტრმა **თამარ ყორღანიამ**.  
საგულისხმოა, რომ ამ დადგმით საფუძველი ჩაეყარა ახალ ლიტერატურულ თეატრს.

გვირგვინის შუაგულში ქრისტესიამ დედა დაინახა, ნათელში გახვეული... აღერსიანი თვალებით დაჰყურებდა კორდს და წყაროსთან მდგომ ბიჭს ლოცავდა.

— დედა! დედა! მზისავარ! მზისა ვარ!  
თითქოს ამას ელოდაო, ნათელში მამის ხატება გამოიკვეთა. ხელში თვალისმომჭრელი ელვარებით გასხვიოსნებული გვირგვინი ეჭირა. დედას მიუახლოვდა, გვირგვინი თავზე დადგა და ქრისტესიას გადმოხედა.

— მამა! მამა! ღვთისავარ! ღვთისა ვარ!  
მამამ ტკბილად გაუღიმა, ჯვარი გადასახა და ნათელს შეერიო...

დედას ანგელოზები შემოეხვივნენ...  
— ბაია, გვრიტია, ნათია, შუქია, ცისია, მზისია! უფლისა ვარ, უფლისა!

გალობის ჰანგი კორდზე გადმოიღვარა. ციური ზარების რეკვასთან შერწყმული, იგი შვიდფერ ცისარტყელად გადაეკრა ცისკიდურს, ქრისტესია მეშვიდე ცაზე ატყორცნა და ნათლის შარავანდში გახვია.

ტექსტის უკანასკნელ პასაჟებში — ცარგვალის გამკვეთ შუქში თითქოს „აბოს ნამების“ ცეცხლის სვეტიც გაკრთება, ჰაგიოგრაფიის მსოფლხედვის ანარეკლიც: „სასწაულის სახისმეტყველება — თავისი განუმეორებელი სიმალლით“ [რევაზ სირაძე, *სიმბოლოები სვეტი-ცხოვლისა, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა*, II].

„წერილი „ცასა“ იტყვის და „ცასა ცათასა“ და „ცათა ცათასა“ [„გარდამოცემა“].

ქრისტესიას — უფალთან დაბრუნების მისტერიით განწმენდილს — სამკვიდროდ მეშვიდე ცა განესაზღვრება და, თუმცა „არსებასა ცისასა არა ჯერ არს ძიებაი, რამეთუ უცნაურ არს ჩუენგან“ [„გარდამოცემა“], მაინც გვეწყალობება ცოდნის ანარეკლი („არა პირსა პირისპირ, არამედ — სახითა და სარკითა“): „სიტყვა „ცა“ წმინდა წერილში სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით გამოიყენება. თვალთ ხილული ცა უფალზე მოგვითხრობს, განაცვიფრებს რა ჩვენს მზერას თავისი სილამაზით, სიდადიითა და ჰარმონიით.

„ცანი ცათანი“ არანივთიერი, უხილავი სამყაროა. აქ არის ღვთის ყველგანმყოფობის განსაკუთრებული ალაგი, მისი საბრძანისი...

ანგელოზთა დასნიც აქ მკვიდრობენ. აქ, სიმყუდროვეში, მყოფობენ სრულქმნილებას მინევენულ მართალთა სულები.

ამ ციდან დაეშვა უფალი მიწაზე, იქ ამაღლდა და იქიდანვე დაბრუნდება ცოცხალთა და მკვდართა განსაკითხავად“ (ბიბლიური ენციკლოპედია).

შესაქმისეული ცისარტყელაც იმისთვის გაილანდება ულამაზეს ტექსტში, კიდევ ერთხელ ესალბუნოს დარბეულ სულებს რწმენით ნასამირკვლელი ნუგეში: „დევნილ-ლათუ ვართ, არამედ არა დატყვევებულ ვართ.“

„პლატერო და მე“-ს ხიმენესისეულ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ბავშვები სადაც არიან, ყველგან ოქროს ხანაა“, — ამბობს ნოვალისი.

სწორედ ამ ხანისათვის, რომელიც ზეციდან ჩამოვარდნილი ღვთაებრივი კუნძულივითაა, ძველს პოეტის გული...

არასოდეს დამინერია და არც დაგწერ რაიმეს ბავშვებისათვის, რადგან მიმარინია, რომ პატარებს მშვენივრად შეუძლიათ ნაიკითხონ ნიგნები, რომელთაც დიდები კითხულობენ“ [ხუან რამონ ხიმენესი, „პლატერო და მე“].

„უფლისას“ — როზა დედარიანის მშვენიერ პარაბოლას, მარადი საუფლო იგავების ერთ მშვენიერ ანამცვრევს ნათელი სვედით ნაიკითხავენ დიდებიც, პატარებიც...

# თორმეტი მოციქულის სახელზე

(რიტა ბაინდურაშვილს  
ქსაუბრება  
ლია რუსიაშვილი)

წლების წინათ, როცა ჩემს შვილებს ღია რუსიაშვილის „სალი კოლხელი“ წაუკითხე (2007 წელს გამოიცა), მახსოვს, ისეთი მძაფრი შთაბეჭდილების ქვეშ მოექცენე და პერსონაჟების უჩვეულო თავგადასავალი ისე გაითავისეს, რომ ამბის გაგრძელებას სულმოუთქმელად ელოდნენ მერე...

მაშინ ისინიც სალის, ანის, ლევანის, ირაკლის, გვანცას, თაკოს და ნუკას ტოლები იყვნენ და გულწრფელად შეიყვარეს წიგნის გმირები.

ამბავი, საბედნიეროდ, მართლაც გაგრძელდა და დღეს მისი ავტორი მეხუთე ტომზე მუშაობს. ჩანაფიქრი კი თორმეტტომეულია — მაცხოვრის თორმეტი მოციქულის სახელზე...

ცოტა ხნის წინათ ღია რუსიაშვილი ილია ჭავჭავაძის პრემიით დაჯილდოვდა, რაც ყოველი ქართველი შემოქმედისთვის, დამეთანხმებით, დიდი და საამაყო აღიარებაა. ჩვენი საუბარიც მწერალთან ამ სასიამოვნო ფაქტით დაიწყო:

— ქალბატონო ღია, გილოცავთ, მართლაც განსაკუთრებული, საპატიო ჯილდოა, ელოდით ასეთ აღიარებას?

— ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ ყველაფერი ხომ ღვთის ნებით ხდება... ილია ჭავჭავაძის პრემია ყოველწლიურად გადაეცემა ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო მოღვაწეებს, თუმცა საბავშვო მწერლის ნომინაცია წელს პირველად დაემატა კონკურსს და მე მისი პირველი რჩეული გავხდი... ძალიან მახარებს და მავალებს ეს ჯილდო... და მიძლიერებს განცდას, რომ ჩემი ჩანაფიქრი ბოლომდე უნდა მივიყვანო.

— რა ჩანაფიქრი?

— როდესაც „სალი კოლხელის“ პირველი წიგნი გამოვიდა და მას პატარებისგანაც და უფროსებისგანაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მივხვდი, რომ ასეთი ლიტერატურა სჭირდებოდა მკითხველს, ბავშვებს — საინტერესოდ მოთხრობილი უჩვეულო თავგადასავლები, ხოლო მშობლებს — ღვთისა და ოჯახის, ადამიანების სიყვარულით გაჯერებული ლიტერატურა, რომელიც მათ შვილებს ყოველგვარი ძალდატანებითი დიდაქტიკის გარეშე ასწავლიდა და შეაყვარებდა ამ ყველაფერს. თორმეტტომეულის შექმნაც სწორედ მაშინ ჩავფიქრე თორმეტი მოციქულის სახელზე და მას შემდეგ ამ იდეით ვარ შეპყრობილი. ამის განხორციელება არ არის ადვილი, დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდება, ბევრი ფიქრი და ლოცვა... წმინდა ილია მართლის ხატთანაც არაერთხელ მილოცია „სალი კოლხელის“ გამო, მუშაობაში შენევნა, დახმარება მითხოვია და აი, მოხდა ისე, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძის პრემიით აღინიშნა წიგნი... ვფიქრობ, ეს ღვთის ნიშანია, რომ ჩემი ალტემა უნდა შევასრულო ღმერთისა და მკითხველის წინაშე და ამიტომაც უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ...

— როგორც ვიცის, ახლა მეხუთე ტომზე მუშაობთ, როდის გამოვა?

— პირველი ოთხი ტომი: „უცნობი დედოფლის საგანძური“, „ოქროს ვაშლის საიდუმლოება“, „მარადიული ებრაელი“ და „ყვარლის ლოდი“ 2012 წელს ერთ წიგნად გამოცემა გამოცემლობა „საუნჯემ“ და ახლა მეხუთე ტომზე ვმუშაობ. წინასწარ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საკმაოდ რთული

და წინააღმდეგობით სავსე სამუშაოა, მაგრამ გაზაფხულისთვის მინდა დავასრულო... თვითონ ყვარლიდან ვარ და მამისეულ სახლში, ყვარელში, განმარტოება მჭირდება ამისათვის... „სალი კოლხელის“ პირველი ტომიც იქ დაინერა...

— თუმცა თქვენ არანაკლებ მაღლიან მინაზე, მცხეთაში, სვეტიცხოვლის გვერდით ცხოვრობთ — დიდ, ღამაზ სახლში — ხომ ასეა?

— დიახ, ჩვენი სახლიდან სვეტიცხოველი მოჩანს, იქ ოჯახთან ერთად ვცხოვრობ — მეუღლე, შვიდი შვილი და შვილიშვილი — დიდი ოჯახი გვაქვს... თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს მუშაობაში ხელს მიშლის, პირიქით... ჩემი მეუღლე ზვიად ნოღია თვითონაც პუბლიცისტიკა, თეოლოგიურ — ეროვნულ თემატიკაზე წერს და მეც ყველანაირად მიწყობს ხელს, რომ ვწერო, მაგრამ ყვარლის მშობლიურ სახლში განმარტოება მაინც სხვაგვარად მშველის ხოლმე... მეხუთე წიგნის დასრულებასაც, ალბათ, ასე თუ შევძლებ...

— რადგან „სალი კოლხელზე“ ამჯერად მეტს ვერაფერს ვიტყვით, პოეზიაზე ვისაუბროთ... ლიტერატურულ კონკურსებზე თქვენი პოეტური კრებულები „ორეული“ არაერთხელ იყო წარდგენილი... ლექსებს კიდევ წერთ?

— არა, ეს „სალი კოლხელამდე“ იყო... თუმცა, როდესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ პრემია მომენიჭა, მეგონა, ლექსების გამო დავიმსახურე. მერე გაირკვა, რომ ჯილდო საბავშვო მწერლის ნომინაციაში მივიღე. „ორეული“ მართლაც არაერთ კონკურსზე იყო წარდგენილი, ერთ-ერთზე იგი ნომინანტთა შორისაც მოხვდა დათო მალრადის პოეზიასთან ერთად, თუმცა პოეზიაში ჯილდო არ მიმიღია...

— და ახლა რატომ აღარ წერთ?

— პროზასთან ერთად?! ეს ძალიან რთულია... პროზას იმხელა ენერჯია მიაქვს... პოეზია კი თავისთავად განსაკუთრებული რამაა... ერთად შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია... ლექსების წერა გათხოვების შემდეგ შეწყვეტილი, მერეც დიდხანს არაფერი მინერია... მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დავიწყე პროზა და მას შემდეგ ვარ შექადებული... თავიდან პატარ-პატარა მოთხრობებს ვწერდი ბავშვებისთვის. როდესაც ეს მოთხრობები ბატონმა ოთარ ჩხეიძემ წაიკითხა, დამიძახა და მითხრა: შენ საბავშვო პროზა უნდა წერო... ეს ჩემთვის იმხელა სტიმული იყო, ასეთი დიდი ქართველი კლასიკოსისგან... დავიწყე ფიქრი, მომიწია უფრო დიდი, მნიშვნელოვანი რამ შეემქმნა, მაგრამ არ ვიცოდი, რით დამეწყო. ერთხელაც ამგვარ ფიქრში ვიყავი, რომ ჩვენი ეზოს ჭიშკარი ვილაც გლახამ შემოალო... ისეთი საინტერესო ტიპაჟი იყო, მართლა ნანარმოების პერსონაჟს ჰგავდა... სწორედ ის გლახა გახდა შემდეგ „სალი კოლხელის“ მთავარი გმირის პროტოტიპი... და კიდევ ჩემი შვილები... მათი ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული ფაქტები... აი, ასე დაიწყო „სალი კოლხელი“ და ახლა ღმერთმა ეს შემადგებინოს ნეტა...

— შეგაძლებინებთ... თქვენ ხომ ის თორმეტი მოციქულის სახელზე ჩაიფიქრეთ... გარდა ამისა, მკითხველიც ელის: პატარები — საინტერესო და უჩვეულო თავგადასავალს, დიდები კი — ღვთისა და ადამიანების სიყვარულით გამთბარ წიგნს... ასე, რომ წარმატებას გისურვებთ!



თამარ ყალიჩავა

# ესქტრავანტურა მოძღვრება

(თეიმურაზ უიარაღოს „მანიქეველობა და ქრისტიანობა“)

ადამიანის გამოცდილების ნებისმიერ გამოვლინებათა შორის ყველაზე განსაცვიფრებლად და ყურადღების ღირსად ტომას კარლიელს, ინგლისელ მწერალსა და ისტორიკოსს, წიგნი ესახებოდა, მისი თქმით: „წიგნებში ცოცხლობს გარდასულ დროთა ფიქრები; გასაგებად და მკაფიოდ გვესმის ადამიანთა ხმები, რომელთა ფერფლიც რახანია განქარდა, გაქრა“. საუკუნეთა შორეულ სიღრმეებში უჩვეულო მეგზურობას ამჯერად თეიმურაზ უიარაღოს მონოგრაფია „მანიქეველობა და ქრისტიანობა“ გაგვიჩვენებს, სადაც გარდასულ საუკუნეთა უჩვეულო სამყარო იშლება და მივიწყებული ისტორიული პერსონაჟები ცოცხლდებიან ჩვენს წინაშე..

ნაშრომი ქართულ სინამდვილეში არსებული სიცარიელის ამოვსებისა და მკითხველისათვის მანიქეიზმზე უმთავრესი ინფორმაციის შეთავაზების განზრახვით შექმნილია. ავტორი ქართველი და უცხოელი მეცნიერების გამოკვლევებს დაყრდნობია.

„მანიქეიზმი და ქრისტიანობა“ ცხადყოფს, რომ მანიქეველობა მოძღვრება ქრისტიანული რელიგიისაგან იმთავითვე დიდად ყოფილა დავალებული. მასში ქართულ და უცხოურ წყაროთა შეპირისპირების საფუძველზე წარმოჩენილია ფილოსოფიური და რელიგიური საკითხები, რომელთა გამოძახილი ჩვენს სინამდვილეშიც ასახულა.

წიგნი შესავლისა და 7 თავისაგან შედგება, რომელსაც ერთვის რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, კომენტარები და ბიბლიოგრაფია.. განხილულია მანიქეველობის შესწავლის წყაროები; მანიქეველობის იდეური წყაროები და ირანი III საუკუნეში; მანის ცხოვრება; მანიქეველობის გავრცელება; მანიქეველობა მოძღვრება და რელიგიური კულტი; ქრისტიანობა მანიქეველობის წინააღმდეგ; მანიქეველობა და საქართველო.

აღმოსავლეთში, კერძოდ ირანში, შექმნილი ეს რელიგია თავის თავში გნოსტიკურ, ზოროასტრულსა და ბაბილონურ სწავლებებს აერთიანებს. მას ქრისტიანული ელემენტებიც შეუთვისებია და ამ სარწმუნოების მიმდევრებს, ეკლესიისაგან ერეტიკოსის დამლთ დალდასმულებს, წილად რეპრესიები და დევნა არაერთგზის რგებიათ.

XX საუკუნეში, როცა მანიქეიზმი მეცნიერებაში რელიგიად აღიარეს, მის მიმართ ინტერესი გაზრდილა. რასაც თანახლდა დევნისა და შევიწროების ფაქტები. ნაშრომი მოგვითხრობს მანიქეველობა ერეტიკოსად გამოცხადებისა და მხილების ფაქტებს, რომელიც III საუკუნეშივე დაწყებულია. კერძოდ, წმინდა ეპიფანე კვიპრელს (315-403) თავის თხზულებაში „პანარიონი ანუ „წამლების ყუთი“ ვრცლად განუხილავს იგი სხვა ერესთა გვერდით: „...მანიქეველობა ეფუძნებოდა ქრისტიანობას, ზოროასტრიზმს, გნოსტიციზმს, ბუდიზმს, აგრეთვე ზარეანოზმს, მითრაიზმს, და მანდიზმს. ამის გათვალისწინებით ჩვენს წინაშე წარმოდგება ფერადი მოზაიკის მსგავსი რელიგიური სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს სხვადასხვა მოძღვრების ელემენტებს. ამის გამო, მანიქეველობაზე ზეგავლენის მხრივ, ზოგჯერ ძნელი გასარკვევია პრიორიტეტი ქრისტიანობას მიანიჭო თუ ზოროასტრიზმს. ერთი რამ უდავოა: ეს რელიგია მკვეთრად აბსტრაქტული ხასიათისაა“.

III საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბებული რელიგია, რომელიც ფუძემდებლის სახელის მიხედვით იწოდება (მანი სირიულად „ცოცხალი“), შიშის გრძობაზე დამყარებულა და ადამიანის სურვილიც — მანიქერი სამყაროსაგან თავის დაღწევისა — ამ შიშით ნასაზრდოებად დაუსახავს. გადარჩენის საშუალებად — სხეულგებრიობისაგან გათავისუფლება.

XX საუკუნის პირველსავე წლებში დიდი რაოდენობით უპოვნიათ დაკარგულად მიჩნეული მანიქეველობა ლიტერატურა. რომელიც სამ ჯგუფად დაიყო: 1. ეკლესიის მამათა ანტიერეტიკული შრომები; 2. მაჰმადიან ავტორთა თხზულებანი; 3. მანიქეველობა ნაწერები. ამ მასალებს მანიქეიზმის კვლევის ისტორიაში ისეთივე როლი უთამაშია, როგორსაც მოგვიანებით ნაგ-ჰამადის ტექსტების აღმოჩენას გნოსტიციზმის შესწავლაში, ან ყუმრანის ხელნაწერებს ბიბლიოლოგიაში.

XX საუკუნეში ექსპედიციებს დიდი რაოდენობით აღმოუჩენიათ მანიქეველობა ხელნაწერები და კედლის მხატვრობა. მასალათა კვლევას მკვლევართა არაერთი პუბლიკაცია და სამეცნიერო გამოკვლევა მიეძღვნა. გერმანულ ექსპედიციას ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით უილურთა რეგიონში, ქალაქ ტურფანის მისადგომებთან არსებულ მონასტერში მიუგნია ხელნაწერთა ფრაგმენტთათვის. 1928 წელს კაიროში სიძველეთა მოვაჭრისაგან კ. შმიდტს კოპტური ხელნაწერი წიგნი შეუძენია, რომელზედაც IV საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული მანიქური თხზულება აღმოჩენილა. ხელნაწერი ბერლინის მუზეუმში განუთავსებიათ.

1995 წელს ავსტრალიურ არქეოლოგიურ ექსპედიციას ეგვიპტეში მანიქეველობა შესაკრებელი აღმოუჩენია, რამდენიმე მანიქური ტექსტით. თეიმურაზ უიარაღო უცხოელ მკვლევართა გვერდით ასახელებს მანიქეიზმის კვლევით დაინტერესებულ ქართველ მეცნიერებსაც: — „ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობდა აზრი მანიქეველობის, როგორც პროგრესული მოძღვრების შესახებ. შ. ნუცუბიძე მანიქეველობის პოზიტიურობას ხედავდა იმაში, რომ აქ ზეციერი მიწიერთან იყო გათანაბრებული. ამით ზეციერის პრიმატი უქმდებოდა, რაც წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნეოდა. შ. ნუცუბიძე მანიქეველობას სხვა მიმდინარეობებთან ერთად რენესანსის საფუძველად თვლიდა“.

წიგნი საგულისხმო მასალას გვანვდის არამარტო მანიქეიზმის, არამედ სხვა უძველესი რელიგიების თავისებურებათა შესახებაც, მოგვითხრობს უძველესი საქართველოს ისტორიას — ცალკეულ ამბებსა და საზოგადოებრივი ყოფის სურათებს გვიხატავს.

ავტორი საინტერესოდ წარმოაჩენს იმ ფილოსოფიურსა და რელიგიურ გამოცდილებას, რომელიც მანიქეიზმს შეუთვისებია: რომის იმპერიისა და ირანის დაპირისპირების პოლიტიკურ არენაზე, მუდმივ შეჯახებათა ფონზე, ძალიან მყიფე ყოფილა რელიგიური თუ იდეოლოგიური საზღვრები: III საუკუნის რომში მითრაიზმი ბატონობს, ირანში — ზოროასტრიზმი. მანიქეიზმი ამ მოძღვრებების გავლენას განიცდის. შემჩნეულია ბაბილონურ-ასურული მითოლოგიის გადმონაშთებიც. იგი განიხილება გნოსტიკური სექტების სწავლებათა უშუალო მემკვიდრედაც. წიგნში თითოეული მოძღვრების გავრცელებისა და რაობის საინტერესო ანალიზია შემოთავაზებული.

იმ თავში, სადაც მანის ცხოვრებაა მიმოხილული, მისი დაბადების თარიღად 216 წლის 14 აპრილია დასახელებული, დაბადების ადგილად — ბაბილონი. პირველი ქადაგება ქალაქ ბელაბადში, შაპურ I-ის აღსაყდრების დღეს უნდა მომხდარიყო — 243 წლის 9 აპრილს. აქვე დაუწერია მანს, საშუალო სპარსულ ენაზე, მეფე შაპურ I-ისადმი მიძღვნილი წიგნი „შაპურაკანი“. მისივე ავტორობითაა დაწერილი: „ცოცხალი სახარება“, „ცხოვრების საგანძური“, „საიდუმლოთა წიგნი“, „გიგანტთა წიგნი“ და ზოგიერთი თხზულება.

**ბაჰრამ I-ის** ტახტზე ასვლის შემდეგ, როგორც კოპტური წყაროები იუწყებიან, მანი მეფეს საყოველთაო შფოთის დანერგვისათვის ციხეში ჩაუსვამს, სადაც 26 დღე დაუყვია. მას იქვე მიუხმია მიმდევრები, რათა 12 მონაფე და 72 ეპისკოპოსი დაენიშნა. მანქეურ ეკლესიის სათავეში ერთგული მონაფე — სისინიოსი — ჩაუყენებია. მანს თავი მოჰკვეთეს და ბელაბადის ჭიშკარზე გადმოკიდეს.

არსებობს მანის ბიოგრაფიის განსხვავებული — ანტიმანიქეური ხასიათის — ლეგენდაც, რომელსაც დაყრდნობა წმინდა **ეპიფანე კვირინელი „პანარიონში“**. ამ ლეგენდის თანახმად, მანიქეველობა მისანი სკვითიანოსის სახელს უკავშირდება, ვისაც საკუთარი რელიგიური შეხედულებანი პითაგორელთა სწავლებისათვის დაუკავშირებია და ნიგნებში გადმოუცია.

მანიქეიზმის გავრცელების მასშტაბურობით განსაკუთრებით საინტერესოა **ჩინეთი, უილურთა** სახელმწიფო და იქ VII საუკუნეში **ბულა ხაყანის მიერ მანიქეიზმის** აღიარების, გავრცელების ისტორია. საქვეყნოდ ყოფილა განთქმული მათი იარაღი, ფარმაცევტული მასალა, სიასამურის ტანისამოსი. მანიქეიზმის გავლენით ქვეულან უილურები ყველაზე ცივილიზებულ თურქულ ტომებად. კოპტური თხზულება მოციქულთა ნუსხის ორ ვარიანტს გვთავაზობს, ვრცელსა და მოკლეს: „...პირველ მოციქულად ითვლებოდა პირველი კაცი — ადამი. კოპტურენოვან თხზულებაში, „თავები“ გვხვდება მოციქულთა ნუსხის ორი ვარიანტი. ერთი შედარებით ვრცელია, მეორე მოკლე. ქვემოთ წარმოდგენილია ორივე:

**ადამი—სეითი—ენოში—ენოქი—ნოე—სემი—ბულა—ზარატუსტრა—იესო—პავლე—ელქასი—მანი. ბულა—ზარატუსტრა—იესო—მანი.**


მეორე ვარიანტი უფრო მიღებული იყო ფართო მანიქეურ წრეებში. საკუთრივ მანის მიეწერება ფრაზა: „აღმოსავლეთი დამოძღვრა ბულამ, დასავლეთი იესო ქრისტემ, ირანი ზარატუსტრამ, ხოლო მე ვარ მეოთხე მოციქული ნათლისა და მოკვდი, რათა დავმოძღვრო მთელი მსოფლიო“.

ყველაზე დიდი გავლენა მანიქეველობაზე გნოსტიციზმს მოუხდენია. მანს ბავშვობაში უცხოვრია გნოსტიკურ სექტაში, რაც საკუთარი დოქტრინის ჩამოყალიბებისას გამოუყენებია.

მინიერი ცხოვრების სირთულით, განსაცდელითა და სატანჯველის სიმძიმის გამო, მანიქეიზმის მიხედვით, ადამიანი მიიღრიკება ბოროტებისაკენ. სულს სხეული ზღუდავს. მათი, გნოსტიკოსთაგან გადმოღებული, შეხედულებით, ქვეყნიერება შექმნა ბოროტმა დემიურგმა, ღმერთი კი მიღმურია და აბსოლუტური სიკეთეა.

მანიქეველებს ჰქონდათ რიტუალები, საგანგებო შესაკრებელი შენობები, თუმცა მანიქეველობა სპირიტუალური რელიგია ყოფილა, რომელიც გულსა და აზროვნებას ანიჭებდა უმთავრეს მნიშვნელობას. მათი ლიტურგიკული რიტუალისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მუსიკას ენიჭებოდა. მისი მოსმენისას სული სხეულს სწყდებოდა. იყენებდნენ **ფლეიტასა და ჩანგის** მსგავს შუააზიურ სიმებიან საკრავს.

მანიქეველები ფლობდნენ ნათლისღების საიდუმლოს — **„ნათლობა ზეთით“**, რაც ზეთისცხებას უნდა გულისხმობდეს. თუმცა სხვაობა ქრისტიანულ ლიტურგიკასთან აშკარაა. ხოლო რაც შეეხება რჩეულებს: „...რჩეული ანუ იგივე სრულქმნილი ასკეტური ცხოვრების წესით გამოირჩეოდნენ. ისინი იღებდნენ მხოლოდ მცენარეულ საზრდოს, რომელიც სინათლის ყველაზე მეტ ნაწილს შეიცავდა. მათ ეკრძალებოდათ ხორცის ჭამა და ღვინის სმა, ისევე როგორც



ქორწინება, მინათმოქმედება, ვაჭრობა, და საერთო საზოგადოებრივი საქმიანობა. „რჩეულთაგან“ განსხვავებით „მსმენელებს“ შეეძლოთ ღვინოც ესვათ და ხორციც ეჭამათ, ექორწინათ, ევაჭრათ და ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში მიეღოთ მონაწილეობა“.

**პალადინ ჰელენეპონელის „ლავსაიკონში“**, რომელიც IV საუკუნის ამსახველი ძეგლია, მოთხრობილია ბერ-მონაზონთა ცხოვრებაზე, თუმცა, ამასთანავე, იგი მანიქეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ებმის და წარმოაჩენს მათი მოძღვრების სიყალბეს. ნიგნში დამონმებულია იოანე ოქროპირის განჩინება, რომელიც ცხადყოფს, რომ უმთავრესი, რაზედაც მართლმადიდებლური სარწმუნოება დგას, ბოროტების უარყოფაა. ბოროტების არსებობას საფუძვლით უარყოფს **დიონისე არეპაგელიც**. ორი დასაბამის:

კეთილისა და ბოროტის — არსებობა უარყო და შეაჯამა **იოანე დამასკელმა**. მანიქეველთა ყოველად შეუწყნარებელ გადაცდომებზე საუბრობენ აგრეთვე **ნეტარი ავგუსტინე და პეტრე სიკელიოტესი**. ამ უკანასკნელმა შეაჯამა მანიქეველთა გადაცდომები და ექვს პუნქტად ჩამოაყალიბა ისინი: I. მათ სხვა ღმერთი ჰგონიათ სამყაროს შემოქმედი; II. არ სწამთ ქალწულისაგან უფლის შობა; III. უარყოფენ წმინდა ზიარებას; IV. მათთვის მიუღებელია ცხოველყოფელი ჯვარის სახე, ქმედება და ძალა; V. არ აღიარებენ ძველ აღთქმას და VI. ზურგს აქცევენ ეკლესიის უხუცესებს.

უპირველესი, რაც ნიგნში იკვეთება, არის ავტორის მცდელობა სრულყოფილად ასახოს საქართველოში მანიქეიზმის გავლენისა და გავრცელების ისტორია. ჩანაფიქრი სერიოზულია, თემა — მრავალასპექტიანი. ნაშრომი ერთი რელიგიის გაანალიზება-შეფასების ცდაა. ანალიზის პროცესში თემა სხვა მიმართულებითაც განიცდობს, მიუხედავად იმისა, რომ ავტორისათვის ამოსავალი საქართველოა. იგი არ კმაყოფილდება პრობლემის ლოკალური ანალიზით. ამის დასტურია რეტროსპექტული გადახედვა, ძიება სხვა რელიგიებთან დამოკიდებულების ფესვებისა. გამოკვლევაში მოხმობილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ მანიქეიზმს საქართველოშიც შემოუღწევია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული ეს რელიგია საინტერესო მოვლენად წარმოჩნდება ცნობილი მეცნიერების, მოაზროვნეთა ნაშრომების დამონმებისას, რომლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ ამ მიმდინარეობის გავრცელების არეალი, გავლენის საზღვრები საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანი ყოფილა.

თეიმურაზ უიარაღო ნიგნში „მანიქეიზმი და ქრისტიანობა“ გამოყენებულ მასალებს ძალზედ ფაქიზად ეყრება — დანურულია და ზუსტი მოხმობილი ციტატები. ამ უცხო სივრცეში ავტორის ინტერპრეტაციებში იძირები და მრავალი საინტერესო ცნობით იტვირთები... ისტორიულ-რელიგიური საკითხები ახლებური, ავტორისეული დამაჯერებლობით დოკუმენტურ-ანალიტიკური ხერხით მიენოდება მკითხველს.

ნიგნში საქართველოში მითრიაზმისა და ზოროასტრიზმის გავრცელების შესახებ მაგალითებია მოყვანილი. განსაკუთრებით საინტერესოა იბერიის მეფის **ვარუჩანის** დროინდელი იბერიის (ქართლის) მახდენად მოქცევის ისტორია. **ვარუჩან ამაზასპის** სახელი, რომელიც ფარსმან ქველის შვილიშვილი ყოფილა, **„ქართლის ცხოვრებაშიც“** არის მიკვლეული. ამაზასპი ირანული ორიენტაციისა ყოფილა და მისსავე სახელს დაუკავშირდა ქართულ სამყაროში მანიქეველობის შემოსვლის ამბები. იგი მანსაც უნდა შეჰხვედროდა III საუკუნის შუა ხანებში..

**შაპურ I**-ის სიკვდილის შემდეგ, V საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში მანიქეველი ეპისკოპოსის **მოზიდანის** სახელი შემოდის, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სპარსად არის გამოცხადებული, თუმცა შალვა ნუცუბიძისა და ივანე ჯავახიშვილის ცნობების მიხედვით ქართველი კაცი უნდა ყოფილიყო: „მანიქეური წიგნების ავტორი მოზიდანი ასევე შ. ნუცუბიძეს ეჭვმიუტანლად ქართველ კაცად მიაჩნია, ხოლო თვითონ ნაწერები ქართველებისთვის დაწერილად. აქედან გამომდინარე მეცნიერი არ ეთანხმებოდა „ქართლის ცხოვრების“ წყაროს, რომლის თანახმადაც მოზიდანი იყო ნათესავად სპარსი. შ. ნუცუბიძის მოსაზრებით ძნელი დასაშვებია, რომ მოზიდანი არ ყოფილიყო ქართველი, მითუმეტეს რომ მას საქართველოში ქართული ეკლესიის ეპისკოპოსის თანამდებობა ეჭირა. მოზიდანის წიგნების მოსპობა ადასტურებს, რომ ისინი ქართულად იყო დაწერილი, რადგან მხოლოდ ამ სახით შეიძლება ყოფილიყო ის მავნებელი და მის მოსპობას მიზნად უნდა ჰქონოდა ამ წიგნებში მოცემულ შეხედულებათა საქართველოში გავრცელებისათვის ხელის შეშლა...

...შ. ნუცუბიძე ეთანხმება პ. ინგოროყვას და ი. ჯავახიშვილს იმ აზრში, რომ მოზიდანის მოძღვრება იყო არა მწმინდა წყლის მანიქეველური, არამედ ერთგვარი ნაზავი მანიქეიზმისა და ორთოდოქსული ქრისტიანული თეოლოგიისა, რომელსაც მემკვიდრეობა რაიმე იდეური სახით საქართველოში არ დარჩენია“.

ევსტათი მცხეთელის შესაძლო მანიქეველობაზე წიგნში დამოწმებულია **თამილა მგალობლიშვილის** სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება, სადაც ავტორს ცალკეულ ეპიზოდთა მიხედვით, **„ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“** გამოუკვეთავს მანიქეიზმის აშკარა კვალი: „...ძნელად დასახელებული არგუმენტებით შემოვიფარგლოთ იმის დასამტკიცებლად, რომ ევსტათი მცხეთელი ქართლში ნათლობამდე ერთხანს იყო მანიქეველი და ამას არც თ. მგალობლიშვილი მიიჩნევს უეჭველ ფაქტად, მაგრამ ინტერესსმოკლებული არაა ის გარემოება, რაც აპოკრიფულ გადმოცემებს უკავშირდება. ყოველივე ეს კი როგორც ითქვას, ფართოდ გამოიყენებოდა მანიქეველთა მიერ“.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოთხრობილია 1926 წელს პავლე ინგოროყვას მიერ რუსთაველის მანიქეველად გამოცხადების შესახებ. პავლე ინგოროყვას ამ მოსაზრების ამოსავლად — პოემაში მანიქეიზმის გავლენად — მზის კულტი მიუჩნევია. აგრეთვე, ავთანდილის ლოცვა შვიდი მნათობისადმი. თეიმურაზ უიარაღო ეკამათება პავლე ინგოროყვას მოსაზრებას რუსთაველის მანიქეველობის შესახებ. საუბრობს კორნელი კეკელიძის მიერ ამ მოსაზრების უარყოფაზე, რომლის მიხედვითაც მკვლევარმა არა მხოლოდ მნათობთა სისტემის მიხედვით უარყო, არამედ მთლიანად, პოემაში აღწერილი ამბიდან გამომდინარეც. წიგნში ვრცელი ციტატაა მოხმობილი კორნელი კეკელიძის ნაშრომიდან: „მეცნიერების აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ მთელი თავისი შინაარსით დიამეტრიულად ეწინააღმდეგება მანიქეველობის უმთავრეს დებულებებს. მანიქეველობას ახასიათებს მკაცრი დეალიზმი; კრძალავს ქორწინებას, აგრეთვე ნადირობას, სულდგმულ არსებათა დაზოცვას და ჭამას, ღვინის სმას, სიცრუეს, მისნობას და ვაჭრობას. „ვეფხისტყაოსანს“ კი ახასიათებს გარკვეული მონოთეიზმი, მასში, როგორც ვიცით, გაღმერთებულია ქალისადმი სიყვარული, სატრფოსთან დაქორწინება და შეუღლება ადამიანის სიცოცხლის იდეალადაა მიჩნეული, ნადირობის დროს ცხოველების დაზოცვა და ნანადირევის ჭამა ყოველდღიური ცხოვრების ნორმადაა გამოყვანილი; მისი გმირები არ ერიდებიან არც მრუშობას, არც ვაჭრობას“.

თეიმურაზ უიარაღო რუსთაველის მანიქეველობის გასაბათილებლად **შალვა ნუცუბიძის** მოსაზრებებს იმონებებს, თუმცა **კორნელი კეკელიძის** არგუმენტებიც საკმარისად

ამომწურავად მიაჩნია. ნაშრომში მოცემულია **მოსე გოგიბერიძის** დაკვირვებანიც.

სამწუხაროდ, წიგნში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ სწორედ **პავლე ინგოროყვას** შრომებმა მისცეს ბიძგი შალვა ნუცუბიძის გამოკვლევებსა და აღმოჩენებსაც. **ქართული რენესანსისა** და არეოზაგიტიკის ავტორად **პეტრე იბერის** გამოცხადების თაობაზე.

თეიმურაზ უიარაღო კორნელი კეკელიძისეულ კრიტიკულ პათოსს მისდევს, რომელსაც თავის დროზე პავლე ინგოროყვას მონოგრაფიის რეცენზიისთვის ეპიგრაფად „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონი წაუძღვარებია: „რა უთქვამს, რა მოუჩინა, რა წიგნი დაუწერია“.

2003 წელს გამოცემული **როსტომ ჩხეიძის** ბიოგრაფიული რომანი **„ბედი პავლე ინგოროყვასი“** ზემოთხსენებულ ავტორთა საპირისპირო თვალსაზრისს გვთავაზობს. ამოდის რა **რევაზ თვარაძის** შეხედულებიდან, მწერალი მთელი სისრულით წარმოაჩენს პავლე ინგოროყვას დამსახურებას „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საქმეში. ვისი ვარაუდიც საფუძვლად დაედო შალვა ნუცუბიძის სამომავლო გამოკვლევას:

„ოდესმე მაინც უნდა დადგომოდა საშუალო ან სიცრუის გამოაშკარავებას და რევაზ თვარაძემ 80-იანი წლების დასაწყისში ამიტომაც წამოჭრა ეს საკითხი და მის გარკვევას შეეცადა: „რუსთველიანას“ ძირითად დებულებათა მნიშვნელობა და მისი მიმართება რუსთველოლოგიაში დღესდღეობით გაზიარებულ შეხედულებებთან“.

**რევაზ თვარაძეს** მტკიცებათა საერთო წრიდან ჯერ ინგოროყვასეული დებულებები გამოუყვია, მერე გავრცელებული თვალსაზრისები წარმოუდგენია და მკითხველისთვის მათი შედარების შესაძლებლობა მიუცია, თუმცა „თვითონაც თავს ვერ იკავებს და.. აღტაცებით შენიშნავს, „სასწაულებრივი თანხედრა“ და „ფანტასტიკური გამართლებაო“, ეს ერთი ნუთითაც არ აღიქმება ჩარევად და მკითხველის გონებაზე ძალდატანებად: ყველაფერი ისეთი აშკარაა, ისეთი თვალნათლივი... და დავსებით დამაჯერებელია, რომ ამ მთავარ დებულებათა შემამაგრებელი ზოგიერთი ინტერპრეტაციისა თუ ჰიპოთეზის მცდარობა შეუძლებელია რაიმე დააკლოს „რუსთველიანას“ მეცნიერულ ღირსებას. მით უფრო, რომ მანიქეველობის ჰიპოთეზისა არ იყოს, ამგვარ მოსაზრებათა ირგვლივ გამაღილი მსჯელობა და ახალ-ახალი მასალები მართლაც დიდად ამდიდრებს მკითხველის წარმოდგენას იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივსა და სულიერ ცხოვრებაზე“.

**როსტომ ჩხეიძე** 1922 წელს წაკითხულ იმ 4 ლექციასაც იხსენებს, რომელიც „პავლე ინგოროყვას „პოეზიის აკადემიაში“ წიგნის გამოსვლამდე წაუკითხავს, რაც „დამთრგუნველ კაბალაში“ მოქცეული საზოგადოებისათვის აუცილებლად იქნებოდა სულის მოთქმის საშუალება“. იგი შეუფარავი წყენით ამუნათებს ჭორებს აყოლილებს, ვინც ვერ მოახერხეს პირუთვნელი შეფასება პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ღვაწლისა.

მსჯელობას „რუსთველიანას“ მნიშვნელობაზე წიგნში ერთი ციტატა ამყარებს ვალერიან გაფრინდაშვილის ესეიდან: „1922 წლის პოეზია ღირსეულად დააგვირგვინა პავლე ინგოროყვამ ლექციების ციკლით რუსთაველის შესახებ და ეს „რუსთველიანა“ მეტ სიმალეზე აყენებს ჩვენს პოეზიას და მეცნიერებას“.

კარგად დავიმახსოვროთ, ეს 1922 წელია...

**როსტომ ჩხეიძე** ბიოგრაფიულ რომანში საკმაოდ ვრცლად აანალიზებს პავლე ინგოროყვას გახმაურებულ ვარაუდს და ყურადღებას გადაჭარბებული კრიტიკის ფონზე მის მეცნიერულ ღირებულებაზე ამახვილებს, რადგანაც ეს „მცდარი ვარაუდი“ ქართული რენესანსის თეორიის ფონზე სხვა ინტერესსა და მნიშვნელობას იძენს. იმიტომაც, რომ „იგი არც ამჯერად შემოფარგლულა კერძო მოსაზრების გა-

მოთქმით და საქართველოში ამ მოძღვრების მთელი ისტორია ჩააქსოვა. მიაგნო და აღადგინა საერთო ფონი და წამოატივიტივა ისეთი საგულისხმო დეტალები, რაც ძალაუფლებურად აღვივებდა ინტერესს“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული უცილობელი დასტურია იმისა, რომ ინგოროყვასადმი გამოთქმული ბრალდებები პრინციპულად ეწინააღმდეგება მისი თანამედროვე ეპოქის მისწრაფებებს, მის მიზანდასახულობასა და უსამართლოდ აკნინებს დიდი მეცნიერის ღვაწლს, რაც საეხეობით ბუნებრივად აღიქმება ნითელი ტერორის პირობებში, როცა დიდი მეცნიერის წინააღმდეგ ყველა ღონე უნდა ეხმარათ, ხელი შეეშალათ და ბოლოსდაბოლოს უღვთოდ დაეკნინებინათ მისი ღვაწლის მნიშვნელობა, თუმცა ამგვარი ნაშრომების არსებობა შესაძლებელს ხდის ტენდენციური მოსაზრებებისაგან გავთავისუფლდეთ.

**„ზედი პავლე ინგოროყვასი“** დასაყრდენად გამოადგება გაყალბებულ-გაზვიადებული ისტორიის პირუთენელი შესწავლა-გამოხეობისათვის თეიმურაზ უიარალოსაც და ყველას, ვინც ამ თემით დაინტერესდება, რადგანაც უდავოა, რომ მისი შექმნის მიზანიც ისტორიული სამართლიანობის აღდგენა უნდა ყოფილიყო და მნიშვნელოვანი მეცნიერულ-პრაქტიკული ღირებულებაც ამ თვალსაზრისით შეუძენია. მთავარია, რომ ნაშრომმა ზეგავლენა მოახდინოს ერთგვარად ნიჰილისტურად განწყობილ საზოგადოებაზე, ურწმუნონი დაარწმუნოს და პავლე ინგოროყვას თაყვანისმცემლებს კი კიდევ ერთხელ დაუდასტუროს, რომ მისი ღვაწლი არასოდეს დაკარგავს ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ „მანიქველობა და ქრისტიანობა“ 2004 წელს არის გამოცემული. მის გამოცემას წინ უსწრებს ბაჩანა ბრეგვაძისეული თარგმანი ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანისა“.

\*\*\*

**ბაჩანა ბრეგვაძემ** თარგმნა **ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანი“**. წიგნი 1996 წელსაა გამოცემული, რომელსაც ვრცელი კომენტარები დაერთვის მთარგმნელისაგან და საკმაოდ საფუძვლიანად გვიხატავს მანიქეიზმის არსს. პირველად, ქართულ სინამდვილეში სწორედ ამ წიგნს უნდა ეტვირთა მეგზურობა მანიქეიზმის სამყაროში მკითხველის გასათვინცნობიერებლად. იმდენად, რამდენადაც V თავი „აღსარებანისა“ სწორედ ნეტარი ავგუსტინეს მიერ მანიქეიზმით გატაცების ამბებზე მოგვითხრობს. მეტი სიცხადისათვის ბაჩანა ბრეგვაძე კომენტარებში მკვლევართა შეხედულებებს იმონებებს. მაგალითად: „ღვთაებრივი არსის წარმოდგენისას მანიქეველებსათვის უცხო იყო ყოველგვარი ანთროპომორფიზმი, მაგრამ ისინი ვერ ამალდნენ ღმერთის, როგორც სულის

ცნებად. ღვთაებრივ სუბსტანციას ისინი სინათლესთან აიგივებდნენ. თანაც სინათლე არა მარტო ღვთაების სინათლედ მიაჩნდათ, არამედ მის საკუთარ არსადაც (ნეტარი ავგუსტინე, „მწვალებელთათვის“, 46; „ნეტარი ცხოვრებისათვის“, 4). ამრიგად, მანიქეველებისათვის ღმერთი იყო სხეულებრივი სინათლე, ანუ, ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით რომ ვთქვათ, უზარმაზარი „სხივოსანი სხეული“ (აღსარებანი“, III, X, 20), უკიდევანოდ განფენილ სამყაროს ზედა ნაწილი...“

**ბაჩანა ბრეგვაძე** ღვთისმეტყველთა გარდა საერო პირთა მოსაზრებებსაც მოიხმობს: **პროფ. ი. ვ. პოპოვის, ე. გილსონის, ვ. გერის, მ. სერგენკოსი** და სხვათა.

გაზეთ **„ჩვენი მწერლობის“** 2004 წლის მე-15 ნომერში **ბაჩანა ბრეგვაძის „ჩანაწერები“** დაბეჭდილი, სადაც ავტორი მანიქეიზმს საკმაოდ ვრცლად აანალიზებს. იგი საუბრობს პავლე ინგოროყვას მოსაზრებაზე რუსთაველის მანიქეველობის შესახებ და სწორედ ამიტომ მიიჩნევს აუცილებლად ამ მოძღვრების არსის გამოკვეთასაც: „გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო რელიგიურ დოქტრინებს შორის ძნელია მოიძებნოს უფრო ეკლექტური, ნაირგვარი კონცეფციებისაგან ხელოვნურად შეკონინებული და ექსტრავაგანტური „მოძღვრება“, სწეული სულის, უკონტროლო ფანტაზიის ეს უნდელი ნაყოფი, კომპარულ ზმანებად თუ ბნედიანის ბოდვად რომ აღიქმება დღევანდელი მკითხველის მიერ“.

ბაჩანა ბრეგვაძე პავლე ინგოროყვასადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას ინარჩუნებს და რუსთაველის მანიქეველობის შესახებ ვარაუდის გამოთქმის მიზეზად მეცნიერის მიერ მანიქეიზმის ზერელე ცოდნას მიიჩნევს.

2011 წელს გამოცემილი **„ინტელექტის“** მიერ **„ჩანაწერების“** სერიით გამოიცა ბაჩანა ბრეგვაძის ჩანაწერებიც. ამიერიდან, ქართველი საზოგადოების სასიხარულოდ, მასშია მოქცეული პერიოდიკის ფურცლებზე დაბეჭდილი ჩანაწერები, რომელიც მრავალმხრივი ცოდნისა და გამოცდილების მეცნიერის სამყაროში ჩაღრმავების შესანიშნავი შესაძლებლობის გარდა, მკითხველს მანიქეიზმის შესახებაც საგულისხმო მასალას აწვდის.

\*\*\*

ყველაფერი, რაც კაცობრიობას ჩაუფიქრებია და აღუსრულებია, რისთვისაც მიუღწევია წიგნების ფურცლებს შემოუნახავთ. განჩრეკისა და ყურადღების ღირსი კი თუნდაც იმიტირაც გაამხდარა ათასწლეულთა მანძილზე დაგროვილი კულტურული მონაპოვარი, რომ მართალი წიგნების არსებობით გაქარწყლდეს **ბერნარდ შოუს** ტკივილითა და ირონიით აღბეჭდილი სიტყვები:

„ — რას იტყვის ისტორია?  
— როგორც ყოველთვის, იცრუებს, სერ“.

**მინიატურების მომხიზლავი კრებული**

მწერალთა სახლში **თამარ მიქაძის** მინიატურების კრებულის **„ძალიან პატარა ქალაქში“** პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ავტორმა დასაწყისშივე აღნიშნა წიგნი ბიძის — **გურამ პატარაიას** — ხსოვნას მიუძღვნა და პრეზენტაციაც მის დაბადების დღეს საგანგებოდ დაამთხვია.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა და უძღვებოდა ლიტერატორი **ქეთევან ელაშვილი**: „მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა პატივი წარვუძღვე გამოჩენილ, ერთი შეხედვით უცნაური წიგნის „ძალიან პატარა ქალაქში“ წარდგინებას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მინიატურა არის ურთულესი ფორმა, რომელიც სიყალბეს ვერ იტანს; თამარის მინიატურები გამოირჩევა იშვიათი გულწრფელობით, სავსეა სითბოთი... და რაც მთავარია, არტისტიზმი, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო, გამოვლინდა მის მინიატურებში“.

ბუნებრივია, გამომსვლელები გვერდს ვერ აუვლიდნენ **დიმიტრი ყიფიანის** პიროვნებას. **ნინო მამარდაშვილის** (ფილოლოგი) აღნიშვნით: „თამარიკო არ არის მხოლოდ მწერალი; ყველასთვის ცნობილია, რომ ის არის დიმიტრი ყიფიანის შთამომავალი და ასევე ცნობილია თამარიკოს მიზანმიმართული გარჯა მისი სახელის უკვდავსაყოფად. 2013 წელს ის დააჯილდოვეს დიმიტრი ყიფიანის მედლით. დროდადრო მწერალი კითხულობდა ცალკეულ მინიატურებს, იუმორითა და დრამატიზმით გაჯერებულს, მართლაც მსახიობური ხელოვნებით.“

სიტყვით გამოვიდნენ: **გივი შაჰნაზარი, ზურაბ ქუმბურიძე, ხათუნა ლორთქიფანიძე, ნინო ლალანიძე, მკაპა ნაჭყებია**.

დასასრულ თამარ მიქაძემ მადლობა გადაუხადა გამომცემლობა **„საარს“**, **რეზო ესაძესა** (წიგნის ვარეკანი რეზო ესაძის ჩანახატებითა გაფორმებული) და დამსწრე საზოგადოებას.

**თეო კაპანაძე**



გია ხოფერია

# „ღვთის საჩუქართა“ პორტრეტები

აგერ ახლახან, ეკა ბუჯიაშვილის „ნუთები, რომლებიც უნდა შეაგროვო“ წაიკითხე, დიდებულ ქალბატონს, ნინო ზაალიშვილს, რომ ეძღვნება, კარლო ფაჩულიას მეუღლეს. გამახსენდა, რამდენიმე თვის წინათ თავად ბატონი კარლო თავისი რიონითა და თავისი ქუთაისით თავზე რომ წამომადგა და ჩემი გონების რომელიღაც ცარიელ უჯრედში ყოველგვარი წინაპირობისა და განსაკუთრებული მოთხოვნის გარეშე მოკალათდა ვადაგანუსაზღვრელად.

კარლო ფაჩულიას ქვეყანა იცნობს, მის მეუღლესაც იცნობდნენ, ნახატითაც, ნაწერიტაც, ადამიანობითაც, ჩვეულებრიობითაც, უცნაურობითაც, სიხარულითაც, ტკივილითაც, მაგრამ ეკამ დიდი სიყოჩაღით მოუყარა თავი ყველა კარლოს (აღრეც დაუნერვი მასზე), ყველა ნინოს, არ დაუზოგავს ობიექტივი, წერტილიც არ გამორჩენია, ყველგან მიწვდა და მოიხელთა ისინი...

ეკა ბუჯიაშვილის სამ წერილზეა საუბარი. მესამე უკვე ვახსენე („ჩვენი მწერლობა“ №3, 2014), პირველს „მე, ბებია, ჩემი ძმა და კიდეც... რიონი“ ჰქვია („ჩვენი მწერლობა“ — №18, 2013), მეორეს კი — „მისი პატარა ქალაქი“ („ჩვენი მწერლობა“, №21, 2013).

ეს წერილები თუ ნარკვევები (რაც გინდათ, ის უწოდეთ), ერთად რომ წაიკითხე, ერთ ციკლად აკინძული სამივე, მეგონა, კახელა სათავგადასავლო რომანს გამოვკარი ხელი და არანაირად არ მსურდა ფინალი გამოჩინილიყო, სადმე დასმულიყო ბოლო წერტილი. ასეთად წერისას ნამდვილად შეიძლება თუნდაც ნარკვევი რომანად გადაიქცეს, ბიოგრაფიული ტიპეჟობისა თუ ხასიათის რომანად, რომელსაც ძალიან მიმზიდველი თუ მომწუხრველი გემო აღმოაჩნდება და ამიტომაც ვერა და ვერ ანებებ თავს. რახან სიტყვამ მოიტანა, ბარემც ვიტყვი, რომ ეკა ბუჯიაშვილი კარგა ხანია შემწნეულია მომწუხრველად, მომაჯადოებლად წერაში, მშვენივრად ესერხება სამიზნეს შერჩევა და გასროლისასაც პირდაპირ ათიანში ახვედრებს ხოლმე.

მაგრამ ამჯერად ათიანსაც გადააჭარბა. მართალია, გუშინდელი არ გახლავართ, რომელიმე წერილობითის წაკითხვისას უცებ რომ დამეტყოს, იმერულად თუ ვიტყვი, აკვინტიციება, ვერც რიონისა და ქუთაისის ხსენება გადამრევს, მაგის მეტი რა მაქვს ნანახი (არადა, თითო-თითოა ისინი), მაგრამ ამჯერად კარგადაც წამოვხურდი, ალალი ნიჭიერებით ნათქვამმა ცრემლიც კი მომადინა, ისიც ალალი, და ძალიან შორს წავიდა ჩემი ფიქრი, სწორედ ამ ნიჭიერების მადლის გამო, ამ ღვთიური ძალით აღმოჩენილ ადამიანებზე.

პირადად ძალიან ცოტათი ვიცნობ ბატონ კარლოს. ეკა ბუჯიაშვილის მოთხრობების (ახლა მოთხრობებიც ვახსენე) წაკითხვისას, თანაც თითოეულისა რამდენჯერმე, იმ ცოტას, თუ უფლებას მომცემს თავად ბატონი კარლო, კიდეც ცოტას მივუმატებ, ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თორემ ეკამ რომ იცის, ეკა რომ იცნობს, გამინათურებულია თავის გმირებთან, მე, ბუნებრივია, რამდენიმე წაკითხვითაც ამას ვერ მოვახერხებ...

ყველაზე ძნელი რამ გაკეთდა იოლად. რეალურად არსებულ, ნამდვილი ადამიანები, ყოველგვარი კოსმეტიკისა და პარფიუმერიის გარეშე გახდნენ პერსონაჟები და თანაც როგორები!!! უცებ რომ შეგაყვარებენ თავს და არასოდეს დაგესხნებიან.

მაინც გადამძლია რიონმა და ქუთაისმა, უფრო კი ბატონი კარლოს მოგონებებმა. ეს ისეთი გამოსზოგნიანი წარსუ-

ლიდან, არაერთ ჩვენთაგანსაც რომ გადახდენია და უფრო ამიტომაც ბიოგრაფიულად ნათესავებიც ვხდებით, გვეჯერა ერთმანეთის მონაყოლი. კარლო ფაჩულიას ნაამბობი თუ ეკა ბუჯიაშვილის მიერ დამონტაჟებული მონაკვეთები, ბავშვობისდროინდელი სურათების ნელ-ნელა, გულდასმით გადათვალერებას ჰგავს, დიდხანს რომ გაყოვნებს თავის თავთან, უხმოდ გესაუბრება და ცრემლსაც მოგადენს სწორედ ისეთს, ბავშვობისას რომ ჩამოგემლაშებოდა ლოყებზე და ზოგჯერ არც კი იცოდი, საიდან და რატომ ჩამოგედინა იგი.

ძალიან ბევრი კადრია თავმოყრილი ამ რჩეულად ნაწერში, მოლაპარაკე, ცოცხალი კადრი.

ისევე რიონი, კათოლიკეთა უბანი, ზაქარია ფალიაშვილის სახლი, ბავშვობის სცენები, ობლობის კვერი, ბევრი ტკივილი და მაინც გამარჯვება, ნელ-ნელა ჩამოყალიბება „ღვთის საჩუქრად“. ასე ამბობს ეკა ბუჯიაშვილი კარლო ფაჩულიაზე, ღვთის საჩუქარია ეს კაცის, ჩემთვის, შენთვის, ყველასთვის. რომ ვუკვირდები მის მონაყოლს თუ მოხატულს, მართალს ამბობს, მისხალიც არაა მეტი ამ ნათქვამში.

კარგად ცურვა უსწავლია ბატონ კარლოს რიონის მორევებში, სახიფათო ადგილებიც მოუსინჯია რიონის...ეტყობა, მაშინდელ ბავშვობისას იცოდნენ, ვინც რიონს „დაჩაგრავდა“, ცხოვრებაში ძლიერი იქნებოდა. რიონთან ნაომარი ბიჭები, რაც მე გამიგონია, ქუთაისშიც დარჩენილებიცა და თბილისურ „ემიგრაციაში“ მყოფებიც, ყოველთვის კარგ ბიჭებად დარჩენილან, გვიან მოხუცებულობაშიც არ უჩიოდნენ ბიჭობის მადლს. როგორც ჩანს, კარლო ფაჩულიაც ასეთია, თორემ სხვაგვარად ვერ იქნებოდა „ღვთის საჩუქარი“.

ახლა, ამ წუთას, ვიფიქრე, მთელს ჩვენს ახალგაზრდობას რომ წაეკითხა ეკა ბუჯიაშვილის ეს მართლაც გამორჩეულად ნაწერი, რამდენს ნაადგებოდა ცხოვრების უღმობელობაში წესიერ კაცად დარჩენისთვის. ვიფიქრე და მორჩა... ნაიკითხონ, ვინ უშლით. მე შენ გეტყვი, ვერ მიაგნებენ, რომ მიონდომონ, თუ რა...

„მთელი ბავშვობა გამორჩეულად მაინც რიონსა და ბებია-ის სახე უკავშირდება.“

დედა მთელი დღე მუშაობდა — ვილაცას ხომ უნდა ერჩინა უმამოდ დარჩენილი ოჯახი — და ბებიასთან მიბარებული ძმე-ბიჭ ხან ეკლესიის ეზოში დადიოდნენ სათამაშოდ, ხანაც რიონის ტალღებში ირთობდნენ თავს. ამ ეზოში დალაამდებოდათ ხოლმე. სალამოს კი, თამაშით დაღლილნი, ბავშვებთან რომ ხუმრობდნენ და შინ წასვლა აღარც კი აგონდებოდათ, დაადგებოდათ ბებია თავზე, ეკლესიის ჭიშკარში შეყოფდა თავს და:

— ბიჭო, ქათამი გებულობს დალამებას და თქვენ რით ვერ უნდა გეიგოთო, — ეტყობოდა და წაივლიდა შინ, იქ დაელოდებოდა შვილიშვილებს.

დაბრუნდებოდნენ ესენიც, „დალამებას რომ გეიგებდნენ“ მაშინ, დაძინებულულები, მტვრიანები, მთელი დღის თამაშით დაღლილნი, დახვდებოდათ ბებო, ჩასვამდა ჯერ ერთს და მერე მეორეს დიდ „ტამბში“, ცალი ხელით წყალს ასხამდათ, მეორეთი კი ბანდათ. ჭუჭყიან ხელებზე ეფერებოდათ და სიყვარულიანი საყვედურით ეტყობოდათ:

— რას გიგავთ, ბებო, ხელები, მალე ალბათ ქინძი ამოგივათო“.

ბევრი რამაა ამ კადრში ისეთი, მწერლურ სამკაულთან ერთად გულსმიყრდნობილი სინამდვილე რომ ჰქვია, არადა არ ჩამოგცილდება, ჩაეკირება თვალთა ფსკერს. ესენი და კიდეც სხვა წინადადებანი ეკა ბუჯიაშვილის ამ მონათხრობში ძალიან დიდხანს შეინარჩუნებენ სინედლეს. არც კარლო ფაჩულიას დიდებულ სახეს ემოქრება გამოშრობა. ის ხომ რიონის პირასაა გაზრდილი!

ქუთაისზე არაერთ პიროვნებას აქვს მოთხრობილი, თავის დროინდელ ქუთაისზე. რა უნდა იყოს ისეთი, ქუთაისში რომ

ვერ ნახავ და გაიგონებ, ენაზეა გამოკერებული დიდი და პატარა, გაგხეთქავენ იუმორით, მუცელზე კანს არ შეგარჩენენ, გაუგონარიც მართალი ჰგონიათ და დასაჯერებელიც — დაუჯერებელი. როგორც ჩანს, კარლო ფაჩულიასაც (ვერანაირად ვერ აიცდენდა) დაწყებითი მხატვრობიდან მოყოლებული ისეთი ქუთაისური გაკვეთილები აქვს მოსმენილი თუ გავლილი, არაერთხელ ჩაბჭირებულა ან სხვები ჩაუბჭირებია.



ნინო ზაალიშვილი ავტობიოგრაფი (წერეთლის 2, ქუთაისი)

ყველაფერი რომ მოვყვე (არადა, ერთი სული მაქვს), მთლიანად უნდა გადმოვწერო ეკა ბუჯიაშვილის დაწერილი, ამას კი სჯობს, თავად წაიკითხოთ და იგემოთ მისი სუნთქვა. თუმცა ამ ამონაწერს მაინც ვერ შეველევი:

„გეოგრაფიის მასწავლებელი ასწავლიდა სიმღერას. რომელიც გუნდში მღეროდა თურმე თვითონ.

სინყნარე უყვარდა გაკვეთილზე და მკაცრად ითხოვდა, ჩუმად მსხდარიყვნენ.

რა წერამ აიტანა მაშინ, დღესაც არ იცის — გვერდით მჯდომ ებრაელ ბიჭს ელაპარაკებოდა და მთელი გაკვეთილი ენა არ გაუჩერებია.

— მოდი აგერ, ფაჩულია! — იხმო მასწავლებელმა.

მისულა ესეც ყურებზამოყრილი.

— რასაა რომ ელაპარაკებოდი ამდენს?

— კბილი მტკივა, მასხ, და იმას ვუყვებოდი.

— აბა მარჯვენა, რომელი კბილია?

დაალო ამანაც პირი გულაჩუყებულმა — აქოდა მითანაგრძნოო — და უჩვენებს.

— კარგად მანახე, ფაჩულია, კარგად, — უთქვამს მასწავლებელს. ამასაც დაუფრენია პირი რაც შეეძლო და... უცებ ისეთი მოხვდა ყბაში, სულ ნაპერწკლები აყრევინა თურმე თვალებიდან.

— ნადი ახლა და დაჯექი...

კი წავიდოდა და დაჯდებოდა, მაგრამ... არა და არ დაავინყდებოდა ის დღე.

მერე, წლების მერეც, სკოლა რომ დაუმთავრებია, კაცობაშიც რომ შესულა და ის მასწავლებელი არაერთხელ შეხვედრია სალონიკში, იმას, რაღა თქმა უნდა, აღარ ახსოვდა, ამას კი.. შუა ქეიფშიც, თავშიც და ბოლოშიც, ვინ იცის, რამდენჯერ გახსენებია ის ალიყური. დაუტრიალდებოდნენ თვალწინ წამოყრილი ნაპერწკლები, ირეოდნენ ერთხანს, მაგრამ... ჩანავლდებოდნენ ისეც და ყელში ბურთივით გაჩრილ სათქმელსაც ახალამოზელილი ლობიოს ლუქმასა და ჭიქა ღვინოს გადააყოლებდა ხოლმე...“

კითხულობ ასეთ ამბებს, თანაც არაერთს, ეკა ბუჯიაშვილის ნიჭიერებით დალდასმულს, და თანდათან შემონთხულ სევდასთან ერთად უნებურად მოგინდება იმ წარსულში ცხოვრება, იმ გარდასული ქუთაისის ქუჩებში ხეტიალი დღისითაც, ღამითაც, ფხიზელსაც, მთვრალსაც. ნებაყოფლობით ხდები ამ მონათხრობის ირიბი პერსონაჟი. უყურებ, ეხები ყოველ სურათს, გესმის იმ ღუმელის გუგუნი, რომელშიც კანიანი კარტოფილი ინვებოდა, „ზემოდან დადგმულ სპილენძის თუნგში კი უგემრიელესი წაბლი იხარშებოდა და რალაცნაირი სურნელითა და სიმყუდროვით ავსებდა ოთახს.

ამ სურნელით გაჯერებული იყო მათი ბავშვობა, ქუთაისური მზითა და ქუთაისელი ადამიანების გულებით გამთბარი, შიმშილიც რომ გამოეცადათ, სიცივეცა და გაჭირვებაც, მაგრამ... რალაცნაირი სიტკბოება გამოჰყოლოდათ მაინც...

იმ ხანის სიტკბოება, ბავშვობა რომ ჰქვია და სადღაც შორს — ან იქნებ არც ისე შორს — რიონის ნაპირზე დარჩენილიყო“...

მართალია აქ ყველაფერი, სასიამოვნოდ მართალი, სისხლს რომ გიჩქარებს და შენსავე შორეულისაკენ მიგარბენინებს..

ბავშვობა ბავშვობაა და მხოლოდ ბავშვობა ხომ არაა ადამიანი (ისე კი, სჯობს ასე იყოს!). კარგად მოუფიქრებია ავტორს ყველაფერი: იზრდებოდა კარლო ფაჩულია და იზრდებოდა მისი საქმეებიც, ფართოვდებოდა მეგობართა წრე, ქალაქიც იზრდებოდა, უკვე ბევრი რამ ნახა, აწონ-დაწონა, დღე დღეს მისდევდა, თვეები თვეებს, წლები წლებს, როგორ გინდა ჩამორჩე დროს, უკან მიჩანჩალებდე, მაგრამ გაჭირვებას რა ვუთხრა, ღდინს რომ გაცლის, გაკოჭლებს, გაფერმკრთალებს, მაგრამ სიკეთით თუ ხარ სავსე, კაცი თუ ხარ, პიროვნება თუ ხარ, ქუთაისშიც გაიტან თავს და თბილისშიც, სხვაგანაც, შეიძლება ორ დღეში დახარჯო მთელი თვისთვის ბუღალტრულად გადაანგარიშებული გროშები (საბანი სანამდე გწვდება, იმოდენაზე უნდა გაშალო ფეხი), მაგრამ მაინც არ აგრძნობინო ვინმეს კუჭის სიცარიელე. ისიც შეიძლება, სამხატვრო აკადემიაში ათევედ ღამეები უბრალო ფიქარნაგზე, მაგრამ მაინც გამოიძინო, მაინც ძლიერი იყო ხვალისთვის... სახლი არ გქონდეს, კარი არ გქონდეს, მაგრამ ჭეშმარიტად შეყვარებული იყო, ცეცხლი გეკიდებოდე, ამასთანავე ჩინებული მხატვარი იყო, მართლაც ჩინებულ-გამორჩინებული და, ვისაც ჭკუა და გონება უჭრის, გვერდში ამოგიყენოს, ცოტა სული მოგათქმევინოს ხელფასით (ხელფასებით), შეგაგრძნობინოს შენი წონა. იქნებ ძანაც მორიდებული იყო, შემანუხებლად მორიდებული, მაგრამ ეს ხომ დიდი ღირსების მანუწყებელია... რისი გეშინია, შენი ნილხვედრი ქვეყანა უკვე აღმოჩენილია, სჭირდები ვიღაცას, სოფელს, ქალაქს, ქვეყანას და მეტი რაგინდა, თანაც „ღვთის საჩუქარი“ თუ ხარ!..

მე ისეც ქუთაისის ვუტრიალებ. კაცს რომ ამოდენა სიყვარულით შეუძლია მშობლიურ კერაზე საუბარი, ყველაფერი დაეჯერება. მას ისე მინდობილად ალაპარაკებს მართლაც ამ ყოჩაღად დასურათხატებულის ავტორი, თითქოს ჩემს წინ იჯდეს კარლო ფაჩულია და მე მიყვებოდეს ათასგვარ ამბებს. საიდან დაამახსოვრდა ნეტა ამდენი!

განსაკუთრებული სიყვარულობა ყველაზე აქვს გადანაწილებული, ბოროტად არც იმას იგონებს, ერთხელ ნასმ მდგომარეობაში (ასე ამბობენ ქუთაისში) მილიციულ ჩიტიანის გამოსაფხიზლებელ კამერაში რომ მოუწია ღამისთევად ყურყუტი, ანდა რა გააბოროტებდა ბერწანდ ნებიერობის, რობერტ მნაცაკანიანის, რეზო გაბრიადის, ჯეირან ფაჩუაშვილის და სხვათა, საუკეთესოთა, მეგობარს. აქაა გასცენიურებული მისი მასწავლებლები (შუქურა მასწავლებელი), მეგობრები, განსაკუთრებით ებრაელთა უბნის თვალსაჩინოები. ერთ რამედ ღირს რაფოს შესიტყვება ქალაქკომის მდივნისადმი. ეს ჩინოვნიკი ფსიქიატრიულში მყოფ რაფოს

ეკითხება: „ — როგორ ხარ, რაფო, აბა, რას იტყვი, ხომ კარგი პირობებია აქ? იმას კი... გაუღიმიდა, იმ თავისი დიდი ტუჩებით გაუღიმიდა და — კი, დაგენაცვლე, კაი პირობებია ძაან, ამოიყვანე ცოლ-შვილი ერთი-ორი კვირით დასასვენებლადო.“ აქვეა ბესარიონა-ბუხარა, ხავა კოპიო, რიკრიკა და სხვები, დროდადრო ყურში ჩამესმის შეძახილიც — სკატინა ბიძია (სკატინა თურმე სახელი ეგონა)...

გული მწყდება, ყველაფერს რომ ვერ ვაქცევ ყურადღებას. განა ერთი მშვენიერი ნოველა არაა კარლო ფაჩულიას მივლინება გერმანიაში, სადაც ისეთი ამბები დაუნეგია, სხვა დროს იქ სხვა ქართული რომ ჩადიოდა, ბაქანზე მის მოსაძებნად მაინც კარლო ფაჩულიას იძახდნენ ამოსაცნობად გერმანელები... ეს და კიდევ ათასი სხვა. ყოველ სტრიქონს როგორ გინდა გამოეკიდო. არადა, თითოეული მათგანი ერთ კვირას, შეიძლება უფრო მეტ ხანსაც გეყოფა სალაპარაკოდ თუ არა, საყურებლად მაინც...

და მესამე წერილიც. კიდევ ერთხელ გადავიკითხე, კიდევ ერთხელ მომხვდა გულზე ეს ნათხრობი... მართლა გასაოცარი პიროვნება ყოფილა ქალბატონი ნინო ზაალიშვილი. ვერანაირად ვერ დანერ ამდენს ადამიანზე და თან ასე დრამატულად, თუ მის ახლოდყოფნობას ვერ გრძნობ, რამდენიმე საათითაც ვერ „ინათხოვრებ“ მის სულს, რომ გიკარნახოს თავისი თავი, ვერანაირად ვერ გამოიგონებ ასეთ სინამდვილეს, თუ არ არსებობს იგი, ვერ შეეხები, ვერ მიაგნებ მის სახელსა და გვარს.

მას „ვერა და ვერ გაეგო, რატომ ვერ გაშლილიყო წელში ერი, დავით გარეჯის გამოქვაბულებების ფრესკებზე ის საოცარი ლურჯი ფერი რომ შეექმნა.

რატომ ვერ ეპოვა კაცობრიობას საკუთარ თავში იმდენი სიყვარული, ეს ამოდენა დედამიწა მარტო ამ გრძნობას ებრუნებინა.

რატომ ხდებოდა ომები მესამე ათასწლეულშიც და მის საშინელებებზე ამბები ღმერთთან რატომ მიჰქონდათ ბავშვებსაც...“

ასეთი ფიქრები დიდი გონებიდან მოდის, წმინდა, აუღმერველი სისხლის მატარებელს შეუძლია გითხრას ამგვარად, ამაღლებულ ადამიანურად. ასეთ ადამიანშია ჩასახლებული სწორედ ღმერთი ხელოვნებისა თუ ხელოვანი ღმერთი.

ასეთი ადამიანების სიცოცხლე ყოველთვის ბენვზე ჰკიდა, რადგან აჩქარებული აქვთ პულსი, ოდნავადაც ვერ იტანენ „კახელების ალმა ხნულს, ქართლელები დაღმა რომ ფარცხავენ“... არ გავივლი რუსთაველზეო, უთქვამს იმ საბედისწერო დღეებში, რადგან ვერ გაუძლებდა ნაბოროტალ სურათებს, მისი ღირსება განუღლებოდა აოხრებული სათავისიანოს ხილვისას, ძნელზე ძნელი იქნებოდა ქვეყნის ჩაკეული სულის შემოლანდება... მაინც გავიდა, ყვავილებით გავიდა, ყველას მოეფერა, მოყვარესაც, მტერსაც. ასეთ რაიმეს დიდი ჰუმანურობა აკეთებინებს კაცს, ღვთის ნაშიერს.

ასეთ ადამიანებს არასდროს შეშლიათ ქვაზე სიკეთის დადება, მათში უღევადაა სიკეთის წარმომქმნელი. ქვაზე დადება ერთია და თურმე ბევრჯერ ველარ მოუთმენია, როგორადაც შეეძლო, ვისთვის არ შეუნყვია ხელი, განსაკუთრებით საყოველთაო შიმშილობისას. მისთვის ამდროს სულერთი იყო მეზობელი, კოლეგა, სტუდენტი, უცნობი... რაც შეეძლო ყველას წვდებოდა.

ერთხელ გოგონას გამოსარჩლება ავტობუსში, ვილაც ვიგინდარა აბუჩად რომ იგდებდა. ხალხი კი გასუსულიყო თავის ფარღალა ფიქრებში. არავინ არ დაუდგა გვერდით იმ გოგონას. მხოლოდ ამან გაბედა, მხოლოდ ამან გაუნდინა ხელი უსუსურს. ალბათ ბოღმა მოკლავდა, ასე რომ არ მოქცეულიყო. როგორც ჩანს, რჩეულ სისხლს ნამდვილად შეუძლია ადამიანი ადამიანად დატოვოს. ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა ქალბატონ ნინოს ცხოვრებაში.

ასეთი ყოფილა ნინო ზაალიშვილი, რომელიც თავდაუზოგავად ემსახურებოდა მხატვრობასაც, მწერლობასაც, ახალგაზრდობასაც, კოლეგებსაც, საზოგადოებასაც, ოჯახსაც...

ერთი სახასიათოც გავიხსენოთ: ახალშეუღლებულები ნინო და კარლო თურმე იმერეთიდან თბილისისაკენ მოდიან მანქანით, გზად უცხოელები წამოსწევინან. ამათ უზვად ჰქონიათ ხილი მანქანაში. აუჩემებია ნინოს, ვაჩუქოთ ხილი უცხოელებსო. კარგადაც გამოსვლიათ. პირდაპირ მოძრავი



კარლო ფაჩულია სერიიდან „აინიანი ქალაქი“

მანქანიდან გადაუნვდენიათ საცხე ხონჩა გაოგნებული სტუმრებისათვის... სვანეთში კიდევ სულ გადაურევია გიდად თუ თარჯიმნად მყოფს ევროპელები. ერთ დაძახილზე იქაური ერთ-ერთი ოჯახი გვარიანი მასპინძლობით რომ შეგებებია სტუმრებს, მათ კი გაოცებულებს თავი რომელიღაც ფილმში ეგონათ.

ბავშვობაში დღიურებს წერდა თურმე, ბოლო დროსაც მოუნდომებია მათი გაგრძელება, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა, „კარლიკუნა“ ბაბუას შეატოვა შვილიშვილები, რომლებიც ვერ მიმხვდარან, რატომ დაემდურათ ნინო ბებო, რატომ არ ჩანს იგი...

ისევ ავტორს ვუბრუნდები:

ეკა ბუჯიაშვილმა, როგორც სჩვევია ხოლმე, დიდებული პორტრეტები შემოგვთავაზა. ასეთ ადამიანებზე წერა თავისთავად დიდი ბედნიერებაა, როცა კარგად იცი წერა. ასეთი ინარჩუნებენ ერის, ქვეყნის ტრადიციებს, სინამდევს, და არა ისინი, ყოველდღე თავიანთი ბნელი შეგონებებითა თუ ბუჭტურით აანცებულებს რომ ვყავართ ეგრეთწოდებული მალალი ტრიბუნებიდან, ტელევიზიებიდან, გაზეთებიდან... ვითომ რომ მამულიშვილობენ რჩეულობენ, სინამდვილეში გახვეტილი შაურიანის ფასიც არ დაედებათ.

მესმის, ძნელია იყო კარლო ფაჩულია, იყო ნინო ზაალიშვილი, მაგრამ უნდა ეცადო, უნდა გამოიწონო, გამოიზარდო თანდათანობით... ისინი თავად არიან ხელოვნება, ურყევი და ჭეშმარიტი, ავტორმაც მათზე შექმნილი მოგონებათა ციკლისამ, ეკა ბუჯიაშვილმა, ძალიანაც რომ მოინდომა და ზუსტად გამოსჭრა მათი სანამუშოო თარიღი.

სხვაგვარად, ალბათ, წარმოუდგენელი იყო ამ გამორჩეულ წყვილზე დაწერა, წერა თუ ხატვა. მიუხედავად საერთო დრამატული ელფერისა, ეს ციკლი, მოთხრობა თუ რომანი, სიტყვის ზეიმია, სულის ზეიმი, ჭეშმარიტი ადამიანურობის ზეიმი, უფრო და უფრო მეტი გახშირებით რომ ესაჭიროება ჩვენი ცხოვრების გამომშრალ ეთერს.

ეს მოთხრობები იმდენად მოკლეა, ფურცლის გადაშლა არ დაგჭირდებათ! ალან მელიმ ეს ძალიან მოკლე მოთხრობები საგანგებოდ იმ სტუდენტთათვის დაწერა, რომელთაც სურთ იოლად აითვისონ კარგი, ადვილად საკითხავი მხატვრული ლიტერატურა ავთენტურ ინგლისურ ენაზე. შეიცავს კომედიურ, სათავგადასავლო, ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ და სევდიან მოთხრობებს. მოქმედება ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: ჩინეთი, საფრანგეთი, ისრაელი და ბრიტანეთი. ეს ძალიან მოკლე მოთხრობები მკითხველს სიამოვნებას ანიჭებს და ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ალან მელი

# „ბრაჰო“ და სხვა ძალიან მოკლე მოთხრობები

ჩემს მშობლებს სიყვარულით,  
ბრილიანტის ქორწინების აღსანიშნავად, 1996

## ავტორის წინათქმა

კითხვა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა უცხო ენის შესწავლის გასაღებავებლად მაშინ, როდესაც ძირითადი საძირკველი უკვე ჩაყრილია. ეს არის ის, რაც ჩვენ დამოუკიდებლად შეგვიძლია გავაკეთოთ მოცალებების ჟამს.

თუმცა, ბევრი ჩვენგანი მოთხრობებისა ან ნოველების სიგრძის გამო იძულებულია შეარჩიოს საკითხავი. ჩვენთვის კი სასურველია, რაც შეიძლება სწრაფად მივიღოთ სიამოვნება და გავიზაროთ ის, რასაც ვკითხულობთ. ამავდროულად, ჩვენ ვიმდიდრებთ სიტყვათა მარაგს და უფრო გვიღრმავდება ენის შეგრძნება.

ეს მოთხრობები სწორედ ამას ემსახურება. ისინი გვთავაზობენ საინტერესო თხზულებებს ინგლისურ ენაზე, რომლებიც სიამოვნებით შეგიძლიათ წაიკითხოთ მშობლიურ ენაზე.

მოთხრობები, რომლებიც იმდენად მოკლეა, ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

გამოსადეგი, იდიომატური, საყოველღიურო სასაუბრო ენა, რომელშიც შენარჩუნებულია სიმწიფის ერთი და იგივე დონე, გვეხმარება უფრო რთული სიტყვათა მარაგისა და გამოთქმების ათვისებაში. ისინი აგრეთვე გვეხმარებიან მარტივი ენობრივი პრაქტიკის განმტკიცებაში. ამის გაკეთება შესაძლოა ინდივიდუალურად ან აუდიტორიაში.

მოთხრობათა თემატიკა მრავალფეროვანია და მიზნად ისახავს დააფიქროს მკითხველი. შეიძლება მოგიხდეთ, რომ საკუთარ თავსაც დაუსვათ კითხვა, როგორ მოიქცეოდით ამა თუ იმ პერსონაჟის ადგილას. ეს მოკლე მოთხრობები დიდ გასაქანს გაძლევთ წარმოსახვის გასაფართოებლად. იმედია, ისევე ისიამოვნებთ მათი კითხვით, როგორც მე ვისიამოვნე შეთხზვისას.

## გოგონა მწვანეში

ჯიმ როულინგს კენტის მიყრუებული სოფლის ლუდხანაში მივაკვლიე. უკანასკნელად სწორედ მან ნახა ცოცხალი მაიკლ ბემენტი, ბირჟის წარმატებული ბროკერი და ის ამ დაკარგული კაცის ახლო მეგობარი იყო. იმ დროს ვმუშაობდი „ხალხი ბიზნესში“ და მათ სტატია სჭირდებოდათ. ბედმა გამიღიმა. ჯიმმა ცოტა შესვა და მოდუნდა.

„იცი, — თქვა ჯიმმა, — ყველაფერ ამას აზრი არ აქვს, მაგრამ ეს ის არის, რაც მითხრა, რაც ჩემი თვალით ვნახე. ხომ იცი, მაიკი ბედნიერი არასოდეს ყოფილა. წარმატებული — დიახ, მაგრამ ბედნიერი არა. ძალიან ადრე დაქორწინდა. აბა, ახლა მეჯორის შეხედე. კარტოფილის ტომარას არა ჰგავს? ხმა ბაზრის დედაკაცისას მიუგავს; ტვინი კი მუხუდოს მარცვლისოდენა აქვს. ასე იყო თუ ისე, ერთ დღეს ვკითხე, საქმე როგორ მიდის-მეთქი. ეს იგივეა, კაცს რომ შეკითხო, შენი საქმე როგორ არიო. მან კი ისე მიპასუხა, თითქოს სწორედ ეს მეგულისხმოს! ღმერთო ჩემო, რა დამცირებია! აქამდე არ მესმოდა, თუ რა ჯოჯოხეთი ყოფილა უბედური ქორწინება. სწორედ მაშინ მითხრა მწვანეში ჩაცმულ გოგონაზე. კიდევ ერთი დავლიოთ?“

ყოველ წელს მაიკი კენტთან ჩამოდიოდა და ფორდჰემში ბრუნდებოდა საზაფხულო ბაზრობისთვის. ბაზრობა სოფლის მდელით იმართებოდა. ასე იყო თუ ისე, 1966 წელს ის ჩვეულებრივ მივიდა იქ. მაიკმა მითხრა, რომ ცოტას სვამდა და ხალხურ ცეკვებსა და პიკნიკს თვალს ადევნებდა. დიდ კოცონს მხოლოდ შუა ღამისას ანთებდნენ. ის მდელი ბოლოში, მუხის ხესთან იდგა. უცბად მწვანეში ჩაცმული გოგონა მის გვერდით აღმოჩნდა. მასზე უფრო მშვენიერი არავინ ენახა. მწვანე გამჭვირვალე კაბა ეცვა და თმა ზურგზე თავისუფლად ეფინა. ისინი საუბრობდნენ. გოგონამ მისი ხელი აიღო. ერთმანეთს აკოცეს. ყველაფერი ისე ბუნებრივი ჩანდა. შუალამდე ხის ქვეშ ისხდნენ. მერე კი, როცა კოცონი დაანთეს, წამოდგა და ცეცხლისკენ გაემართა. გოგონამ სთხოვა, ჩემთან წამოდიო, მაგრამ ჯიმი რალაცამ შეაკავა. ის ამტკიცებს, რომ გოგონა პირდაპირ ცეცხლის ალში შევიდა და გაუჩინარდა.

ის ყოველ წელს გოგონას ხვდებოდა. როგორც ყოველთვის, მის გვერდით ჩნდებოდა, მარად მშვენიერი და ახალგაზრდა. შუაზაფხულის ყოველ ღამეს ერთად ატარებდნენ, ვიდრე კოცონს დაანთებდნენ და მაშინ გოგონა ცეცხლის ალში შედიოდა და უჩინარდებოდა. ყოველ წელს გოგონა სთხოვდა, ჩემთან წამოდიო.

— მან თქვა, რომ მხოლოდ იმაზე ფიქრი ასულდგმულედა, გოგონა ყოველ წელს ენახა. იცოდა, რომ მისი ღირსი არ იყო. ისიც იცოდა, რომ ყოველ წელს სქედებოდა და ნაკლებ მიმზიდველი ხდებოდა. გოგონა კი არ იცვლებოდა და ყოველთვის სთხოვდა, ჩემთან წამოდიო. წამოდი, ბოლო სასმელს გიყიდი, — თქვა ჯიმმა.

ჯიმმა სასმელი მომიტანა.

— კეთილი. ისე, რომ ამ წელს თან წამიყვანა შუაზაფხულის ბაზრობაზე. სკოლის დროიდან ყოველთვის კარგი მეგობრები ვიყავით, მაგრამ შეიძლება გონებაში კიდევ სხვა რამ უტრიალებდა. დაახლოებით, ათი საათისთვის მდელი ბოლოში მდგარ მუხის ხესთან დავინახე. თითქოს ვიღაცას ელაპარაკებოდა. თუმცა არავინ ჩანდა. მერე კი, როცა შუალამეს კოცონი დაანთეს, წამოდგა და ჩემკენ გამოემართა. მითხრა: „ბოლოს და ბოლოს მზად ვარ“.



როგორც ჩანს, არც არავის მოუკრავს მისთვის თვალი. მხოლოდ მეორე დღეს იტყობინებოდნენ, რომ ის დაიკარგა. ველარც იპოვეს.

დიდხანს ვიფიქრე როულინგის ამბავზე, ბოლოს კი უხალისოდ გადავწყვიტე, სტატია დამეწერა ჩრდილოეთის ზღვის ნავთობზე.

**ბრაჰმ**

პირველად ერთმანეთს ღვინის ბარში შევხვდით ოქსფორდსტრიტზე. ეს-ესაა ერთ საშინელ კონცერტზე ვიყავი ვიგმორ ჰოლში — ნაკლებად ცნობილი კორეელი სოპრანოს ჰუგო ვულფის სიმღერების ციკლს ვუსმინე. წარმოგიდგენია?! მომიახლოვდა და ჩემს საკონცერტო პროგრამაზე მიმითითა.

„ო, ჩემო ძვირფასო! ჩემი აზრით, ზოგი იგებს, ზოგი კარგავს! ბოლო ცივი გამაგრილებელი სასმელი დალიე და ყველაფერი ეშმაკსაც წაულია“.

ორი ჭიქა „სანსერა“ შეუკვთა და კუთხეში მდგომ მაგიდასთან მივიტანეთ. ჩვეულებრივ, ადამიანებისგან, რომლებსაც საერთოდ არ ვიცნობ, სასმელს არ ვიღებ, მაგრამ მასში რაღაც მომწონს ჩემი იყო. მეტად უცნაურ ტანსაცმელს ატარებდა — ოდნავ შეღავსებული მოკლემკლავიან პერანგზე კრიკეტის ზოლიანი ბლაიზერი, ყავისფერი ველვეტის შარვალი და ჭუჭყიანი, გაცვეთილი ბოტასები. ასე ორმოცდაათის იქნებოდა, შეიძლება ცოტა მეტის. მოკლე ჭაღარა თმა და პატარა ულვაშები ჰქონდა. ყველაზე მიმზიდველი მასში ხმა იყო — თბილი და მოღულუნე. მის ხმას რაღაც მუსიკალური თვისება ჰქონდა, რასაც ირლანდიასთან ვაკავშირებ.

— საქმე ძველებურად აღარ მიდის, — ამოიოხრა და ღვინო მოწრუპა, — მახსოვს დიდი ადამიანები — ბექჰემი, სერ მელკოლმ სარჯენტი, ფონ კარაიანი — შენ შეგიძლია დაასახელო, მე კი მათ ვიცნობდი. ყოველ შემთხვევაში, ბრაჰმ“.

მან ჭიქა ასწია და დავლიეთ. ჭიქების ხელახლა შესასვებად წავედით.

— მაშ, მუსიკალურ ბიზნესში ხარ? — ჩავეკითხე.

— მე? მუსიკა ჩემს ვენებშია. იგი ჰაერია ჩემს ფილტვებში. მუსიკა საჭმელია ჩემს კუჭში. მუსიკა? მე და მუსიკა ასე ვართ, აი! — და თითები ერთმანეთზე გადააჭდო, რომ ეჩვენებინა, თუ რა ახლოს იყვნენ ერთმანეთთან.

— შენ თვითონ თუ უკრავ? — ვკითხე.

— არა, მთლად კი არ ვუკრავ, უფრო გადაცემებსა და ჩანერების სფეროში ვტრიალებ, — საიდუმლოდ გამანდო, — მაგრამ ყოველ წარმოდგენაში არსებითი როლი მაქვს, — პირდაპირ არ მიპასუხა. — ყველასთან მიმუშავია — ზუბინ მეტასთან, ბერნშტაინთან (უნდა გითხრა, რომ მაშინ სულ ყმაწვილი იყო), არტურ რუბინშტეინთან (ნამდვილ მექალთანესთან), პავაროტისთან, სოლტისთან. უამრავი ამბის მოყოლა შემიძლია.

როცა გამოვედით, რათა სახლებისკენ წავსულიყავით, შევთანხმდით, რომ მომავალ კვირას ისევ შევხვდებოდით. იქიდან მოყოლებული, დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში დროდადრო ვხვდებოდით, მაგრამ მიუხედავად ჩვენი საერთო ინტერესისა მუსიკისადმი, კონცერტზე ერთად არასოდეს დავდიოდით. ერთხელ შევთავაზე, მაგრამ ისეთი მტკიცე უარი მითხრა, მეორედ აღარ შემითავაზებია.

და მაინც, ყოველთვის, როცა ვხვდებოდით, თავისი მუსიკალური კონტაქტებით მეტრახანებოდა.

— გასულ კვირას სერ ნევილ მარინერის კონცერტზე ვიყავი, — თქვა მან თავმდაბლური ღიმილით, — მომავალ კვირას კი ჯულიარდი იქნება. ყოველ ღამე დაკავებული ვარ, მაგრამ ისინი ისეთი საყვარელი ხალხია, საყვარელი... — მისი ხმა ნოსტალგიურად ფლერდა.

ახლა უნდა გითხრათ, რომ მაინცდამაინც ცნობისმოყვარე პიროვნება არა ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბრაჰმ დამაინტრიგა, ჩემში ინტერესი გააღვივა (როცა სახელი ვკითხე, მიპასუხა, უბრალოდ ბრაჰმ დამიძახეთო). საიდან იცნობდა ყველა ამ მუსიკოსს ასე კარგად? რითი არსებობდა? საერთოდ ვინ იყო?

ერთ საღამოს მაინც შევხვდით ერთმანეთს ერთსა და იმავე კონცერტზე. ეს იყო როიალ ფესტივალ ჰოლში. პირველ რიგში შევნიშნე. თავის შეუდარებელ სტილში იყო ჩაცმული. მეტისმეტად აღზნებული ჩანდა. როცა ორკესტრი კონცერტის პირველი ნახევრის დასასრულს მიუახლოვდა, დავინახე, როგორ წამოხტა, ხმამაღალი ტაშისკვრითა და შეძახილებით: „ბრაჰმ“, თან რაც შეიძლება ახლოს იდგა კონცერტის ჩამწერ რადიომიკროფონებთან. ახლა კი მივხვდი, რა „როლი“ ჰქონდა მას.

ასე რომ, როცა კონცერტის ცოცხალ რადიოგადაცემას მოუსმენთ, იფიქრეთ ბრაჰმზე.

**პარასკევი საღამო იყო...**

მირიამი ფანჯარასთან იჯდა და ქუჩას გაჰყურებდა. პარასკევი საღამო იყო. ხალხი ოფისებს ტოვებდა და მალაზიები იკეტებოდა. ახლა, ჩვეულებრივ, მარტო იქნებოდა.

მან წარმოიგინა, თუ როგორ გაატარებდა ხალხი საღამოს — რესტორნებში, ბარებში, საცეკვაო დარბაზებში. მისი არსებობის ოცდახუთი წლის განმავლობაში არასოდეს გამოუცვლია ასეთი სასიამოვნო რამ. ფიქრმა გაიტაცა... ნეტავ, ვინმე ერთხელ მაინც დაჰატიფებდეს სადმე, თუნდაც ერთხელ. იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ისიც იცოდა, რომ ხილამაზით არ გამოირჩეოდა. მორცხვი გახლდათ. არც ფული ჰქონდა ლამაზი ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად. ხელი კი მხოლოდ იმაზე მიუწვდებოდა, რომ უბადრუკი ბინის ქირა გადაეხადა და ყოველდღიური ლუკმა-პური ეშოვა.

უცბად კარზე ვილაცამ დარეკა. ადგა და კარის გასაღებად ჩავიდა. ახალგაზრდა კაცი კარებში იდგა და უთხრა, რომ მნიშვნელოვანი ახალი ამბავი ჰქონდა მისთვის სათქმელი. მირიამმა თავი უხერხულად იგრძნო, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ისე პატიოსნად, ისე ლამაზად გამოიყურებოდა, რომ შინ შეიპატიჟა.

ვიდრე მირიამი ყავას ადუღებდა, კაცმა აუხსნა, რომ ადვოკატი იყო. მირიამის ბიძა, რომელიც წლების წინათ ავსტრალიაში გახლდათ ემიგრირებული, გარდაცვლილიყო. მთელი ფული ანდერძით მირიამისთვის დაეტოვებინა. ახალგაზრდა კაცს ჰარი ერქვა. ჰარიმ მხოლოდ განთიადისას დატოვა მისი ბინა.

ჰარი დაეხმარა მირიამს ყველა ლეგალური დოკუმენტის მოგვარებაში. მან მოახერხა მირიამისთვის მდიდრული ბინის ყიდვა ბეისუოტერში. ჰარი მირიამს ართობდა. დადიოდნენ რესტორნებში, უესტენდის თეატრებში, კონცერტებზე, თავბრუსმდებვე წვეულებებზეც კი.

სამი თვის შემდეგ დაქორწინდნენ და დიდ სახლში გადავიდნენ, რომელიც ჰარიმ მირიამს ჰემპსტედში უყიდა. ერთხანს ნეტარებით მეცხრე ცაზე იყო, მაგრამ მერე ჰარი შეიცვალა. შინ გვიან მოდიოდა. გარეთ უფრო იშვიათად გადიოდნენ. ზოგჯერ ტელეფონი რეკავდა და უცნობი ქალის ხმა ჰარის კითხულობდა. როცა მირიამი ეკითხებოდა, თუ რა ხდებოდა, ჰარი ცოფდებოდა და შინიდან მიდიოდა.

ერთ ნაშუადღევს პოლიცია მოვიდა. საქმეს ეტყობოდა, რომ ჰარი საბანკო თაღლითობაში იყო ჩათრეული. ამას კომმარული კვირები მოჰყვა. მირიამმა ბეისუოტერში სახლი გაყიდა, რომ ადვოკატისათვის ფული გადაეხადა. როდესაც ჰარი დამნაშავედ ცნეს, მირიამმა სახლი გაყიდა ჰემპსტედში და საცხოვრებლად პატარა ბინაში, ჰოვში, გადმოვიდა. ასე დამთავრდა მისი თავგადასავალი.

მირიამი ფანჯარასთან იჯდა და ქუჩას გაჰყურებდა. პარასკევი საღამო იყო. ხალხი ოფისებს ტოვებდა, მაღაზიები იკეტებოდა. მალე, როგორც ყოველთვის, მარტო იქნებოდა.

ხვალ კი სიახლე ელოდა. ლონდონისკენ მიმავალ ექვსსაათიან მატარებელში ჩაჯდებოდა, რომ ციხის კარებთან ცხრის ნახევარზე ყოფილიყო. ოცი წელი უცდიდა ამ დღეს. ხვალინდელი დღე კი ყველაფერს გამოისყიდდა. პატარა ჩანთაში სუფთა პერანგი, ჰალსტუხი და საცვლები ჩაალაგა ჰარისთვის. თვითმფრინავის ბილეთები შეამოწმა. შემდეგ კი დაიძინა.

ნესტიანი, მოლუშული დილა გათენდა. ციხის ჭიშკრის პირდაპირ იდგა და ელოდა. ციხის საათმა ნახევარს ჩამოჰკრა. შემდეგ რკინის ჭიშკარში ჩასმული პატარა კარი გაიღო და ჰარი იგრძნო, რომ თავისუფალი იყო. აქეთ-იქით მიმოიხედა და ქუჩა მირიამის მიმართულებით გადმოჰქრა. მირიამმა გაიფიქრა, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი კარგად იქნებაო.

უცბად წითელი სპორტული მანქანა შენიშნა. ქურქში გამონწყობილი ქერა ქალბატონი საჭესთან იჯდა. ჰარი მანქანაში ჩახტა, ქალბატონს გვერდით მიუჯდა და მაგრად აკოცა. ქალმა მანქანა ჩართო და უმაღლეს კუთხეში გაუჩინარდნენ.

მირიამმა თვითმფრინავის ბილეთები ამოიღო და ნელ-ნელა ნაკუნებდად აქცია. მერე კი შინისაკენ გაეშურა.

### ის პაღნიერი ღლეჯი

პიტერი თხის ყველს ყიდულობდა ბაზარში, როდესაც ყვირილი ზარით ჩაესმა. „პიტერ!“ ხმა იცნო, მაგრამ ყურებს არ დაუჯერა. მარი-კლოდ! ამდენი წლების შემდეგ.

— შენი ნაცნობია, ძვირფასო? — ჩაეკითხა მეუღლე სალი. გონება დაეძახა, ფიქრობდა რა უნდა ეთქვა მარი-კლოდის შესახებ, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო; მარი-კლოდი ძლივს იკვლევდა გზას ხალხში და მათ უახლოვდებოდა. მის უკან ყოველდღიურ ელევანტურ სპორტულ ტანსაცმელში ჩაცმული მოხდენილი, შავგვრემანი მამაკაცი იდგა.

— პიტერ! — ისევ შესძახა მან და თბილად მოეხვია, — ეს ჟან-ლუია, ჩემი მეუღლე. ჟან-ლუი, ეს პიტერია. ყველაფერი გაიამბე მის შესახებ. ეს კი უნდა იყოს თქვენი?!

— დიახ, რა თქმა უნდა, სალი, ეს ჰმ, მარი-კლოდია. ერთმანეთს კარგად ვიცნობდით, როდესაც პარიზში ვიყავი, სამოცდაათიან წლებში.

— მართლა, ძვირფასო? არ მახსოვს, რომ ადრე გეხსენებინოს, მაგრამ სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა მარი-კლოდ!

— რა დამთხვევაა, არა? ძველი დროის აღსანიშნავად უნდა ვისაუზმოთ!

ჟან-ლუი დაჟინებით სთავაზობდა, რომ ერთადერთი ადგილი ამ პროვინციულ ქალაქში, სადაც წესიერად ჭამა შეიძლებოდა, კოქ დ'ორი იყო — მდინარის პირას.

ამრიგად, ზუსტად თორმეტ საათზე კოქ დ'ორის ტერასაზე ისხდნენ და აპერატივს სვამდნენ. ჟან-ლუი ითხოვდა, რომ ყველას ვისკიანი კოქტილი დაეღია.

— ბარმენი ჩემი მეგობარია, ისეთ საუკეთესო ვისკიან კოქტილს ამზადებს, რომლის მსგავსი არც არასოდეს დამილევიან. ასეთ კოქტილს ნიუ-იორკშიც კი ვერ დალევთ.

პიტერმა და სალიმ თავს ნება მისცეს, ამ არაფრანგული სასმელისთვის გემო გაესინჯათ. ჰოდა, ასე გრძელდებოდა მთელი საუზმე. ჟან-ლუი კარნახობდა, რა უნდა მიერთვათ, რომელი ღვინო ან მინერალური სასმელი დაეღიათ.

— ვიმი? ო, არა! აღარავინ სვამს ვიშის დღეს. სან პელეგრინო უნდა დავლიოთ. ის უფრო მაგარია.

მარი კლოდი კითხვას კითხვაზე სვამდა და საკუთარ თავსა და ჟან-ლუიზე ლაპარაკობდა.



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

— იცით, ჩვენი ლამაზი დუბლექსი სენტ ლუისზე სენას გადაჰყურებს. ჟან-ლუი დე'ინდოჩინის ბანკშია. მამამისი ერთ-ერთი დირექტორთაგანია. ნორმანდიაში ლამაზი პატარა ფერმა გვაქვს. იქ საჯირითო ცხენები გყავს, არა, ჟან-ლუი? უნდა ჩამოხვიდეთ ჩვენთან და დარჩეთ. ამ ბოლო დროს ცხენზე ხშირად ვზივარ, განსაკუთრებით, როცა ჟან-ლუი მივლინებაშია. თანდათან საუბარი წარსულზე გადავიდა.

— აბა, გაიხსენე, პიტერ, როგორ დავდიოდით კემპინგებზე არდადეგების დროს სამოცდაათიან წლებში! ახლა არც კი მჯერა. აბა, გაიხსენე პატარა ბისტრო რუ მოუფეტარდზე, სადაც დავდიოდით ხოლმე. ისეთი რომანტიკული იყო, მაგრამ სინამდვილეში, ვფიქრობ, ცოტა უსუფთაობა იყო, არა? მომკალით და ჩემს ფეხს იქ ველარ ნახავთ.

მთელი ამ დროის განმავლობაში სალი გაქვავებული სახით იჯდა. ალბათ რალაცის თქმა მოუწევდა.

— და გახსოვს, როცა ბრაზილიაში გავაგზავნეს, როგორ მთხოვდი შენთან ერთად წამოვსულიყავი? მადლობა ღმერთს, არ წამოვედი! სხვანაირად ჟან-ლუის არასოდეს შეგხვდებოდი, არა, ძვირფასო? — თქვა მან და ჟან-ლუის სიყვარულით ლოყაზე მოუცაცუნა.

პიტერს გულში გაეღიმა. მადლობა ღმერთს! ნუთუ ამ ხმაურთან, გადაპრანჭულ, ვულგარულ ქალთან მთელი დანარჩენი ცხოვრება უნდა გამეტარებინა? სინამდვილეში, როდესაც ის ბრაზილიაში წავიდა, მარი-კლოდი იმ უბადრუკ, ერთოთახიან სტუდიაში დატოვა სენტ-დენისზე. მარი-კლოდმა ყველაფერი სცადა, იმითაც კი დაემუქრა, თუ თან არ წაიყვანდა, თავს მოიკლავდა. პიტერმა შეხედა მარი-კლოდს, შემდეგ კი ჟან-ლუის — უზრუნველყოფილს, თვითკმაყოფილს, მდიდარს და გადამწყვიტა, ფერი-ფერსა, მაღლი ღმერთსაო.

### ჩემი ღვიძლიანი შვირნადი

ხრინიანი ხველების ხმაზე გამეღვიძა. ამას კი ხმამალალი გინება და წყველა მოჰყვა. „ჯანდაბად შენი თავი. ფეხებში ნუ მებლანდები“.

ძალმა დაინკმუტუნა. თენდებოდა. ხეობა ნისლს დაეფარა. ფერნანდი უკვე სასეირნოდ გამოსულიყო სოფელში.

ყველა დილა ერთმანეთს ჰგავდა. როგორც კი ინათებდა, ფერნანდი ადგებოდა ხოლმე, დაახველებდა, გადააფურ-

**აქვის ჩრდილს მიღმა**

თხებდა და ძალღს ნიხღს ამოჰკრავდა, შემდეგ კი ნელი, მობარბაცე ნაბიჯებით სოფელს შემოუვლიდა. ერთადერთი არსება, რომელსაც ელაპარაკებოდა, თავისი ძალი იყო, ამას კი მხოლოდ ყვირილი და მუქარა მოსდევდა.

მოგვიანებით კვამლის თხელი გამონაბოლქვე ამოდიოდა საკვამურიდან. კიდეე უფრო მოგვიანებით ღობის კედელზე ჩამოფდებოდა და ხეობას გადაჰყურებდა. ხანდახან მესმოდა, თავისთვის რომ ბუზღუნებდა ან ძალღს სწყევლიდა.

ოთხმოცისა იქნებოდა. თხელი და ძვალმსხვილი იმ ადამიანებით ნელა და გამოზომილი ნაბიჯებით დადიოდა, რომელთაც მთელი თავისი ცხოვრება ციცაბო გორაკებზე მუშაობაში გაუტარებიათ. ის ყოველთვის სქელ შარვალს, გაქონილ ბერეტსა და გლეხურ ცისფერ ქურთუკს ატარებდა. ზამთარ-ზაფხულ წაღებს შიშველ ფეხზე იცვამდა. ოდესმე იბანდა? მეეჭვება. ნიკაპი კი ყოველთვის თხელი, ჯაგარა წვერით ჰქონდა დაფარული.

ოცი წელი სოფელში ვცხოვრობდი. ახლა კი მხოლოდ თითო-ორღა სახლი იყო დაკავებული. ათი წელი დამჭირდა, რომ რამდენიმე შემორჩენილი მაცხოვრებელი გამეცნო. მაგრამ ფერნანდი არასოდღე გამიცვნიდა. არც არასოდღე გვილაპარაკია.

ერთ საღამოს, მას შემდეგ რაც რამდენიმე ჭიქა ფრანგული ღვინო დავლიეთ, ჩემმა მეზობელმა, ანსელმა, მითხრა, ფერნანდი ჩემი ბიძაშვილიაო.

— ის დედაჩემის უფროსი დის ვაჟი იყო. ყოველთვის უცნაურობით გამოირჩეოდა. მამამისი ერთთავად სცემდა. დროს მთებში, ცხვარში ატარებდა.

მან კონსპირაციულად თვალღ ჩამიკრა.

— არასოდღე არავის ელაპარაკებოდა. როგორც იცი, ვერდენში იბრძოდა, მაგრამ ისეთივე უვნებელი დაბრუნდა, როგორც წავიდა. ყოველთვის მარტო იყო, რა თქმა უნდა, თუ ძალღს არ ჩავთვლით.

ერთ საღამოს საუბარი ისეე ფერნანდზე ჩამოვარდა.

— კი მაგრამ, რითი არსებობს? — ვკითხე.

— ნუ წუხხარ მასზე, — თქვა ანსელმა, — დედამისმა საკმაოდ ბევრი დაუტოვა. ის არა, რაც შენ გგონია. ყოველღე ორ ლიტრ იაფფასიან ღვინოს სვამს, ძეხვს ან დაკონსერვებულ თევზსა და პურს ჭამს. ეს არის და ეს. მაგრამ ვიცი, მას თავის ჭუჭყიან სახღში საკმაოდ ბევრი რამ აქვს გადანახული. ერთ ღღესაც ვიპოვი.

დიდი ხანი არ იყო ვასული, რომ ერთ დღით გვიან გავიღვიძე. სახღიდან ძალღის ნკმუტუნი გამოდიოდა. ანსელს დავუძახე და ერთად წავედით ფერნანდის სახღისკენ. კარი შიგნიდან ჩარაზული დავგვხვდა. ფერნანდმა კაკუნზე არ გვიპასუხა. ანსელმა ლომი მოიტანა და კარი შევამტვრიეთ. აუტანელი სიმყრალე იღვა. ოთახი სანაგვეს ჰგავდა. კედლები კვამლისგან ლაქებითა და სინესტით ჩაშავებულიყო. კუთხეში ძონძების გროვაზე ფერნანდის სხეული იღო, ტანზეც კი არ ჰქონდა ვახდილი. ზურგზე ინვა, გამხდარ სახეზე მკვდრის ფერი ეღო. ხეღში ჩაბღუჯული ჰქონდა იაფფასიანი წითელი ღვინის ცარიელი ლიტრიანი ბოთლი.

კბილებდაკრეჭილი ძალი თავზე დარაჯად ეღვა.

ანსელმა სადარაჯოდ დამტოვა, ვიდრე თვითონ სახღს ჩხრეკდა. სხენიდან გამარჯვებული სახით ჩამოვიდა, ძველ თუნუქის კოლოფს ჩასჭიდებოდა.

— ახლა ვნახოთ, — ნაიბუზღუნა და საკეტი ძღივს გახსნა. შიგნით ომისდროინდელი რუსეთის სარკინიგზო ობღიგაციების შეკვრა და ფერნანდის დღის წერილი იღო. იგი მას ურჩევდა, გაენადებინა ობღიგაციები, ვიდრე გაუფასურდებოდნენ. საუბედუროდ, ფერნანდს არასოდღე უსწავღია კითხვა!

მღღეღარებისაგან სარა ცახცახმა აიტანა. ისე კანკალებდა, რომ ტანსაცმელზე ეღვა გაუფუჭდა, პომადა კი ტუალეტში ჩაუვარდა. შვიდის ნახევარი იყო და ერთ საათში ჯეისონის ბინაში უნდა ყოფიღყო. ღრმად ამოისუნთქა და საკუთარ თავს უთხრა, გონზე მოდიო.

ბოღოს და ბოღოს, ის ხომ მხოლოდ სადიღად იყო მიპატიუებული, მაგრამ იმის ფიქრიც კი, რომ მას ნახავდა, გულს უთრთოლებდა. სწრაფად სასმელი დაისხა, თმა და მაკიაჟი კიდეე ერთხელ შეისწორა. შემდეგ გარეთ გამოვარდა და გამვლელ ტაქსს დაუძახა.

ისინი ერთმანეთს ერთი თვის წინათ შეხვდნენ წვეუღებაზე. საცეკვაოდ გაინღია. მთელი საღამო ერთად გაატარეს. ჯეისონი მაღალი, ათღეტური და უზადოდ ჩაცმული იყო. იგი ასევე ნაზი და გრძნობით აღსავსე ჩანდა. წვეუღების შემდეგ შინ წაიყვანა და მხოლოდ ძმურად აკოცა. სარას კვეინთან კავშირი განწყვეტილი ჰქონდა — ჯეისონი კი ასეთი სასიამოვნო კონტრასტი იყო!

ამის შემდეგ რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ყოველთვის სხვა ხალხთან ერთად ხდებოდა, რესტორნებსა ან წვეუღებებზე. სარამ იცოდა, რომ ჯეისონისთვის განსაკუთრებული იყო. ბოღო წვეუღების შემდეგ ჯეისონმა ისეე სახღამდე მიაციღა. ამჯერად აკოცა, მაგრამ არა როგორც ძმამ! ჯეისონმა ვახშმად დაპატიჟა ბეისუოტერში. იმ ღამეს მღღეღარებისგან ვერ დაიღინა. ბოღოს და ბოღოს მას სახღში მარტოს ნახავდა. უკეთ გაიცნობდნენ ერთმანეთს და ვინ იცის?.. საკუთარ თავს უთხრა, იღუზიებს შეეშვიო.

სარამ ლონღონში ერთი წელი დაჰყო. სასწავღების დამთავრების შემდეგ სიტიში სისტემათა ანალიტიკოსად დაინყო მუშაობა. ბოღოს და ბოღოს თავი მოზრდიღ ქაღად იგრძნო. ტაქსში იჯდა და ფიქრობდა, როგორ დაიპყრო ჯეისონმა მისი გონება. სინამდვიღეში არაფერი იცოდა მის შესახებ, არც ის, თუ რითი არსებობდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ჯეისონი ეღეგანტური, კარგი მანერების, ინტელიგენტი, მდიდარი და საოცრად მომხიბვლელი იყო. ტაქსის მძღღოს სთხოვა, პატარა ქუჩის კუთხემდე მიეყვანა, სადაც ჯეისონი ცხოვრობდა. როღესაც მძღღოს ფული გადაუხადა, გაახსენდა, რომ ჯეისონმა ცხრის ნახეღარზე დაპატიჟა და არა რვის ნახეღარზე. ისე ღღავდა, რომ დაიბნა. რა უნდა ეთქვა? ერთ საათს დაიცდიდა, მაგრამ არა. ნაცვღად ამისა, მივიღოდა ჯეისონის ბინაში და აუხსნიდა, ადრე მომიღდა მოსვღაო — ჯეისონი კი მას გაუეღბდა.

შიდ ნომერს დაუნყო ძებნა და აი, ისიც! ის-ის იყო ზარის დარეკვას აპირებდა, რომ პირვეღი სართუღის ფანჯარას ახეღდა. იქ თხელი, გამჭვირვალე ფარღის იქით სიღუეტი დაინახა, ქაღის ფიგურის უტყუარი კონტური იყო, უკან კი — ჯეისონის ჩრდიღი. ქაღი აქეთ-იქით დადიოდა, შემდეგ ტანსაცმღის გახდა დაინყო. სარა თვალღებს არ უჯერებდა. მოზრუნდა, ქუჩის შესახვევიდან გამოიქცა და ტაქსით შინ წავიღა.

ტღღეფონმა დარეკა ცხრა საათზე, ათის ნახეღარსა და ათზე. დაე რეკოსო, — ფიქრობდა სარა. ეს მისთვის გაკვეთიღი იქნება! ტღღეფონს აღარ დაურეკავს.

მომღევენო კვირები ნამღვიღი ნამება იყო. სარა ერიღებოდა გარეთ გასვღას, ვაითუ ჯეისონს შეეხვდეო.

ერთი თვის შემდეგ სარამ მოღების ყურნალი გადაშაღა და ჯეისონის მომღიმარი, ღამაზი სახე დაინახა. იგი ცენტრალური ფიგურა იყო სტატიამი ქაღთა უკანასკნელ მოღაზე. მას, როგორც წღის საუკეთესო მოღის დიზაინერს, პრიზი აეღო. სტატიამი ნახსენები იყო, რომ თავის მოღღებთან მუშაობდა ხოღმე საკუთარ ბინაში ბეისუოტერში.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

**ინგღისურიდან თარგმნა  
ქამიქვან თუხარაღმა**

# პირუთვნელი და უღმრთელი კრიტიკა

ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს ალექსი ჭინჭარაულს სისტემატურად ინვესტირებდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე (ქართულ ენასა და ლიტერატურაში) საგამოცდო კომისიის წევრად.

არსებობს გადმოცემა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ენაკვიმატ ენათმეცნიერს საგანგებოდ გაუფრთხილებია აბიტურიენტებთან საომრად გამზადებული თავისი კოლეგები: კარგად დაფიქრდით ხოლმე, როდესაც უმნიშვარი აბიტურიენტის ნაწერში ჩახუჭუჭებულ-ჩაღვლარჩნილ სიბრძნეს ნაანყდებით, ვაითუ ღმერთი გაგინყრეთ და ნიშანიც დაუკლოთო. კეთილი ინებეთ, ნუ აჩქარდებით, გულდასმით გადაამოწმეთ, იგი სიბრძნე რომელიმე სახელმწიფო-საგანგებო და ჩინ-მენდლებით შემკული პროფესორის კალამს არ ეკუთვნოდეს, ხომ მოგეხსენებათ, ეშმაკი წყლისფერია და ძილიც არა სჩვევიაო.

ეს გაფრთხილება, ვინ იცის, ეგებ არაერთხელ წაადგათ და გამაადგათ კომისიის წევრებს.

ქართველ ენათმეცნიერს, სამწუხაროდ, არ გაუფრთხილებია მოსკოველი მწერლები (ჯერ კიდევ „პიროვნების კულტის“ აყვავების ჟამს), ვიდრე რაიმე ჭკვიანურს ნამოროშავდეთ, ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გასჭერითო. ანკი როგორ გააფრთხილებდა, როგორ მიაწვდენდა ხმას თბილისელი სტუდენტი მოსკოვის ლიტერატურულ ელიტას — ჯერ ხომ თავადაც არ ეცოდინებოდა ეს ცხოვრებისეული გაკვეთილი და სხვისთვის როგორ დაერიგებინა ჭკუა?!

...როგორც ირკვევა, 1947 წლის 13 მაისის საღამოს სამი თვალსაჩინო საბჭოთა მწერალი გამოცხადებულა კრემლში, კრემლის მბრძანებელთან შესახვედრად. ესენი ბრძანდებოდნენ: სსრკ მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი ალექსანდრე ფადეევი, ჟურნალ „ნოვი მირის“ მთავარი რედაქტორი კონსტანტინე სიმონოვი და ყოვლად უჩინო ბორის გორბატოვი.

სიმონოვი თავის მემუარულ თხზულებაში „ჩემი თაობის ადამიანის თვალთ“ მოგვითხრობს, რომ დაბარებულნი იყვნენ საღამოს 6 საათისათვის და ხუთი წუთით ადრე უკვე იმყოფებოდნენ დანიშნულების ადგილზე. საკმაოდ თბილი დღე ყოფილა, ფანჯრები მზეს გაეხურებინა და მისაღებ ოთახში კიდევაც ცხელოდა. სამთავან ყველაზე ახალგაზრდა სიმონოვი თურმე ისე ღელავდა, რომ წამდაუნუნე წყალს ენაფებოდა. შვიდის სამ თუ ოთხ წუთზე მისაღებში გამოჩნდა სტალინის პირადი მდივანი პოსკრებიშვილი და სტუმრები მასპინძლის კაბინეტში მიიპატიჟა.

სამ თვალსაჩინო მწერალს იქ სამი თვალსაჩინო პოლიტიკოსი დახვდა: ამხ. სტალინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. მოლოტოვი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში ამხ. ჟდანოვი.

ხანმოკლე გაცნობა-მოკითხვის შემდეგ მასპინძელმა ფადეევს გადასცა საბჭოთა პრესაში გამოსაქვეყნებლად გამზადებული წერილი, რომელიც ეხებოდა ერთ მტკიცენულ საკითხს, მალე ფიცხელ იდეოლოგიურ კამპანიაში რომ უნდა გადაზრდილიყო.

საქმე ის გახლავთ, რომ ომის წლებში საბჭოთა პროფესორებმა ნ. კლიუევამ და გ. როსკინმა შექმნეს კიბოს სანინა-ალმდეგო პრეპარატი „კრუცინი“, რომლის ქმედების ეფექტიანობა კარგა ხანს ინვევდა დავას სპეციალისტთა შორის, მაგრამ მისი სასწაულთმოქმედი ძალა ბევრს სჯეროდა.

აღნიშნული პრეპარატის ავტორთა თხოვნით, ხელნაწერი მათი მონოგრაფიისა „ავთვისებიან სიმსივნეთა ბიოთერაპია“, რომელიც უნდა გამოცემულიყო მოსკოვში, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ვ. პარინმა

ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი სამსახურებრივი ვიზიტის დროს (1946 წ.), სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის წესით, გადასცა ამერიკელ გამომცემლებს. სტალინს სწამდა „კრუცინის“ დიდი ფასეულობა და, ამდენად, საბჭოთა მეცნიერთა ამგვარი გულუხვობა მიიჩნია უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საიდუმლოების გაცემად. პარინს, შპიონაჟის ბრალდებით, მიესაჯა 25-წლიანი პატიმრობა. რაც შეეხება „კრუცინის“ ავტორებს და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პოსტიდან გამოპანდურებულ გ. მიტერიოვს, ისინი წარსდგნენ „ლირსების სამსჯავროს“ წინაშე და ჯერჯერობით მხოლოდ გაკიცხულ იქნენ, მაგრამ მომავალში რა ელოდათ, ეს არავინ უწყოდა.

ჩვენ რითა ვართ დასავლეთზე უარესნიო? ...აი, კაცი საუცხოოდ აკეთებს თავის საქმეს, ოღონდ ეს თავადაც არ ესმისო, საბჭოთა პროფესორი მონურად იხრის ქედს ვილაც არამზადა უცხოელის წინაშე, რომელიც მასზე სამი თავით დაბლა დგასო, ეს კი თავის ღირსებას კარგავს და სამშობლოსაც არცხვენსო; დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ თვითდაკნინების სულისკვეთებას, რაც მრავალ ჩვენს ინტელიგენტს ახასიათებსო — ასე მოძღვრავდა სტალინი სამ თვალსაჩინო საბჭოთა მწერალს.

ფადეევი ხმამაღლა კითხულობდა ზემოხსენებულ წერილს, სტალინი, ჩვეულებისამებრ, მიდი-მოდიოდა კაბინეტში, სახეზე დაძაბული გამომეტყველება აღბეჭდოდა და ყურადღებით აკვირდებოდა სტუმრებს, თითქოსდა მათი განწყობილების ამოკითხვა ენადა.

როცა წერილის კითხვა დამთავრდა, სტალინს უთქვამს: უნდა მოვსპოთ ეს სულისკვეთება თვითდაკნინებისა, დასავლეთის წინაშე ქედის მოხრისა, საბჭოთა პატრიოტიზმის ნაკლებობისა. საჭიროა, რომ ამ თემაზე დაინეროს მხატვრული ნაწარმოები, რომანიო.

— ეს უფრო პიესის თემა გახლავთ, — ისროლა რეპლიკა სიმონოვმა.

მერე კი თავბედს იწყევლიდა, ენა რატომ არ გამიხმაო, მაგრამ გვიანლა იყო თითზე კბენანი. ვაგლახ, არ ახსოვდა ბრძნული ქართული შაირი: შავ ლუდას, წითელ ღვინოსა, განა სუყველას სმა უნდა, პირში მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?! ქართულს ვინა ჩივის, რუსული ანდაზა მაინც გახსენებოდა — სიტყვა ბელურა როდია, პირიდან ამოფრინდება და ველარ დაიჭერო.

თბილისურად რომ ვთქვათ, ნაიტრიპაჩა და სულ ეგ იყო.

თავის მემუარებში თავს იმართლებს: ეს ფრაზა სრულიად უნებლეთ ნამომცდა, პროფესიული თვალსაზრისი მკარნახობდა, რომ აღძრული თემა სცენას უფრო შეეფერება, ვიდრე წიგნსაო.

მაგრამ სტალინის რეაქცია სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო. აბა, თავად განსაჯეთ — მეყსეული რეპლიკა ისროლა მწერალმა, ვისაც ოთხი სტალინური პრემიიდან სამი ჰქონდა მიღებული დრამატურგიაში და მსმენელს, ალბათ, უნდა ეგულისხმა, რომ იგი თვითონ აპირებდა გარჯას, როცა ამბობდა, ეს უფრო პიესის თემა გახლავთო.

ასეა თუ ისე, დატრიალდა კარუსელი და სიმონოვი ცხენჯოხზე შემოასკუპეს, ანუ — დაიბარეს ცენტრალურ კომიტეტში და გააცნეს მასალები კლიუევა-როსკინის საქმის შესახებ, რაც პიესაზე მუშაობისას გამოადგებოდა.

სიმონოვი მიხვდა, რომ მისი დაუფიქრებელი რეპლიკა გაგებულ იქნა, როგორც მზადყოფნა აღძრულ თემაზე პიესის დასაწერად, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ პირდაპირი დავალება არ ყოფილა და პირდაპირი ვალდებულებაც არ აუღია.

მალე ისევ დაიბარეს და ჰკითხეს, როგორ მიდის საქმე იმ პიესისა, რომლის დასაწერად საჭირო მასალები გაგაცანიო?



რა უნდა ექნა სიმონოვს? ოცდათორმეტი წლის მწერალი სტალინური პრემიის უკვე ოთხგზის ლაურეატი იყო და ყველამ კარგად იცოდა, თუ უშუალოდ ვინ ანიჭებდა პრემიებს. მოდი და ამის შემდეგ უარი სტკიცე ბელადის დაკვეთას, მით უმეტეს, რომ თავისივე რეპლიკით გაჰყო თავი უღელში. დიხაბა ნანობა, მწარედ ნანობდა, მაგრამ რაღას უშველიდა სინანული.

სიუჟეტის მოფიქრებას დიდი ტვინის ჭყლეტა არ დასჭირვებია: მთავარი გმირი პიესისა, აბსოლუტურად პატიოსანი კაცი, იმავდროულად, პატივმოყვარეა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავის სამეცნიერო მიღწევათა გახმაურებას საზღვარგარეთ. იგი ქმნის ვაქცინას შავი ჭირის წინააღმდეგ და თავის აღმოჩენას აცნობს კაპიტალისტურ სამყაროს. თავშიც კი არ მოსდის, რომ მისი ნამუშევარი შეიძლება გამოიყენონ არა შავი ჭირის, არამედ პროგრესული კაცობრიობის წინააღმდეგ. დასავლეთის წინაშე ქედმოხრის შედეგად თავს ჩაიგდებს თავისი სამშობლოს ინტერესთა პოტენციური მოლაპატის როლში და საკადრისი სასჯელი ელოდება.

უჭირდა ამ უმსგავსო პიესის წერა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და წერდა, რადგანაც ასე იყო საჭირო!

ოცდაათი წლის შემდეგ თავის მემუარებში სასტიკი თვითგვემას ეძლევა და გადაჭრით ამბობს, ახლა ძლივძლივობით გადავიკითხე ჩემთვის სამარცხვინო კონიუნქტურული პიესა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამენერა, ამ თვითგაუპატიურებას უნდა შევბრძოლებოდიო.

1948 წლის გაზაფხულზე დაამთავრა პიესა, დაარქვა „სხვისი ჩრდილი“ და, როგორც გვარწმუნებს, გააკეთა ის, რაც არც მანამდე და არც შემდგომში არასდროს გაუკეთებია ანუ — არც ჟურნალში წაუღია დასაბეჭდად და არც თეატრში დასადგმელად, პირდაპირ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნა. გარკვეული ბიუროკრატიული თავგადასავლების შემდეგ „სხვისი ჩრდილს“ მიუღწევია მთავარი ადრესატის კაბინეტამდე.

1949 წლის იანვარში სიმონოვს შეატყობინეს, რომ ტელეფონით დაერეკა სტალინისათვის.

— მე წავიკითხე თქვენი პიესა „სხვისი ჩრდილი“. ჩემი აზრით, კარგი პიესაა, მაგრამ...

აი, სწორედ ეს „მაგრამ“ გახდა ის ძალის თავი, რომელიც ისე იყო დამარბული, რომ კაციშვილი ვერ მიაგნებდა.

სტალინის საკმაოდ ვრცელი სატელეფონო მონოლოგი ხაზგასმით აუწყებდა სიმონოვს, რომ საბჭოთა მთავრობას, მიუხედავად პიესის მთავარი გმირის ტრუბნიკოვის შეცდომებისა, ეჭვიც არ ეპარება მის პატიოსნებაში და სჯერა, რომ მას ძალუძს, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე.

ასე რომ, ქვეყნის გენერალური რედაქტორ-ცენზორი პიესის მთავარი გმირის დასჯას კი არ მოითხოვდა, არამედ — პატიებას. დამოკლეს მახვილი უნდა გამქარაიყო სცენიდან.

სიმონოვი თავის მემუარებში აღნიშნავს, სტალინის მიერ შემოთავაზებული ფინალი პიესისა ფრიად მეჭაშნიკებოდაო. თუკი თვით ბელადი მიუტყეებდა ჩემი პიესის მთავარ გმირს იმას, რაზედაც ესოდენ შეუწყნარებლად ლაპარაკობდა, როცა საქმე ეხებოდა რეალურ ცხოვრებას, მე მით უფრო მზად ვიყავი, ტრუბნიკოვის ბედი სასიკეთოდ შემეცვალაო.

სიმონოვს ოპერატიულად (ლამის ერთ დღეში!) შეუტანია შესწორებანი. პიესა დაუყოვნებლივ დაიბეჭდა ჟურნალ „ზნამიას“ იანვრის ნომერში და ასევე დაუყოვნებლივ წარდგენილ იქნა სტალინურ პრემიაზე.

ვიდრე სტალინური პრემიების კომიტეტი გამოიტანდა მსჯავრს, მწერალთა კავშირის სამდივნოს გაფართოებულ სხდომაზე, სხვა წარდგენილ ნაწარმოებებთან ერთად, უნდა განეხილათ სიმონოვის პიესაც.

ამას თუ განხილვა ერქვა! დატრიალდა პირუთენელი და უღმობელი კრიტიკის სისხლიანი კალო.

ერთსულოვნად, ერთხმად დაირაზმნენ სიმონოვის პიესის გასალენად, აღსაგველად პირისაგან მინისა. ერთსულოვნად

და ერთხმად ინუნებდნენ ძალზე რბილ, ძალზე ლიბერალურ და კაპიტულიანტურ ფინალს. ველარ გაიგებდი, ვის უფრო ლანძღავდნენ — საბჭოთა სამშობლოს მოლაპატედ შერაცხულ ტრუბნიკოვს თუ საბჭოთა სამშობლოს მიერ უზომოდ განებივრებულ სიმონოვს, სტალინური პრემიის ოთხგზის ლაურეატს. რასაკვირველია, ამ უკანასკნელის გათათხვა უფრო ეხალისებოდათ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ისინი, ვინც გულში ჩაბუდებულ კნინობით კომპლექსს გაზვიადებული განდიდების მანიით აჩუმათებდა. ჩინ-მენდლებით უხვად შეიკული მწერლის საცხებით საფუძვლიანი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლეგიტიმური კრიტიკის უფლება მიეცათ და ამგვარ ცდუნებას ხელდან ვინ გაუშვებდა!

წყეული ბურჟუაზიული ჰუმანიზმით, ათასჯერ დაგმობილი ქრისტიანული შემწყნარებლობაო, ყალბი და ფარისევლური კაცთმოყვარეობაო, მტრული კაპიტალისტური სამყაროს ლაქიობაო, მონური სულისკვეთებაო, იდეოლოგიური განიარაღებაო, და ვინ იცის კიდევ რამდენი ბრალდება და იარლიყი ერგო წილად არასაბჭოთა პიესის საბჭოთა ავტორს. სისხლი სწყუროდით და საოცრად შეხმატკბილებულ მაგინებელთა გუნდს იმის მოთხოვნა დააკლდა, სიმონოვი სცენაზე ავიდეს და თავისი ხელით დახვრიტოს თავისივე პიესის მთავარი გმირიო.

სტალინური პრემიის ოთხგზის ლაურეატი კი მშვიდად უსმენდა, თუ როგორ ამათრახებდნენ მისი ძვირფასი კოლეგები სტალინის ლიბერალიზმს და, რა თქმა უნდა, აზრზე არ იყვნენ, რომ მათი პირუთენელი და უღმობელი კრიტიკის ობიექტი ბრძანდებოდა თვით კრემლის მბრძანებელი.

როგორც მომავალს ესმის წარსული, ასევე რომ ესმოდეს მომავლისა წარსულს, უსათუოდ შეისმენდნენ და დაიზებებდნენ მათთვის სრულიად უცნობი მეცნიერის, კავკასიის მთებში ჩაკარგული ლექსო ჭინჭარაულის საგულისხმო შეგონებას, მაგრამ...

ერთი სიტყვით, სიმონოვის პიესის ფინალი კატეგორიულად დაგმეს. ახლა სტალინური პრემიების კომიტეტის სხდომაზე უნდა ჩატარებულიყო დასაჯილდოებლად წარდგენილ ნაწარმოებთა განხილვა და სიმონოვი, მოსალოდნელი და სახიფათო გაუგებრობის თავიდან ასაცდენად, იძულებული შეიქნა, რომ კომიტეტის თავმჯდომარისათვის (ა. ფადეევი) გაენდო გულში ჩამარხული საიდუმლო ანუ ის, რომ მისი პიესის სვეკეთილი ფინალი ნაკარნახევი იყო პირადად სტალინის მიერ!

ფადეევი გულიანად ახარხარებულა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ხარხარებდაო. საყვედური უთქვამს მეგობრისთვის, წინასწარ რატომ არ გაგვაფრთხილე, რატომ ჩავგავდე ასეთ სასაცილო მდგომარეობაშიო?

არ მქონდა თქმის უფლებაო. ახლა საინად გაგიჩნდაო? ახლა სხვა გზა აღარ არი, ვშიშობ, კიდევ ერთი კომედია არ გათამამდეს და უღმობელი კრიტიკის ამბავმა კრემლამდე არ მიაღწიოსო.

სიმონოვის პიესას, რასაკვირველია, მწვანე შუქი აუნთეს. „სხვისი ჩრდილი“ მოსკოვშიც დაიდგა და ლენინგრადშიც. პიესაც და სპექტაკლიც გულუხვად შეაქო პრესამ. სიმონოვის სიტყვით, მსახიობებს ოსტატური თამაშით ნაწილობრივ გაუქარწყლებიათ ნაწარმოების ნაკლოვანებანი.

1949 წლის მარტში ოცდაათობმეტი წლის მწერალს მეხუთედ მიენიჭა სტალინური პრემია.

თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ კი ძლივძლივობით გადაუკითხავს თავისი „სხვისი ჩრდილი“ და მისი შექმნა „თვითგაუპატიურებად“ მოუნათლავს.

თვითგაუპატიურება — ჩინებული ტერმინი გამოუგონია სიმონოვს იმ სწეულებისათვის, საბჭოეთში რომ იყო გავრცელებული და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, თქვენ წარმოიდგინეთ, დღემდე შემორჩენილა.